

24/3

დიტენატუნა და სეროვნება



N4

04/2006

1522/2
2006

საქივი

გარონტი
ქიქოძე

სიღვინა

ტარიელ ხარხელაური
ჯემალ ინჯია

სალოზა

ზაირა არსენიშვილი

ზურაბ
თორია

თაღუშანი

დავით
კახაბერი

მსაჯულთა

თამთა
შავბულიძე

ლერი
ალიმონაძე



ედმონდ კალანდაძე

ნორაშენი



გაზფხული

რიტენატუნა და ხეროენება



N4
04/2006

გამომცემლობა
„ეროვნული მწერლობა“
ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 1512-3189

პროექტის ავტორი და
ხელმძღვანელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:
ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის
მოადგილე:
მანანა მიქელაძე

პასუხისმგებელი
მდივანი:
ზურაბ თორია


რედაქტორები:
დავით ტაკიძე
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:
ედმონდ კალანდაძე

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.

გამოცემის სპონსორია



მ ა გ თ ი ა ო მ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქაიხა, ჭაფიჭა

- 5 ზახია ახენიშვილი - ყოდავი მთვახის შუქზე
- 20 ტახიელ ხახუნაძე - ლექსები
- 24 ზუხაბ თოხია - მწეხის ვამის მონოლოგები
- 39 ჯემალ ინჯია - ლექსები
- 42 მახიამ წიკლაძე - ლექსი

ანიკვი

- 44 გეორგი ქიქოძე - ბახათი ნინო (ნეცა) ჩხეიძეს

ოსტაძანი

- 45 აღბეი ჯამიუ - ოსტაძანი

/თახტაშა დავით ჯახაბეიძე/

- 53 ბჰაგვად - გიტა - ინდუი ეპოსი

/თახტაშა დეი აღიმონაძე/

ჭარბიძე

- 58 ხატია გეთია - გაყიდული სული

ჭერბიჭი

- 60 ჩამაზ შენგელია - ჯალბუხა და ცივილიზაცია

თაყაიშვილი

- 67 მანანა გეგუჭიანი - თემის ჩხეიძე...

მხატვრობა

- 73 თამთა შავგულიძე - ოხიოდ სიტყვა ოსტატზე

მუსიკა

- 76 ევატეხინე ონიანი - ძველი სამუსიკო დამწერლობა საქართველოში

- 80 დოკოაჩივიძან

საქონსუფროსეთი სავაჭარი:

ქაზის ამირიანი, ზაზა ზაზაძე, ნანი ზაზაძე,
მოსწავლეობის, მასწავლებლის, მასწავლებლის,
თავის ხელით, თავის ხელით, ვაჭარი ქვეყნის



ეურნული „ლიბერტიზმი“ და ხელისუფლება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწვერლობისა და
ხელისუფლების აღორძინების საქმეს ემსახურება

ვ უ ლ ო ც ა ვ თ

სრულიად საქართველოს ბრწყინვალე
აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!



„რაჟამს შთახედ საფლავად ცხოვრება ეგე უკუდავი.
მაშინ ჯოჯოხეთი შეაძრწუნე ელვითა მით ღუთაებისა შენისათა.
სოლო რაჟამს მკუდარნი ქუესკნელით აღმოიყვანენ.
მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი ღაღადებდნენ:
ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა.“

აღდგომის ტროპარი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი...

ყური მივუგდოთ ამ საოცარ სიტყვებს... იგი გვისმობს, მივიღოთ ეს წყალობა, ეს ნათელი ქრისტესი.

კვლავ ინება უფალმა ჩვენთან შესვენდრა...

მარადსასოვარია მისი სიტყვები:

„ნუ გეშინინ, რამეთუ შენთანა ვარ... ნუ შეცდები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმა განგაძლიერე შენ და შეგეწიე შენ და დაგიფარე შენ მარჯვენითა მართლითა ჩემითა“.

ქრისტე აღსდგა!

ესაა რწმენა და იმედის სიტყვები და არაუფერი ისე არ სჭირდება დღეს საქართველოს, როგორც რწმენა და იმედი.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას მოაქვს ჩვენთან დიდი საიდუმლო და რწმენა იმისა, რომ ღმერთმა თავის თავზე აიღო ჩვენი ყველა ტკივილი, ვაება, წუხილი და მოგვაბაძლა სიყვარული.

ვიზეიმოთ ეს ბრწყინვალე დღე. შევუნდოთ ურთიერთს, ვიწამოთ ნათელი, რომელიც ჩვენივე აღდგომის რწმენით აანთებს ჩვენს გულებსა და აწრს.

ქრისტე აღსდგა!

თავისი სიძლიერით ამ სიტყვასა და გრძნობას ვერ შეედრება მიწიერი კეთილდღეობით გამოწვეული ვერც ერთი განცდა. ამ იდუმალ ჟამს, როგორც არასდროს, ჩვენი სული თბება რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. უფალი მოდის თითოეულ ჩვენთაგანთან და გვეუბნება:


„ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ!“

აღდგომა ხანძთაში

„სოფლისა ზღვა აღძრულ არს
ღელვითა ცოდვისათა“
გრიგოლ ხანძთელი

საკვირველია ჯვარი და ჯვარცმა,
ცად ამაღლების იდუმალეზა...
აქ, ძველ ხანძთაში,
აღდგომის განცდა
ზე აიტაცეს რეკვით ზარებმა...
ჰოი, ხატებო, ცის სარკმელებო,
გაუღენთილებო საკმევლის სუნით...
(მეუდაბნოს ხმელი ხელები
და განგმირული შუბით ავსული...)
რა შეედრება სიხარულს შობის,
მაგრამ აღდგომის სულ სხვაა განცდა...
მგონია, ცაში მიფრინავს თმოგვი,
რომ წარიტაცოს ცოდვანი კაცთა...

ვაჟა ოთარაშვილი





ველარც ტლევები უცხრობენ ტკივილს, და ვერც სათბური უყურებს ქოშინს... ნელსაცხებელი, საკმეველი, ზეთი და ცვილი ველარ აქარწყლებს, ველარ ახშობს მძიმე სიმყარაღეს მღვრიე დურდოთი სავსე სტომაქის... ჩაჭაობებულ ნანლავების... ჩამძალი ღვიძლის...”

გადავიკითხე... კიდეც გადავიკითხე... და შუბლზე ნკიპურტი მივირტყი... მაიმუნი ვარ და მეტი არაფერი, კიდეც კარგი, დროზე შევაჩერე პოეზიის ფეხმარდი რაში, მე რომ რატომღაც პროზის გამწვევ-ხარანი ურემი მეგონა, და არ გავაჯირითე ჩემებურად. მერე იქნებ დამნანებოდა კიდეც უკან მობრუნება და სულ ასე გალოპითა და პირუტებით გავსულიყავი ბოლომდე. ნადი და უყარე კაკალი იმ ცნობილი, უნიჭო პოეტივით, თავის ახალგაზრდობაში პოემა რომ მიუტანია რედაქციაში დიდი სასოებით და იმათ კი რჩევა მიუციათ: კარგი იქნებოდა პროზად დაგენერათო.

ყოველთვის ავფორიაქდები ხოლმე ამ დაპირისპირების გამო, ნიადაგ რომ არსებობს და სულს უშფოთებს ჩემისთანა სანყალ, ახალბედა ფანქროსანსა და კალმოსანს: ფრთაშესხმული შთაგონება და ფრთებდაკეცილი, საძრაობა დაკარგული ნანარმი.

ცის ლაჟვარდში შურდულივით მოსრიალე ყაჩაღანა მერცხალი, ცოცხალი საზრდოს მმუსრაგი, მდინარეების, მთების, ზღვების გადამლახავი, ქარიშხლებთან მორკინალი მამაცი მოგზაური და პროვინციის მუზეუმის ბუმბულ დაწებებული, ჭიქის თვალეზიანი ფიტული, შუშის კუბოდან ყელმოღერებული რომ ნარმომადგენლობს ჩვენი საყვარელი მხარის ფრინველთა სამყაროს.

მაგრამ რას იზამ, ყველაფერს თავისი დიალექტიკა აქვს და სწორედ იმიტომ, რომ თავიც მენუგეშებიანა და ეს გარდაუვალი წინააღმდეგობაც ყოველთვის მხსომებოდა, ბიჭიას დავანერინე სახატავ ფურცელზე ფუნჯის წვერით ის დაუინყარი სიტყვები, გულში მტკივნეულად რომ ჩამეჭრა და მთელ ჩემს არსებაში ფესვი გაიდგა. აი, ახლაც, კედლისკენ ვატრიალებ ხრახნიან ლამფას და ვკითხულობ თავკიდური მრგლოვანებით ლამაზად გამოყვანილ, ნაირფრად აჭრელებულ სიტყვებს: „მეთოდურად დამუშვებულ მეცნიერულ სისტემებში შეიძლება გაქრეს შემოქმედებითი ინტუიცია. კლასიკურ ფორმებში შეიძლება გაცივდეს ხელოვანის შემოქმედებითი წვა. გამომუშავებულ სოციალურ სისტემებში შეიძლება ჩაკედეს სამართლიანობის პირველსანყისი წყურვილი. კეთილმონყობილ ოჯახში შეიძლება ჩაქრეს სიყვარული. გონის განხორციელება შეიძლება აღმოჩნდეს ობიექტივაცია და გონი ველარ

მაია
ანსენიშვილი

ხოცაჲი მთვახის შეხვა

ხმთან

„მთვარე კახეთში სხვაა...“

„თავს მონინებით ვხრი შენი ტახტის დაუჭკნობელი დაფნის წინაშე“.

ბალაკტიონი

„მთვარე დანათის ბატონის ციხეს... უზარმაზარი, კრიალა მთვარე, ყინვიან ღამით, მოწმენდილ ციდან აფრქვევს ცივ ნათელს: სასახლის გუმბათს, ბურჯთა ქონგურებს, აივნის მაღალ, წერწერტა სვეტებს, სამრეკლოს, ტაძარს, დათოვლილ ბაღს და... სულთმობრძავი მეფის ირაკლის სენაკის სარკმელს...“

სასიკვდილო სარეცელზე მდებარე მეფეს

ვიცნობ განხორციელებაში. გონი გაიყინება, გაქვავდება, რადგან ობიექტური გონი არის დაცლილი გონი.“ ამ სიტყვების ბოლოს დაფინის პანია შტოა მიხატული და სტრიქონებს შუა-ც შემოდგომის წითელყვითელი ფოთლებია მიმობნეული... ყოველი შეგონება შესაფერისი სილამაზითაც უნდა იყოს გაფორმებული, თვალსაც ახარებდეს და გონებასაც აფხიზლებდესო, რადგან სწორედ ეგ არის სილამაზის დანიშნულებაო, მითხრა ბიჭიამ ონავრული თვალის ჩაკვრით, გრაგნილი თავმომწონედ რომ გაშალა და საწერ მაგიდასთან გამიკრა. ნენე კი იდგა, გამობერილ მუცელზე ხელებჩამოდებული, სასოებით შეჰყურებდა თავის დაუცხრომელ ქმარს და ალბათ, ფიქრობდა, თუ კეთილმონყობაზეც შეიძლება იყოს დამოკიდებული სიყვარულის ჩაქრობა, ბიჭიას ხელში ჩვენ ეს არამც და არამც არ უნდა გვემუქრებოდესო. ცოდვა გამხელილი სჯობს და სანამ ჩემს თავზე არ გამეცინა, მეც ძალიან დავხაროდი ამ სიტყვებს კეთილმონყობილი ოჯახის შესახებ, ასე მეგონა თვით ბედის გამგებელი გამამხნეველად მართმევედა ხელს... ღმერთო დიდებულო, რა მიაშიტი და ყყუყუი შეიძლება გახდეს ადამიანი, თანაც ერთი ხელის დაკვრით, როცა საქმე ცხოველმყოფელ სურვილებს ეხება. მაგრამ კიდევ კარგი, ამ ფილოსოფიური სენტენციის დანარჩენ შემადგენლებს გაფრთხილებად და ლამის მუქარადაც კი განვიცდიდი. აი, ახლაც ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ გაფრთხილებას გაყინული და გაქვავებული გონის შესახებ და რაღაც საეჭვო, უიმედო იმედით გულმომცემული ვუბრუნდები ჩემს ნაცოდვილარს...

მეც სულ არ მეგონა რომ ასე გამოვიდოდა, მორაკრაკე და მოჩუხჩუხე კეთილხმოვნებით... პირიქით, მინდოდა, რაც შეიძლება სადად და სულის შემძრავად დამენერა, როგორ კვდება მეფე ერეკლე იანვრის მთვარიან ღამეს თავის პატარა ოთახში, წელან პოეტურად სენაკი რომ ვუნოდე, იმ ოთახში, სადაც დაიბადა კიდევ ორასორმოცდაშვიდი წლის წინათ, და სადაც ამჟამად ჩვენი სამუშაო ოთახია საწერი მაგიდებით, დავთრებით სავსე პატარა კარადით, პორტრეტებიანი კედლებით და ბუხართან მიკრული მარმარილოს დაფით, რომლის ოქროს ასოებიანი რუსული წარწერა, თავადი ვორონცოვის ხელმოწერით, ერეკლეს დაბადება-გარდაცვალებას გვაუწყებს და ზრდილობიანი პირმოთნეობით მიგვითითებს: არ დავინწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსაო.

მაღელვებს მე ეს ოთახი... მაღელვებს და გულს მტკენს...

აქ ერთდება წარსულისა და აწმყოს გზები... აქ ერწყმის ერთმანეთს უკვე მომხდარი და ის,

რაც ხდება, ერწყმის ისე მძაფრად, ისე მტანჯველად, რომ მე ხშირად ვგრძნობ, როგორ მიბიძგებს გამარტივებული სქემების მაძიებელი გონება, განცდათა და მოვლენათა დახვანჯული გორგალი გამოსახსნელად მიზეზ-შედეგობრიობის ტლანქ ჩარხში წალმა-უკულმა ვატრიალო... ტრიალებს ჩარხი, იჩეჩება დახვანჯული ნართი, წყდება საცოდავ ნაგლეჯებად და ნაფლეთებად, რომელთაც აღარავითარი საერთო არა აქვთ არც მოვლენათა გამოუხსნელ კვანძებთან და არც განცდათა მტანჯველ ხლართებთან... მაგრამ არსებობს იმედი... და სიხარული... რომელიც იღვიძებს ტანჯვიდან, ვით ძილქუშიდან... და მე, ისეთი შვება მეუფლება, ისე ვივსები სიხარულით, ლამის მეგონოს: იულონ ბატონიშვილი სწორედ ჩემი სიხარულით იბადრება ასე გულუბრყვილოდ, ხოლო ანტონ კათოლიკოსის კურთხევისთვის აღმართული მარჯვენა პირადად მე გადმომსახავს წყალობის პირჯვარს. მაგრამ ახლა... ახლა... ამ ოთახში არც ბატონიშვილებისა და დედოფლების სურათებია, არც ვორონცოვის დაფა, არც მაგიდები და კარადა. ახლა აქ სასიკვდილო სარეცელია დაგებული და ტანჯული მოხუცის გმინვა ისმის. მეფე აზიარეს... თახჩაში შესვენებულ, ლეონ ბატონიშვილისეულ მაცხოვრის ხატთან დიდი კელაპტარი ანთია, მთვარის შუქიც უხვად შემოდის მაღალი, შეისრული სარკმლებიდან. კარის მოძღვარი, მამა იოვანე ხმადაბლა კითხულობს ფსალმუნს. დარეჯან დედოფალს, სიკვდილის მოახლოებით დათრგუნულსა და დაბნეულს, ისე საცოდავად ჩამოუშვია თავისი მუდამ ანკეპილი წარბები, როგორც დამარცხებულს ძღვევამოსილი მტრის წინ საბრძოლო ალაში.

„ირაკლი... შემომხედე, შე კაცო... სქანი გოლუაფირო... სქანი ჭირიმა... გაახილე თვალი... ჩქიმი სანთელი, ირაკლი... სქანი გოლუაფირო... სქანი... სქანი...“ ჩუმად, თავშეკავებული შეშფოთებით ჩასძახის დარეჯანი და გაყვითლებულ, სიმწრის ოფლით დასველებულ სახეს ტილოს ნაჭრით უმშრალებს. თვითონვე შეაკრთობს თავისი მეგრული, აღარც ახსოვს როდის ეუბნებოდა თავის მოხუც ქმარს ასეთ სიტყვებს... თვითონვე შეაკრთობს თავისი უმწეო, მავედრებელი კილო... აქამდე თითქოს ვერ ხვდებოდა, ახლა კი სწორედ სასონარკვეთით სავსე მშობლიური მეგრული, მომაკვდავის ჭირისუფლობით დაზაფრულს თავისთავად, ბუნებრივად რომ აღმოხდა, მწვავედ აგრძნობინებს: ბედის ბორბალი თურმე გადაბრუნებულა და გადაუტანია ის ძველი „სქანი გოლუაფირო“, საალერსო ფორმულა, ოდესღაც, სხვა ცხოვრების დროს რომ წარმოთქვამდა მომაჯადოე-

ბელი, დამცინავი ღიმილით, ანცად და მსუბუქად, და ამ სასიყვარულო იმპერატივზე უდრეკ მომარს, მეფე ერეკლეს ფარხმალი უნდა დაეყარა და უსიტყვოდ დანებებოდა მის ქალურ თილისმას. ახლა კი, სწორედ ამ მშობლიურმა მეგრულმა, უნუგემო კვნესასავით რომ გაისმა მომაკვდავის სასთუმალთან, თვალნათლივ დაანახა ხვალინდელი დღე: ბერი ქალის ძაძით მოსილი ქვრივობა... და მიუსაფრობის უდაბური ტრამალები...

მამა იოვანეს კი, მომაკვდავის ფერხით აღმართულს, თვალების გასწვრივ უჭირავს გადაშლილი ფსალმუნი და ხმადაბლა ბუტბუტებს: „და მოენყინა ჩემ თანა სულსა ჩემსა და შემეძრნუნდეს ჩემ შორის გული ჩემი...“

„დედოფალო, იქნებ ინებოთ და დაგვტოვოთ...“ ამბობს ოთარა თურმანიძე მორიდებით. „მუცელი უნდა ვუნახოთ ბატონ მეფეს, იმატა თუ არა სითხემ...“ დაამატებს ფარნა კობიაშვილი, სახე კი ისეთი შენუხებული აქვს, მზერაც შემკრთალი, თითქოს უსიტყვოდ იხდიდეს ბოდიშს იმის გამო, რომ ღმერთმა ადამიანად გააჩინა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ ადამიანად... და ეს კი ახლა ძალიან ცოტას ნიშნავს, შეიძლება ითქვას, აღარაფერს არ ნიშნავს, რადგან მას არ ძალუძს შესძახოს. „ტაბითა, აღსდეგ!“ არ ძალუძს და რა ქნას! მას ძალუძს ტლევები, მალამოები, მცენარეული ნამლები, სისხლის გამოშვება, სხვა ათასი რამ, ათასი საშუალება... მაგრამ ახლა მხოლოდ და მხოლოდ ეს იმპერატიული შეძახებაა საჭირო, მთელი ხმით შეძახება: „ტაბითა, აღსდეგ!“ მაგრამ არ ძალუძს და სცხვენია, ისეც მოკრძალებული, უფრო დაბლა ხრის თავს, გასიებული სტომაქისკენ, ჩირქიანი და მნიკვლიანი წყლულებისკენ და მონდომებით და ჩაკირკიტებით უნმენდს მყრალ იარებს.

„რალა მუცელი...“ მწუხარედ ჩაილაპარაკებს დარეჯანი და ოთახიდან გავა.

„კაცი კვდებაო“, უხმოდ დაამატებს. ტალანი სავსეა სასახლის ხალხით: ოხვრა, ტირილი, ლოცვა, გადალაპარაკება, ნაბიჯების ხმა, ჩურჩული, ერთ გაბმულ გურგურად ქცეულა... დარეჯანი გზას მიიკვლევს დარბაზისკენ...

დარბაზის კართან თორმეტი წლის სალომე შემოეგებება:

„ბები, ისევისე შფოთავს ბატონი პაპა?!“

დარეჯანი უმწეოდ გაიქნევს თავს.

„ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, რა ცოდოა ბატონი პაპა! ან ჩვენ რა გვეშველება, ან ჩვენ ერსა, ან ჩვენ მინაწყალსა, ან მტერსა და ან მოკეთეს!“

დარეჯან დედოფალი უღონოდ დაეშვება ხალიჩაგადაფარებულ გრძელ სკივრზე.

„იულონ, შვილო, ნუ ზღუტუნებ ეგრე ხმა-

მალა, ცოდოა ბატონი მამა... ცოდოა... იქ ისმის შენი ტირილი... ყველაფერი ეყურება!“

იულონი გულს ერთი მძლავრად ამოიხვიჩავს და ცრემლებით მორწყულ ფართე ლოყებს ყურთმაჯებით შეიმშრალებს. „ვაიმე, რა გვეშველება, ბატონო დედავ, მამა ხელიდან გვეცლება, ვერც თურმანიძესა, ვერც კობიაშვილსა ველარაფერი გაუნყვიათ, რა წყალში ჩავვარდეთ, რა გზას დავადგეთ, ბატონიშვილებო, ძმებო, დებო, რძლებო, ძმისწულებო!“ დიდ მჯილღებს გაგულისებით შემართავს იულონი, გეგონებათ თავში უნდა წაიშინოსო. „რა ვქენი ეს... რა გავაკეთე ეს...“ დაიკვნესებს დარეჯანი, მოხუცი ჩიქვანი როგორ არ გამოვიხმეთ გორდინდანი, როგორ არ შევუთვალეთ ჩვენი გასაჭირო, როგორ არ შევუთვალეთ ჩვენი უბედურების ამბავი...“ „უშველიდაა რო, ბატონო დედავ და დედინაცვალო, უშველიდაა რო!“ – როყოფდ ამოიძახებს გიორგი ბატონიშვილი, ბუხართან, დიდ თურქულ ხალიჩაზე ფეხმორთხმული თავის ოჯახთან ერთად, „ჩიქვანი ღმერთიაა, რაკი მეგრელიაა...“ ნამღერებით გააგრძელებს... დარეჯანი თავს დახრის, რომ მძულვარე მზერა არ ესროლოს თავის გერს, უზრდელი, უშველიდაა რო...! აი, სწორედაც უშველიდა შენს ჯიბრზე! ყველა მტრისა და დუშმანის ჯიბრზე!

დარბაზის კარს ოთარა თურმანიძე შემოხსნის ფრთხილად, კართანვე გაჩერდება, დამნაშევსავით ჩაჰკიდებს თავს; სასონართმეული ამბობს: „დედოფალო, ბატონიშვილებო, რაც შეგვეძლო და არ შეგვეძლო ყველაფერი ვცადეთ, ხელი არ დავაკელით, მაშ, ვისთვისლა გავირჯებოდით აგრე მუხლჩაუხრელად, თუ არ ჩვენი მეფისთვის... მაგრამ... თავსზეით ძალა არა გვაქვს და რა წყალს მივცეთ თავი, არ ვიცით... კიდევაცა ვცდით ყველა საშუალებას... თქვენ რო ბრძანებდით, დედოფალო, ჩიქვანიო, ნეტავ არ იქნება, ვინმე იგეთი მოგვევლინოს, უშველოს რამე ჩვენს მეფესა, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება...“

„რუსი მკურნალიც ხომ ჩამოვიდა და რაა მერე, წავიდა უკან, თქვენზე უკეთესი ამ არემარეზე არავინააო და რა ვიცი, ასე მცოდნოდა, შევუთვლიდი დროზევე ჩიქვანს, აბა, რა იქნებოდა,“ მქისედ ამბობს დარეჯანი.

„მეე... მკურნალი კი ვარ... ბატონო დარეჯან...“ ოთარ ბატონიშვილებს დახედავს, თითქოს მათგან ელის გაგებასა და ლმობიერებას, „მაგრამ... ადამიანი ვარ... ნეტარ-ხსენებული დავით აღმაშენებელი ორმოცდათორმეტის მიიცვალა და ვერავინ ვერაფერი უშველა...“

თიკომ თავი აიღო და მიიხედა, კარებში ნიკოიდგა და წარბშეკრული იქნეულად უყურებდა თავის შვილსა და საწერ მაგიდაზე გაშლილ ქა-

ღალღებს.

„უკვე პირველი საათია, მეორე დაიწყო, რატომ არ წვები, გამაგებინე?! ხომ არ შეიძლება ღამეები ათიო ამ რალაცეების, მაპატიე და, ჩხაპნით? მე შენ გეტყვი, რაც საჭიროა და მოგეთხოვება, იმისთვის იკრთობ ძილს? თან ხვალ ადრე ხარ ასადგომი... „ოჰ, მამიკო, მეფე გვიკვდება, რომ იცოდე. იცი, რა ამბავია ბატონის ციხეში? გაჭედვითა იქაურობა ხალხით და არ იციან რა უშველონ, წარმოგიდგენია?! არადა, სწორედ ახლა აუცილებელი ერეკლეს სიცოცხლე აუცილებელი! ძალიან ცუდ დროს კვდება, და სხვათაშორის, ნიკო ბერძენიშვილსაც ასე მიაჩნია.“

ნიკო თავს გაიქნევს და გაიცინებს, ვითომ რა უნდა გელაპარაკოვო.

„კარგი რაა, მამა, ნუ იცინი, შენც ხომ გაქვს ჩვენი ქვეყნის დარდი, აი, საინტერესოა, ჩვენ რომ ახლა სასახლეში წავსულიყავით, შესძლებდი ერეკლეს გადარჩენას?“ „ოჰ, რა მაიმუნი ხარ, ჩემო შვილო, რა მაიმუნი! აბა, ჩქარა, სანოლისკენ!“ „დაიცადე, მამა, დაიცადე მითხარი, გადარჩენდი? რომ მოესწრო და ან მტკიცედ შეესრულებინა რუსებისთვის 83 წლის ტრაქტატი, ან სრულიად გამიჯვნოდა მათ, რომ ბატონიშვილი გიორგისთვის გაეუქმებინა მემკვიდრის უფლება და შესაფერის მემკვიდრეზე ეფიქრა, მერე კიდევ...“

„ოჰ, ღმერთო ჩემო!“ გაანყვეტილა ნიკომ, „შენ ხელში მე მშვიდი ძილი არ მიწერია! როგორც მახსოვს ერეკლეს წყალმანკი ჰქონდა, ღვიძლის ციროზი, მგონი კიბოც, კი, ბატონო, ამოვუღებდი სითხეს და რა, ისეე ჩაუდგებოდა, შეიძლება ცოტა გამეხანგრძლივებინა მისთვის სიცოცხლე, მაგრამ რაც შენ ჩამოთვალე, მაგას ნამდვილად ვერ მოასწრებდა... ჩვენი ქვეყნის საქმე უკვე გადანყვეტილი იყო! ისე რომ დამშვიდდი და დაიძინე!“ „როგორ უნდა დავმშვიდდე, მამა, როგორ, როცა ერეკლე კვდება! აგერ ჩვენს გვერდით!“ „ოჰ, ღმერთო,“ დაიძახა ნიკომ, „რალა ჩემი შვილი უნდა გამოსულიყო ასეთი... ასეთი... გარდას გადასული!“ უნდა ეთქვა „დამთხვეული“ და მაინც დაინდო და ვერ აკადრა, „აი, გენაცვალე, ჩემთვის რომ დაგეჯერებინა და ექიმი გამოსულიყავი, შენც ასცდებოდი ამდენ სისულელეებს და მეც გადაჯერებოდი ამ შფოთსა და ნერვიულობას, საგანი რომ გაქვს სამინიმუმე ჩასაბარებელი და შენ კი რით ხარ დაკავებული?“ „კარგი, მამიკო, კარგი, ნადი ეხლა და დაიძინე...“ თიკო სასწრაფოდ წამოდგა, მივიდა მამასთან და მოეხვია. „შვილო, გენაცვალოს მამა,“ დაიწყო ნიკომ რბილად, თუმცა შეგონების კილოთი, „დროს ნუ კარგავ ტყუილუბრალოდ... მწერლობა და

პოეტობა სულ სხვა რამეა, ნუ გადააკვდი ამ ვითომ თხზულებასა და ლექსებს... მამაჩემი, იცი, რა კარგ ლექსებს სწერდა?! აკაკი წერეთელი რომ ჩამოვიდა თერთმეტ წელს, თურმე მამამ სიტყვა ლექსად უთხრა! მეც ჩემს სიცოცხლეში, წარმოიდგინე, სამი ლექსი დავწერე, ერთი ზღვაზე რომ ვიყავი მეზღვაურად, დედას წერილი ლექსად მოვწერე, მეორე ლექსი დედაშენს მივუძღვენი და მესამეც შენ დაბადებაზე შევთხზე. რა მოხდა მერე, ლექსების წერა მოდაში იყო და ვინ აღარ ლექსაობდა? მაგრამ თავის მთავარ საქმეს კი არ ღალატობდნენ...“ „მამა, რა კარგად მოვიფიქრე!“ შესძახა თიკომ, მამას ხელი უშვა და ტაში შემოცხო, „მე ასე დავწერ, რომ შენ აღინთე ნამდვილი თავგანწირვით, გადაარჩინო მეფე ერეკლე და ჩემთან ერთად წამოხვიდე ბატონის ციხეში, აი, მივედით, ხალხი ზიმზიმებს, ჩვენ ძლივს მივიკვლევთ გზას, გაგვატარეთ, კარგი ექიმი მოდის, ნამდვილად უშველის, აი, ნახავთ, როგორ უშველის, ლუკაა, ლუკაა! ვეძახით ციხისთავ ლუკას, გაგვიღეთ ჭიშკარი, უნდა შემოვიდეთ! ციხისთავი ლუკა დგას ზევით აივანზე და ხელებს ასავსავებს, თქვენ ვინა ხართო, მე ვერ გცნობთო, საიდან მოსულხართო... შენ ეუბნები: მე მაღალი პილოტაჟის ქირურგი ვარო, შემიშვი, ერეკლეს უნდა ვუშველოვო! ლუკას არ სჯერა, რალაცა სხვანაირადა ხართ ჩაცმულებიო... მე ვეხვეწები ქვევიდან, ვეუბნები, რომ ჩვენ, მართალია, ძალიან დიდი ხნის შემდეგ ვცხოვრობთ, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იცოცხლოს მეფემ, როცა ასე საჭიროა მისი სიცოცხლე, მისი გონება, მისი მქუხარე სახელი!...“ თიკოს თვალები ცრემლებით ავესო... მერე გაიცინა, ფეხის წვერებზე შედგა და მამას ლოყაზე აკოცა. პიჟამა ეცვა ბატისტისა, მოკლე შარვალი მუხლებამდე უწევდა, ზევიდან კი თივთიკის შალი ჰქონდა მხრებზე მოგდებული, სულ პატარა გოგოს ჰგავდა. მიუხედავად ამ სისულელისა, რაც ახლა ნიკომ მოისმინა, თუ სწორედ ამ სისულელის გამო, ნიკოს მოულოდნელად გული აუჩუყდა, პატარა გოგო, პატარა სულელი გოგო, ვითომ ინგოროყვა იყოს, ან გამსახურდია... თან რა მოსიყვარულეა, საიდან სად ატარა ნიკოსთვის ტორშერი, ვილნიუსიდან, მთელი გზა დროშასავით მეჭირაო და ასე დროშასავით შემოიტანა ნიკოს კაბინეტში, შემოიტანა და სანერ მაგიდასთან დაუდგა, მართლაც ისეთი მშვენიერი ტორშერი, უნაზესად მოჩითული, ქოლგასავით აბაჟურით, ქინძისთავით ჰქონდა მიმაგრებული აბაჟურს ვილნიუსის ხედიანი ღია ბარათი, რომელზეც მსხვილი ასოებით ეწერა: „მსოფლიოში ყველაზე კარგ მამას ყველა-

ზე ცუდი შვილისაგან.“

„კარგი ახლა, დანეკი, ჩემო გოგო, დანეკი და დაიძინე, საჭოჭმანო საკითხებზე ნუ იფიქრებ და ნუ აიტკივებ თავს, თან ამ შუალამეს!“ „როგორ არ ავითკივებ, მამა! სწორედაც უნდა ავითკიო! იმიტომ რომ არაჩვეულებრივად მეცოდება ერეკლე! ვერ წარმოიდგენ, როგორ მიწუნებს გული, რომ ვერ მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე, რომ დაამხოდნენ რვასაუკუნოვან სამეფო სახლს, გააუქმებდნენ სამეფოს, წვითა და დაგვით შენარჩუნებულს მეცხრამეტე საუკუნემდე! შეიძლებოდა განა მათი აქ ჩამოთესლება?! ვინ ვიყავით ჩვენ რუსებისთვის, საიდან ვკანაოდით, ერთი მუჭა ვილაც ქართველები, პირდაპირ რომ ჩავუვარდით დაღებულ ხახაში...“

„თუ ღმერთი გნამს, ნუ გაამტყუნებ ერეკლეს! არავითარი გამოცდილება და ტრადიცია არ არსებობდა რუსებთან ურთიერთობის, თანაც ეს მართლმადიდებლური ქვეყანა, დიდი ქვეყანა, ძლიერი და მდიდარი ქვეყანა ჭკვიანი იმპერატრიცათი, რომელიც ივალდებულებდა პატარა ქვეყნის მფარველობას...“

„კრწანისს უნდა მიეხვედრებინა, აი, რა! ისეთი კეტი მოხვდა პირდაპირ თავში, სანყალ, მოხუც კაცს! თუმცა, მე რომ მკითხო, კრწანისისნაირად ერეკლეს სიმამაცეზე და მალალ პასუხისმგებლობაზე ლამის არცერთი ბრძოლა არ მეტყველებს... მაგრამ, იცი, მამა, რომ გამახსენდება როგორ გამოიყვანეს, როგორ გამოაქციეს, როგორ უტაცეს ცხენის ჯილავში ხელი, როგორ გადაარჩინეს სიკვდილს, ისე მტკივა გული, ისე, ისეთი სიბრალულით ვივსები, ვერ წარმოიდგენ...“ და თიკოს ხმა გაეზარა და თვლებიდან ისევ ცრემლებით აევსო.

„კარგი, გენაცვალოს მამა, კარგი! ცხადია, გულიც დაგწყდება, შეწუნებები კიდევ, მეც ხომ ამ ქვეყნის შვილი ვარ, მაგრამ ხომ შეიძლება სულ გადავშენებულიყავით, მაინც ხომ გავმთლიანდით და გადავრჩით კიდევ, ნუ დავუვარგავთ რუსებს ასე ყველაფერს,.. ბევრი კარგიც გაგვიკეთეს და ნუ დაგვაფიცებდა!“ „მაინც რა გაგვიკეთეს, რა, რამდენიც არ გაგვიფუჭეს!“ შესძახა თიკომ. „ოჰ, რა ანცი ხარ და დაუდგრომელი, ამ შუალამეს მაინც შენი გაიყვანე და ჩამრთე კამათში, ვიცი, ვიცი, შე მელაკუდავ, შენი ამბავი, რომ ამაღელვო და ამათუხთუხო, ეს გინდა და ყოველთვის ამას მიეღობ!“ „არა, მიპასუხე და დავშორდეთ ერთმანეთს! გაპატიებ კიდევ, რომ მუშაობაში ხელი შემეშალე...“ და თიკომ გაიკისკისა და მამას თვალი ჩაუკრა. „მუშაობაში! ოღონდაც მუშაობაში! აღარსად ეტევა შენი ნამუშევარი! რა გაგვიკეთეს და ევროპის გზაზე დაგვაყენეს!

1852 წელს კავკასიის მუზეუმი დააარსეს, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, აკადემიის კომისიები გახსნეს, ისტორიული დოკუმენტები შეკრიბეს და გამოაქვეყნეს, არქეოგრაფიულმა კომისიამ გამოსცა დოკუმენტების კრებული, ძალიან მნიშვნელოვანი კავკასიის ისტორიის შესწავლისთვის, იტალიური ოპერა გახსნეს და ქართული თეატრი, მთანმინდიდან მოვარდნილი წყალი პირდაპირ მტკვარში ჩადიოდა, რუსთაველის პროსპექტი რომ გიყვარს და მოგწონს, ვისი გაყვანილი და ვისი აშენებულია შენი აზრით? ასე კი არ არის საქმე, ვის არ უნდა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვის არა? რუსეთს რაა, კარგი პოლიტიკა ჰქონდა თავისი ხალხის მიმართ? ჭუჭყსა და უმეცრებაში იყო ჩაძირული მთელი რუსეთი, და რაც შეეხება ციმბირს, ციმბირის ხალხები ხომ ანგარიშში ჩასაგდებიც არ იყვნენ, ის საცოდავები და სანყლები... მაგრამ განათლებულმა რუსეთმა ბევრი გააკეთა საქართველოსთვის, ძალიანაც ბევრი და ჩვენ არ შეგვფერის ცუდთან ერთად კარგიც არ დავინახოთ... ბოლოსდაბოლოს, ფიზიკურად გადაგვარჩინა, განა ეს არაფერია?!“ „არა, მამიკო, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გადავშენდებოდით, შაჰ-აბაზის შემოსევების შემდეგ კახეთში სულ აღარ იყო მოსახლეობა და გადავშენდით?“ „კარგია, რომ შაჰ-აბაზი მოიგონე, ის პირსისხლიანი ისა, არავინ მძულს ისე, როგორც ის მტარვალი მეუნაგირე! აბა, მაგათ შემყურე უნდა ვყოფილიყავით? ერეკლეს დროს უკვე დამყავებული, პროვინციული სპარსეთისა?!“ „ვაიმე, ვაიმე, მამა, რუსებს რომ ყოველთვის ცუდი პოლიტიკა ჰქონდათ?“ „ვის ჰქონდა გენაცვალებე მაშინ კარგი პოლიტიკა უცხოს მიმართ? ვინ ჩაიხუტებდა, ვინა, როცა დაპყრობა, საზღვრების გაფართოება, გავლენის სფეროების გაზრდა მთავარი იყო ყველასთვის. და სხვათაშორის სამწუნხაროდ, ახლაც ასეა. ამიტომ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, მე ოპერაციები, შენ კიდევ დროზე ჩააბარო ის მორჩენილი საგანი და დისერტაციაც მალევე დაიცვა! ახლა კი ლოგინში, სასწრაფოდ, აი, გიქრობ სინათლეს, ორის ნახევარია უკვე!“ ხმას აუნია ნიკომ. „კარგი, მამა, კარგი, ჰოო!...“ ნიკომ ხელი გამოსდო თავის შვილს და საწოლთან მიიყვანა. თიკომ პლედო გაკეცა, საბანი გადასწია და ლოგინში ჩაწვა,.. „იცოდე, არავითარი კითხვა!“ და ნიკომ მაგიდის ლამფა გამოთიშა, ზედა სინათლეს ჩააქრო და ოთახიდან გავიდა,.. დარბაზი გადაიარა, თავის კაბინეტშიც ჩააქრო სინათლე, ერთ წუთს ჩამოჯდა და დარბაზს გახედა, თიკომ ისევ ხომ არ ჩართო სინათლეო, მაგრამ არსად შუქის ნატამალი არ ჭიატობდა და თვითონაც

გადანყვიტა დანოლილიყო, მაგრამ რა, არაფრით არ დაეძინა... ოჰოჰო, რამდენი ღამე უთევია თიკოზე ფიქრითა და დარდით... გაიმტყუნება განა მამა თავისი შვილის, თანაც ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალის ბედი ანუხებდეს? შვილის სწორ გზაზე დაყენება უნდოდეს?! არავინ არ გაამტყუნებს არხეინი მარიკოს მეტი, სულ რომ თიკოს დაცვაშია, გაანებე თავი, აკეთოს რაც უნდა და რაც ეხალისებო... თავისუფლების მოყვარეა თიკოსავით... სხვა მხრივ ერთსულ და ერთხორც, თიკოს რაც შეეხება, იშვიათად რომ ერთი აზრი ჰქონდეთ. სულ იმას ეუბნება: ჩვენ ისე ვართ შეზღუდული ჩვენი არაადამიანური სისტემით, კიდევ ერთმანეთი ვზღუდოთ, მეტისმეტი იქნებაო. შეზღუდული! დაჰქრის აღმა-დაღმა, მთელი ქვეყანა აქვს შემოვლილი, წარმოიდგინეთ, გეიზერების ველიც ნანახი აქვს კამჩკატაზე და მადაგასკარიც, სიზმარში კიდევ პრერიებსა და პამპასებს ხედავს, თავისი ეგზოტიკური ფლორითა და ფაუნით... რაც ერთად არიან, და რაც ომის შემდეგ აღდგა საექსკურსიო ბიუროების საქმიანობა, შეიძინა კარგა მოზრდილი ცნობარი ვრცელი საბჭოთა კავშირის ტურისტული მარშრუტებისა, გააჩაღა მიწერ-მოწერა სხვადასხვა ბიუროებთან და სულ ზეპირად იცის ჩოპიდან იაპონიის ზღვამდე და თეთრი ზღვიდან შუა აზიის უდაბნოებამდე, შემდეგ კი იშვიათად, მაგრამ მაინც, საზღვარგარეთიც მიემატა და აკი მადაგასკარზეც კი ნავიდა. აჩემებული აქვს: ჩვენ ისეთ უკულმართ ქვეყანაში ვცხოვრობთ, საწყალ გეოგრაფიის მასწავლებლებს, ვისაც შენისთანა ნიკო არა ჰყავს და თავის მწირ ხელფასზეა, საკუთარი თვალთ მარტო თავისი ეზოები აქვთ ნანახიო, .. და თვითონ, აქაოდა გეოგრაფიას ასწავლის, ძალიან უყვარს თავისი საგანი და კარგ პედაგოგადაც ითვლება, მიაჩნია, რომ მიკლუხო მაკლაიდ უნდა გადაიქცეს... ქმართან რომ შევა კაბინეტში, ისე ქალურად ჩახუჭავს თვალებს, ოდნავ, სულ ოდნავ გაარხევს თავს და თავის მშვენიერ ღიმილს დააფრქვევს, ნიკომ უკვე იცის, რომ საექსკურსიო ბიუროს გამოისობით რაღაც შორეული და წარმოუდგენელი მარშრუტით არის შთაგონებული: „როგორ ფიქრობ, ჩემო ნიკო, ქალი, რომელიც გეოგრაფიას ასწავლის, უნდა იჯდეს სულ ამ თავის მშობლიურ ქალაქში და არსაით არ იხედებოდეს!“ „მაინც საით ნებავეს გახედვა ამჟამად ქალს, რომელიც გეოგრაფიას ასწავლის?“ აჰყვება მაშინვე ნიკოც, რადგან უყვარს თავისი ცოლი. „საით? რომ გაიგო, გაგიჟდები და ისე შეგშურდება, ისე, მეტი რომ არ შეიძლება.“ „მაინც... მაინც?“ იღიმება ნიკო. „ენისეიზე გემით, დიკსონამდე! როგორია?!“ პათეტიკურად წარმოთქვამს მა-

რიკო. „თუ ხათრი გაქვს, ეს დიონი რაღა.“ „მანია კუნძული ენისეის შესართავთან, კარის ზღვაში, და აგრეთვე პორტი.“ „ეს შენ გეოგრაფიიდან იცი, თუ საექსკურსიო ბიუროში გითხრეს?“ იცინის ნიკო. მარიკო კი ეხვევა და ჰკოცნის, ჩემისთანა ქმარი არავის, არავის არ ჰყავსო. ახლა გადაბრუნებულია კედლისკენ, შვინდისფერი ხალიჩისკენ, ხელი აქვს საბნიდან ამოყოფილი, ნიკოსთვის დიდად მიმზიდველი თეთრი ხელი და ფშვინავს... ძალიან ნელა, მშვიდად და ჩუმად, — ოჰ, რა გემრიელი ძილი იცის, ზარბაზნები რომ დაუცალო, ვერაფერს გაიგებს, ნიკოს ხელის მიკარებაზე კი მყისვე ჩავარდება გულისხმაში, სურვილით არის სავსე, უნდა ინატრო, ისეთი ქალია; და თანაც, ამასთანავე როგორი მშვიდი ბუნებისაა, ხმას არ აუწევს; ტუმბოზე, პატარა ლამბაქით ნახევარი ვაშლი უდევს და ფაიფურის სახურავიანი დიდი ფინჯნით წყალი. თავისი მოლულუნე ხმით სულ იმას ამბობს: კარგია, რომ მე მშვიდი ბუნებისა ვარ, თორემ მეც რომ შენისთანა და თიკოსთანა მშფოთვარე და დაუდეგარი ვიყო, ჩვენს სახლში გაჩერება შეუძლებელი იქნებოდაო... რა ბედია მაინც, რომ ასეთ ჯანსაღ, საღ-სალამათ ადამიანს ორსულობა ჰქონდა ისეთი აუტანელი, საბოლოოდ გული აერია სამშობიაროდ რომ აიყვანეს მაგიდაზე, მაშინ. მიდი და მოსთხოვე ასეთი ინტოკსიკაციის ქალს გააჩინე შვილებიო, როცა ერთიც ძლივძლიობით მოუვლინა ქვეყანას. არადა, როგორ უნდოდა ნიკოს, სულ ცოტა, სამი შვილი მაინც... მაშინ ასე კი არ იქნებოდა მიჩერებული თიკოზე, რომელიც სულ იმას ეუბნებოდა „მამა, ჩააქრე „ფარები“, ნუ მომაშუქე შენი მზერა, ნუ ხარ მოჩერებულიო!“ მიდი და ნუ მიაჩერდები, როცა ასეთი გიჟმაჟი და თავქარიანია. კი, როგორ არა, ყოველთვის კარგად სწავლობდა, ისე დაამთავრა სკოლაც და უნივერსიტეტიც, ერთი ოთხი არ მიუღია. მაგრამ რა შუაშია ხუთიანები და სიტყვაკაზმული მწერლობა, აი, სწორედ „სიტყვაკაზმული“, რომელიც ნიკოს ასე უყვარს და დიდი დაკავებულობის მიუხედავად, ახლაც ვერ წარმოუდგენია ისე დაიძინოს, წიგნის გარეშე. სახლი სავსე აქვთ წიგნებით, მამის დანატოვარ ბიბლიოთეკას ნიკომ უმატა და უმატა, რაღას არ ნახავდით მათ კარადებსა და სტელაჟებზე, ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებს, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს, პოეზიის აურაცხელ კრებულებს, მემუარებსა და მოგზაურობებს, სპეციალურ სამედიცინო და საგეოგრაფიო ლიტერატურას... პერიოდიკას ხომ ნუ იტყვით, ჟურნალ — გაზეთებს თვლა არ ჰქონდა. ნიკო ხუმრობით ამბობდა ხოლმე: წიგნი მე ფიზიკურადაც მიყვარს და სულიერადაცო, ცხა-

დია, სამწუხაროდ, ყველაფერს, რაც მაინტერესებს, ვერ ნავიციობხავ, მაგრამ ხელში რომ დავიჭერ და თვალს შევავლებ, გადავფურცლავ და ჩავხედავ, ჩემთვის ეგეც დიდად სასიამოვნოა... და სწორედ ნიგნთან მჭიდრო ურთიერთობის გამო იყო, რომ ფიქრობდა, ტალანტი ხომ სულ სხვა რამეა, სულ სხვაო და ნიკო ისეთი მაღალი აზრისა იყო მწერლობაზე, თავის უსაყვარლეს, ნებიერ თიკოს ვერაფრით ვერ აკავშირებდა მორჭმულ, კვარცხლბეკზე შემდგარ მწერლებთან. ამიტომაც თიკოს ერთგვარ გართობად უთვლიდა წერას და დაე, რამდენიც უნდა გართობილიყო, ის უკანასკნელი საგანი რომ არ ჰქონოდა ჩასაბარებელი და სადისერტაციო თემა დასამთავრებელი. ყველაფერს ხომ დროულად უნდა თავის მობმა. აგერ ექთანი მაროს შვილი, ოთარი, მოსკოვში გაგზავნეს სამეცნიერო მივლინებით, თანაც რამდენიმე თვით, იქვე დაიცვა დისერტაცია. მარო ხურჯინებით დაზურგული წავიდა კიდეც დაცვაზე, წარმოგიდგენიათ?! ნიკოს შვილმა კი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ოთხიანი არ მიუღია, დროზე არ უნდა დაიცვას დისერტაცია და თანაც ისეთი წარმოდგენელი სისულელე თქვას „იქნებ სულაც არ დამიცავსო, მამა, მე ახლა სხვა რემეები მაინტერესებსო... და საერთოდ დიალექტიკური მატერიალიზმის ჩაბარებას ქვის კოდვა მიჩვენიაო, სჯობს დისერტაციის დაცვაზე ვთქვა უარიო.“ აი, რა წარმოდგენელი სიტყვა უთხრა. არ ესმის, როგორ მყარ რელსებზე აყენებს ადამიანს მეცნიერული მუშაობა, დისერტაციები, მინიმუმიდან საკანდიდატომდე, საკანდიდატოდან სადოქტორომდე ისეთი ბაგირია გაჭიმული, ჩასჭიდე ხელი, თუ ჭკუა გაქვს და იარე. „შვილო, გენაცვალოს მამა, მთელი ქვეყანა გადამდგარია ამ დიალექტიკურ მატერიალიზმზე და შენ ვითომ რა წითელი კოჭი გამოდექი ამისთანა, რომ შენს მომავალს ხაზი უნდა გადაუსვა საგნის ჩაბარების გამოო? რატომ, რისთვის, გამაგებინე!“ „ოოჰ, მამა, იმიტომ რომ ყველა ცრუ და მავნე დისერტაციას იცავს და ჩემში ეს საშინელ პროტესტს აღძრავს!“ საკვირვლად არის მოწყობილი, ყველაფერი პროტესტს აღუძრავს, რაც საყოველთაოდ მიღებულია, რასაც საზოგადოებაში ადგილის მოსაპოვებლად, მყარი მდგომარეობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ხომ არ შეიძლება სულ აღმა სიარული, სულ სანინალმდეგო მიმართულებით, არა, გესმით, რა წარმოდგენელი რაღაც თქვა – „პრინციპული საკითხია, მამა, რომ არ ჩავაბარო საგანი, რომელსაც საგანი არ გააჩნია!“ მთელი ქვეყნისთვის გააჩნია და ამ მეტმეცნიერისთვის არა! და მიხვდა ნიკო, რაც უნდა გააკეთოს, ისეთი გაუგებე-

ლი კი არ არის: რომ არ თქვას თიკომ ნიჭს მიხშობო, უნდა ყველაფერი წაიკითხოს, დანვრილებით, ერთი არაფერი გაუშვას, ის კი არა, ზაფხულში მოსკოვიდან დიმა რომ ჩამოვა, ნიკოს ბიძაშვილი და ძმასავით შეზრდილი, მოსკოვის ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის წამყვანი მუშაკი, — იმასაც ხომ არ შეიძლება რაიმე შეეშალოს, კაცი იმხელა ჟურნალს უძღვევა და სხვათა შორის ლექსების პატარა ნიგნაკიც გამოსცა, — იმასაც წააკითხებს. ესიამოვნა დიმას მოგონება, ზაფხულისთვის ჩამოვა თხუთმეტი წლის კოკასთან ერთად. ტომა კი თავიანთ აგარაკზე წავა ბალაშიხაში და იქიდან ივლის სამსახურში, შვებულებას კი ყოველთვის შემოდგომობით იღებს და აქ ჩამოდის, ძალიან უყვარს რთველი, თათარის კეთება, ჩურჩხელების ვლება. ტომა თავიანთ სახლში იშვიათად თუ შეივლის, ყოველთვის მათთან ჩერდება. დიმა კი გააღებს თავის სახლს, მიიხედ-მოიხედავს, თავის ბიჭთან ერთად დაალაგებს, დაამარმარებს იქაურობას, რაც მისახედია, მიხედავს, რაც შესაკეთებელი, შეაკეთებს, დილდობით კი, სანამ ნიკო საავადმყოფოში წავიდოდეს, სტადიონზე მიდიან, ერთად სასიარულოდ, საძუნძულოდ, ცოტა სავარჯიშოდ და რაც მთავარია, საურთიერთოდ.

დიმა რომ არა, ვინ იცის იმ ზაფხულს, თიკომ სკოლა რომ დაამთავრა და თეატრალურზე აპირებდა შესვლას, კიდეცა შესულიყო და ყველა წინააღმდეგობა გადაელახა, როგორ იყო გალომებული, ცოცხალი თავით სხვაგან არსად არ მიწადა შესვლაო. ეს იყო უჩვეულო პროფესია, და თიკოს ფიქრით, ასეთი მომხიბლავი და მომაჯადოებელი სხვა არც არაფერი შეიძლება ყოფილიყო... რადგან თამაშით შენ შეგეძლო დროის მიჯნები გაგერღვია და დრო გაგემთლიანებინა, თუ ერთ დღეს კლეოპატრა იქნებოდი და მეორე დღეს დარეჯანი, შენ შეგეძლო ნაციონალური მიჯნებიც გაგერღვია, სოციალურიც, ასაკობრივიც, და დაგემსხვრია ის ნაჭუჭი, რომელშიც ბედმა და შემთხვევამ მოგათავსა, და რაც მთავარია, თამაშით შენ შეგეძლო სულის წიაღში ჩასახული და აღმოცენებული ყველა კვირტი გაგეფურჩქნა და ნაყოფად გექცია. არაჩვეულებრივი პროფესია იყო, სრულიად განსაკუთრებული, ვერაფერს რომ ვერ შეადარებდი! განა ვინმესთვის შეიძლებოდა შეგედარებინა ჟერარ ფილიპი?! და ნიკოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სწორედ იმ თავგადაკლულმა გატაცებამ ჟერარ ფილიპით, გადაწყვეტინა თიკოს მსახიობობა. ღმერთო დიდებულო, სად პარიზელი ჟერარ ფილიპი და სად თელაველი თიკო, ხომ უნდა გესმოდეს! ასე პირწმინდად ხომ არ უნდა ყოფილიყო მოკლებული რეალობის გრძნობას?! ან ის გლოვა რა იყო?! აღარ

იცოდა ნიკომ, ეტირა თუ ეცინა... არც დაავინყ-
დება ნოემბრის ის დღე... თავისი ბებიის აბრე-
შუმის კრების შავი ზაფხულის პალტო ჩაეცვა,
ნიკო ვერ იტანდა ახალგაზრდებზე შავებს და
თიკოს არცერთი შავი კაბა არ ჰქონდა, მოეხვია
თავზე შავი ქალაღია, მუხლებზე დაედო დიდი
სურათი, რომელიღაც ყურნალიდან ამოჭრი-
ლი, სიდის კოსტუმში გამოწყობილი მკვდარი
ჟერარ ფილიპისა და ცხარე ცრემლით დასტი-
როდა... უცებ ვერ მიხვდა ნიკო, რად იყო ასე
გლუ შავებში გამოწყობილი და რა სჭირდა ამის-
თანა. მეათე კლასში იყო მაშინ, პატარა კი აღარ
იყო...“ აი, ახლა... აი, ახლა... ასაფლავებენ, მამა.
ჟერარ ფილიპს... ასეთი მშვენიერებაა... რატომ
უნდა განადგურდეეს, რატომ უნდა მოკვდე-
ეს... ამის შემდეგ რალა ეთქმის მედიცინააას...“
და წყევლა-კრულვით ავსებდა იმ ექიმებს, რო-
მელთაც თავი არ მოიკლეს და ჟერარ ფილიპს
ვერ უშველეს. „არა, გამაგებინე, რალა ექიმები
არიან, რალა უნდა მოჰკითხო?!“ თან ღვიარება
ჩამოსდიოდა, და ისე კუშტად ახედავდა ნიკოს,
თითქოს ისიც ჟერარ ფილიპის წყევლა-კრულ-
ვიან ექიმებში ერია. არა, ეს უბრალოდ სასაცი-
ლოც კი არ იყო, ეს იყო რალაც სიგიჟე, მთელი
ერთი კედელი თავის ოთახში ჟერარ ფილიპის
გადიდებული სურათებით აავსო. მთელი ერთი
ბლოკნოტი წვრილად ჩაანკინკა ჟერარ ფი-
ლიპის განუმეორებელი პლასტიკის აღწერით
და მის მშვენიერებას ლექსიც მიუძღვნა... და
მთელი ცხოვრებაც სურდა მისი დროშის ქვეშ
დარაზმულიყო. ნიკოს კი იმ ზაფხულს, თავის-
დღეში რომ არ ჰქონია, წნევა აუვარდა, ნერვიუ-
ლობისაგან. ნამდვილი მიზეზი არაფრით არ უნ-
დოდა გაემხილა და სულ სხვა რალაცეებს იმი-
ზეზებდა, თეატრალურ ინტრიგებს, ქიშპობას,
მუდმივ დაძაბულობას, და ძირითადად ნიჭს,..
რომ აგიჩემებია ჟერარ ფილიპიო, ის, გენაცვა-
ლე, ტალანტი იყო და მართლაც განსხეულებუ-
ლი მშვენიერებაო, და შენ კი, სხვა მხრივ ასეთ
ნიჭიერს, ბავშვური წარმოდგენების დროსაც,
დემნიკო რომ გადაგმევინებდათ ჩვენს აივანზე,
შენ უფრო ხშირად მოკარნახე იყავი, თამაშის
ნიჭი არ გამოგიმუდავნებია და უნიჭო მსახიო-
ბი გინდ იყოს და გინდ არაო, მუდმივად როლის
მამიებელი და თვალებდაყვლეფილიო,.. ვერა,
ვერა, ასეთ ორჭოფულ გზაზე, ორჭოფული
საქმისათვის მე ჩემს შვილს ვერ გავიმეტებო.
და ნიკო ავრნებდა თავის წარსულ გატაცებას
მეზღვაურობით, სამედიცინოს სტუდენტმა თა-
ვი რომ გაანება ინსტიტუტს და ფოთში წავიდა
მეზღვაურთა სკოლაში, და მერე აკი ორი წელი
სავაჭრო გემზეც იცურა... არა, პირადი გამოც-
დილება რომ არ მქონდეს და არ ვიცოდე რას
ნიშნავს ახალგაზრდული გატაცებები, კიდევ
ჰო!“ თუხთუხებდა ნიკო, ხელებს შლიდა და თა-

ვის მშვენიერ თაფლისფერ თვალებს აჭყეტდა,
„არ ვგიჟდებოდი განა შორეული ნაოსნობის კა-
პიტნობაზე?! რაც დედაჩემმა მაშინ წერილები
მწერა... ხეირიანი ოჯახი მე არ მექნებოდა და
დედაჩემი მთელი დრო და მოსწრება ჩემი გზის
მაყურებელი უნდა ყოფილიყო, წელიწადში ერ-
თხელ ან უნდა ჩამოვსულიყავი და ან არა! ჰო-
და, ლიიირს განა? რამდენი ხანი უნდა ვიცოცხ-
ლოთ, რომ ერთმანეთს არ ვუყუროთ!“

ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ ნიკოს
ღრმა რწმენით, და ამაში არც სცდებოდა, თე-
ატრალურზე რომ შესულიყო, ცხადია, შემდეგ
თბილისის რომელიმე კარგ თეატრში მოინდო-
მებდა მუშაობას, და ნიკოს ეჭვი არ ეპარებო-
და, რომ აუცილებლად მოეწყობოდა კიდევ
და სხვაზე ნაკლებიც არ იქნებოდა, და ეს იმას
ნიშნავდა, რომ თიკო საბოლოოდ თბილისში
უნდა დარჩენილიყო, სახლს საბოლოოდ უნდა
მოშორებოდა და ამისი წარმოდგენაც კი ნიკოს
სასონარკვეთაში აგდებდა. მარიკოსაც ვერ
უტყდებოდა, როგორც აქამდე რეტროგრადს
ეძახდნენ, ეს რომ გაეგო მარიკოს, თავკერძო-
ბასა და ეგოისტობაში ჩაუთვლიდა. არა, არა,
არა, არ შეეძლო ამისი დაშვება, რომ უთიკოდ
დარჩეს,.. მერე გასტროლები, მერე კონცერტე-
ბი, მერე ზღვა, მერე ტომასთან და დიმასთან
წასვლა მოსკოვში, მერე მოგზაურობა, და სახ-
ლი კიდევ კარს უკანა და ბანს უკან!! არავითარ
შემთხვევაში! და ნიკო გააფთრებით იბრძოდა,
ცხელი ზაფხული იდგა, მართლა რომ ძალიან
ცხელი და მადლობა ღმერთს, დიმა ჩამოვიდა
და ნიკო ასეთ დღეში რომ წახა, მხარში ამო-
უდგა და ისეთი რამე უთხრა თიკოს და მერე
ისე უჩიჩინა, გადაათქმევინა თეატრალურზე
შესვლა. დაბადებიდან გიცნობ და შენისთანა
თავისუფლებისმოყვარე ბავშვი მეორე არ მი-
წახავსო და გაითვალისწინე, რომ მსახიობობის
დროს რას დაკარგავ და სწორედ თავისუფლე-
ბასო, მიჩერებული იქნები რეჟისორს და რომ
გგონია, ვინ იცის ვის აღარ ითამაშებ, ნურას
უკაცრავად, რეჟისორი რასაც გადაგიწყვეტს,
იმას შეასრულებო, და ასე იქნება სულ, მთელი
შენი სიცოცხლეო. რომ იცოდე, რამდენ მსახი-
ობს ვიცნობ კომპლექსებით, დაუკმაყოფილებ-
ლობით, ბოღმით სავსესო... იმდენი ქნა დიმამ,
იმდენი, თან ეს ნიკოს მოულოდნელად ავარდნი-
ლი წნევა და გადაათქმევინეს, მართალია კბი-
ლების კრაჭუნით და თვალების ელვარებით...
მაგრამ სამედიცინო კი, ნურას უკაცრავად, ნი-
კოს ხმა აღარ ამოაღებინეს, ახლა უკვე რასაც
ამოიჩივებს, თვითონ იცოდესო. ოჰ, როგორ ენა-
ნებოდა ნიკოს, სამედიცინოს გაგონება რომ
არ მოინდომა. მას ხომ ყველაფერი თიკოსთვის
უნდოდა, თავისი ცოდნაც, თავისი გამოცდილე-
ბაც, თავისი სახელიც... როგორ ექნებოდა გზა



გაკაფული... დაბრძანდებოდა მზამზარეულზე და გაშლიდა ფრთებს... რა მკურნალი დადგებოდა, აფსუს, აფსუს, რა სახელი ექნებოდა, რა პრაქტიკა, ასეთი კეთილშობილური პროფესია, აფსუს! მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თიკომ ექიმობა არ მოისურვა, ნიკოს დიდი ხანია ისეთი სიხარული არ განუცდია, იმ კვირა დღეს რომ განიცადა, როცა თიკო პირველად წავიდა სამსახურში, ანუ ქალაქის სამხარეო, ისტორიულ - ეთნოგრაფიულ მუზეუმში, უმცროს მეცნიერ - თანამშრომლად და ექსკურსია - მძღოლად... თანაც ვისთან, შალვასთან, ნიკოს ბავშვობის მეგობართან, უმნიშვნელო პიროვნებასთან და შესანიშნავ ისტორიკოსთან, მუზეუმის დირექტორთან. შალვას ცოლი ლელიკო ხომ თიკოს ფორტეპიანოს პედაგოგი იყო; ისე იყვნენ დაკავშირებული ოჯახურად, მეტი რომ არ შეიძლება. იდგნენ რკინის პატარა აივანზე, დარბაზის წინ, ყველანი, ნიკო, ნიკოს დედა თინათინი, მარიკო და მარიკოს და დარეჯანი, იდგნენ და პირზე ღიმგადაფენილი გაჰყურებდნენ, ჟასმინისა და იასამინის დიდი ბუჩქების გადაღმა, სამსახურისკენ, ანუ მუზეუმისკენ მიმავალ, უფრო სწორად, მიმქროლავ თიკოს, რომელსაც შიფონის ფუფუშა ბლუზასაც და ჩამოშლილ თმებსაც ნიაფი უფრიალებდა, ხელში კი ბიჭიას დახატული ქეთევან ნამებულის ხატი ეჭირა. ასე ეგონა ნიკოს, რაღაც სანუკვარი ნივთიერება შემიშხაპუნესო, მთელ სხეულში ისეთმა შვებამა და ნეტარებამ დაუარა, ისეთი მყუდრო განწყობილება დაეუფლა. თიკო აქ იყო, აქა, აქ იმუშავებდა, აქ დაოჯახდებოდა, აივსებოდა მათი პაპისეული სახლი ჟრიაშულით... სულ რომ იმას ეუბნებოდა შალვას: ამ ჩვენი თელავიდან ფრიადოსნები წავიდნენ და ოროსნები დარჩნენო, აგერ ბატონო, არც ასეა საქმე, ნახეთ როგორ იმუშაოს თიკომ, ნახეთ როგორ გამოიჩინოს თავი!!! უთხრა მამას: ჩემი ძირითადი სამუშაოს გარდა, მინდა ვთხოვო შალვას საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრეჩამოვაცალიბოვო, უფროს კლასელებისთვისო, ჩვენ სკოლაში ისე ზერეულედ გვასწავლიდნენ მშობლიურ ისტორიას და ეს დაუშვებელიაო. გულაჩუყებული, დამდნარი ნიკო ყველაფერზე ეთანხმებოდა, ასე გასინჯეთ, ქეთევან ნამებულის ხატზეც კი უარი ვერ უთხრა, პირველ დღეს რომ მივალ, საჩუქრად მუზეუმს მინდა გადავცე შენი სახელითო. არადა, ეს ხატი რა სასოებით მოართვა ბიჭიამ, ამ რამდენიმე წლის წინ, ბრმა ნანლაგის ოპერაცია რომ გაუკეთა, იმის შემდეგ. „ძია ნიკო, გულით მინდა რამე დაგიხატოთ და რას ინებებდითო.“

„მე ახლობლებს და ხელმოკლე პაციენტებს ჰონორარს არ ვართმევო.“ იუარა ნიკომ. „არა,

მამა, არა, დაგიხატოს ქეთევან ნამებულის ხატი, რა იქნება, ბიჭიას ხომ უბრალოდაც უჩუქებია თავისი ნამუშევარი და ახლა ასეთი მიზეზი აქვსო.“ და მართლაც დაუხატა... ო, რა საბრალო იყო ეს ბერი ქალი, ერთ მხარეს მლელვარე ტალღასავით ჩამოშლილი მტუტისფერი თმით და უპეებმორღვეული, შეძრწუნებით სავსე დიდი მწვანე თვალებით, გეგონებოდათ მთლიანად თრთოლას მოუცავსო, ისე ჰქონდა ანურული მხრები, კონვულსიურად გადაჭდობილ მომუშტულ ხელებს კი ნიკაპით ეყრდნობოდა. კოცონი არ ჩანდა, მაგრამ მარცხნიდან და მარჯვნიდან შემოსული ძლიერი შუქი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს დედოფალი ცეცხლის ალშია გახვეულიო, შავი ფლასის სამოსსაც მენამული გადაჰკრავდა, ზევით კი, ქეთევანის თავს ზემოთ ჯვარი იყო გამოსახული, თამარ მეფის ჯვრის მსგავსი, ქვებით მოკირწყლული, მოციმციმე ჯვარი. „მამა, მამა, ასეთი არც არაფერი დაუხატავს ბიჭიას, არაა?“ ამბობდა თიკო. კი, როგორ არა, ნიკოსაც მოსწონდა, თუმცა ამბობდა: ეს ხატი არ არისო, რადგან ხატის ყაიდაზე არ არის დახატულიო. მაგრამ ყველაზე მეტად თვითონ ბიჭია იყო აღტაცებული თავისი ნამუშევრით: „რა ვქნა, ძია ნიკო, მე ხატად ვერ წარმოვიდგინე, ხატად, რომელსაც უნდა ეთაყვანო და არ გებრალეობდეს! ხო გებრალეობათ, არაა, ხო ისეთი დავხატე, ადამიანობით სავსე, შეხედო და გულზე მოგხვდეს. ბერი ქალი, რომელიც ასე აწამეს.“

„განა ასეთი ხნოვანი იყო?“ დაეჭვდა ნიკო. „რა თქმა უნდა, ორმოცდაათს იყო გადაცილებული და იმ დროს ეს უკვე ძალიანაც ასაკოვანს ნიშნავდა, თანაც წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი იყო ტყვეობაში? ცხადია, მთლად ჩაბერებული და გატეხილი იქნებოდა, რაც აასკეცებს დამსჯელთა დანაშაულს.“

„მადლობთ, ჩემო ბიჭი, მადლობთ, სიმართლე გითხრა, ბრმა ნანლაგის ოპერაცია სულ არ იმსახურებს ასეთ საჩუქარს, აი, კუჭი რომ ყოფილიყო, ან ნალვლის ბუშტი, ან თირკმელები, კიდევ ჰო!“ იცინოდა ნიკო. „ბრმა ნანლაგი კი არა, თქვენ იმსახურებთ, ძია ნიკო, თქვენა, ნეტავ ვინ დადის ამ ჩვენს ქალაქში თქვენისთანა, თქვენა და ძია შალვა რაა, და თანაც ორივენი მეგობრები!“ შესძახა ბიჭიამ და თან კაბინეტს თვალი მოავლო სურათის გასაკრავად. თიკო მაშინ მეცხრე კლასში იყო და ამ ხატით შთაგონებულმა ლექსიც დაწერა. იმ ზაფხულს ოლიმპიადა გაიმართა თეატრში, მონაფეთა თვითშემოქმედების დათვალეიერება, თიკოც მონაწილეობდა, უკრავდა კიდევ ფორტეპიანოზე გრეჩანინოვის „შემოდგომას“ და რაც მთავარია, იმ ლექსსაც ამბობდა: „თიკოს

მინანერი ბიჭიას მიერ შესრულებულ ქეთევან ნამებულის ხატზე.“ მაინც რა მაიმუნი ბავშვი იყო, თან ნაილო თეატრში ხატი, ლექსის სათქმელად რომ გამოვალ, ხელში უნდა მეჭიროს და ყველამ ნახოს, რა მხატვარია ბიჭი. ძალიანაც გაუხარდა ბიჭიას, მეორე კურსის სტუდენტი იყო მაშინ და გამიცნონ, გამიცნონო, იქნებ ვინმემ რამე შემიკვეთოსო. თიკო კი რა მშვენიერი იყო, ღმერთო, საგანგებოდ შეკერილ, ოქროსფრად მოლივლივე ტაფტის კაბაში გამოწყობილი, და თან ხელში ხატი, აი, ისე, ეკლესიის ამშენებლებს ეკლესიის მაკეტი რომ უჭირავთ ხოლმე. ნიკოს ლამის ახლაც ჩაესმის ყურში თიკოს წკრიალა ხმა, მთელ თეატრს რომ ეფინებოდა და ხალხი სულგანაბული უსმენდა: „რაკი მარგუნა მე განგებამ სასტიკი ხვედრი, რჩეულთა ხვედრი, რაკი უფალმა ასე ინება, რომ მომივლინოს განსაცდელი და ტანჯვა-გვემით გამოიცადოს ჩემი რწმენა, ჩემი ღირსება... კახეთის წმინდა სალოცავები, ნეკრესი, გრემი, შთამბერენ ძალას, რომ დავთრგუნო მტარვალთ ბილნება. დაე, ჩემს თავზე ელვამ იელვოს, დამატყდეს მეხი, დე, შემომიგზნონ კოცონი და მიმსხვრიონ ძვლები, არ დაემონოს ჩემი სული, წმიდა გიორგის მადლით ცხებული, წამიერისა და წარმავალის მქენჯნავ კირთებას,.. მაგრამ მე მჯერა, ო, წამს და მჯერა, რომ ჩემი წყლული, ჩემი დამწვარი, დაფლეთილი სხეულის წყლული, სვეტიცხოველის ღამეულ ცაზე ვარსკვლავით ამობრწყინდება.“

ისეთი განცდით წარმოთქვა თიკომ ეს თავისი ლექსი, ისეთი ყელყელაობითა და თვალეზის ბრიალით, მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა. ნიკოსაც ულოცავდნენ, რა ნიჭიერი შვილი გყავთო. მეცხრეკლასელის კვალობაზე მგონი არაუშავსო, ილიმებოდა ნიკო, გულში კი ოცნებობდა: თიკო როცა ექიმი გახდება, კარგი ექიმი, როგორ დაამშვენებს თუნდაც ეს ლექსიო. თვალწინ დაუდგებოდა ქალაქში ცნობილი გინეკოლოგი, თან მშვენიერი ქალი ნათელა მოსიძე, რომელიც ერთ რვა მარტს არ გაუშვებდა ისე, კარგი ლექსი არ გაესანშალებინა, და მერე რა გამოთქმითაც ამბობდა. და განა მარტო რვა მარტს? მეღვინეთა კონგრესი რომ იყო და კახეთში ჩამოვიდნენ, წინანდალზე რა ლექსი თქვა!? ბარონმა ლე-რუამ ხელზე აკოცა. ამ ფიქრებსა და მოგონებებში ნიკოს ბოლოს-ბოლოს ჩაეძინა კიდევ.

„სასახლის ბაღში გაზაფხულია... ხვიარა ვარდების ატეხილ ბუჩქებს, გაბარდულს ალისფერი გირლანდებით, ლამის დაუფარავს ბაღის ბილიკი... ნორჩი ბალახით გადამწვანებულია სასახლის ეზო... და ყვავილთა შორის,

და ეკალთა შორის ამა სოფლისა, ყოჩაღად მოიკვლევს გზას პატარა ბიჭი, ოქროსფერ კულულებს გაზაფხულის ნიაფი ურხევს და უფრიალებს... ხელში ოქროს მშვილდი უჭირავს, მხარზეც ისრებით სავსე აბა გადაუკიდავს... ზოგჯერ მოწყდება მინას, აფრინდება, ზურგზე თურმე პატარა, კოხტა ფრთები ჰქონია, უფრთხილებს ფრთები, უფრთხილებს და არ ვიცი ოქროსია თუ რისაა, მზეზე ათასფრად ელვარებს. აგერ ამოიღო ისარი და მიმიზნებს, მე ხელს ვუქნევ, არ მომარტყა მეთქი. მიცინის, ფუნჩულა ლოყები ეჩვრიტება და ისეთი საყვარელია, მიდი და აუკრძალე შვილდისრით თამაში. ჰოდა, ისევ მიმიზნებს და მესვრის... და ისეთი მარჯვე მსროლელია, ერთს არ ამაცდენს... თან სულ გულში... გულში... გულში... ოო, უცებ ვერ მივხვდი, თუ თვალი მომტაცა მშვენიერმა პატარა ბიჭუნამ, თორემ უნდა დავმალვოდი, აუცილებლად უნდა სადმე შემერგო თავი, შეემძვრალიყავი, გავუჩინარებულიყავი, რომ არ დავენახე და არ მომწვდენოდა მისი ისრები! ახლა კი რაა, დაჭრილი ვარ და ეგ არის... სრულიად დაუშვებლად და შეუსაბამოდ. როგორც ჩანს, სიყვარულისთვის არცთუ ურიგო საყრდენს წარმოადგენს დაუშვებლობა და შეუსაბამობა. ჰოდა, მეც მეტი არაფერი დამრჩენია, თუ არა ის, რომ მთვარეულივით მოვწყდე ადგილს, ნიაფივით გადავიარო სასახლის ბაღი, ფრენით ავათავო მაღალი კიბეები და ციხისთავის ოთახში აღმოვჩნდე, აღმოსავლეთის ჭიშკრის თავზე, ფანჯრებზე ქვეულ, ფანარივით ოთახში, სადაც, ჩემდა ბედად, ცოტა ხნის წინ შეძენილი კერძო ბიბლიოთეკისა და საოჯახო არქივის მოსანესრიგებლად გამამწესეს, და უკეთეს ბუდე ვერც ვინატრებდი... ახლა ეს არის ჩემი საყრდენი წერტილი, და თუმცა ამ საყრდენი წერტილითა და ბოლოდაღრღნილი ფანქრით, მე რომ ჩემს სუსტსა და გაუნაფავ ხელში მიჭირავს, დედამინას ვერ შევძრავ, მაგრამ გული კი, ო, გული, გული, რანაირად მტკივა კვლავ გული, გული კი წამდვილად შემიძლია გავიქარვო, ამჟამად ხომ არაფერი ისე არ მჭირდება, როგორც გულის გაქარვება, ტანჯული - და-გული და მომლოდინე, მკვნესარე და ათრთოლებული გულისა. დიახ, შეუპოვრად უნდა შევება მოუხელთებელი სიყვარულის კირთებას, გავიხსენო და მოვიგონო რომ, მე პატარა ქართველი ვარ, მამულიშვილური ტანჯვით სავსე და როგორც ჩვენი შალაურელი მემანვნე ზიზო იტყოდა: გულისა პირმან ამოთქვასო. მამ, დაე, ამოთქვას... ამოთქვას, რომ საბედისწერო უამი ჩამომდგარა... მიდის ქვეყნის წინამძღოლი, მიდის ერის მესვეური, მიდის ხალხის მოჭირნახულე, მიდის მართალი სამართლის

გამჩენი, მიდის ხმაღრაუგები მებრძოლი თავისი ქვეყნისთვის ვისი დროშის ქვეშაც ემატებოდა მკლავს ძალა, გულს გულოვნება და სულს მხნეობა, ვისი ლომივით გრგვინვა „ვეკვეთოთ მტერთა“ მებრძოლთ შთაბერავდა უდრეკ სიმამაცეს, კაცურ ღირსებას... ახლა კი მიდის და ქვეყნის სვე-ბედი თან მიაქვს... იშრიტება იმედი და ისადგურებს შიში და უსასოობა... ამიტომ გამოსულა ყველა გარეთ, ამიტომ მოინწევს ყველა ბატონის ციხისკენ, დაჯარებული მიიჩქარიან მოედნისკენ, და ამ მოედანზე შემავალ ქუჩებზე გაბანრულია ხალხის ნაკადი, მოიჩქარიან ვინ.

ქვეითად, ვინ ურმით, — ახლომახლო სოფლებიდან, — ვინ ცხენზე და სახედარზე ამხედრებული... ერთსულოვნება სწყურია ყველას გლოვისა და ვაების ჟამს. აღმოსავლეთის ქიშკრისწინა მოედანი ალაჩოხებით, მოფარდაგულებითაა მოფენილი, ცეცხლებით განათებული და მეფის სიცოცხლისათვის მლოცველი ღამისმთევლებით მოზიბზიმე... ხალხმა გზა უტია სახედარზე გადამჯდარ ალავერდის მიტროპოლიტ, უწმინდეს აბოს, თავისი ამალით რომ მოჩაქჩაქებს პირდაპირ ალავერდიდან და განვდილ ხელში შუშა უჭირავს წმინდა გიორგის ხატის განბანილი წყლით სავსე. დღეს საგანგებოდ განბანეს ალავერდის წმინდა გიორგი. გაეთოშა ხელები მოხუც მიტროპოლიტს, ვერა და ვერ დაიყაბულეს, დაბამბული წამოსასხამის ჯიბეში მაინც ჩაედგა შუშა, რაკილა ვინმესთვის გადაცემა არ ინება... შეჭირვებაც განაძლიერებს წმინდა წყალს, მერედა როგორი შეჭირვება, სიცვიისაგან გაფიჩხებული ძლივსლა იჭერს თავს უნაგირზე, ცხვირი ეწვის, თვალებში კი თითქოს დამსხვრეული და დაფხვნილი ყინული ჩაუყრიათ... მძიმე ჟამი რომ ჩამოდგება, ვედრებითა და სულის მხნეობით უნდა იყოს გამაძვალული ყოველი გარჯა... ვაი, ჩვენდა, თუ ამაოა ყოველივე, თუ უკვე... სულიც განუტყევა... დიდნო მთავარანგელოზნო მიქელ და გაბრიელ, და პირველ ზეცისა ერისთავნო და წინაშე მდგომელნო ღმრთისანო, ნუ დასცხრებით ვედრებად ხსნისად სულისათვის მეფისა ირაკლისა... ალავერდელი ცრემლიან თვალებს ზეცას მიაპყრობს, სადაც მუქიისფერ ცის გუმბათში, აღსავლის ბჭესთან, უზარმაზარი კანდელივით ანთია მთვარე.

„ლუკას! ლუკას! ლუკაას!“

ვისაც ეკუთვნის და შეესვლება, მას მცველები პირდაპირ ატარებენ, ვინც არადა მოუთმელად ეძახის ციხისთავ ლუკას, თუნდაც აი, ამ ძველდაღვანელი სომხებივით, ქურქებში და ტყაპუჭებში რომ გამოხვეულან და აკიდებული ვირებით მოსდგომიან ქიშკარს: „ლუ-

კას! ლუკაას! ლუკაას!“

ციხისთავმა ლუკამ ის იყო შეჭამანდში პურის ნატეხი ამოანო, პირთან მიტანა კი ვერც მოასწრო, დამნაშავესავით გაუშემდა ხელი და ისევე ცივად ჩააბრუნა ჯამში... რა ქნას, ცოცხალ ადამიანს ჭამაც უნდა და სმაც... მწუხარება-მწუხარება და ციბრუტივით ტრიალი-კიდევ სხვა არის, მიდი მოდი, მიდი მოდი, ჩადი ადი, ჩადი ადი ამ აყუდებულ კიბეებზე, მერე გადი აივანზე და მთელი ხმით გადასძახე ხალხს მეფის ცუდი ამბავი: „მეფე დამძიმდა, ხალხნო...“

პირში ენას ძლივს ატრიალებს, ურჩევნია გაუხმეს და არკი დაიძახოს „მეფე კიდევ უფრო დამძიმდა, ხალხნო...“ ჭამას ვინლა ჩივის, ამდენ მოძრაობასა და მისვლა-მოსვლაში დღეს ხეირიანად ვარცკი ილოცა, არადა მგონი ღვთის იმედიტლა უნდა ვიყვნეთ... ღმერთო, მამაო ზეცათაო, გადმოგვხედე... ძეო, მაცხოვარო სოფლისაო, შეგვიწყალე... სულო წმინდაო, მეოხ გვეყავ... ლუკამ პურის ნატეხი პირში ჩაიდო და აივნისკენ წავიდა, კარი გამოაღო და გადაიხედა.

„ძია ლუკას, ყალფუზი მოუნდომნია ჩვენი მეფე და ჩვენ გვიმოვნია და მოგვიტანია...“ ახალგაზრდა ბიჭს ხელში დიდი ყარფუზი უჭირავს.

„ჰაქიმი სათენიკ ფრგელუ დელ გაკეთა და ისიც მოგვიტანია...“

„ვონცა ირაკლი ხან? ვონც ა...“ ტირილის ხმაზე შესძახის ბახორიანი სომეხი.

„ლავ, ლავ ირაკლი ხან!“

„დღეს მთელი დღე გვილოცნია, სურფ გევორქსა და სურფ სარქისს ჯიგრიანად ვედრებასა ვშვრებოდით...“

„ინჩ პიტლინი მერ ჭარ, ინჩ პიტლინი... უთხარი ოჰანეს ჩემი სიტყვა...“ სთხოვს ჭარმაგი სომეხი ახალგაზრდა ბიჭს და თან ვირს გვერდზე მოქცეულ საპალნეს უსწორებს; ვინ იცის, დღეს მერამდენედ მოდიან, გაუჩენარს აჩენენ, მოდიან აკიდებული ვირებით, ძღვნიტა და ლოცვა-კურთხევით, აქამდე ირაკლის კალთას შეფარებულები, მისი ქომაგობის მოიმედენი, ახლა შეწუხებულებ და შეშინებულები, გამჭრიახი და მოწყალე პატრონის მოსალოდნელი სიკვდილით თავზარდაცემულები.

„ირაკლი ხან ჩვენი თავი აქ ჩამოუტანია, აქ დაუბინავებია, ეხლა რა იქნება ჩვენი თავი?! დედოფალი დარეჯან მოახსენე ისა თქო, მთელი ძველი გალავანი თქო, სრფაზან ალოთქე ანუმ, სუფრ ჰაირა ალოთქე ანუმ...“

„დედოფალი დარეჯან მოახსენე, ბატონიშვილი გიორგი, სხვა ბატონიშვილები მოახსენე გვიმსახურეთქო... აღჯანაბადიც მოგვიტანია... ბურვაკებიც მოგვიტანია რალა! ერთიც

შენთვისა, ლუკას, შეიტანე ეს ყველაფერი, ლუკას, მიართვი!" აგერ, საზარბაზნე ბურჯთან ხალხმა გზა მისცა დავით რექტორს, მორჩმულსა და ახოვანს, თავისი შეგირდები რომ ამოუყენებია გვერდში და სასახლისკენ მოაბიჯებს... მეფეს უნებებია სიკვდილის წინ დალოცვა და ისინიც მოდიან ნელი, შეფერხებული ნაბიჯით, ფეხი უკან რჩებათ, მათი სვლა უტყუარად მოასწავებს თითქოს ქვეყნის უბედურებას... მოდიან მწუხარნი, შემკრთალნი. ერეკლე იყო მათი პატრონი, მათთვის მზრუნველი, რამდენჯერ დასწრებია კიდეც მათ მეცადინეობას გრამატიკასა, თუ ფილოსოფიაში, როგორი იმედითა და სასოებით მიაღვენებდა თვალს მათ გარჯას... როგორ ეიმედებოდა მათი მომავალი... რა იქნება... როგორ იქნება... ვეღარ მივაღვენე თვალი ვერც ძველგალავნელ სომხებს და ვეღარც დავით რექტორს თავისი შეგირდებით, რადგან ჩემი დიდებული სათვალთვალოდან, საიდანაც ხელის გულივით ჩანდა ყველაფერი, სწორედ ამ დროს, იქვე, ჭიშკრის შორიახლოს დანთებულ კოცონთან თვალი მოვკარი... ჩემი ბებუის ბებუის... და ასე შემდეგ, ბებუის! გული ისე ამიფანცქალდა ამ პატარა გლეხის გოგოს დანახვაზე, მყისვე მივხვდი: ის იყო, ტირინე იყო! თავისი მოჩხლართული, ჩაგრძელებული კაბა ეცვა, რუხი ბანრისა, თავზეც ნაცრისფერი, თხის ბენვის შალი ეხვია, ნაზი ბენვი ქობასავით შემოვლებოდა ტირინეს ნორჩ სახეს და ძალზე შვენოდა, ფეხზე კი ჭრელი წინდები და ქალამნები ამოეცვა, — სწორედ ქალმის ჭვინტი მიჰკრა მისკენ გადავარდნილ დიდ მუგუზალს. სოფლიდან ფეხით ნარბენი, დაბუხული და შეციებული ცეცხლს ეფიცებოდა და ისეთი გამწარებით ფიქრობდა თავის საფიქრალს, ისეთი ჩაცმებით ჩაჰყურებდა ცეცხლს, — დაძაბული ფიქრისაგან თვალეზღაფეტილი და ტუჩებგამოტყუჭული, — ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა...

მეხის დაცემა ეგონა, დილის წირვაზე მამა იოვანემ მრევლს რომ აუწყა: იტირე, ჩემო სამწყსო, წაგვიხდა ჭირნახული, მეფე ერეკლე გვიკვდებაო...

ყველას უკვებოდა მეფე ერეკლე, ყველასთვის დარეკა გლოვის ზარმა, მაგრამ გლეხის პატარა გოგოს ეგონა, ყველაზე მეტად მე მიკვდებაო! იტირა, იტირა, იტირა, მოიკლა თავი ტირილით... მაგრამ ტირილი რა, ტირილით რას უშველიდა?! არადა სწორედ შველა ეწადა, ამისთვის უთქვამდა გული, რაღაც უნდა მოემოქმედა, რაღაც ელონა... ბავშვობიდან გარჯას, შრომას, კეთებას იყო დაჩვეული, ახლაც უნდა გარჯილიყო თავისი მეფისთვის, რაღაც უნდა დაჯდომოდა, როგორც უნდა

ძნელი ყოფილიყო ეს გარჯა! ბევრი მამინვე დაადგა ქალაქის გზას და პატარა გოგოსაც სწორედ ამისთვის უთქვამდა გული, ახლავე, აი, ამ წუთში იქ დაბადებულიყო, სადაც მეფე ერეკლე კვებოდა! სახლში კი ავადმყოფი, ბრმა პაპა ელოდებოდა, ბატები და ხბორები ელოდებოდნენ... თანაც ქალაქისკენ მიმავლებმა უთხრეს: აბა, შენოდენას აქ ვისა ხედავო?! ბიჭმა კიდევ, გოგოზე თვალი რო ეჭირა, სუ კინნისკვრით გამოაგლო: ჯერ სოფლის შარაზედაც არ ჩასულხარ და საქალეთ ქალსა, თორმეტ-ცამეტი წლისასა, ქალაქში რა გინდაო?! ყველას უდუღს გული, ყველა თავში ქვას იცემს და შენ რა წითელი კოჭი ხარო, რომაო მაინცადამაინც იქ დაერჭოვო?! გამოქანდა სახლისკენ, მივხედავ იქაურობას და ისე გავიქცევო და პაპა რომ დაინახა, კიდეც უფრო ამოუჯდა გული... უცრუვებოდა ნატვრა და ოცნება, ბაღობიდან აყოლილი, პაპა ელისბარასაგან ჩანერგვილი და გაღვივებული: ჩვენი მეფე მაჩვენაო, იმის კალთას მამთხვევინაო, განა მარტო იმისთვისაო, პაპას ბრძოლებში ძალგულოვნება და ვაჟკაცობა რომ დაუფასა და აზატობა უბოძაო, თვითონ როა ჩვენი მთაბარისთვის თავშენირული, ხალხის შემწე და ქომაგი, იმისთვისაო. პაპაცა ჰპირდებოდა: წაგიყვან ერთ მშვენიერ დღესაო, იგრე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომა ეგეთი ოცნება და წადილი არ შეგისრულოვო... რიყის პირა მწვანიან ფერდაზე, ბატებისა და ხბორების მწყემსვის დროს, სიბერისაგანა და ცეცხლის ნთებისაგან გამოფულუროვებული მუხის ქვეშ ჩამოჯდებოდა საქსოვით ხელში და თან თავის პატარა სამწყსოს თვალს ადევნებდა... მერე საქსოვს გადადებდა, ფულუროდან სიპს გამოიღებდა, კალთის ბოლოთი განმენდდა, ნაცეცხლარიდან ჩამწვარ ნამწვს მოიძიებდა, შეუბერავდა, ნაცარსა და მტვერს გააცლიდა და წერაში ვარჯიშს იწყებდა... ძალიან უყვარდა წერა — კითხვა, მამა იოვანემ ასწავლა, და სიპზედაც მამა იოვანეს ნასწავლ იბაკონებსა და ტროპარებს სწერდა ხოლმე, განსაკუთრებით კი გულზე ეფონებოდა ამაღლების იბაკონის გამეორება და სიპზე გამოყვანა: „არა დაგიტევენ თქუენ ობლად, მოვიდე სულითა თქუენ შორის და ვიყო მე განუშორებელ თქუენგან“... მოვიდე სულითაო, ამბობდა მაცხოვარი, ხორციელად კი ყოველთვის მეფე წარმოუდგებოდა ხოლმე, ღვთისაგან ცხებული და ღვთისაგან ნაკურთხი, ვისი თვალი არს თვალი ღვთისა, ხოლო გული არს ხელთა შინა უფლისათა... წარმოდგებოდა ისე ცოცხლად, თითქოს ხედავსო, როგორ მოაბიჯებდა ბატებისა და ხბორების ფერდაზე, გამოფულუროვებული, ბებერი მუხისკენ, პატარა გლეხის გოგოსკენ... მოდიო-




და, რომ მისთვის, აი, სწორედ მისთვის, ობოლ — ოხრისთვის, სამარისკენ პირმიქცეული პაპის ამარა დარჩენილისთვის, ნუგეშის ხელი გამოეწოდებინა, ბეჭდებით დაფარული ხელი, მომუჭული მტევანი, კამკამა მთის ნაზოვრით სახსე... როგორც მაშინ, დიდი ხნის წინ, მის დაბადებამდე დაჭრილსა და თვალამოვარდნილ პაპა ელიზბარას გაუწოდა...

ოჰოჰოჰო, რა ბრძოლები გადაიტანეს მაშინ შილდა — საბუესთან...

„ტირინევ, გვიამბე, ტირინევ, გვიამბე, გენავ!“ „გვიამბე იმ შენი დედ-მამის ცხონებას...“ „სთხოვენ ტირინეს ტოლსწორები, „ვიჰ, გენაცვათ, ვითომ ჯერაც არ მიაბნია!“ ყასიდად უარობს ტირინე, თორემ არაფერი ისე არ უყვარს, როგორც იმ ამბების გახსენება, პაპა ელიზბარას ნაამბობებისა, „მერე რო გიამბნია! ჩვენი მიწა-წყლის ამბავს თუნდ უთვალავჯერ გავიგონებთ!“ „ნიკავ, ბიჭო, ის ბეჩავი პაპაშენი სოლომანაც ხო მაშინ აეკუნნათ ლეკებსა...“ „იკვნესონ და იავადონ, არა ნახონ კარგი და კეთილი!“ „პირქვე დასამარხვები!“ პატარა ხელს მრისხანედ შემართავს ტირინე, „რა უნდათ ჩვენგან, ვის რას ვუშავებთ?! ვინც ჩვენ არ გვესხმის თავსა, ვინც ჩვენ არ გვანოკებს, ზის და ტირის... ვაიმე, ჩვენო ნახანჯლარო მთაბარო?!“ ამოიხრებს ტირინე, გულს თან ამოატანს, „რო მეუბნებით, ბალლაუჭებო, გვიამბე, გვიამბეო, გული ამომიფუფუნება ხოლმე, ბოლმის გორგალი გამეხიდება ყანყრატოში და სიტყვას მიბორკავს.“ „არა, გენავ, არა, შენ სიტყვას ვერაფერი შეგიბორკავს!“ „რა ენა მოჰყვება ნეტა იმ ბრძოლების ამბავსა, ჩემო სწორებო, მაშინ შილდა-საბუესთან რო გადაიტანეს? ოფლი და სისხლი თურმე სუ თქრიალით გასდიოდათ... საბუის ციხეს ალყა მოხსნეს, ლეკებს კუდით ქვა ასროლინეს, იწნობის ვინროებში თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ თურმე, უკან ჩვენები მისდევდნენ, ყადორისკენ მიმავალი ბილიკებისკენ. ჭარმაგი იყო მაშინ ჩვენი მეფე და უთხრეს თურმე: თქვენაო მთელი დღე ხმალი არ ჩავიგდიათო და იმ კორწოხებზე და ციცაბოებზე ნულარინებებთ წამობრძანებასაო, გაქცეულსა და ბუჩქებში მიმალულ ლეკებსაო ჩვენც აუვალთო... იმ გმირთ გმირმა ითაკილა, მაგრამ როგორ ითაკილა, ისაო, თქვენაო მე ვინა გგონივართო?! რაც თქვენაო ძალღონეო მთელ ასოტანში გაქვთო, მეო ნეკის ფრჩხილშია მაქვსო, თანაცაო მტერი კორწოხებზე მორბენალი რო გეყოლებო, შენ იმ კორწოხებზე მალაყებს თუ ვერ გადახვალ, ფეხმარდი სიარული მაინც უნდა შეგეძლოსო, ეს დაიხსომეთ ჩემგანაო, თქვა და იმ უდიერ აღმართზე წინ გაუძღვა მეომრებსა, ახალგაზრდას შეშურდებოდა იმისი

გამძლეობა და შეუპოვრობა... მიუძღოდა და თან გამჭრიახ თვალს ავლებდა იქაურობასა, სანამ ამ კორწოხებზე ციხეებს არ ავაგებთ, ვერ მოვრჩებით ლეკიანობასაო,.. არა და რამდენ ციხეს გასწვდეს ეს ჩვენი ქვეყანაო... ჰოდა, მიდის ლაშქარი ყადორისკენა, მიდის სულ პირშელმართებზედა... სწორედ ამ დროს, საიდან იყო, საიდან არა, გეგონებათ უჩინბმაჩინის ქუდები ეხურათ, და მოიხადესო, მათ წინა ლეკები არ გაჩნდნენ? ჩასაფრებულები და მიმალულები აქეთ-იქეთ ბუჩქნარებში, დაიმედებულები მთაზედა გვაქვს ჭიპი მოჭრილი და აქრას დაგვაკლებენო. მაგრამაა, რო იქუხა მეფე ერეკლემ: აბა, მებრძოლეოვო, ვეკვეთოთ მტერსაო! მთებს სუ ზანზარი გაჰქონდათ... მეფის მოწოდებაზე იგრე გალომდნენ თურმე, გარდას გადავიდნენ... ის ჩასაძვრენები კიდევ სუ მეტნი და მეტნი ჩნდებოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, პირი აბრუნებინეს ჩვენებმა, გადარეკეს ყადორის უნაგირისკენ, საიდანაც გამოასკვდებიან ხოლმე მღვრიე დიდროასავით ჩვენ ნასალეკადა,.. მაგრამ მანამ ნურაფერი უცეცხლიათ, რაც იმათ ჩვენ ვერ წავგლეკონ... ის კი უნდა გითხრათ, რომა პაპა ელიზბარას მაშინ ამოუგდეს თვალი. თურმე ერთი თავზეხელაღებული ლეკი როგორღაც შევარდნილა ერეკლეს რაზმში, უძვრია თურმე ხანჯალი, რო საფეთქელში ჩასცეს ჩვენ მეფესა;.. ფიცხლად გადაეფარა თურმე პაპა ელიზბარა, ლეკი იქვე აკუნა, მაგრამა მოასწრო თურმე იმ ქვად საქცევმა და თვალი ამოუგდო. პაპას ერეკლე გვერდიდან არ იშორებდა, იგეთი უშიშარი იყო და ბრძოლაში მოუღლეი, იცოდეთ, ჩემობით არ ვამბობ, ბალლაუჭებო, ყველამაც იცის პაპა ელიზბარას სიმამაცის ამბავი. ერეკლეს თურმე ბალახბულახის ცნობა სცოდნია, ამოვარდნილი თვალის ფოსოში თავის ხელით ჩაუფენია ბალახბულახი და თავისივე ხელსახოცით შეუხვევია, თან ეუბნებოდა თურმე: „ვაიმე, ელიზბარაო, შემომწირე თვალიო?“ „თვალი რასა ჰქვია, მეფეო, მეორეც ხომ მაქვსო, ჩემმა ძმებმა სიცოცხლე შესწირეს ჩვენს მიწა-წყალსაო და მეც მზადა ვარ ბოლომდე გემსახუროთო თქვენცაო და ჩვენს მამულსაცაო. აი, ეგეთი სიტყვა უთხრა პაპა ელიზბარამ, არარიი მამ, დასაფასებელი? და დააფასა კიდევ დიდმა ბატონმა, აზატობა უბოძა და სახნავ — სათესიც...“ უცბათ ტირინემ თვალები ჭყიტა: „ბალლაუჭებო, ვაიმე, ხედავთ ამასობაში ხბორები საით წასულან, ფლატეზე კი არ გადაიჩენნენ დაა...“ ბიჭები წამოცვივდებიან ხბორების მოსაბრუნებლად, თან დაუბარებენ ტირინეს: უჩვენოდ გოგოებს არაფერი უთხრა, ამბავი არ დაუმთავროვო! და მორეკავენ თუ არა ბიჭები ხბორებს, ტირი-



ნეც გულს დაიარხინებს და სიამოვნებით და-
აბოლოვებს თავის მონათხრობს, თუ როგორ
დასცეს მეფის კარავი გამარჯვებულებმა ნა-
ზოვარი წყლის პირას, დეკიანთან, ცეცხლი
გააჩაღეს დეკის ნაყარი რტოებისა, მოკლული
არჩვი ჩამოატყავეს, აქნეს სამწვადეებად, დე-
კის შამფურები დათაღეს და შეწვეს, ბევრნი
იყვნენ და თითო-ოროლა შეხვდათ, მეტი კი
არა. მეფეს ერთი პატარა ნაჭერი აელო ზიარე-
ბასავით და ნაზოვრისკენ წასულიყო. ზევით
მთების ყელი ნაზვავ თოვლს შეეკრა, ქვევით
კი უკვე გამოფულუროვებული ნაზოვარი ნა-
კადულს თაღვით ჰქონდა გადახურული,
შიგნიდან თაღი ყინულისაგან გამოთლილი
გეგონებოდა თურმე... ნელა დნებოდა ყინული
და ნაზოვარი წვეთწვეთად ჩანკრიალებდა ნა-
კადულში... მეფემ ის ერთი ნაჭერი განიწვნა
თურმე და მუჭი შეუშვირა ნაზოვარს, ისეთია
ნაზოვარი, უკვდავების წყალი გეგონებო...
ჰოდა, მთელი დღის ბრძოლითა და ხმლის ქნე-
ვით დამაშვრალი მეფე ანკარა, ცრემლივით
კამკამა ნაზოვარსა სვამდა თურმე და დღეს
ეს არის, ჩემო მეომრებო, ჩვენი გამარჯვების
ჯილდოვო, დეკაზე შემწვარი მწვადი და ეს დი-
დებული ნაზოვარიო, ეგრე ეუბნებოდა თურმე
თავის მეომრებს, მერე კი პაპა ელიზბარასთვი-
საც მიუწვდია თავისი მუჭით და დაუღევიწე-
ბია: ტირინემ თავში ხელი შემოიკრა: „ვიპ, კი-
ნალამ სიმღერისა დამავიწყდა! როგორც ჩვეუ-
ლებრივ აკეთებენ ხოლმე, დაჭრილები დაანვი-
ნეს ბრძოლის შემდეგ და აბა, მომღერლებო,
დაიძახა ერეკლემ, არსენაათ ძმებო, სანდრო,
გიორგი, პაპილანთ გივლავე, როსტომანთ კი-
კუშავ, მემარნიანთ თედოვ, გამოცდილი ჰყავ-
და მომღერალი მებრძოლები, დაჭრილებს რო
უმღეროდნენ ხოლმე, მოუნოდა: აბა, თქვენ
იცით, როგორ დაუშამებთ ჭრილობებსო. პაპა
ელიზბარას კიდევ: შენ, ელიზბარავ, თვალამო-
ვარდნილო, რა გემღერება, თორემ შენისთანა
ბანი ამ არემარეზე ხო არავისა აქვსო... შემო-
ერთყნენ თურმე დაჭრილებს მომღერალი მებ-
რძოლები და სანიმუშოდ უმღერეს. ხომ იცით,
ბალაუჭებო, სიმღერა ძლიერ უხდება ჭრი-
ლობებს. თურმე რა ნამალი და რა სიმღერა.
ჰოდა, რა გგონიათ? პაპა ელიზბარამ, სანყალ-
მა და საცოდავმა, თვალამოვარდნილმა და ძა-
ლიანაც ატკიებულმა, იგეთი ბანი თქვა, იგეთი
ბანი, ყველა ჰკვირვობდა თურმე.“

მორბის... მორბის ტირინე შარაზე... ძლივს
გამოეხსნა პაპა ელიზბარასა და ტიტას, გა-
მოეხსნა კი არა, გამოექცა, კისრისტეხით.
„შენი მარტო წასვლა როგორ იქნება, ჩვენ
რიყეს არ გასცილებიხარო,“ ჯოხი მიწას დაჰ-
კრა პაპა ელიზბარამ, „ზამთარია, უკაცრიელი
ბურდელაური იქნებ მგლებითაც იყოს სავსე,

როგორ გაეცლები და როგორ გაერიდები მში-
ერ მგლებსა?!“ „ნუუ, პაპავ, ნუ მაშინებ, შენი
ჭირიმე, იმდენი ხალხი დაიძრა თელავისკენა
როო...“ „ნეტა მეც შემეძლოს! მაგრამა, რო
ალარ შემეძლიან?! მუხლი მე ალარ მერჩის და
ეს ცალი თვალიც ალარ მიჭრის, თორემაა, თუ
ვინმეს ეკუთვნის იქ ყოფნა, მეც იმათში ვწერი-
ვარ!“ „ჰოდა, შენ მაგივრად, პაპავ, მე უნდა ვი-
ყო იქა! აგე, ჩვენი მღვდელი როგორ გვიქადა-
გებდა: ერეკლეს დავბეროთ ტკბილი სულიო,
თორემაო, ბატონიშვილებში ერთი არ შაინიშ-
ნება სამეფოდ გამოსადეგო, ყველაყანი უნ-
დილები არიანო... ჩვენი მთაბარი, ჩვენი ერი
ყველაყას ფეხებზედა ჰკიდიანო...“ „ნუ ხარ,
გოგო, ეგრე ვირთამამა, აბაა?! ქვეყნის საქ-
მეს შენ ვინა გკითხავს?“ „ვიცი, პაპავ, ვიცი,
რო გაფხეკილ ძირხვენასა არა, ფერიც არ უნ-
და ეკითხებოდეს, მაგრამ რა ვუყო რო გული
არ მიშვებს?!“ „შენი მშობლების სახსოვრად
შენლა დამრჩი, შე გასაქრობო, შენა! ან ჩემი
სიბერე არ გენანებაა, ან ამ ბიჭს რას ეუბნები,
აბა, ჰკითხე გიშვებს?“ „რაო, რაო, რაოო?“
დაიძახა ტიტამა და საჩეხიდან გამოვიდა.

ტიტია ხუთმეტი წლის ბიჭია, თვალი ტირი-
ნეზე უჭირავს, როგორც შეუძლიან, შველის
პაპასა და შვილიშვილს, ხელს ატანს, ახლაც
შეშას უჩეხავდა, თან ყური აქეთკენა ჰქონდა
და რო გაიგო ტირინეს განზრახვა, ნაჯახი მა-
შინვე მიაგდო. „უთხარი, ტიტიავე, უთხარი,
ბიჭო, იქნებ შენ დაგიჯეროს!“ შესძახა პაპა
ელიზბარამ. „გამოვიტანო სახრე? ნახავს მა-
შინ თავის სეირს!“ და ტიტია საჩეხში შებრუნ-
და... ტირინემ კი ფეხი რო დაჰკრა, ელვასა-
ვით გადავლო ძეძვის ლობეს... მორბის, მორ-
ბის, მორბის ტირინე შარაზე... ნიავქარივით
მორბის... დედამიწას ფეხს არ აკარებს... ასე
ირბინა და მოადგა თურდოს... კიდევ კარგი, მე-
საფქვავეები შეხვდა, ურემზე შემოსვეს, თურ-
დოც გამოიყვანეს და ვარდისუბნის რიყემდეც
მიიყვანეს, იქ კი ქვეყნის ხალხი დაინახა, და-
ჯარულები მიდიოდნენ თელავისკენ, ბატონის
ციხისკენ და იმათ შეუერთდა... მაგრამ შეციე-
ბით კი ძალიან შესცივდა, სირბილმაც ვეღარ
უშველა, იორთქლებდა ხელებს, აბაკუნებდა
ფეხებს და ბოლოს-ბოლოს მოაღწია ხალხით
მოზიმშიმე მოედანზე. მოაღწია და მიეფიცა
ცეცხლსა, თან გამალებული ფიქრობდა, რა
ვქნა და რა ვილონოვო. სწორედ ამ დროს შაო-
სანი ქალები მოვიდნენ კოცონთან, ისინიც შე-
ციებულები. ხალხმა მიინ-მოინია, წრე გააფარ-
თოვეს და შაოსანი ქალებიც ჩაიყენეს. ცხრანი
იყვნენ, ოთხი მონაზონი შუამთიდან, დანარ-
ჩენები კი კრწანისში დალუპული ბიჭების დე-
დები. თურმე სალოცავად იყვნენ მოსულები,
მეფისთვის სალოცავად. სასახლის ტაძრებში

მეტად ძლიერი ხატებიანო, ამბობდნენ, მიძინების ტაძრის ღვთისმშობლის ხატიცა და კარის ეკლესიის წმინდა გიორგისაცაო. გულმხურვალედ უნდა ვილოცოთ ქალებოვო, მუხლები გადავიტყაოთო, ხო იცით, რა ძალაცა აქვს მხურვალე ლოცვას ძლიერ ხატთანაო... თანაც ისეთი დამწვარ დადაგულებისა, როგორც ჩვენ ვართო, მთავარია, გაგვიღონ ჭიშკარი, ჩვენც მივეახლოთ იმ ხატებსა, იმ ძლიერებსა და მერე ჩვენ ვიცითო. იქვე მდგომი ტირინე ყურს უგდებს შაოსან ქალებს, მთელი გულისყურით, მთელი არსებით ჩანთქმულია მათ სმენაში და უკვე იცის, თუ შეიამბანაგებენ ქალები მასაც, რა უნდა შესთხოვოს ღვთისმშობელს და როგორ უნდა ილოცოს. „თქვენი ჭირიმეთ, დებო და დედებო,“ „ყელისწევით სთხოვს ტირინე შაოსნებს, „ნუ მიუკადრისებთ, ნუ მეტყვივით უარსა, მეც თქვენთან ერთად მალოცეთ, მეც შემავედრეთ ღვთისმშობელსა და ჩვენ დიდ მოწამე წმინდა გიორგის, საიდან სადა ვარ მოსული, რო იცოდეთ, მეფისთვის გარჯა მწადიან, მინდა თავს შემოვევლო, სანთლად დავენთო...“ შაოსნებმა იუარეს: „შენ ნუუ, გოგო, ნორჩი ხარ ჯერა, გაგიძნელდება მთელი ღამე ჩოქზე დგომა და ფილაქანზე გართხმაო... იყავი აქა, ცეცხლთან კარგად გამოთბი და ირიჟრაჟებს თუ არა, წადი შენ გზაზეო...“ მონოზნებს ქადა ჰქონდათ წამოღებული, დატეხეს, თითო ლუკმა გაუნაწილეს ყველას. ტირინესაც შესთავაზეს. ქადაზე კი უარი არ უთქვამს ტირინეს, მაგრამ თავის განზრახვაზე ხელს ვერავინ აალებინებს! რაც გულში ამოიკვეთა, ის უნდა აასრულოს, შევედროს ღვთისმშობელს: გადაურჩინოს ქვეყანას მეფის სიცოცხლე და სამაგიეროდ ტირინეს სიცოცხლე მიიღოს... მაშ, სხვას რას დაჰპირდეს, რასა, სხვა არა გააჩნია რა, ერთი სიცოცხლე ააქვს და სწორედაც ერეკლეს კარგად ყოფნას უნდა შესწიროს... მიდიან შაოსნები, ხალხში გზას მიიკვლევენ ჭიშკრისაკენ... მიდიან და ტირინეც უკან მისდევს ხვენწა-მუდარით: მეც ლოცვავედრებით მათევიანეთ ღამეო... რაკი ეგრე გულითა გწადიან და აღარ გვეშვები, კარგი და მაგრე იყოსო.


„ტირინეევ! ტირინეევ!“ დაქასქასებული მიეჭრება ტირინეს ბიჭი ტიტია, ტირინეზე თვალი რო უჭირავს. გამოეკიდა სახრით, მაგრამ ტყუილად. მიბრუნდა, პაპა ელიზბარას

ხბორებიც შეარეკინა გომურში, ბატებიც დააბინავებინა, წყალიც მოუტანა, ბოლინოც გაუკეთა ვახშმად და დაოთხილი ტირინეს გზას დაადგა.

„გოგო, რათა ხარ ეგრე თავისწვერა?! როგო გამოიქეცი მარტო, შენ დევნაში გულიდა ამოვიგდებინე!“ „ტიტიავ, ბიჭო, კარგია რო მოხვედი, გამოგეთხოვები კიდეც“. „რას ჰქვიან გამომეთხოვები? მერე შენ სად მიდიხარ რო?“ შეფუცხუნდება ტიტია. „სალოცავად მივდივარ შაოსნებთან ერთად, ძალიან ძლიერი ხატიაო. რასაც შესთხოვ შეგისრულებსო და მეფისთვის უნდა ვილოცო, მთავარანგელოზმა გაბრიელმა მე წამიყვანოს ერეკლეს მაგივრად... ნუ მიდარდებ, ბიჭო, პაპა ელიზბარას მიმიხედე, ამასა გთხოვო...“ „ნუუ, გოგო, ნუუ, შენი ჭირიმე, მაგრე ნუ ილოცებ, ემანდ მართლა არ შეგისრულოს მუდარა ღვთისმშობელმა, არ დაგვაობლო მეცა და პაპა ელიზბარაც!“ ტირილის ხმაზე ეუბნება ბიჭი ტიტია.

„შენ თავსა სჩვიხაარ, ტიტიავ?! ქვეყანა გვიობლდება, ბიჭო, ვიპ, რა ბედნიერი ვიქნები, ღვთისმშობელს ჩემი მუდარა თუ მისწვდება და უშველის ჩვენ მეფესა!“ და ტირინე გამაღებული პირჯვარს იწერს. შეპყურებს ტიტია ტირინეს ბრიალა თვალებს, დაბერილ ნესტოებს, შიში აიტანს, ტირინეს სიტყვა ქვას გახეთქავსო და ვაი რო დაიყაბულოს ღვთისმშობელიცაო, მითუმეტეს, სად მეფე და სად ცამეტი წლის სოფლელი გოგოვო... წამოუვა ღაპაღუპით ცრემლები სანყალ ტიტიას, გულის ამოხვინჩით შესტირის ტირინეს: „აკი შენი ვარო, მეუბნებოდი და ეხლა კიდევა როგო ბოჭორმის ყოჩივით მიბრიალებ მაგ თვალებს, გოგო, განა მე კი არა ვდარდობ ჩვენი მეფისთვისა, იციი როგო ვიფუფქები, მაგრამა მეტის მეტი რეტის რეტო, ყველას გინდა დარდი გაუხუნო, ოღონდ წინ გამოჭენდე, ოღონდა თქვან, ცამეტი წლის გაუხარელმა ტირინემაო მეფისთვინ თავი აგრე გადაღოვო...“ და ტიტია ხელებზე მიეტანება ტირინეს, რომ დაიჭიროს და არ გაუშვას. მაგრამ ტირინე მარჯვედ გამოუსხლტება ტიტიას, შაოსან ქალებს ჭიშკართან მიუსწრებს და შეპყვება კიდეც.

/გაგრძელება იქნება/



ქართული
 ხალხური

აღსახება

(უნმიდესს და უნეტარესს, სრულიად
 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
 ილია II-ს)

თქვენო უნმიდესობავ!
 სული როცა მძიმეა,
 სული როცა მძიმეა
 შორეული ფრენისთვის—
 ხორცი მაშინ მღვიმეა,
 ნესტიანი მღვიმეა
 ანდა სასაფლაოა შეუცნობელ მერმისის.
 თქვენო უნმიდესობავ!
 თუ სიმშვიდე მწყურია,
 სული გადამელაღა მიწიერი ლანდების,
 ჩემი წუთისოფელი მეტად უსახურია,
 სადაც უნდა გავთენდე სწორედ იქა ვლამდები.
 თქვენო უნმიდესობავ!

როგორ რთულად ვიარე,
 სივრცეებში წანწალით საშინლად ვარ
 დაღლილი,
 ვიდრე არ ამიტირდა სული მოხეტიალე
 და მზის გვერდით თეოზე არ მივეგდე
 ძალღვივით.
 თქვენო უნმიდესობავ!
 ტკივილებმა დაფლითა
 გული ახლა უმეტეს მდინარეზე სველია,
 ჩემი ყოფნა შეშლილის
 და მწუხარე სახითა
 ამ მტვრიან სამყაროში ძალზე მოსაწყენია.
 თქვენო უნმიდესობავ!
 ამბოხება სატანის
 ჩემში მინავლებული ანდა სულაც მცხრალია,
 რა მღვრიე ამინდებით და ტკივილით მატარე,
 ცრემლივით მაკანკალე,
 ღვთისმშობელო მარიამ.
 თქვენო უნმიდესობავ!
 როცა ლოცვა მშრალია,
 ძალზე უხერხულია ვინმეს სთხოვო შენდობა.
 როცა ტკივილებისთვის აღარავის სცალია,
 აღარავის სცალია და არავინ გენდობა.
 თქვენო უნმიდესობავ!
 სული როცა მძიმეა,
 სული როცა მძიმეა
 შორეული ფრენისთვის—
 ხორცი მაშინ მღვიმეა,
 ნესტიანი მღვიმეა
 ანდა სასაფლაოა შეუცნობელ მერმისის.

არ მინდა ვიქცე ბალახად,
 დათბეს და ისევ მოვიდე,
 იქა ვარ, სადაც არა ხარ,
 დაბადებული თოვლიდან...
 ხან უდაბნოთა მტვერი ვარ,
 შენს ჩაშლილ თმებზე ნაყარი,
 მღერითაც, მაშინ ვმღერივარ,
 როცა იქცევა სამყარო...
 როცა მზე ღლვება, მზის ნავლი,
 შუბლს გახურებულს მიცვარავს,
 ჩემი საწოლი იქ არი,
 სადაც ჩურჩულებ, იქა ვარ...
 სუნთქვა ვარ, სულთა შრიალი,
 მივალ მივიფენ ვარსკვლავებს,
 ნისლი ვარ, ნისლი ნიავი,
 ხვალ შენსკენ ჩამომატარებს...

ჭალარა, მარტო მე — ?!
ცას გამოერია...
ცა ცდილობს ღრუბლებით შეფაროს,
მიყვარხარ!.. შენ ამბობ, არც ისე ბევრია...
არც ისე ბევრია?! — მზექალო...
შეხედე, გაშლილ მხრებს ვარსკვლავი
მიცვარავს,
ქარები ნიადაგ სასთუმალს მინამევენ,
შეხედე!.. და ეს დღე თუ გარდაიცვალა,
ინანებ ქალკუპრო, ინანებ...
სამყარო, შენს თავზე, მე წამოვაჩრდილე,
მე ვიყავ, ცხელ მზეებს ცაზე რომ ვფარავდი,
რა ვიცი, მზექალო... და კი არ გაშინებ,
არც ეგ სიტუფეა,
მყარი და მარადი...

ჭალა მოძრაობს,
ჭალაში ძველი წისქვილი ხმაურობს,
წყალი ბუტბუტებს...
ვერაფერს ვერ ვხედავ საუცნაუროს,
ღრუბელნი აქეთ-იქითა მთებს
ხურჯინივით ჰკიდია,
მგზავრები, ზოგი-აქეთკენ,
ზოგნიც იქითკენ მიდიან,
ხან ცხენის ისმის ჭიხვინი,
ხანაც წკავნკავი ძაღლისა,
აქა-იქ გადაანყდები ნადირს ხმაურით
დაღლილსა,
ვინ მკითხავს?!
არცა ვკითხულობ, მეტობას ცოდვა-
მადლისას...
დღეს ჩემი საფიქრალია, რა სძრავს
მსოფლიო ნაგრილსა.

ძალს მაინც აიდევენებდი,
ცერად რომ გასჭერ ჭალაო,
მიზეზობ ძებნას ცხენისას,
გუმანს მიგიხვდი ქალაო,
ახლა თუ ცოდვა დავიდე,
ზიდოს ლაშარის ჯვარმაო...

დღეს, ჩემი გაუსვლელობა,
როგორ იქნება შინიდან,
ისე ვარ აზვავებულნი

და გადმოსული ტვინიდან,
მთა თუ წვერიდან იშლება,
მე დაშლას ვინყებ ძირიდან...
ასე ეგონა სამყაროს,
ამ ქცევით გადამვილიდა,
იმას ვერ ხვდება სულელი,
ხვალ ავმალდეები გვიმრიდან.

მარტოობის მომიარა ჟინმა,
მარტო ვარ და მარტო ყოფნა მომინდა,
ნაღვლიანი გამოვჟურე წვიმა,
ადრეული შემოდგომის თოვლიდან...
ტყვიისფერი აიკრიფა წისლი,
ჩაბნელებულ ბუერიან ხევიდან...
ა, ის გოგო, ნეტა იყო ვისი,
რომ გაბრუნდა ჩვენი მოსახვევიდან?!
ჩამოვგალე აჭირხლული ველი,
ფოთლიანი გუშინ შარა ვკვალე...
და თვალეები — ბინდისფერად სველი,
ნაბადივით მივაყუდე კარებს...

თურმე, შენც მოგნატრებივარ,
დღეს წამჩურჩულა ნიაჟმა,
გულს შემოერღვა ყინული,
გალხვა და გაიმზინა...
ვაი, ამ მონატრებაჟა,
რა ძან დაავიანა...

ჯიხვი ვარ და გადავწევი კლდეზე,
დილით წისლის მსიამოვნებს ლოკვა,
მონადირევ, რა გინდა, რომ მეძებ,
ღირს კი ბიჭო?! — ახლა ჩემი მოკვლა...

ტყის განაპირას,
იქვე ახლოს მდინარის პირთან,
ცხვარს ასხლეთილი,
დაბნეული ბატკანი ბლავის,
მგელი კი იჯდა, ჩაცუცქული,
ხელოსან ვირთან და...
ბებერ ყურებს არ სწვდებოდა
ბლავილი კრავის...

იელის ტოტი...
დაგდებული მტვერში ბარტყით...
ვერ გაერიდე? მაინც ფეხს ადგამ...
შე შობელძალლო!.. რაკი არ გტკივა,
ამიტომ მაგ ტერფს, ვერ უნახე
ადგილი სხვაგან?!

განწყობილებას არ ქმნის ამინდი,
განწყობილება — ნულის ტოლია...
სასაფლაოზე უნდა გავიდე,
საფლავთა სევდა შემომწოლია...
ფოთლები ცივმა ნისლმა შეცვარა,
აქ სადმე, უნდა ჩამოვილამო...
გუშინ ცრემლისთვის სულ არ მეცალა,
სამაგიეროდ, დღეს მსურს ვიბლავლო!..
სამყარო — ჩემთვის გლოვისფერია,
ო, რა მკაცრი ხარ ზეცის იერო,
სამაგიეროდ — ყველგან მტვერია...
ყველგან მტვერია — სამაგიეროდ...

დანა დამჭირდა?! — ვთხოვე,
ცული დამჭირდა?! — ვთხოვე,
ცოლზე... ჩურჩულით ვუთხარ,
სიტყვა ავუგდე ბანზე,
ერთი კი გადაფურხთა,
ეს შობელძალლი — მაძლევს.

უფერულდება დროის სიმკვრივე,
არავის უნდა ყოფნა არნივად,
ჩვენ მოვიგონეთ, რადგან სიკვდილი
მარადისობის მუდმივ აჩრდილად...
მზე დალუნული ხერხემლით დამაქვს,
ცა მხოლოდ ჩემი სულის მტვერია
და შეუცვლელი სამყაროს გამა,
არის სიკვდილი და მისტერია...
აქ სად იდგები, არა აქვს აზრი,
სამყაროს ბრუნვის რომელ მხარიდან...
მსოფლიო წარღვნის უძლებენ ხანძარს,
დაბადებულნი მხოლოდ ქარიდან...

ცრემლს ვანმენდ ღამეებს მთვარიანს,
ყორნები ვშალე და ვაყეფე...
ქარია,
ქარია,
ქარია,
შეშლილი სულების საფერხე.

გავბეზრდი ბევრის მოსმენით...
და უფრო მეტის ხილვითა,
ღამე რომ მოდის, დადგომა
ალარ მნადია დილისა...
მოდგება ბინდის სტუმარი,
მთვარე ნაცნობის პირითა,
ხან ორივენი ვიცინით,
ხან ორივენი ვტირითა.

გარს ვარსკვლავთა მახვევია საძმო,
სუფრად მიდევს ცა გაშლილი ველი,
მთვარე იყო ჩემი ღამის სარძლო,
ქორწილისა მე ვარ მასპინძელი.
მინის თასში მზე მისხამდა ღვინოს,
სადღეგრძელოს ყორნის ხმაზე ვყეფდი,
იმათ დედაც... ვინც დღეს შემაგინოს,
სიკვდილს მაინც ფეხზე ავუდექი.

გრილი რამ მოდის ნიაგი,
მფარავს ფოთლებით ხმელითა,
უკეთეს დასაფლავებას,
როგორ ტყუილად ველითა...
მოსთქვამს ბებერი ყორანი,
ცვარი მეყრება ცრემლისა...
და ხერხემალთან ვიგრძენი,
ავი სისინი გველისა,
ვინ რა გაგზავნის წყეულო,
მკურნალად ჩემი სენისა?!
უკვე, ვიგრძენი ტვინშია,
თრთოლვა ორკაპა ენისა,
მიკვირს, რატომ არ ისურვე,
ჯერ დაყრუება სმენისა...

ეხსნი ფარდას!..

თქვენთან თამაშს ვაგრძელებ...
— ნილბით?! — თქვენ ფიქრობთ...
— ნილბის გარეშე!..

ცას შევალენე კბილი სარძევე,

დავღვარე მზე, რომ მედგა თვალებში...

მარტო?!
ო, მხიბლავს თქვენი პათოსი,

თქვენს მეუფებას ვატყობ ვუყვარვარ,

მომაგებთ პატივს, ხელებს გათოშილთ,

თუ მიაფარებთ თქვენს მყრალ უკანალს...

თქვენ შემაჩვიეთ ასეთი ტონით საუბარს,

თუმცა, რა ბოდიშს გიხდით?!

მუსიკის ნაცვლად მაესტრო, თოვლი,

გავუმასპინძლდეთ ამ რეგენებს ნიხლით...

უკან გიბრუნებთ, რაც რომ შემართა,

იუკადრისეთ ბატონო, მიკვირს?!
მომწონს შუბლების ცერად შემართვა,

ეგეც, მალულად მკერდებს რომ იკრავთ,

ახლა, თვალები აგივათ შუბლზე,

შენ გეუბნები!.. შენ, რა გაციინებს...

დავხურავ კარებს... და როგორც ურდულს...

ისე გავუყრი დამჭენარ სარცხვინელს...

არა, რას ბრძანებს!..
შენ, ვინა გკითხავს?!

ეს პატივია იმ მძაფრი ტაშის და...

ეს ცრემლებიც... თქვენს მშიერ ვირთხას

ნაუღეთ,

ვიცი, რომ გელით სახლში...

ბრავო მაესტრო!..
ჩემი სხეული როკავდა შეშლილ მუსიკის

ფონზე,

სცენაც, დარბაზიც იყოს წყეული...

მოუხმეთ ქარებს, გავასწროთ დროზე,

ბრავო მაესტრო! ხომ იყო მძაფრი,

განსაკუთრებით მძაფრი ფინალი,

ჩემი თვალები სავსეა ნაცრით,

სხეული ცხელი და უხილავი.

მე დავსნეულდი შენით,

მე დავსრულდები შენით.

ვრჩები ფერმკრთალი ნისლი

შენი ლამაზი ჩრდილის.

მე დავიღალე ფრენით,

მე დავიღალე შენით.

დაბლა ვეშვები ციდან

სივრცეში ფრენას მოვრჩი.

ველარა ვზიდავ ტკივილს

გათხელებული სისხლის—

და აჰა შენს წინ ვდგავარ

კაცი-შეშლილი ჩონჩხი.

მე დავსნეულდი შენით,

მე განვსხეულდი შენით.

არის ფოთოლთა ცვეენის

მეტად მწუხარე ჟამი.

ლანდებად იქცა ცრემლი,

ცრემლი სტუმარი ლამის.

თვალთა მოადგა წარაფს

ყოფნის მწუხარე ხედი

და ვისმენ ნაცნობ მოტივს

ამღერებული გედის.

ყოფნა ჩემი ჰგავს არას,

შენ რომ ღრუბლებზე სწერდი.

მე დავიღალე შენით,

მე განვსხეულდი შენით.

ო, ღმერთო! იქნება მაკმარო

და მზეში მიმფინო ბინდებად,

რაც მინდა, ვერ მომცემს სამყარო,

ვერც იმდენს რამდენიც მჭირდება,

ჩამოვრჩი ქარების ნაკვალევს,

ვირღვევი,

სხეულში ბზარია.

მაკმარე,

მაკმარე,

მაკმარე,

მაკმარე, დედაო, მარიამ!

თვალებში ამიშრე სისველე

(შემინდე-ამდენს რომ ვბედავო),

მიშველე,

მიშველე,

მიშველე,

ამ ტკივილს შენცა ჰგრძნობ, დედაო!

მაკმარე თრთოლვა და კანკალი

დათალხულ ფერებში რინდება.

რაც ვთხოვე, ვერ მომცა სამყარომ,

მჭირდება


დედაო, მჭირდება.

გავშიშვლდი, ნილბები დავყარე

და სულში ყვითელი წამია.

ო, როგორ ხარხარებს სამყარო,

ო, როგორ შეშლილი წამია.



მურაძე
 თორთა

ნაწყვასები ხოთანთან
 „მნახის ჟამის
 მონობები“

ვენერა

მიპასუხეთ, როგორ მოიქცეოდით, ნაირ-ნაირი კერძებით დატვირთულ სუფრას რომ უსხდეთ, თქვენი ერთადერთი შვილი ცარიელ თევზს უაზრო სახით დასჩერებოდეს, და კითხვაზე, ხელს რატომ არაფერს ჰკიდებო, შემეშვიო, უხეშად გიღრენდეთ და გულის გასახეთქად ცარიელ წყალსა და ხმელ პურსლა სჯერდებოდეს... ეს იქით იყოს და, როგორ მოიქცეოდით, შვილი წვალეებით ინსტიტუტში მოგეწყოთ, აჰა, აგერ-აგერ დაამთავრებს და ბედს ეწვევო, გეიმედებოდეთ, ერთ თარს დღეს კი შეგეტყოთ, ვილაც შერეკილი გერმანელი ფილოსოფოსით გატაცების გამო, სწავლა ნახე-

ვარი წლის მიტოვებული ჰქონდეს?...

მოდით, ამასაც შევეშვათ, ყველა ცხოვრების გზას ავად თუ კარგად თვითონ ირჩევს, ბოლო-ბოლო სულთამხუთავი კი არა ვარ, შვილი ჩემს ნებაზე ვაპრონიალო, მაგრამ რაც მე იმან წლების მანძილზე მაზარალა, ეგ როგორ ავხსნა?... ისინი (მხედველობაში მისი „სულიერი მამები“ მყავს), ატყუებდნენ, მაგნიტოფონია საყიდელი, ახლა საბეჭდი მანქანა, კიდეც ახალი ნიგნებიო, რასაც გერმანიიდან თუ შვეიცარიიდან ვილაც გაიძვერები აგზავნიდნენ და ამასაც მეტი რა უნდოდა, სახლიდან ფული აშკარად თუ ქურდულად გაჰქონდა. მითხარით, რა მექნა? როცა მთხოვდა, ვაძლევდი, მალულად რომ მიჰქონდა, თვალს ვხუჭავდი. მეშინოდა, ქუჩაში ვინმეს არ დახვდეს და არ გაძარცვოს – თქვა.

ჩემს ქმარს რუსეთში საქმე კარგად მიუდიოდა. არ დავფიცავ, ურიგოდ როდი ვცხოვრობდით. იმ ხალხმა ამის შესახებ იცოდა და კოკას ფულს დაუსრულებლად თხოვდნენ. ისიც ვიცი, ეშმაკურად ურჩევდნენ, ესა და ეს ნიგნები მივიღეთ და კარგი იქნება, ვინმე შეიძენდესო. ეგ ბედოვლათი, ეგა, თავპირისმტვრევით გარბოდა, სახლს ნიგნებით დატენილი ყუთებით აავსებდა. ეგ ლენჩი, ეგა, სანამ იმ ნიგნებს იმათ არ ჩამოურიგებდა, მოსვენებას ვერ პოულობდა, მერე ჩაიკეტებოდა და მათ გამოჩენას ან ტელეფონის ზარს მოთმინებით ელოდა. თუ წინა დღეებში ჩვენი სახლის კარები ატალახებული იყო და ტელეფონიც წარამარა რეკავდა, შენც არ მომიკვდე, ამიერიდან სულიერს არ ახსენდებოდა. ეგ კი მთელი დღეები სანოლზე ეგდო ან ოთახში დანრიალეობდა.

ჩემი ქმარი საქმიანი კაცი იყო. რას გადაეკიდე მაგ ბიჭს, თავის ნებაზე მიუშვიო, ჩამჩინებდა და მეც დრო და დრო თავს ვანებებდი. მაგრამ მე ხომ დედა ვარ და ერთადერთი შვილი ასე, ბედისანაბარა როგორ მიმეტოვებინა. თითქოს ღმერთმა ობლობა და გაჭირვება არ მაკმარა. ახალ-ახალ სადარდებელს მიმატებდა...

რომ იცოდეთ რა დღეები მაქვს გამოვლილი, ნამდვილად შეგეცოდებოდით. ისე არ გამიგოთ, თითქოს ვინმეს შებრალება მჭირდებოდეს. ეს სიტყვამ მოიტანა...

ოჯახში ცხრა შვილს შორის უფროსი ვიყავი. დედა ადრე დავკარგეთ. მამაჩემი მიწის მუშა, ერთი როყიო კაცი იყო, ამდენი პირდაფრენილი ობლის რჩენის თავი ნაღდად არ ჰქონდა. დარდი ხელს რომ დარევდა, თავიდან მომწყდითო, გვიყვიროდა, და ჩვენც შინიდან ერთმანეთის მიყოლებით მივდიოდით...

თხუთმეტი წლიდან თავს თვითონ ვირჩენდი. აქ ერთმა შორეულმა ნათესავმა შემიკედ-

ლა. ღმერთი ააშენებს, მიპატრონა, საბუღალ-ტრო ტექნიკუმი დამამთავრებინა, სამსახურ-იც კარგი მიშოვა. მერე თითქმის ყველა და-ძმას თვითონ ვასწავლე, სამსახური და ბინა გაუფხერხე. მაღლობა ღმერთს, ყველა კარგად მოეწყო, მათი უმეტესობა შეძლებულად ცხოვ-რობს. ვერ წარმოიდგენთ, მათ გამო რამდენი მინვალია, რამდენი მიშიმშილია, ვილაც ვიგ-ინდარებისთვის რამდენჯერ დამიჩოქია. საქმე არა გაქვს? ვინ დაგიმადლა, დღეს არც ერთს იმ ამბების გახსენება არ აწყობს... თუმცა, რაღა იმათ, როცა ჩემი შვილი არაფერს მიფასებს... აიღეთ თუნდაც ჩვენი სახლი. აქ რომ მოვხვე-დრილიყავი, ბინა ხუთჯერ გადაცვალ-გად-მოცვალე. ბოლოს, ამ შენობას მთელი სარ-თული დავაშენე. ჩვენს პირდაპირ სამოთახი-ანი ბინა ჩემი უმცროსი დისთვისაც გავახერხე, გვერდით მეყოლება, ვინ იცის, რა გველის, ერთმანეთს შევეხიდებით-თქვა. გაგიგია? იმან ამ რამდენიმე წლის წინ ჩემი შვილი გაჭირვების დროს მიატოვა და სხვა უბანში გადასახლდა.

ჩვენი ბინის ფასი არ გაინტერესებთ? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო კოკას კაბინეტი რად ღირს. მგონი მაგხელა სამუშაო ოთახი აკადემიკოსებსაც არა აქვთ... ან დანარჩენი?... ისე დაუჩემებია გინდა თუ არა, დავშალოთო, თითქოს ოცი სული ჩვენ ვი-ყოთ... ქალაქის ცენტრში, ზედ პარკთან, ამხ-ელა ბინის დაკარგვა, სწორედ რომ სიგიჟეა. ქვეყანა აქეთკენ მოეშურება, მალე აქ ფეხის დასადგმელიც არ დარჩება, ეს კი მოჯღანუ-ლი, ვირთხებისა და ხოჭოების სოროებისკენ მიიწევს და, კიდევაც გადამრევს. ქალაქის ათ უბანში ათი ამხელა ბინა რომ მაჩუქონ, აქე-დან ჩემი ნებით წამსვლელი არა ვარ. მაგან ამ სახლისა და უბნის ფასი კი იცის, მაგრამ ეჭვი მაქვს, ამას თავისი „სულიერი მამების“ რჩევით აკეთებს. ეტყობა, იმედი აქვთ, იქნება რამეს გამოვრჩეთო.

ჩერჩეტია... ჩერჩეტი რომ არ იყოს, ჩუ-მად ვილაც-ვილაცები ჩაუნერია. მაგის ამბავი რომ ვიცი, ისინი ერთ მშვენიერ დღეს წილ-საც მოთხოვენ. რამდენი ხანია, დავდევი იმ ხალხს. მემალეებიან. ეს, მეჩხუბება, შეეშვი, რას გიშავებენო. არა, კატეგორიულად მოვითხოვ, სასწრაფოდ ამოენერონ, ჩემი ბინა კომუ-ნალკა კი არაა, რომ ამვლელი და ჩამვლელი აქ იყოს ჩანერილი, ასეთ რამეს მაგას უბედავენ, თორემ!... სოფელში ერთი გოიმი მეზობელი გვყავდა, ზუსტად იმას მაგონებს. ხომ ვიცი, მისი გაკეთებული არაა, სულ მაკვირვებს, იმ დამთხვეულს რანაირად დაემსგავსა!...

ჩემი თავიდან მოცილება უნდა. ნეტა, რას ვუშავებ? დაუჩემებია, ცალკე მინდა ყოფნაო. სულ ცალკე არ არის? ეგ თავისი კაბინეტიდან

რომ გამოიტყუო, კარებთან ოქროს ზოდები უნდა დაუნყო. მისი დღე და მოსწრება ზის და იმ თავის წიგნებში იქექება, ზოგჯერ საბეჭდ მანქანასაც აჩხაკუნებს, რაღაცას წვალობს. ნაცნობები მეუბნებიან, რა ბედნიერი ქალი ხარ, ასეთი ჭკვიანი შვილი რომ გყავსო. მაგის მთქმელთ, ნეტა მაგისთანა ორ-ორი დაუსვა სახლში და მაშინ მიხვდებიან, რა ბედნიერიცა ვარ.

შინიდან ისე გავა, არცკი დაიბარებს, სად მიდის, როდის მოვა ან საერთოდ თუ დაბ-რუნდება. რამე რომ შეგვემთხვეს, ეგ, ალ-ბათ, ყველაზე ბოლოს შეიტყობს. შეიტყობს, თორემ ერთბაშად ქვეყანა არ შეყაროს. ვილაც გადამთიელისთვის იშიმშილებს, ქუჩა-ქუჩა იწანწალებს, თავს მოიკლავს და რაღაცით მაინც ხელს გაუმართავს, ჩვენ კი... მოსისხლე მტრებივით გვეპყრობა... კარგი, მე რომ ასე მექცევა, ამას ჩემი აზრით თავისებური ახსნა აქვს, რაც არ იყოს, ციხეში ნაჯდომი ქალი ვარ, მაგრამ გამაგებინა და მერე მომკლა, ნეტა სა-კუთარ ცოლ-შვილს რას ერჩის? მაგის ცოლ ბარე ორ ბიჭს ასეთი დიდებული ცოლი და ან-გელოზივით ბავშვი არა ჰყავს. ეტყობა, რძალი ამდენ დამცირებასა და უყურადღებობას შვი-ლის გამო ითმენს, თორემ მან უკვე რამდენი წელია, ქმარი რა არის, არც იცის... ჰო, ცალ-ცალკე წვანან, კოკა თავის კაბინეტში, რძალი საძინებელში. მათი „სულიერი მოძღვარი“, ის შეპრენტილი შვეიცარიელი თუ გერმანელი ფილოსოფოსი თურმე ასე ცხოვრობდა, ქალს კი ჩუმად საყვარლები ჰყოლია. არა, ერთბა-შად მაგ დამთხვეულის აბდაუბდას დააკლავდა თავს!

ჰოდა, ეს ჩემი ბედოვლათიც იმ პროფესორს ბაძავს. იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ყველა ქალს ყურადღება, მოფერება და მამაკაცთან სიახ-ლოვე ჭირდება. გაუგებარია, კაცს გვერდით ასეთი ქორფა ქალი ეგულეობდეს, თვითონ კი განდევლივით ცხოვრობდეს. რაღა ვილაც გა-დაყრუებულ ფილოსოფოსს ბაძავს, ცოლთან ურთიერთობას სხვა ქვეყნის გამოცდილების გადმონერგვა რაღად უნდა?.. ჩემი გაგებით, ქალს ჭირდება კაცი, კაცს ქალი, მორჩა და გათ-ავდა... ეგ კიდევ, დაიბარებს თავის „ჭკუით-გატენილ“ ძმაკაცებს (დიდკაცივით იქცევა), სანამ ერთთან საუბრობს, დანარჩენები ელო-დებიან. რძალი ვალდებულია, რაც უნდა დაკა-ვეებული იყოს, ყველაფერი გვერდზე გადადოს და მათ გაუმასპინძლდეს (თავისი მოტანილი არაა და რას დაეძებს). იმ გოგოსაც ვერ გაამ-ტყუნებ, ახალგაზრდაა და თვალი მხიარულები-სკენ გაურბის, მაგრამ საქმე თავსაყ-რელად რომ აქვს? რაც დრო გადის, ბავშვი მეტ ყურ-ადღებას ითხოვს, მშობლების სტუმრებ-თან

ხანგრძლივ საუბარს ვერ იტანს, უადგილო ჭიჭყინს იწყებს. ბუნებრივია, რძალი ბავშვისკენ გარბის, კოკა ჩვენზე ბრაზობს, სტუმრების თანდასწრებით დაურიდებლად გვლანძღავს, ესაოდა, მუშაობაში ხელს მიშლით, ჩემი საქმეები სულაც არ გადარდებთო და რა ვიცი... სტუმრები შენიშვნასაც არ აკადრებენ კოკას, პირიქით, მიექლესებიან, ვითომ ყველაფერში მართალი ხარო. უნამუსოები! ჩემს თანდასწრებით ვინმე ერთხელ მაინც ასე რომ გალანძღონ, იმ ოჯახში ფეხს რა მიმადგმევიწებს. ესენი კი სხედან, ნთქავენ ყავას, ახრჩოლებენ სიგარეტს, ლაყბობენ, ხან ტელევიზორს უცქერენ, ხან მუსიკას უსმენენ...

რძალი კოკას ასეთ გამოხდომებზე თავიდან საძინებელში შეიკეტებოდა და ტიროდა. თანდათან მის ხუშტურებს, ეტყობა შეეჩვია ან ცრემლი დაუშრა. ისიც უნდა ითქვას, ამ უცხო ხალხს ვერც გაყრის, რამე რომ შეეშალოს, კოკას ყვირილსა და ისტერიკებს ვერ გადაურჩება. შვილთან განმარტოება და ზრუნვა ქვეყანას ურჩევნია. ეგა ოჯახისთვის დაბადებული ქალია, მისთვის მთავარი შვილია, მერე სხვა დანარჩენი. არ გეგონოთ, რომელიმე მის ძმაკაცთა ან თვით კოკაზე ნაკლებად ნასწავლი და ნიჭიერი იყოს. ეს კარგად იცის ამ ჩემმა ჭკუისკოლოფამ, მაგრამ გული რომ მოუვა, ლენჩს და რა ვიცი, კიდევ რას ეძახის. ქალი არ პასუხობს, ბავშვს გადაეფოფრება და დაჰლულუნებს. კოკა მის დუმილს მოთმინებიდან უფრო გამოჰყავს, შევარდება თავის ოთახში და ზოგჯერ მთელი კვირა გარეთ არ გამოდის...

როგორ გინდა, რომ ყოველივე ამას მშვიდად უყურო, მაგრამ ოჯახში რძალზე მეტი უფლებები არც მე მაქვს. კოკასთან შეხლა-შემოხლისაგან ღმერთმა დამიფაროს! თავის აბდაუბდობას ისედაც მე მაბრალებს და მათ ურთიერთობაში რომ ჩავერიო, ალბათ, თავს მომაკვლევინებს. კიდევ იმით ვმშვიდდები, რომ ცუდს არაფერს აკეთებს. რა მოხდა მერე, ვფიქრობ ხოლმე ჩემთვის, არ გამიმართლა, როგორც მინდოდა ისეთი ვერ გამოვიდა, მაგრამ ქურდი და ნარკომანი, მადლობა ღმერთს, არაა, ცუდი სიმთვრალე არ იცის, საერთოდ იშვიათად სვამს და ჩვენც პირადი სისუსტეები უნდა ვაპატიოთ, მოვუთმინოთ, მოვერიდოთ. ალბათ, ერთ დროს თვითონაც მოსწყინდება ამდენი თათბირი, უცხო ხალხის ლოლიავი, მიხვდება, რომ მისი სახლი საკონფერენციო დარბაზი და შეხვედრების ადგილი როდია, ცოლს მეტი ყურადღება და ზრუნვა ჭირდება, შვილს ყოველივე ის, რასაც თავის დროზე თვით მას არ ვაკლებდი. ახლა მე ცას ხომ არ გამოვეკერები? ოდესმე მიქელ-გაბრიელი მომიკაკუნებს, საიქიოს გზას გამიყენებს და ოჯახის სადავებში

ხელში თვითონ ხომ უნდა აიღოს.

გული მიგრძნობს, დაილუპება.

იმის შიში მზარავს ხოლმე, რომ ჩემს შვილს სადღაც ქუჩაში უპატრონოდ გაძვრება სული.

მისი ძმაკაცები ჩემს რძალს ქურდულად შეავლებენ ხოლმე თვალს. შეიძლება ავიზრახვა სულაც არა აქვთ, მაგრამ ქმრის ნებით მამაკაცების გარემოცვაში უყურადღებოდ ჩავარდნილი ქალის ბედი, მოგეხსენებათ, არც თუ ისე სანუგეშოა. ეს ბიჭები, ორ მეტრზე გაჩაჩხული ფეხებით სავარძლებში რომ გაშხლართულან, გეგონება, სავანგებოდ ქალის გადასარეგად იყვნენ აქ დაბანაკებული. ჩემს რძალს თავმეკავებული ქალიც კი ეთქმის, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ თავისთავად მოქმედებს. სად მისი მოდუნებული, სანერ მაგიდასთან ჯდომით მხრებში მოხრილი, დაუძღურებული, სახეჩამოქუფრული და მუდმივად ვილაცაზე თუ რალაცაზე მზრუნველი ქმარი და სად ეს გალანძღული, ხმამაღლა მოკამათე, ყოყლოჩინა, თავიანთი ჯანმრთელობით, მდგომარეობით თუ ათასი გადაულახავი სურვილით ანთებული ახალგაზრდები. ისევე, როგორც ჩემთვის, მათთვისაც გაუგებარია, გყავდეს ასეთი გადასარევი გარეგნობისა და თვისებების ქალი, კვირიდან-კვირამდე ოთახიდან არ გამოდიოდე და რალაც სისულელეებს აკლავდე თავს. ეს მათ მიმოხვრაში, ღიმილსა და მიმართვაშიც აშკარად ჩანს. რძალი, ალბათ, გრძნობს ამას, თუმცა, ცხადია, თვალს ხუჭავს, მაგრამ გაუძლებს კი ბოლომდე ამდენ ცდუნებას? ჩემს შვილს არც კი აინტერესებს, მისი ცოლი ვისთან ზის, ღამის ქურდთან თუ მანიაკთან, თუმცა, ასეთები მის მეგობრებს შორის არც შეიძლება იყოს, მაგრამ რას გაიგებ, ვინ როგორი ბუნებისაა. ცოლს ყველას ანდობს. ნათქვამი კია, უცხო ქალთან კაცმა ნახევარ საათზე მეტი თუ დაჰყო და მის მიმართ ვერაფერი იგრძნო ან გარეგულად თავისი დამოკიდებულება არ გამოხატა, ამას ღმერთიც არ აპატიებსო...

მოკლედ, როცა კოკაზე ვფიქრობ, თავში შავბნელი აზრები მიტრიალებს. მე კი მინდა ოჯახი გადავურჩინო. ვამხნევებ რძალს, ხან რით ნავახალისებ, ხან რით. ამასწინათ, რვა მარტს, ერთმა ჩვენმა მუდმივმა სტუმარმა მას ვარდების მშვენიერი თაიგული მოართვა. კოკამ, თითქოს ძილიდან გამოერკვაო, გაოცებით წამოიძახა: ოჰო, ასეთი რამ ჩემი ცოლისთვის ჯერ არაფერი მიმიძღვნიო!... აი, ამ ჩავარდნების გამოსწორებას ვცდილობ, მე ამას ჩავარდნას ვეძახი, რადგან, როცა კაცს საკუთარი ცოლის არც დაბადების დღე ახსოვს, არც რვა მარტი ან სხვა ღირსშესანიშნავი თარიღი, უნდა შეაჯანჯღარო, როგორმე დააფიქრო და თავისი მოვალეობა შეახსენო. რძალი ჩემს

კეთილ განწყობას აშკარად გრძნობს და ამ ყურადღებას სიკეთით მიხდის. ის რომ არა, ალბათ, სახლიდან დიდი ხნის წასული ვიქნებოდი. ამას როგორ დავუკარგავ. ესეცაა, უჩემოდ გაუჭირდებათ. ამას ხედავს რძალი, შეიძლება ამიტომაც მითმენს, თორემ ვიცი, მისი ტოლი გოგოების უმრავლესობას დედამთილები გულზე არც ეხატება, ერთი სული აქვთ, თავინათ ნებაზე მიუშვა. მე კი ამათ იმდენ რამეს ვუკეთებ, ვერ შემეღვევიან. ჩემი წასვლით იმდენი რამ მოაკლდებათ, შეიძლება კაბის კალთები არ დამაგლიჯონ, მაგრამ სასანებელი მაინც გაუხდეთ.

იქნება მკითხვით, რისი თავი აქვს კოკასო. ვიპასუხებთ, თითქმის არაფრის. საცოდავად ნაშოვი ფულით ზოგჯერ ბაზარში რომ ვაგზავნი, დარწმუნებული არა ვარ, რომ რამეს რიგინას მოიტანს. ყველაფერს შეუვაჭრებლად იყიდის ხოლმე და ადვილად შესაძლოა მარტო ხახვი, ბოლოკი ან კაკალი მოიტანოს და დანარჩენზე ფული არ მეყო, იმართლოს თავი, ან ვიღაც გუდამშიერს ეს ფული ჯიბეში ძალით ჩაუკუჭოს, თვითონ კი ბაზრიდან ფეხით მოჩანჩალდეს და ხელების ფშვნეცით მოყვეს, თუ რა დათრგუნული და ნაშიმშილევი სახე ჰქონდა იმ ვიღაც სალახანას, იმაზე კი არ იფიქროს, თვითონ არანაკლებ განადგურებული გარეგნობა რომ აქვს და ცოლ-შვილი მთელი კვირით მშიერი დატოვა.

წარმოიდგინეთ, კაცი ქრისტეს ასაკს გადაცილდა და ოჯახში ჯერ თავისი შრომით კაბიკი არ შემოუტანია. სანამ ციხეში ვიჯექი, ცოლ-შვილს სიდედრი ურჩენდა, მანამდე ოჯახი ჩემს კისერზე იყო. ციხიდან გამოსვლის პირველსავე დღეს მომინახულა იმ ქალმა, მოკითხვის შემდეგ პირდაპირ მომახალა, შვილი და შვილიშვილები შენს არყოფნაში როგორღაც შევიწახე, ახლა ეს ტვირთი შენთვის გადმომიბარებიაო... წარმოიდგინეთ, ჩემსავით ქვრივი, სიბერეში ამათ მიერ ძალით გათხოვილი ქალი არჩენდათ. ისე კი, ჩემი აზრით, არ უნდა შეენახა...

მოვა ის ქალი დატვირთული (მომწონს ყოველთვის ფორმაში რომაა. ჩემი რძალი დედამისს ვერა ჰგავს, ცოტა სიცოცხლის ხალისი აკლია, თუმცა, ასეთი ქმრის ხელში კიდევ კარგადაა), ჩანთების ჯაჯგურით ძლივს შემოუტევა სახლის კარებში, შემოიტანს ხალისს და სიცოცხლეს. კოკა მის მოსვლას თუ შეესწრო, ისე იქცევა, თითქოს ბუზი შემოფრენილიყოს. ის ქალი ამ ამბავს ყურადღებას არ აქცევს, ეტყობა, კაცად არც აგდებს. თავის შვილთან და შვილიშვილთან მოდის აქ და კიდევ, ჩემთან. ჩვენ ბევრ რამეზე საპირისპირო აზრები გვაქვს, მაგრამ რაღაც-რაღაცებში

თანხმობას ვინარჩუნებთ... გადმოწყობს ეს ქალი საჩუქრებს, გვაცინებს, გავვამხიარულებს, შვილიშვილს ჩაკოცნის და ქარივით გავარდება. ეს კიდევ თუ თავის კაბინეტშია, არც კი გამოვა.

არ მესმის, რატომ იქცევა ასე. კარგი, მე დედა ვარ, ციხეში ნაჯდომი, გაუბედურებული ქალი... ისე, რომ იცოდეთ, იმ ციხეშიც ჩემი სიამოვნების გულისთვის როდი ვმჯდარვარ.

კოკა

სულ ასე ცრუობს. ყველას ასე აცოდებს თავს. ოღონდ თვითონ გამართლდეს და მზადაა ურჩხულად გამომაცხადოს.

მისი ნაამბობიდან ისე გამოდის, თითქოს ჩემს გაზრდაში, ჩემზე ზრუნვასა და გურგურში დაბერდა. იმაზე კი დუმს, რაც სამშობიაროდან გამომიყვანა, ძუძუ ორჯერ თუ მანოვა, ჩემი თავი დეიდას მიუგდო, თვითონ კი არაფერს იკლებდა. უთენიაზე წასული, ნაშუალამევს თუ გამოჩნდებოდა. დეიდა მის გამო გაუთხოვარი დარჩა. ნამდვილ დედობას ის მიწევდა, მაგრამ მეათე კლასში რომ გადავედი, გააგდო. ნადიო, პირდაპირ არ უთქვამს, სხვადასხვა ხრიკებით აიძულა, ვითომ ქმარი შენს აქ ყოფნას ვერ ეგუებო. ეგ ხომ გამოუსწორებელი ცრუპენტელაა. რა ქმარი, რის ქმარი! მისი მეორე ქმარი ანუ ჩემი მამინაცვალი წელიწადში რამდენიმეჯერ თუ ჩამოდიოდა. იგი დეიდას დიდ პატივს სცემდა, ამასავით ზემოდან კი არ დაჰყურებდა.

დეიდასთან განშორება გამიჭირდა, მაგრამ მეორე მხრივ, თითქოს ამოვისუნთქე, რადგან იგი თავის სახლს დაუბრუნდა, თუმცა რაღაც სახლი იყო, ზღვისპირა ქალაქში მომცრო ოთახი ჰქონდა შუშაბანდითა და ერთი ხელისდადება ეზოთი, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, ეს კუთხე რომ გააჩნდა და შეეძლო თავის ნებაზე ეცხოვრა. ამას რომ არ გაეშვა, თავად ვაიძულებდი, რადგან ეს, მისი გულკეთილობით სარგებლობდა, მონასავით ექცეოდა. მის ცხოვრებაში ისე შეიჭრა და ისე გაინაპირა, მარტოობისთვის გასწირა.

ისე, ძან კი ამაცობს ხოლმე და-ძმები გზაზე დავაყენეო. ეგეც სულ ტყუილია. ბიძებსა და დეიდებს, ჩემი გამზრდელის გამოკლებით, რაღაც განსაკუთრებული უნარი ჰქონდათ. გლეხური სიჯიუტით მიიწევდნენ წინ. მამ, სხვას რას უნდა მიაწერო, სადღაც, უღრანი ტყით გარემემორტყმული სოფლიდან ჩამოსული არაფრის მქონე, ტლუ ბიჭებისა და გოგოების ასე დანინაურება. ისინი მართლაც კარგად ცხოვრობენ. ვერაფრით იფიქრებ, ორ-

მოციოდე წლის წინ ფეხშიშველები, დაკონკი-ლი სამოსით რომ მოადგნენ დედაქალაქს. პატიოსნებით შეიძლება დიდად ვერც მათ დაიქადონ, რადგან თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლაში ეს თვისება ხშირად მეორე პლანზე გადადის, მაგრამ ამასავით ჯიბიდან გავარდნილები მაინც როდი არიან, სინდის-ნამუსი და მოვალეობის გრძნობა ასე თუ ისე, ანუხებთ.

ეგა, ჩემს გამზრდელზე ეჭვიანობდა. როგორც კი მასთან გამგზავრებას დავაპირებდი, გიჟდებოდა, ჩემზე მეტად ის გიყვარსო, მიყვიროდა და, მართალიც იყო. იმან გამზარდა, ეს კი საჩვენებლად იყო დედა. ჩემს მიმართ ნამდვილ დედობრივ გრძნობებს არასოდეს ამულავებდა. გამუდმებით უფლებებზე და მოვალეობებზე ეკამათებოდა დეიდას და ჩემს თვალში ეს უფრო ამცირებდა.

რაც შეეხება მისი დაჭერის ამბავს: იმ ზაფხულს ცოლ-შვილით მთელი ორი თვე დეიდასთან ვისვენებდი. მსუბუქი მანქანა გვქონდა. მაშინ ასე ლატაკები როდი ვიყავით... ჰოდა, მოვადექით სახლს, სადარბაზოში მეზობლის ქალი შემომხვდა. კითხვა-მოკითხვის შემდეგ, ჩვენთან რა ამბავია-მეთქი. დაიბნა. პასუხად რალაც წაილულულა და ქუჩაში გაიჭრა. საშინელი წინათგრძნობით გულდამძიმებული ავვარდი ზევით. ბინის კარი ღია დამხვდა. ვხედავ, შესასვლელში ჩვენი საკიდარის მაგივრად ვილაცის უზარმაზარი გარდერობი დგას, ჭალიც ჭყეტელა დაუკიდიათ. ეტყობა, სართული შემეშალა-მეთქი, მაგრამ კარზე ჩვენი გვარი ეწერა. ზარი რომ დავრეკე, ატყდა ბინის შიდა კარების ბრახუნი, მამაკაცის ხრინწიანი ხმა ქალის ისტერიულმა კვილიმა დაფარა. უკანა ოთახიდან ისმოდა ბავშვების სიცილი. კარში ოთხი თუ ხუთი უცნობი გამოჩნდა. მათი პრეტენზიული, შეშლილი სახეების დანახვაზე მივხვდი, რომ ჩვენს თავს რალაც უბედურება იყო. ვინა ხართ, დედაჩემი სადაა, აქ რა გინდათ-თქო, ძლივს მოვასწარი კითხვა და მეხივით დამატყდნენ. ერთი კაცი ცხვირწინ ვეება მუშტს მიტრიალებდა. ალბათ, გამოლენჩებული სახე მქონდა. ჩემგან ხმას რომ ვერ ეღირსნენ, დაერივნენ ერთმანეთს. იმუქრებოდნენ, ერთურთზე მიინევდნენ, ეს ბინა ჩემია, პირველად მე შემოვედი, ვენერამ ბინა მე მომეცა, არა, პირველად მე მომეცა, თქვენ ძალათი შემოიჭერთ და თუ კანონია, ბინა მე მეკუთვნის, მწარედ მოგატყუეს ან თვითონ ტყუიხართო...

გაოგნებიდან დეიდაჩემის ხმამ გამომიყვანა. გულში ჩავვიკრა და იმ ხალხს სასწრაფოდ გამოგვარიდა, შეგვიყვანა თავისთან, მერე ბინასთან დაკავშირებით ჩვენს გარკვევას შეუდგა, მაგრამ არაფერი მესმოდა. ამეკვია-

ტა, ამათ, ალბათ, დედაჩემი მოკლეს და ახლა ამ კვალის დაფარვას ცდილობენ, თორემ თვითონ სადაა, ჩვენს ჭერქვეშ რამდენიმე ოჯახმა თავი ასე როგორ მოიყარა-მეთქი და დეიდას ოთახიდან გასვლას ვდარაჯობდი. როგორც კი გავიდა, დრო ვიხელთე და მილიციამი დავრეკე, სახლში ავაზაკები შემომეჭრა, მიშველეთ-თქო.

ათ წუთში ჩემი ბინის კარებთან ზარის რეკვა, ბრახუნი და ვაი-უშველებელი ატყდა. დეიდამ სადარბაზოს მიაშურა, უმალ შემობრუნდა და მიკვილა, ეს რა ქენი, ამით ხომ დედაშენი დალუპეო. ამან მთლად მომსპო, ჩემს ზარს ამხელა უბედურება რომ მოყვებოდა, რა ვიცოდი?!

ეგ, მეორე დღესვე ქუჩაში აიყვანეს. მერე ყოველდღე მილიციის სამორიგეოსთან ვიყავი ატუზული, მერე სასამართლოსთან, მერე ციხის კარებთან.

სასამართლოზე გაირკვა, რომ ამას სამსახურში დიდი თანხა დაჰკლებია, რის დასაფარად ჩვენი ბინა ერთდროულად სამი ოჯახისთვის მიუყიდა. სინამდვილეში, ბინა გაყიდულად არც ითვლებოდა. იგი ამ ფულის დაბრუნებას ორ თვეში აპირებდა თურმე, ე.ი. ჩვენი ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ. წარმოგიდგენიათ? სამი დღით ადრე ჩამოვედი და დედაჩემს მთელი გეგმები ჩავუფლავე.

დედას აფერისტობისათვის... და კიდევ სხვა დანაშაულებისთვის შვიდი წელი მიუსაჯეს (ჰო, არ დამავინყდეს, გაფლანგვის თანხები მთლიანად დაგვაფარინეს), აქედან ხუთი წელი კალენდარულად მოიხადა, დანარჩენი აპატიეს.

ისე, ღმერთმა იცის, მე ამ საქმეში სრულიად უბრალო ვარ.

ვენერა

კი, როგორ არა. მაგან თავის მართლების მეტი რა იცის!

საქმე საათივით მქონდა აწყობილი. სხვანაირად იმხელა ფულს ვინ მომაშავებდა? სესხება ვცადე, მაგრამ ქმრის სიკვდილის შემდეგ მისი ძმაცაცები სათოფეზე არ მეკარებოდნენ, ჩემი დაქალები კი ამდენს საიდან გააჩენდნენ. ვიფიქრე, გავრისკავ და იმ ხალხს თავის თანხას ორ თვეში დავუბრუნებ-თქვა. ამ განაშანიაში კოკას გაფრთხილება, ორი კვირა კიდევ დარჩენილიყვნენ, სულ გადამავინყდა.

ჩემს ქმარს რომ ეცოცხლა, ასეთ რამეს როგორ გავბედავდი, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ უკაპიკოდ დავრჩი. აქაც და რუსეთშიც ბევრ ვინმეზე ჰქონდა თანხები გასესხებული. ჩვენთან ხომ სალაროში ფულის

შეტანა ან სახლში შენახვა ყოველთვის საშიში იყო, ასი ყური და ასი თვალი უნდა გჭეროდა, ასე კი უფრო საიმედო ჩანდა. ფული სახლში ხალხის ხელში იყო თითქოს, მაგრამ დახე, ისინი იმ ფულიანად გაქრნენ. ვის რამდენი ჰქონდა არც ეს ვიცოდი. ყველაფერი დაიკარგა. ის კი არა, სადამდეც ხელი მიუწვდათ, საქმე მეც გამიფუჭეს. ალბათ, ეგონათ, ჩივილსა და დევნას დავუწყებდი.

სამსახურში პასუხისმგებლობის აღება არავის უნდოდა, არადა ჯგუფური გაფლანგვა რომ დაგვმტკიცებოდა, უმაღლეს სასჯელს გავირტყამდით და იძულებული გავხდით, ყველაფერი თვითონ დამებრალებინა.

ორ თვეში საქმეს დავხურავდი, ყველაფერი ბოლომდე მქონდა გათვლილი, მაგრამ ამ ლენჩმა ძალათი ჩამაგდო.

იმ ხალხს, ვისაც ფული გამოვართვი, დარწმუნებული იყავით, მოვუვლიდი. ბინას დავშლიდი, ყველას თავის ნილს მივცემდი. ასე რომ, არც ერთი უკმაყოფილო არ დამრჩებოდა. აქედან კი, დახე, რა გამოვიდა! მაგათ მილიციასში პირი დააღეს. ეგონათ, თავზე ხელს გადაუსვამდნენ. თქვენ თუ პატიოსანი ხალხი ხართ, ამდენი ფული საიდან გქონდათო, და ცალ-ცალკე საქმე შეუდგინეს. მოკლედ, კარგა გვარიანად განვაღდნენ. ფულიც ბევრი შეაწერეს...

მაგან არავინ არაფერს რომ ეკითხება, ისეთ საქმეებში იცის ცხვირის ჩაყოფა. მერე ამ არეულ საქმეებს მე გადმომილოცავს ხოლმე.

კოკა

მამ, მამ! მაგან თავისი ცოდვები ყოველთვის სხვას უნდა აჰკიდოს. იმაზე სიტყვას არ იღებს, ყველა უბედურება მისგან რომ მჭირს. ჩემ ადგილზე, სხვა ასჯერ გამოუყვანდა წირვას.

ვერ წარმოიდგენთ, რა აუტანელი ქალია, ყველას მომხმარებლური თვალთ უყურებს. არ ვიცი საიდანა აქვს ეს ჩვევა. წინაპრებში თავადი ან დიდგვაროვანი როგორც მახსოვს, არავინ გვყოლია. ხელში სამი გაზეთი რომ ეჭიროს და გვერდით სამი კაცი მიჰყვებოდეს, თვითონ თავისუფლად რომ იაროს, იმ ხალხს ამ გაზეთებს თითო-თითოდ დაურიგებს. მისი ნათქვამი სამი სიტყვიდან ორი დასაჯერებელი არაა. განურჩევლად ყველას ატყუებს. ცხოვრებაში ისეთი რამეები აქვს ნაკისრი, არცკი დაგესიზმრებათ.

ყველა მეგობარი გადამამტერა. სულ ოცნებობდა, მასავით საქმოსანი გამოვსულიყავი, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. როცა მიხვ-

და, რომ მის ჭკუაზე არ ვივლიდი, კინალამ შეიშალა. დაიჩემა, მეგობრებმა გზას აგაცდინესო. მათ მშობლებს ურეკავდა თურმე, შვილებს მიხედეთ, თორემ ციხეში ამოგიღობთო. ორი მათგანი მილიციაში დააბარებინა. იქ, თურმე, ერთმანეთს აწყდებოდნენ, შვილის მეგობრებს რომ ასმენს რამ გადარიაო... ბევრი გადამიდგა, დედაჩემის შიშით დღესაც არ მეკარებინა. ამას უნდა ისევ პატარა ბიჭივით თავის ნებაზე მატაროს. სახლიდან რომ გავდივარ, ყოველ საათში უნდა მოვახსენო, ამა და ამ ადგილზე ვიმყოფები, მშვიდად იყავი-თქო. ტელეფონი საერთოდ რომ არაა ისეთ ადგილას ბევრჯერ დავრჩენილვარ. როგორ არ დარეკე, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ყველაფერი ფეხზე გკიდიაო, საყვედურებით ამიკლებს ხოლმე. ერთი მითხარით, მართლა რისი ღირსია ამის შემდეგ? სწორედ რომ ფეხზე უნდა დაიკიდო და, საერთოდ რა არის ამდენი წრიალი, ფორიაქობა, კაბის კალთაზე ხომ არ უნდა გამომიბას? ვერ ხვდება ან განგებ არ სურს მიხვდეს, რომ დიდი ხანია მისი ზრუნვა არ მჭირდება.

სახლში არაფერი შემოაქვსო, ყველასთან მამცირებს. რატომ, ჩემი ხელფასი და ჰონორარი ყოველთვის კეთილსინდისიერად მომაქვს, მაგრამ მაგი იმდენი ფულის ღუნვასაა მიჩვეული, ორასი და სამასი მანეთით რას გააკვირვებ. ამიტომაც ჩასვეს ციხეში! ფულს ხელთ რომ მოიგდებს, არ დაეძებს ვისია, მოდგება და ფანტავს, ხან ვის ასესხებს და ხან ვის. ისინიც იშვიათად უბრუნებენ. არის ერთი გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, რეკვა, მუქარები, ლანძღვა-გინების კორიანტელი. ისეთ ვინმეს მაინც აძლევდეს, ვისაც უჭირს, არც ერთი ნორმალური დაქალი მაგას არა ჰყავს, ყველა მასავით ჯიბიდან გავარდნილია და თვალი მუდმივად სხვის გაცურებაზე უჭირავს.

ერთხელ, მახსოვს, გვიჭირდა. ამისმა დაქალის ქმარმა ჩვენთან ტომარებით ფული მოზიდა, მიშველე, როგორმე გადამაცვლევიყო. ახლაც მიკვირს, სად ჰქონდათ ასე დაუდევრად შენახული ეს ამდენი ფული, რომ შმორის სუნი ასდიოდა. ეს, მთელი თვე ამ დასტებს ახარისხებდა, დარბოდა სალაროებსა და ბანკებში და ცვლიდა, მეტად გაფუჭებული დასტები კი კოჯორში, დაქალის აგარაკზე აზიდეს და სახლის სახურავზე გაფინეს.

შემოდგომის თბილი ამინდი იდგა. ფული მალე შრებოდა. ეს, მე და მისი დაქალი სამზარეულოში ჩავედით, ვისადილეთ და ის იყო, ყავას ვსვამდით. ამისმა დაქალმა იკითხა, ეს ფული თქვენი რომ იყოს, როგორ მოიქცეოდითო. ამან, იმ ფულის გაათმაგება ინატრა, მისმა დაქალმა კი ამ ფულის წონა ძვირფასი თვლები. ჯერი ჩემზე რომ მიდგა, ნეტა, ამ ფულის წიგნე-

ბი მომცა-თქო. ამან, თავზე მუშტები წაიშინა, რად მინდა სიცოცხლე, ეს რა ლაყვი ვინმე მეზრდებო. ჩვენს შემყურე ამის დაქალს სიცილი წასკდა, ჩემს შვილებს წიგნები დასანახად არ უნდათ, ეს კი მილიონებისას ნატრობსო. ესეც აჰყვა, მეც. მოკლედ, მაგრად გავმხიარულდით. უეცრად, სახლის კარი დიასახლისის ქმარმა შემოგლიჯა.

„თქვენ აქ სიცილით რომ იჭაჭებით, გარეთ გაიხედეთ, მაყუთს რა მოსვლია!“ - დაგვიყვირა და გავარდა.

სიცილი პირზე შეგვაშრა.

გარეთ გასულეხს ქარი დაგვეძგერა. ქარს სახურავზე გაფენილი ფული ერთიანად მოეხვეტა და მეზობლის ეზოში გადაეყარა. ამან კივილით აიკლო იქაურობა, სახურავიდან გადავარდნას აპირებდა, მაგრამ დაქალმა შეაჩერა. ის კაციც კაი დამპალი ვინმე აღმოჩნდა. შენ, შიგ ხომ არა გაქვს, პირი რომ დაგიღია და ბლავიხარ, ვილაცამ ამდენი მაყუთი ერთად რომ დაინახოს, ვირის აბანოში გვიკრავენ თავსო, უყვირა დედაჩემს. ასე რომ მიმართავ, მაგის უფლება ვინ მოგცა-თქო, ავტეხე შუხური. ის კაცი ჯერ მაგრად გამექაჩა, მაგრამ როცა შეატყო, რომ არაფერს დავთმობდი, დაიხია, ბოდიშები მიხადა. ისეთი უპრინციპო ხალხია, მაგათთვის გინებასა და ქებას ერთი ფასი აქვს.

მეზობელ აგარაკს სამი მეტროს სიმაღლე ყორე ჰქონდა შემოვლებული. ეზოს უზარმაზარი ნაგაზი დარაჯობდა. აგარაკის პატრონი მხოლოდ შაბათ-კვირას აკითხავდა თურმე. ასე რომ, მის დაბრუნებამდე ფულის შეგროვებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. იმავე ღამეს ამან ამოიყვანა აგარაკის პატრონი, მაგრამ ჩვენდა ჭირად, წვიმამ დაუშინა... მთელი კვირა მოვუნდით იმ ტალახში ალუფხული ფულის დახარისხებას და დაშრობას. მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ყოველივე ამის საფასურად ფულის პატრონი რას გვიბოძებდა? მე რვა წიგნის თარო მაჩუქა, ამას კი ერთი ბაილონის საკაბე. ეს იყო და ეს... მაგრამ მაგან ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. რომ კითხო, იმ დაქალზე ერთგული და მზრუნველი ადამიანი არავინა ჰყავს.

ვენერა

მაგას ის ურჩევნია, თავის მანანნალა დაქალებსა და ძმაკაცებს მიხედოს. მაგასავით გაუბედურებული და გზასაცდენილია ყველა, მალხაზს, ნუკრის და გურანდას თუ არ ჩავთვლით. მაგრამ ისინი მაგის მეგობრად მგონი თავს არც არასოდეს თვლიდნენ. ეს თვითონ ეტმასნებოდა იმათ. მეტისმეტად ჭკვიანები

იყვნენ და მის დონეზე დასარჩენი დრო არც ჰქონიათ. დოლის ურა ცხენებივით გავარდნენ და ისე დანინაურდნენ, ამან კიდევ ასი წელიწადიც რომ გაძლოს და თავის მოშლილ მანქანაზე დღედაღამ აკაკუნოს, მაინც ვერ დაენევა. იმათ თავიდან ჰქონდათ მისწრაფება, მიზანი, ჰქონდათ ძლიერი ნებისყოფა და ამასავით ყოველ უმნიშვნელო წინააღმდეგობაზე წუნუნით კი არ იკლებდნენ ახლობლებს, დაუბრკოლებლად მიიწევდნენ წინ.

მალხაზს აღზრდა კარგი ჰქონდა, უფრო ზუსტად, ბრწყინვალე. გარეგნობაც უწყობდა ხელს. ჩემი შვილისთვის უკეთეს მეგობარს ვერც ვინატრებდი. მაგრამ შეგვეძლო კი მასთან და მის მშობლებთან გაჯიბრება? მის მამას თავისი შრომით იმხელა სახელი და სახსარი ჰქონდა მოპოვებული, მე და ჩემს მეორე ქმარს მთელი ცხოვრება რომ გვეჩალიჩა, ვერაფრით დავენოდით. სიმართლე თუ გნებავთ, კოკასთვის მასთან მეგობრობა ნამგებიანიც იყო. მაგალითად, სადმე წავიდოდნენ ერთად, მალხაზი ვინმეს გაექაჩებოდა და ყველაფერი აყალ-მაყალითა და მუშტი-კრით მთავრდებოდა. მალხაზი თავს როგორმე დაიძვრენდა. თუ დააკავებდნენ, მამამისის ერთი ზარი იყო საკმარისი. კოკა კი უსათუოდ ჩავარდებოდა და მე, ამ უბედურ დღეზე გაჩენილს, მის გამოსახსნელად ცხრა პირი ტყავი უნდა გამძრომოდა. აქეთ, შიში მქონდა, ჩემმა ქმარმა რომ შეიტყოს, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს – მეთქი. არ ვზოგავდი ფულს. მალულად ვჩარხავდი საქმეებს. კოკა იფიცებოდა, ეს ბოლოაო, მაგრამ გავიხედავდი და ისევ მილიციიაში ამოყოფდა თავს. მამინ იყო, მალხაზის მამას დაუფრეკე, შვილი კოკას ჩამოაცილე, თორემ შენი დიდკაცობა ფეხებზედაც მკიდიამეთქი. მამამისმა ეს ამბავი იუკადრისა. მალხაზს საკითხი მკაცრად დაუსვა, ის ვილაც კოკა თუ ლიტრაა, შენს გვერდით რომ დავინახო, ტყვიას დაგახლიო. წარმოიდგინეთ, გაჭრა კიდევ მუქარამ. მალხაზი მალე ჩამოსცილდა კოკას, მაგრამ ამ ჩემს ბედოვლათს მასთან მეგობრობის განყვეტა ტრაგედიად ექცა. რა ვიცი, შეყვარებულები ეყრებიან ერთმანეთს, ოცდაათი წლის ცოლ-ქმრებიც, რა გახდა ასეთი ეს მათი მეგობრობა? გული რომ მოუვა, მალხაზთან შენ გადაამეტერეო, საყვედურებით ამიკლებს ხოლმე. ღმერთი, რჯული, მე მათი კეთილი ურთიერთობის ჩაშლის მოსურნე არასოდეს ვყოფილვარ, აქეთკენ ისევ მათმავე უგუნურმა საქციელმა მიბიძგა.

რაც შეეხება ნუკრის, იგი კოკას ნუკრის ცოლმა ჩამოაცილა. კარგი ბიჭი იყო. მისი ცხოვრება თავიდანვე ვერ აენყო, ყველაფერი მისი სიჯიუტის ბრალიც იყო. ცხრა ციხე და

ცხრა გადასახლება, საშინელი წამების გზები გამოიარა, მაგრამ მაინც ვერ გატყვეს. ოთხი წლის წინ გადასახლებიდან დაბრუნებულს შეგვხვდი, ახლოს ჩამიარა. ეტყობა, ვერ მიცნო. ალბათ, არ მელოდა, მე კი მასთან ვერ მივხვდებოდი. მაგრამ შეცვლილა, კოკაზე სამი წლითაა მხოლოდ უფროსი, მთლად გაჭაღარავებულია. შუახანს გადაცილებული კაცი გეგონება. მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, ეტყობა, არ გაბოროტებულა, სახეზე საოცარი სიმშვიდე ეფინა. ყველა ცნობდა, მოწინებით ესალმებოდა. ვიცი, კოკაზე დადებით გავლენას ერთადერთი ნუკრი ახდენდა. კოკას მისი სჯეროდა. საუბარსა და მიხრა-მოხრაშიც კი ბაძავდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარ მიმბაძველობას ვერ იტანდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძალდაუტანებლად გამოსდიოდა. ცოლმა ნუკრის კოკასთან მეგობრობა როგორც ჩანს, ჩემს გამო აუკრძალა. მოგვიანებით შევიტყვე, ისინი მაინც ხვდებოდნენ. მათი გზები ბევრჯერ გაიყარა, მაგრამ ისევ უბრუნდებოდნენ ერთმანეთს. გამოგიტყდებით, მალხაზმა და ნუკრიმ კოკაზე კარგი გავლენაც მოახდინეს და ცუდიც. საერთო ჯამში კი ჯობდა, ცხოვრების გზაზე არც გადაჰყროდნენ. კოკაზე მათი უპირატესობა ამკარა იყო. მათ ყველაფერი ბუნებრივად გამოსდიოდათ. მალხაზისთვის ლიტერატურა სულიერი მოთხოვნილება იყო. წერდა, აქვეყნებდა. გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა. ნუკრი რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ადვილად გამოსდიოდა. დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ. ბევრჯერ გაეუოცებივარ, ბევრჯერ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავუგდევარ. თითქოს თავის თავს არ ეკუთვნოდა. სულ ოცნებობდა, ცაში იყურებოდა...

გურანდა კიდევ, საოცარი გოგონა იყო. ახლა იგი საკმაოდ ცნობილი ქალია. იმანაც ბევრი რამ გადაიტანა, ზოგი თავისი ქარაფ-მუტობის, ზოგიც სხვათა დაუნდობლობის გამო, მაგრამ ამ მგლების ხროვაში გადარჩენა მაინც მოახერხა. ყველაფერს საკუთარ ნიჭსა და მტკიცე ხასიათს უნდა უმაღლოდეს. გურანდა კოკას თვითონ ჩამოსცილდა. მათი დაშორება მე უფრო ბუნებრივად მიმაჩნია, ვიდრე ნუკრისთან და მალხაზთან. ან როდემდე შეიძლებოდა გათხოვილი ქალისა და ცოლიანი მამაკაცის მეგობრობა გაგრძელებულიყო. ჩემს რძალს არც ერთ ქალზე ისე არ უეჭვიანია, როგორც გურანდაზე. ჩვენში დარჩეს და, ეს ყველაზე დიდი სისულელე იყო. კოკა იმ ტიპის კაცებს არ ეკუთვნის, რომელთათვისაც მეგობრობა სულ ერთია, თუმცა, ისიც მესმის, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთსწრაფვისთვის ხშირად ბარიერი მოხსნილია, მაგრამ კარგად ვიცნობ ჩემს შვილს და ამ შემთხვევაში, კოკას

მხრიდან ყოველგვარი ქვენა გრძნობა გამორიცხული იყო. ისე, გურანდას მამაკაცებთან ურთიერთობის გაბმა არ უჭირდა. თუ ეს ადამიანს ნაკლად შეიძლება ჩათვალოს, გურანდას ერთადერთი ეს ნაკლი ჰქონდა, რაც მისი მშობლებისა და ნაწილობრივ თავის მიერ აწყობილი ცხოვრების ბრალიც იყო.

ჩემი აზრით, ქალის ანუ გოგონას ასე თავისუფლად მიშვება დანაშაულია. მშობლებს მისთვის არასოდეს ეცალათ. არც მაშინ, როცა სტუდენტობის დროს ვიღაც უცხოელებს იყო აპრონიალებული და აღმა-დაღმა, ტყე-ღრეში დააცილებდა. არც მაშინ, როცა ოცი წლით უფროს კაცს გადაეკიდა და მთელი ქალაქის გასაოცრად ცოლად გაჰყვა. ბოროტი ენები რას არ ყბედობდნენ, გურანდამ შვილი საყვარლისგან გააჩინა, ქმარს კი ბავშვი საკუთარი ეგონაო. აქ ცოტა გაუგებრობასაც აქვს ადგილი. ფიზიკურად უძლურ კაცს ნამდვილად ეცოდინებოდა ბავშვი თავისი იყო თუ არა. მე იმ კაცს ვიცნობდი და დარწმუნებული ვარ, ასეთ რამეს არ ჭამდა და თუ ასეც იყო, მგონი ეს მისი პირადი საქმეა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამ განამანიაში, გურანდა ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბდა. ხშირად მესმოდა მისი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ. ეტყობა, ზოგი მათგანი სრულ სიმართლეს შეეფერებოდა, ზოგიც გამონაგონი იყო, მაგრამ ჩემი აზრით მის ცხოვრებაში ეს როდია მთავარი. ასე მგონია, შთაბეჭდილებებს აგროვებდა, ადამიანებთან ურთიერთობაში გამოცდილებას იძენდა და ეს გამოცდილება მის ნაწერებში იყო თავმოყრილი. რა თქმა უნდა, მე მას არ ვამართლებ, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ეს პირობები ოჯახმა და ირგვლივ მყოფმა ხალხმა შეუქმნა, და ასეთი ჯიუტი რომ არ ყოფილიყო, სადმე ქუჩაში დავარდებოდა. მიუხედავად იმდენი თავგადასავლებისა, ქმართან მუდმივი კონფლიქტისა, გაცილების, ბავშვის მარტო-ხელობაში გაზრდის, ხელმოკლეობის, მოძალებული მამაკაცების იერიშისა, მას დრო უქმად არ დაუკარგავს და ისეთი აზრი მრჩება, რომ ის ისტორიები, რომელსაც მას მიანერენ, ალბათ, იყო, მე ამის მსაჯულად ვერ გამოვდგები, მაგრამ ერთი რამის დამატება შემიძლია, ეს ყველაფერი არა მხოლოდ ქალური გაუმაძღარი ბუნების გამო მოსდიოდა, არამედ, ერთხელ დამსხვრეულ ან იქნებ განუცდელ სიყვარულს ეძებდა... ასე მგონია, თავად ძლიერი ბუნებისა, რამე საშუალოს, უსახურსა და უღიმღამოს ვერ ჯერდებოდა და ეძებდა თავის სწორს, იქნებ მოძებნა კიდევ, ეს კი არ ვიცი...

დანარჩენ მეგობრებზე რა მოგახსენოთ... ჩვენი სახლი ვაგზლის მოსაცდელ დარბაზს მაგონებდა, სადაც ზოგი ხანგრძლივი დროით

დაიბუდებდა, ზოგი მიდიოდა. ყველა თავის საქმეს იკეთებდა ან ვერაფერს აღწევდა და აქაურობას იმედგაცრუებული ტოვებდა. ბევრ მათგანზე არც კი ღირს ლაპარაკი, იმდენად ერთმანეთის მსგავსი და უსახურები იყვნენ. ისინი კოკასთან ეძებდნენ თავშესაფარს, გეზის ჩვენებას ითხოვდნენ მისგან, როცა თვით კოკა გზას იყო აცდენილი და საკუთარი ცხოვრების მოუწყობლობის გამო, დრო წუნუნში გაჰყავდა ან მთელი დღეები ამ ხალხის მიღებასა და გაცილებას იყო. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრებსა და განხეთქილებებს უკვალოდ არ ჩაუვლია. კოკას ცხოვრებაში ბევრი იყო სიხარულის, ურთიერთგაგებისა და სასონარკვეთის დღეები. ასე მგონია, მთელი მისი არსებობა სხვათა განწყობაზე იყო დამოკიდებული, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს მის უსუსურობას და იმასაც, რომ არასოდეს მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის, დამოუკიდებელი აზროვნების პიროვნება არ ყოფილა.

რა, ფსიქოლოგივით ვლასარაკობ? ამის მეტი რა მიკეთებია, შემოგველე? ჩემს ხელში იმდენმა ადამიანმა გაიარა, იმდენი რამ მაქვს განცდილი და ნანახი, ადამიანთა ცნობის საკუთარი მეთოდიც კი გამომიმუშავდა.

გამოგიტყდებით, ამ ჩემი ბედოვლათის წიგნებით გატაცებამ თავიდან საგონებელში ჩამავდო. ზოგი ჭირი მარგებელიაო რომ იტყვიან, იძულებული ვაგხდი, ბევრ მათგანში თვითონ ჩამეხედა. ფროიდს ბევრი ვერაფერი გავუგე. რაცხა, სექსთან დაკავშირებით ძაან კი ართულებს ყველაფერს. ჩემი ჭკუის კოლოფას მეგობრებს მაგაზე საუბარი რომ ჩამოვუგდე, თავიდან სიცილით გაიფხრინენ. სწორად გაგიგიათო, დამამშვიდეს ბოლოს. არ ვიცი, იმათ ჩემს უვიცობაზე ეცინებოდათ თუ ფროიდის გადაჭარბებულ „ჭკვიანობაზე“. ერთი, რა მრჯიდა მეც, მაგრამ ამათ პირზე სულ მაგისი სახელი რომ ეკერათ, ვიფიქრე, აი კაცი, ვინც ამათზე თვალს ამიხელს – მეთქი, მაგრამ ამის მაგივრად, ყველაფერი ამერ-დამერია. მერე სხვა წიგნებს ჩაუფიქრი. ჰეგელის „გონის ფილოსოფიასაც“ კი გავეცანი. ვიკვირთ? სწორად გავიგე თუ არა, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემთვის რაოდენ სამწუხაროც არ იყოს, ერთ დასკვნამდე მივედი: ჩემი შვილი არასოდეს გონიერი არ ყოფილა, და რაც არ ყოფილა, ის საიდან გაჩნდებოდა?

რაო, ახლა მთლად ფილოსოფოსივით ვლასარაკობ? მამ, რა გეგონათ. ჯიბრით, კოკას რაც კი მოჰქონდა, ნაუკითხავს არაფერს ვტოვებდი. ზოგჯერ საუბრის დროს რამე უცხო ტერმინი წამომცდებოდა, კოკა გაღიზიანებული გადმომხედავდა. ეგოისტია. ამ განხრით ცოდნა მარტო მას უნდა ჰქონოდა.

ჩემთვის წიგნიც არ ემეტებოდა. თავის ოთახს ბოქლომი დაადო და სახლიდან რომ გადიოდა, საგულდაგულოდ კეტავდა. შინ რომ იყო, ერთი გაგებედა და მის ოთახში ცხვირი შეგეყო. წარმოგიდგენიათ? ჩემი ფულით ნაყიდ წიგნებს თვალის შესავლებადაც არ მანებებდა. რატომ? ჰკითხეთ თვითონ. მაგის ჯინაზე ყველაფერს ვმოულობდი, ჩემდაუნებურად ისეთ რამეებსაც გავეცანი, რაც მილიონ წელსაც არ დამჭირდებოდა, მაგრამ ჯინაზე არ ვემეგობი. ესენი, ზოგჯერ ამა თუ იმ თემაზე რომ საუბრობდნენ, სიტყვას შევანევი. ჩემს შენიშვნას ყურადღებას არავინ აქცევდა. ვგრძნობდი, განგებ წამიყრუებდნენ ხოლმე, ვითომ ასეთ რთულ საკითხებს რომც გაიფხრინო, ვერ ჩასწვდებო, და ეს ნერვებზე მშლიდა. იცით რას გეტყვით? ადამიანის აბუჩად აგდებას ვერ ვიტან. თავის დროს მაგათნაირი პირობების მეთაედი რომ მქონოდა, უბრალო ბულალტერი კი არა, პროფესორიც გავხდებოდი.

დაუჩემებიათ, საქმოსანი ხარო. მე რა, ეს მაქინაციები და ოხრობები თვითონ მოვიგონე? ცხოვრებამ ტალახის გუნდასავით ისე მზილა და ისე მწიხლა, ლამის ძელქვად მაქცია. კი არ ვუარყოფ, საქმოსანი ვარ, მაგრამ თვითონ არაფრის მაქნისები და დოყლაპიები რომ არიან, ჩემი ბრალია?

თუმცა, თქვენ მართალი ხართ, ჩემიც, საერთოდ მშობლების ბრალიცაა...

აჰ, გადავუხვიე? კი, კი, ახლავე, არ დამავინყდეს. მაგათი ჯიბრში წიგნიც კი დავენერე. გაგიკვირდათ? ერთი კი არა, ორი. კოკას შეუძლია მასალად გამოიყენოს, სახელების და სათაურების გამოცვლა და დასჭირდება. ამაზე შემდგომ? როგორც გენებოთ...

კოკას საკუთარი საქმე და ოჯახი არასოდეს აკმაყოფილებდა. ყოველთვის ვილაცის თანადგომასა და მხარდაჭერას ცდილობდა. ამასთან, ამ ვილაცებს ყოველთვის თავის აზრებს ახვევდა. ამისი დიდოსტატია. ამის გამოც კარგავს ხშირად მეგობრებს. სანამ საფუძვლიანად გავცნობიან, აღმერთებენ, ერთ მშვენიერ დღეს კი მისი დაუძინებელი მტრები ხდებიან.

მახსოვს, მასთან ერთმა ძმაკაცმა სახეანთებული ყმანვილი მოიყვანა. გაცნობის პირველი დღიდანვე ამ ყმანვილს სახლში წასვლა არ უნდოდა. პირდაღებული მისჩერებოდა კოკას. წიგნებს, რასაც კი აწვდიდა, თვალის დახამხამებაში ნთქავდა. საოცრად ფაქიზი ბუნების ბიჭი ჩანდა, მაგრამ სადღაც სიღრმეში უხეში, ფარული ძალა ჰქონდა ჩაბუდებული. ეს ძალა ხშირად ჯებირებს გადმოლახავდა და უნებლიედ ვლინდებოდა. თვალები ველურივით გაუბრწყინდებოდა და ნამდვილ პატარა ურჩხულს ემსგავსებოდა.

ეს ყმანვილი მეტად ნიჭიერი და ძლიერი სულის პატრონი აღმოჩნდა. მშობლები ადრევე დაცილებულან და მათი ანგრეული ცხოვრების გამოისობით სულიერი წონასწორობა ჰქონდა დაკარგული. ცოდნის წყურვილმა კოკასთან მოიყვანა, მაგრამ რა უნდა მიეცა მისთვის კოკას, არ ვიცი. ან რატომ აქვს მას ყველაფრის მცოდნესა და შემძლეს პრეტენზია? ესეც გაუგებარია... ისე კი, ამ ბიჭს, საბოლოოდ გზა აუზნია. სადღაც, ტექნოლოგიურზე თუ ქიმიურზე სწავლობდა. კოკას რჩევით მიატოვა და ფილოსოფიურზე ჩააბარა, მერე სამხატვრო აკადემიაში შევიდა, ბოლოს, ამბობენ, თავი ფსიქიატრიულში ამოჰყო.

ზუსტად არ ვიცი, ასეა თუ არა ეს. შარშანწინ კარები შემოგვიგლიჯა და კოკას სკამის ნამტვრევით დასდევდა. კოკამ ოთახებში ძუნძულის შემდეგ, თავი ცოლის საძინებელს შეაფარა. ყმანვილმა იქ ვერ შებედა, სკამის ნამტვრევი მიხურულ კართან მიაგდო და სახლიდან გავარდა.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფრთხილად, ზედმეტად რომ არ გამეღიზიანებინა, ისე ვკითხე კოკას, ის ყმანვილი რამ გადარია – მეთქი. დაჟინებით მომაცქერდა, მერე წამოიყვირა, ვირო, მადლიო! — თავისი ოთახისკენ გაიქცა და ჩაიკეტა.

ჩვენში რომ დარჩეს, ახია მაგაზე. გზას ააცდინა ის ბიჭი, როგორც ერთ დროს თვითონ ააცდინეს მალხაზმა და ნუკრიმ. იმ ყმანვილის მამის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, კოკას შუბლში ტყვიას დავახლიდი.

აჰ, ჩემგან ამის თქმას არ მოელოდით? მე მაგ კაცს ვგულისხმობ. რატომ? კოკა იმ ყმანვილს ისე ბოროტად მოექცა, და გზა-კვალი ისე აუზნია, სწორედ რომ ამას იმსახურებდა...

იმ ყმანვილს ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა, დღე და ღამეს ასწორებდა, რომ კოკასთვის დამთავრებული ტილო მოეტანა. წინ ისეთი ნაბიჯით მიიწევდა, ვერაფრით იფიქრებდი, მანამდე ფუნჯი ხელში რომ არ სჭერია. მისი ნახატები აკადემიაში რომ უნახავთ, გაცეცხება ვერ დაფარეს თურმე.

თითქმის ყოველდღე მოჰქონდა ახალ-ახალი ნახატი, ახალი ლექსი, მოთხრობა. კოკა კი რამე აზრის ჩამოყალიბებას მთელი დღე უნდებოდა. ერთი გვერდიც რომ შეეცხო, სახლში სრული სიჩუმე უნდა დაგვეცვა. ეს ბიჭი კი სადღაც, ვიღაცის სხვენზე სასწაულებს ატრიალებდა, მისთვის შიმშილი, სიცხე თუ სიცხე არ არსებობდა, ხმაურიან დარბაზშიც კი შეეძლო ეწერა, ეხატა და კოკა წყობიდან ამას უფრო გამოჰყავდა, მგონი შურსაც... და ემალებოდა. გვაფრთხილებდა, უთხარით, რომ შინ არააო. ყმანვილი მოდიოდა, ერთხანს ელო-

დებოდა, დატოვებდა ნამუშევარს, გადაეცით, მისი აზრი მაინტერესებსო და გავარდებოდა. კოკას ამ ყმანვილის ნამუშევრები აცოფებდა. დასაბრუნებელი რომ არ ყოფილიყო, სიამოვნებით დაფხრენდა. ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდებოდა და ამ გაცოფებას იმით ამართლებდა, ვითომ ყმანვილის ნამუშევრები არაფრად ვარგა, იმას კი დასრულებულ მხატვრად და მწერლად მოაქვს თავი, ჩემგან ქებადიდების შესხმას მოელის, რაც არ შემძლიაო. ეს ყველაფერი კი, გეუბნებით, ბლეფი იყო, ისეთივე ბლეფი, როგორც თვითონაა. მერე, როცა ამდენი მალვა უხერხული ხდებოდა, იგი ყმანვილს ნაძალადევი ღიმილით ეგებებოდა. საუბრობდნენ, მისი ოთახიდან ისმოდა ყმანვილის გაბმული ბარიტონი, კოკას საეჭვო ჩახველება (როცა ვინმეს რაღაცაში არ ეთანხმება ან წერვიულობს, ხველა ახრჩობს ხოლმე), ზოგჯერ აუტანელი პაუზა. მერე ყმანვილი სახეანთებული გამოვარდებოდა, მოგვესიყვარულებოდა. კოკა გამომცდელ მზერას არ გვაცილებდა. ამ ყმანვილთან ურთიერთობით საშინლად სავათდებოდა. ეტყობა, თავის უძლურებას ყმანვილის დამანგრეველ ენერგიულობას, ნიჭიერებასა და ხელხვაგობას ადარებდა და ეს უფრო ანადგურებდა. ყმანვილს რომ გააცვილებდა, თავის ოთახში მძიმე ავადმყოფივით შელასლასდებოდა, საწოლზე დავარდებოდა და გმინავდა...

წარმოიდგინეთ, მისი უსუსურობის გამო როგორ ვიტანჯებოდი. რამე არ მოინიოს-მეთქი, ვდარაჯობდი, მის ოთახის კარებთან მივიპარებოდი და ყურს ვუგდებდი. ერთხელ, ასე მიყურადებული გამომიჭირა. კარებთან რას ჩაკუზულხარ, იქნებ ჩემი გულისცემის გაშიფვრაც გნადიო, მიყვირა და უშვერი სიტყვებით მთათხა. აი, მაგაზეა მართლაც ნათქვამი, ვირო მადლიო, და არა იმ ყმანვილზე.

გამაგებინა და მერე მომკლა, რა უნდა ამისგან იმ ხალხს, ნუთუ ამაზე ჭკვიანი ვერავინ ნახეს?...

ჰო, ერთი მეტად საინტერესო ახალგაზრდა მოდიოდა კიდეც ჩვენთან. პოეტი იყო, ლერი ერქვა. ნიჭიერი ჩანდა. ხშირად იბეჭდებოდა, მაგრამ ბოლო ხუთი წელია, მისი ლექსისთვის თვალი არსად მომიკრავს. ეტყობა, ან არ გაუმართლა, ან სიდუხჭირის მორევმა ჩათრია და ველარ ამოყვინთა.

სოფლიდან ახალი ჩამოსული იყო, მაგრამ გეგონებოდა, ქალაქში ჰქონოდა ჭიპი მოჭრილი. ისე მოხდენილად იცვამდა, თვალი ზედ დაგრჩებოდა. თავისებურად მიყვარდა. წვრილმანებზე არასოდეს ხურდავდებოდა. შეუდარებელი იუმორის გრძნობა ჰქონდა. მხოლოდ მას შეეძლო ისე მსუბუქად ეხუმრა,

მხოლოდ მას შეეძლო მინდვრის ბალახების კონა მოერთვა და უძვირფასეს თაიგულად მოეჩვენებინა. ან სად ჰქონდა ამდენი ქათქათა პერანგი, ამდენი კეთილი სიტყვა, ამდენი მოთმინება, რომ კოკასთვის გაეძლო. შეხედავდი თუ არა, იგრძნობდი, ნაღდი ტიპი იყო, არავითარ შემთხვევაში არ დაგაღალატებდა, არ გიხიმაკლებდა... მაგრამ კოკას ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო. იჩხუბეს. ერთმა ბიჭმა მომიყვა, ყველაფერი პირში მიახალაო. კოკა მაშინ შინ რომ დაბრუნდა, მკვდარს ჰგავდა. ჩაიკეტა და მთელი კვირა კარში არ გასულა. ვერ აგინერთ, როგორ დამწყდა იმ ბიჭზე გული... და კოკაზეც. იმ ბიჭზე იმიტომ, რომ მას შეეძლო ჩემი შვილისთვის ძმობა გაენია. კოკაზე კი, საცოდავი და გზასაცდენილი რომ იყო, ამის გამო...

მაინც ვერ გავიგე, რაზე იჩხუბეს, ან რა იყო მიზეზი, რომ ერთმანეთი ასე სამუდამოდ შეიძულეს.

იმ დღიდან კოკას მის სახელს ვერ უხსენებ. ჩემთვის მოკვდაო, უყვიროდა ერთ თავის ძმაკაცს, მაგრამ არა მგონია მართლაც ასე იყოს. მას იმ მეგობრებიდან არც ერთი არ დაეინყნია. ან რომელიმე მათგანი როგორ დაავიწყდება. მიუხედავად იმისა, რომ იმ ბიჭთან „თქვენობით“ ვიყავი, ახლაც ჩამესმის მისი ალერსიანი, გულისშემძვრელი სიცილი. ასე მხოლოდ კეთილი ხალხი იცინის. კოკას მასთან ურთიერთობაში, ჩემი აზრით, არაფერი უნდა შემლოდა. იქნებ პირიქით იყო, იმას შეეშალა, როგორც თავის დროზე მალხაზს? ზუსტად ესეც არ ვიცი.

ლერი

ჩემს სახელს ვერ უხსენებ? ძალიანაც კარგი! ერთი მეც მკითხოს, მისი გახსენება თუ მინდა. როგორ ამოვშალო იგი მახსოვრობიდან, რა მოვიმოქმედო, რომ მისმა აჩრდილმა ერთხელ და სამუდამოდ თავი დამანებოს!

ვენერას სიმართლის ბოლომდე გამხელა არ უყვარს, თორემ მასზე უკეთ მის შვილს დედამინის ზურგზე ვინ იცნობს. მთავარს და მნიშვნელოვანს ყოველთვის გვერდს უვლის. ეს თვისება დედა-შვილს ძვალ-რბილში აქვს გამჟღადარი. ორივენი ხრიკების დიდოსტატები არიან. ეს საიდუმლო მექანიზმები ფილიგრინულად აქვთ დამუშავებული, რისი გამოყენებაც ასევე ვირტუოზულად ემარჯვებათ. ჩემნაირი გამოუცდელი და გულუბრყვილო კი არა, თითზე მგლის თავის მჭამელებიც დაუხვევიათ.

რისთვის სჭირდებოდათ? როცა მივხვდი, სიმართლესა და სიცრუეს მათში ერთნაირი

გასავალი რომ ჰქონდა, სწორედ ეს კითხვა დამებოდა. ჯერ გავოცდი, მერე გავბრაზდი და მათთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე.

რაო, გამომესწორებინაო?... ვინ?... ვენერა?... კარგით ერთი, სიცილით არ მომკლათ. კოკა?... ის დედამისზე ნაძირალაა. წარმოიდგინეთ, დედამისს შოკშიც კი ავდებდა, იმდენად საშიშად იყო ჩამოყალიბებული. გარეგნულად ბოთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ნებისმიერ დროს ისეთ მამაძაღლობას გამოაგდებდა, თავბედს განყევლინებდა.

რისთვის სჭირდებოდათ? ეს კარგი კითხვაა. ცხოვრებისთვის. სხვა უნარი და ნიჭი მათ არც გააჩნდათ, ვიღაცის გაცურების, ვიღაცის გადაგდების ხარჯზე არსებობდნენ. მათ ნაცნობებსა და ახლობლებს ეგონათ, კარგად ცხოვრობდნენ (მე ის კომფორტი როდი მაქვს მხედველობაში, რაც დედა-შვილმა ათასი ცბიერებითა და ხერხებით მოიწყო), მაგრამ საკმარისი იყო, ამ სახლში ფეხი შეგედგა და, ერთმანეთისადმი სიძულვილისა და დაუნდობლობის მყრალი სუნი ცხვირს აგინავდა.

დიდხანს მატყუეს. გამოუცდელი ვიყავი და ამით ისარგებლეს. ისინი სწორედ გამოუცდელებს შეაბამენ ხოლმე ეჭვანს, თორემ ოდნავ გამოქექილები მაშინვე შიფრავენ.

ჩემგან რა უნდოდათ? თითქოს არაფერი, დახმარება თვითონ მჭირდებოდა. ხელს მიწვდიდნენ. რამდენჯერ სამი დღის უჭმელ-უსმელი მივდგომივარ, დავუპურებივართ. სახარჯო ფულიც მოუციათ; გავუმხნევებივართ. მეც მათი ხელგამლილობითა და თანაგრძნობით გულაჩუყებული, სხვათა შორის შემოცურებულ მის მდარე ლექსებსა და მოთხრობებზე ვმუშაობდი. აშკარად უუნარო იყო, თუმცა განათლებული. ეტყობა ეს მხარე მიზიდავდა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერში გავერკვიე და სიმართლე მორიდებით ვუთხარი. არც არაფერი უთქვამს. ასე ჩანდა, თითქოს თავის უუნარობას შეგუებულიც იყო. მერე ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების თარგმნა შემომთავაზა. პწკარედები მზად ჰქონდა, მე კიდევ მხატვრულად უნდა გამეღიქსა. დავყაბულდი. იმდენად სერიოზული და საინტერესო სამუშაო იყო, მთელი წელი მოვანდომე. იმან ინგლისური კარგად იცოდა და ტექსტებს მიმართავდა, თავისებურად მეხმარებოდა, მაგრამ ის ჯოჯოხეთური შრომა მაინც ჩემს კისერზე გადავიდა. წიგნი ორ ვარიანტად გაკეთდა. იგი ალტაცებას ვერ ფარავდა, თარგმანი მისი თქმით, კარგი გამომივიდა. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ, როცა საქმე გამოცემაზე მიდგა, გაირკვა, რომ წიგნს ორი ავტორი ჰყავდა, ის და მე. პწკარედების შემდგენლობას არ

სჯერდებოდა. თვითონ ხომ მშვენივრად იცი, რომ პოემის მთარგმნელი არა ხარ და ასეთ რამეს რად სჩადიხარ-თქო. სიცრუის დამტკიცებას თავგამოდებით ცდილობდა. მაშინ, მიდი, მხოლოდ შენი გვარით გამოეცი-თქო. ამან ცოტა არ იყოს, შეაშინა. მაგას ეგონა, ჩემი ყიდვა შეიძლებოდა.

ყველაფერი ეს იქით იყოს. მათ სახლში რამდენ უცნაურ, ხელმოცარულ, გზასაცდენილ, ნიჭიერ, ავანტიურისტ ხალხს ვხვდებოდი. ისინი ურთიერთისგან მრწამსით, გაქანებით თუ ინტერესებით ისე განსხვავდებოდნენ, ძალაუნებურად დაეჭვდებოდი, რა საერთო ჰქონდა მათთან ან როგორ ახერხებდა ყოველ მათგანთან ენის გამონახვას. იგი ადამიანთა კოლექციონერს ჰგავდა. როგორც კი გაიცნობდნენ, მათი უმრავლესობა გარბოდა, მაგრამ კოკას მათზე სრული ინფორმაცია რჩებოდა. ისეთი გულითადი საუბარი იცოდა, ისინიც ნდობით ეკიდებოდნენ და ზოგჯერ, ისეთ საიდუმლოებებს დასცინცლავდა, მღვდელთან აღსარებაზე რომ დუმდებოდნენ.

ერთხელ, ვილაც მაიმახი ტიპი დამახვედრა. შტერი გეგონებოდა. რალაც სისულელეებს მიედ-მოედებოდა, მაგრამ როგორც კი საუბარში ჩავერთე, თვალეში მისი გარეგნობისა და ქცევისთვის უჩვეულო გონიერებამ იელვა. მივხვდი, ეს კაცი რალაც როლს თამაშობდა, მაგრამ ეს კი ვერ გავიგე, ჩემგან რა უნდოდა. გაშინაურება რომ მომიხდომა, ცივად შევხვდი. თავი ისევ მოიკატუნა, თითქოს შემეშვა. მომდევნო დღეებში ქალაქში ხეტიალისას რამდენიმეჯერ შევეფეთე. ვითომ ყურადღებას არც მაქცევდა, თითქოს რალაც საშურ საქმეზე მიიჩქაროდა. თვითონ კოკასგან ვცადე მისი ვინაობის გარკვევა. სიტყვა ბანზე ამიგდო, მაგრამ ეს წაყრუება არ გამოუვიდა. ჩემი ეჭვები გავუმხილე. ახტა და დახტა, შენც სხვებივით უმადური გამოდექი, მშიერი რომ მოდიოდი, მაშინ ასეთი რამეები რატომ არ გეჩვენებოდა, პატიოსან ხალხს ცილს სწამებო და ა.შ. სამი კაცის თანდასწრებით ვიკამათეთ. იმათ გამამტყუნეს, კოკას მხარეზე დადგნენ. მათი მხარდაჭერით გულმოცემულმა კოკამ გამლანძღა, პროვინციელი და პროვოკატორი მიძახა.

ჩვენი ურთიერთობა ამით დამთავრდა. როგორც გინდათ ისე ჩათვალეთ და, მე მას ვერ ვიტან. ის ხალხიც არ მიყვარს, ვინც მაშინ არ დამიჯერა. მისი ძალა მოგვიანებით ყველამ სათითაოდ ინვნია. მერე მწარედ მიხსენებდნენ, მაგრამ მაშინდელი აბურად აგდება ვერავის ვაპატიე. ერთმა ძმაკაცმა მითხრა, ქრისტიანი ხომ ხარ, აპატიეო. დიდი ბოდიში, მაგრამ არსებობს ცოდვები, რისი მიტევების უფლებაც, ჩემი აზრით, სწორედ ქრისტიანს არ უნდა

ჰქონდეს. მაშინ ქრისტიანობა აბდაუბდა ყოფილა. იმ დანაშაულისთვის ღმერთი გადაუხდისო, იტყვიან ხოლმე (უფალმა მომიტევოს ეს მკრეხელობა), მაგრამ როცა რალაც სისაძაგლის მონმე ვართ, თვითონ უნდა აღვკვეთოთ, რადგან ყველაფერზე გაჩუმების, ყველაფრის პატიების უფლება არა გვაქვს. ხოლო, იმქვეყნად ღმერთი ვის რა პასუხს მოსთხოვს, ეს მისი საქმეა.

ათეისტივით ვაზროვნებ? რატომ გიკვირთ? მე ამ დროის შვილი ვარ. თანაც იმ ხალხის უმრავლესობა, ვისთანაც შეხება მქონია და თავი ქრისტიანად მოჰქონდა, ათეისტებზე უარესები იყვნენ. თუ კოკას თავი მორწმუნედ მოჰქონდა, რატომ იყო სატანურ საქმიანობაში ჩართული? ის საქმიანობა და რწმენა როგორ შევეუთავსოთ ერთმანეთს? თუ პოზა იყო, გასაგებია, მაგრამ მოძღვართან რატომ დადიოდა. არცერთ წირვა-ლოცვას რომ არ აკლდებოდა? სისაძაგლეთა წილ ვითომ მონანიების მიზნით იყო ხოლმე ხატების წინ დაჩოქილი? მაგრამ მონანიება ხომ მრავალჯერადი აქტი არაა. როგორც ცნობილია, სულის გასხივოსნება მხოლოდ ერთხელ ან საერთოდ არ ხდება. კოკასნაირ ხალხთან ურთიერთობამ ჩემს გულუბრყვილობას საფუძველი გამოაცალა. ვიცი, რომ ამით ამაყობა სისულელეა, მაგრამ მაქსიმალისტი გავხდი. მაქსიმალისტებს კი კარგად იცით რა ბედიც ეწევათ ხოლმე.

ამასწინათ მალხაზი შემხვდა. უფრო მე შევხვდი. ის ახლა დიდი კაცია (სხვებისთვის, თორემ ჩემთვის ისეთივე სნობად დარჩა, როგორც მანამდე იყო), მაგ მაქსიმალიზმი დაგლუპავს შენო, მისაყვედურა კაცმა, ვინაც ჩემზე ათასგზის მაქსიმალისტი და ეგოცენტრიკოსია. მაინც ვერ მაპატია, რომ ვერ დამიმორჩილა. რა საოცარი ხალხია, ყოველ საქმიანობას სხვისი დამორჩილებით იწყებენ. გამაგებინეთ, ესენი თვითონ თავისუფლები არ არიან და სხვას თავისუფლებას როგორ მიანიჭებენ?..

თემას გადაუხვით? ჰო, კოკას და ვენერას მალხაზივით ვინ იცნობს. ერთი მასაც მოუსმინეთ. რაც შეეხება ჩემზე ვენერას ნათქვამს, კოკასთვის ძმობის განწევა შეეძლოო, მართალია. ის მურტალი ჩვევები რომ არა, ჩემზე ერთგული ძმაკაცი არც ეყოლებოდა. მე მეცოდება მისი გოგონა. მისი ცოლი არა. იმან მგონი ბევრი რამ იცის. მეცოდება ის პატარა ანგელოზი, რომელიც იუდას მონაგარით იზრდება. რისთვის გააჩინეს ეს პატარა ბრიალა ველური ყვავილი ან ამ სატანჯველისთვის რად გასწირეს? რაო, კოკამ არ იცის, მის ცოდვებს ამ გოგონას ან მის მთამომავლებს რომ მოჰკითხავენ?

მალხაზ

ლერი რალაც-რალაცებში არ ტყუის... კოკასთან არაფერი შემშლია. პირიქით, იმან და დედამისმა რამდენიმეჯერ აქეთ დამიშავეს. ჩემი ოჯახი მათი მხრიდან შეურაცხყოფას არ იმსახურებდა.

ვენერა ყოველთვის თავის სასარგებლოდ ლაპარაკობს. კოკას რომ ლანძღავს, თავის თავს ანგელოზად წარმოგიდგენთ. ამით უნდა, რომ შვილის ჩადენილ შეცდომებზე პასუხი არ აგებინონ. ეს მისი მეთოდია. შვილს შენთან იმიტომ კიცხავს, რომ ენა დაგტყუოს, და ვაი იმას, ვისაც კოკაზე ძვირი დასცდება. შეიძლება იმ წუთში ეს ვითომ არაფრად ჩააგდოს, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ერთ დროს წყენას ცხვირში ძმრად ამოგადენთ...

ჩემზე მაგას სალაპარაკო სწორედ რომ არაფერი აქვს. მაშინ მის შვილს მე და ნუკრი შემთხვევით რომ არ გადავყროდით, სადმე ზონაში უკანასკნელი სალახანასავით ამოძვრებოდა სული. გამოვარიდეთ იმ ქაობს, თითქოს გზაზეც დავაყენეთ, მაგრამ რით გინდა ამ ქალის გული მოიგო?... თუმცა, არასოდეს სხვისი გულის მოსაგებად ნაბიჯიც არ გადამიდგამს. ეს ისე, სიტყვის მასალად.

ერთხელ მე და ნუკრი ვერაზე ვილაცხას ველოდებოდით. მზე ქვაფენილს ისე აჭერდა, ვიფიქრე, შენობებმა ქანაობა იწყეს-თქო. ნუკრის რამდენჯერმე შევახსენე, ნავიდეთ აქედან-მეთქი, მაგრამ ჯიუტად ფეხს არ იცვლიდა. ქუჩის კუთხეში ხმაური ატყდა... ორი ერთ, ტანთხელ, ქერათმიან ბიჭს სცემდა. იგი ფეხზე ძლივს იდგა, მუშტებს უმისამართოდ იქნევდა. ხალხი გულგრილად ადევნებდა თვალს, ორი ჩაფსკენილი ყოყლოჩინა როგორ უსწორდებოდა ამ მოთავებულ ტიპს. ვილაც შავქოლგიანმა დედაბერმა ხმაური ატეხა, ქალაჩუნებო, კაცს კლავენ, თქვენ რა გულზე ხელი დაგიკრფითო. დედაბრის შეძახილი ნუკრისთვის ნიშანი აღმოჩნდა. თვალისდახამხამებაშიმუშტი-კრივში გადაეშვა. ასევე თვალის დახამხამებაში გააქცია ის ყოყლოჩინებიც, მერე სეირის მაყურებლებს დაიშალეთო, უყვირა და ის მოთავებული ტიპი ჩემთან მოიყვანა. ბიჭს სახეზე ფერი არ ედო, პერანგის აწყვეტილ ლილებს აკანკალებული თითებით ამაოდ ეძებდა. ნუკრიმ მხარზე ხელი შეახო, უბიძგა და კაფესკენ ნავიძღვა. ბიჭი კაფეში დამშვიდდა. დალაგებით მოყვა, ჩხუბი რის გამოც გადახდა. იმათი მხრიდან ჩვეულებრივი „პაკაზუხობა“ იყო, ამისი მხრიდან, ცოტათი გოიმური რეაქცია. მიუხედავად სუსტი ფიზიკური აღნაგობისა, წინააღმდეგობის განევა მაინც რომ შეძლო, ნუკრი ამან

მოაჯადოვა. გაამხნევა ბიჭი და კაფედან რომ გავედით, მასთან უკვე ძველი ძმაკაცავით მასლაათობდა.

ეს ბიჭი კოკა იყო. ნუკრისგან განსხვავებით, მან რატომღაც ვერ მიმიზიდა და მათ ასე სწრაფ დაახლოებას ნუკრის ვილაცხაზე მეურვეობის განევის სურვილს მივანერდი. ახლაც ასე ვთვლი. მაშ, რა საერთო ჰქონდა ამ უღიმღამო, მოქაჯო ტიპთან? ნუკრიმ მისთვის დამახასიათებელი გულლიაობით დაიახლოვა და მალე კოკა ჩვენი წრის ერთ-ერთი განუყოფელი წევრი გახდა.

ჩვენი წრე ათამდე ძლიერი გაქანებისა და შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდისგან შედგებოდა. კოკას ჩვენთან შეთვისება ზერეღე წარმოდგენებისა და დაბალი განათლების გამო თავიდან გაუჭირდა. ერთთავად უადგილო ადგილას იქაჩებოდა, იარაღზე იყურებოდა. ნუკრიმ სიტყვა ჩამოართვა, თუ ჩვენს გვერდით ყოფნა გინდა, შენთვის ჩვეულ ცხოვრების წესზე ხელი აიღეო...

ერთი რამ ახლავე უნდა გითხრათ, კოკას ტიპის ხალხი მხოლოდ შემსრულებლად თუ გამოდგება. ეს მაშინათვე გავანდე ნუკრის, მას არაფრის გაგონება არ სურდა.

კოკას განათლების მისაღებად შესაშური სურვილი და მონდომება აღმოაჩნდა. ეს იყო, შემოქმედებით უნარს იყო მოკლებული, და სწორედ აქ დაუშვა ნუკრიმ შეცდომა. მასთან მოხვედრილ ახალგაზრდებს უჩიჩინებდა, ეხატათ, ეწერათ ლექსი და მოთხრობა. ამაში ცუდს არაფერს ხედავდა და მართლაც, თითქოს, საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, ყოველივე ეს კეთილად არ დასრულდებოდა.

სამოც-სამოცდაათიან წლებში ჰემინგუეი და ჯეკ ლონდონი დიდ მოდაში იყო. მათი მიბაძვით თითიდან გამოწოვილი ორი მოთხრობით დაიწყო კოკამ. ჩვენს წრეში ვილაცხამ მოუნონა და ამან მასზე დამღუპველი ზეგავლენა მოახდინა. დაიჯერა, რომ მწერალი იყო. სახლიდან კვირეები არ გამოდიოდა. ჩვენები იგებდნენ, სანერ მაგიდასთან ათენ-ალამებდა თურმე. შედეგი? საშუალოზე დაბალი დონის, უღიმღამო მოთხრობები, რომელთაც, ხელოვნების ნიმუშებამდე ამაღლება არასოდეს ეწერა.

სამწუხარო ის იყო, მან ლიტერატურის თეორიები შესანიშნავად აითვისა, მაგრამ თავისი „ქმნილებების“ შეფასებისას ეს თეორიები, თითქოს თითებს შორის უჭრებოდა, სინამდვილის აღქმა უჭირდა. პირადად ჩემთვის აუტანელი იყო ასეთ დაკომპლექსებულ კაცთან ურთიერთობა. ამის ხმამაღლა თქმასაც ვერიდებოდი. ვატყობდი, მას ყველაზე

მეტად ჩემი აზრი აინტერესებდა, მისი „ნაღვანისადმი“ ჩემი დამოკიდებულება კი პირუთვნელი იყო. ეტყობა, მაშინ შემძულა, მაგრამ ურთიერთობას მაინც არ წყვეტდა, რადგან ამ შესტით ყველას უნდა გამომშვიდობებოდა, ხოლო ასეთი გმირული ნაბიჯის გადადგმა, მის ძალებს აღემატებოდა. ამას იმითაც ვხსნი, რომ მალემრწმენი იყო. პოზიციაც გარკვეული არ ჰქონდა და ხელს იმის გამო არ ვკრავდი, ისევე ძველ, ქუჩას გათამამებულ ძმაკაცებს არ მიბრუნებოდა.

კეთილი გულის პატრონის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თავისებურად ხელგაშლილი ჩანდა. თავისებურად, იმიტომ ვახსენე, რომ ზოგჯერ ისეთ ვინმეს გადაჰყვებოდა, ვისაც შესაძლოა, ცხოვრებაში მეორეჯერ არც შეხვედროდა, ხოლო მის გვერდით გაჭირვებაში ჩავარდნილს ვერც შენიშნავდა. ნუკრიმ, თითქოს, ამისი დანახვაც ასწავლა, მაგრამ თუ ადამიანს ავისა და კარგის გარჩევა ბუნებით არ სჩვევია, ამისი სწავლება შეუძლებელია.

მისთვის, როგორც ვენერას დაუჩემებია, არასოდეს რამის ყიდვა არ დაგვივალებია. ყოველთვის თვითონ იქაჩებოდა. იძენდა ლიტერატურას, საბეჭდ მანქანას თუ მაგნიტოფონს. იყო შემთხვევა, როცა ხარჯებს ვინაწილებდით, მაგრამ ყველას მაგივრად ის იხდიდა, თავის გამოჩენა უნდოდა. როცა კაცს ამისი დიდი სურვილი ამოძრავებს, ჩემი აზრით, ხელი არ უნდა შეუშალო.

ვენერამ მამაჩემს რამდე-ნიმეჯერ დაურეკა, მალხაზმა კოკას თავი დაანებოს, თორემ შენი დიდკაცობა სულაც არ მადარდებს, ამას ვიზამ და იმასო. მაგ ქალს ნესიერად არც ვიცნობდი და არც ახლა ვიცნობ. ან რა საერთო მქონდა იმ საშინელი წარსულის მქონესთან, არ ვიცი?

ადგეს და მითხრას, რა დავუშავე პირადად მის შვილს? მაგას ნუკრი მეურვეობდა. მეგობრად არასოდეს მიმიჩნევია. როგორც პიროვნება, არ მაკმაყოფილებდა, თანაც ჩემზე ნაკლები მძიმე ხასიათი როდი აქვს. ყოველთვის ვგრძნობდი, რაღაცაში მეჯობებოდა, რაღაცით უნდოდა თავის გამოჩენა. არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასე იყო. თავიდან კი, მაგრამ მერე და მერე შენიშვნას ან რამის შესწორებას ვერ იტანდა. წარმოიდგინეთ, კაცს რაღაც მნიშვნელოვანზე ესაუბრები, მაგრამ გრძნობ, შენი არ სჯერა. არ მესმის, ტყუილ-უბრალოდ რას მალაქლაქებს, თუ არ უნდა, კეთილი ინებოს, თავის გზაზე წავიდეს და სხვა რამე აკეთოს ან თვითონ ფუჭად რად კარგავს დროს. მოკლედ, შევატყვე, ჩემს მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი. ერთხელ ვუთხარი კიდევ. ვერ წარმოიდგენთ,

როგორ აიმღვრა, წონასწორობა დაკარგა, სასტიკი სიტყვები მიძახა და ჩემდამი სიძულვილი უნებურად გამოააშკარავა.

მაშინ ვთქვი, ეს კაცი ჩვენთან ნამდვილად შემოგზავნილია-მეთქი, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, რადგან, იმხანად ევროპაში საკმაოდ პოპულარული ფილოსოფიური სკოლის დოქტრინას ვსწავლობდით. მთავრობა კი დაინტერესებული იყო, ახალგაზრდობა ინერტულ მასად ექცია და არა განათლებულ, დამოუკიდებელ პიროვნებებად, რათა ისინი მორჩილებაში ჰყოლოდა. ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. ებრძოდა ყოველგვარ საღ აზრს, ადამიანთა ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც სულიერი თუ ინტელექტუალური ინტერესები აერთიანებდა. იმათ სამომ ძალად მიაჩნდათ ჯგუფები, რომლებიც რაღაც კონკრეტული მიზნისთვის იღვწოდნენ. ცდილობდნენ, გამოევილინათ ეს ჯგუფები, დაედგინათ, რას ფიქრობდნენ სახელმწიფო სისტემაზე, თუ საშიშად არ ჩათვლიდნენ, ხელს არ უშლიდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, საშიშროების იოტისოდენა ელემენტი შეენიშნათ, რომ იმ წუთში მათ წინააღმდეგ ფარულ თუ აშკარა ბრძოლას იწყებდნენ. ამის გამო დამაეჭვა კოკამ. ჩვენს წრეში იგი ყველაზე დაბალი შესაძლებლობისა იყო, დედამისის საჩივრებიც ამაგრებდა ამ ეჭვებს. ჩემი ვარაუდი არავისთვის გამომხვლია, ერთადერთხელ ჩავუკარი ნუკრის, რა საერთო გაქვს ამ კაცთან-მეთქი. მაგრამ ნუკრი რისი ნუკრია, განწირულთა მხსნელი და ქომაგი! შეიძლება, ის ჩემზე უკეთესად გრძნობდა ყველაფერს, მაგრამ კოკას მიმართ თავისი დამოკიდებულება ხმამაღლა არასოდეს გამოუხატავს იმის გამო, რომ ბუნებით ზედმეტად მიმტყვებელია და ვინმეს წყენინებას გაურბის.

კოკა და მე ნელ-ნელა დავცილდით. ჩემს გამოჩენაზე აშკარა სიძულვილი იელვებდა ხოლმე მის სახეზე. რას არ მიგონებდა, რა არ შეთხზა ჩემზე და ჩემთან ურთიერთობის შესახებ. ამაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება არც ღირს. ჩვენს შორის მტყუანის გარჩევა თუ გსურთ, კარგად დააკვირდით და დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომინდია-მეთქი, ვაფრთხილებდი ყველას. დრომ დაამტკიცა, ვინ იყო მართალი.

კოკა

ეგ ტყუილია. არ მძულვია. ან რატომ უნდა მძულვებოდა, არ ვიცი? მაგას ჩემზე იმხელა ამაგი აქვს, პირიქით, მის მიმართ მაღლიერე-

ბის გრძნობით ვიყავი ავსილი. ჩემი ნაწერების გამო ზედმეტი ილუზიები არასოდეს ჰქონია და ეს თავის დროზე მაგრძნობინა. ტყუილად ჰგონია, რომ ამის გამო შევიძლებდი. გასაოცარი უფრო ის იქნებოდა, ქუჩიდან მოსულ კაცს რამდენიმე თვეში შედევი დამედო. ჩემთვის იმჟამად მთავარი მაინც ის იყო, დედაჩემისა და უბნელების მეურვეობისთვის თავი როგორმე დამეღწია. მე ხომ ოცდასამი წელი თითქმის ფუჭ ცხოვრებას ვწვდი. ქეიფი, ცეკვა-თამაში და მსუბუქი ფლირტები იყო ჩემი გატაცება. დედაჩემს კიდევ ფულის შოვნის მეტი არაფერი ახსოვდა და ამავე გზაზე უნდოდა ჩემი დაყენება.

უცნაური იყო ჩვენი გაცნობა. თუმცა, მე მგონია ასე, თორემ მალხაზისთვის ერთი ჩვეულებრივი შეხვედრა იყო და მაინც, ის დღე ჩემთვის ხელახლა დაბადების ტოლფასი იყო. იმათ ძირფესვიანად შეცვალეს ჩემი ყოველდღიურობა, გამარიდეს იმ შავ სამყაროს, თუმცა, ცხოვრების შეცვლის სურვილი თვითონ რომ არ მქონოდა, ძვრას ვერ მიზამდნენ. ის წრე უკვე დიდი ხნის მოძულებული მქონდა მისთვის დამახასიათებელი მარტივი ურთიერთობებით, ანგარიშსწორებითა და გაუტანლობით. თითქოს ჩემი სულიერი სწრაფვა და ნუკრისა და მალხაზთან შეხვედრა ერთმანეთს დაემთხვა. ეს შეხვედრა რომ არა, არ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი. როგორ შეიძლება იმ დღეთა დავინწყება! ნუკრიმ ღმერთივით თიხიდან მომზილა თითქოს და სული ჩამბერა. ნუკრი ჩემი მფარველი ანგელოზი იყო. იმდენი რამ მომცა, ჩამოთვლაც კი მიჭირს.

ჩვენი გზები ასჯერ გაიყარა. ნუკრიმ გადასახლებები მოიარა, ათას ტანჯვა-წამებას გაუძლო და სუფთად გადარჩა. ჩვენ ერთმანეთი არასოდეს დავგიკარგავს. აი, მალხაზი და მე კი სამუდამოდ გადავემტერეთ ერთმანეთს, თუმცა, უფრო ის გადამემტერა.

იმის გარკვევა, თუ ჩვენს შორის ვინ იყო მტყუანი, შორს წავიყვანს. იმ დეტალების გახსენება არც მინდა, ჩემზე დამორგუნველად მოქმედებს. მთავარს კი აუცილებლად გავიხსენებ.

მალხაზს არ მოვეწონე. ამას მაშინვე მივხვდი და შევეგუე. ჩვენ შორის დარჩეს და, რა აუცილებელი იყო, მაინცდამაინც მოვწონებოდი. მას ეს ხმამაღლა არასოდეს წამოსცდენია, მაგრამ გამოხედვით, ჟესტებით, მომართვის ყაიდით ვგრძნობდი, მისი დამოკიდებულება ჩემს მიმართ გარკვეული იყო. ხანდახან მეგონა, მის თვალწინ თავი რომ მომეკლა, არ დაიჯერებდა. უნდობლობა ძვალ-რბილში

ჰქონდა გამჯდარი. წლების მანძილზე დევნამ იგი ეჭვიან კაცად ჩამოაყალიბა, ხოლო საკუთარ თავზე ის არაჩვეულებრივი წარმოდგენა მამამისმა შეუქმნა.

ჰო, მამამისმა. თვითონ ის კაცი არტისტული ბუნების პიროვნება იყო, ძლიერი ნებისყოფისა და გონების პატრონი. შვილი დიდი კაცი უნდოდა გამოსულიყო, მაგრამ ეტყობა, თავიდან მიხვდა, რაც არ უნდა მოემოქმედა, სანადელს ვერ მიაღწევდა და მისი ნება სულ სხვა მხრით მიმართა. ის იყო მალხაზის სითამამისა და წრეგადასული თავხედობის ავან-ჩაევანი. ის კაცი მალხაზის პატივმოყვარეობას თითქოს ყოველდღიურად, საგანგებოდ ანოყიერებდა, ჩააგონებდა, რომ მისი სწორი ქალაქში მეორე არ იყო. თავისი ჭკუით, თითქოს რაინდად ზრდიდა, მაგრამ მისმა გარჯამ სავალალო შედეგი გამოიღო, შვილი საშინელ ეგოცენტრიკოსად ჩამოყალიბდა.

დედამისი, უსათნოესი და განწონასწორებული ხასიათის ქალბატონი, მეუღლეს ხელს უშლიდა, ცდილობდა, მალხაზის პიროვნება ღვთისმოშიშობითა და ადამიანთა სიყვარულით ესაზრდოებინა. ეს ქალბატონი მალხაზზე მართლაც დიდ გავლენას ახდენდა. ორჯერ თუ სამჯერ შეესწრებივარ, როგორი ბავშვური, გულმართალი და მორჩილი ხდებოდა დედის გვერდით. ეს ქალბატონი მისი ნამუსის მცველი იყო. ბევრ რამეშიც ამუხრუჭებდა. რამე ფათერაკი რომ გადახდებოდა, რამდენჯერ უთქვამს, დედაჩემმა რომ გაიგოს, თავს არ ვიცოცხლებო.

კარგად მახსოვს დედამისის გარდაცვალება, უფრო კარგად, პირველ პანაშვიდზე ჩვენი მისვლა. ახლაც თვალწინ მიდგას მალხაზის სახე. ისე გამოცვლილიყო, ძლივს ვიცანი. მის მიმართ თანაგრძნობით აღვივსე. ერთიანად დათრგუნული ჩანდა, მოხუცი მამისკენ ჩუმად აპარებდა თვალს. ერთთავად იმის ცდაში იყო, როგორმე გაემხნევებინა.

მაგრამ მის გარეგნობასა და მიმოხვრაში გლოვის გარდა, რალაც იდუმალ შტრიხებსაც ეჩინა თავი, რაც სხვებმაც შენიშნეს. რაოდენ გავოცდი, როცა მივხვდი, რომ ეს ცვლილება დედამისის გავლენის სფეროდან თავის დაღწევის ნიშანი აღმოჩნდა. სულ მალე ეს იერი უფრო გამოკვეთილად დაეტყო.

და მართლაც, დედის გარდაცვალების შემდეგ, მისი უჯიათი ხასიათი უფრო გამოამჟღავნა. შეცდომებზე შეცდომებს უშვებდა, გადაემტერა უამრავ ხალხს და ამას არც კი ნანობდა. იმ პერიოდში მეც ჩამოვცილდი.



ლევან
სანიძის

ლევან სანიძის

ლეღვაში გვტაცებდა ფიქრს ელადა,
ეგვიპტე, სხვადასხვა მსოფლიონი
და ხმელთაშუა ზღვას მიქსელავდა
ხომალდი „ლეონიდ სობინოვი“.
შენ ხელში გეკავა გასაღები
იქ ჩემი ლირიკის საღამოზე.
არც სპილენძს ბაჯალლოდ ასაღებდი,
არც გითქვამს — რაღა ეს, რაღა მოსე.
მაგრამ დიდ მიხვედრას აზიარე
მსმენელი გუმანით შემოქმედის.
ვითარცა დაფაზე ლაზიერი,
გემბანზე იმგვარად შემოხვედი.
მერე კვალს გავეყვით ჯვაროსნების,
სფინქსს ტორი გულდაგულ ჩამოვართვით,
მისთვის ჩვენ ვიყავით ჩამომსვლელი,
რაღაც ნაწილი ჩამონათვლის.
და მაინც თან გვახლდა სიამაყე.
მითხარი, რომ გავცდით ლატაკიას:

ძველ ერთა ცოცხალი სია ნახე,
ის სია უჩვენოდ ლატაკია.
ჭმუნვანი დავტოვეთ ზოგ სერალთან
სავსებით საფილოსოფიონი
და ხმელთაშუა ზღვას მოქსელავდა
ხომალდი „ლეონიდ სობინოვი“.

1994 6. XII

წინამართან

ილიაობას ხშირი სუფრანი
გადაავინყდა მუხის ჩეროში.
ცხოვრობდი, როგორც ჭირისუფალი
ლონემიხდელი საქართველოსი.

ხალხს მოენონა ტყვიადახლილი
სიცოცხლე ბილნი მეზობელისგან
და შენს ცხოვრებას ხალხმა ძახილის
ნიშნად დაუსვა ეს ობელისკი.

ლენხუმური ნატურმორტი

თხელ მუშამბაზე:
შემწვარი ქამა,
გემოიანი, ვითარცა მწვადი.
სურნელოვანი ქინძი და კამა,
ლობიოს ქადა და თონის ჭადი.

კამკამა ზეცის ლურჯი ვიტრაჟი.
მოსალოდნელი ყანწის მალაყი
და განაბული
მინის ლიტრაში
ჭაჭის
არაყი
ჯაჭვის
ვარაყით.

ნაგალი

ქართლის მინდორი!
შეგიტოკდა
ყვრიმალზე კუნთი,
ფერიც მოგეცა.
იმის ხილვა
გასულიერებს,
როგორ აცეკვებს
მოზუზუნე
ფუტკრების გუნდი
ველზე ფერხულის
სათამაშოდ
გასულ იელებს.

გამოგზავნი, შვილო!

ფლომასტერით
დახატული
დახლართული
მონასტერი.

ზამთრის იდილია

ზამთრის აკვარელი:
კურდღლის ნაკვალევი,
კვერნის ბენვიანი ქალუკა,
თოვლი უსამანო,
ყვავი უსამარო.
მალე გამოჩნდება კალუგა.

ზამთრის ტუსადია
სკაა თუ სახლია,
სივრცე ავსებულა თოვლჭრელით.
წყვილი მხიარული,
წვრილი თხილამური,
თოვლი—თვალთა მზერის მომჭრელი.

ზამთრის იდილია
რა ფერ მიხდილია
სულში ჩამისახლდეს ნეტა კი.
თოვლი მოვიარე,
თეთრად მგლოვიარე,
ბლოკის სინდისივით სპეტაკი.

ფრაგმენტი სომხური ოჯახის ტრაგედიიდან

ვახშამს ერთი ნევრი აკლდა და მაგიდა
ალაგდა,
რომ დანაჭუჭებულიყო ყველაფერი იქ დილით.
მეზობელი დიდი ხალხის ერთ პატარა
ქალაქთან
ფეხაკრეფით მიდიოდა სეისმური სიკვდილი.

გვიან მოსულ ვაჟს გაუწყრნენ—რად დანექი
უჭმელი?!
ბიჭმა ხმაც არ ამოიღო, ის-ის იყო იცისკრა
და ჩინური წარმოების ფაიფურის ჭურჭელი
ბაიბურში არ იყო, რომ იწყებოდა მინისძვრა.

მავანი მწვერვალი, პოემებს რომ ელის,
ამაოდ ირჯება და ვერა თმოგვდება.
მრავალი მწერალი ვპოვე მეც, რომელიც
მოკვდება თუ არა, მაშინვე მოკვდება.

ღემაგობს

ყოველ სიტყვაში,
ლაპარაკში კაცის სახე ჩანს.
ლაყობობ, სამარეს
სამარეზე გვითხრა—ჰა და ჰა.
კბილი უფალმა
მოგცა განა მარტო საღეჭად,
ენასაც უნდა
დააჭირო კბილი ხანდახან.

მე გეაჯები: ამ ღვთის მონასთვის
განახვნი ხშული ბჭენი მონასტრის.

ვიცი, რომ თუნდაც თავი ქვაკუთხედს
ვახალო, ერთად არვინ გვაკურთხებს.

გაიღე მადლი გასაღებელი—
ფერხთქვეშ მესროლე გასაღებები,

ჯვარცმულ ჩემს სხეულს მე თვით განახვებ,
მონასტრის ხშული ბჭენი განახვნი,

რომ შენი სულის მალალ ამბიონს
ზედ ჩემი ლოცვა მიმოვაბნიო.

აბსურდის თეატრი

ჰაერში ჩერდება მფრინავი თეფში „ამება“,
ადგამენ კიბეს და იქიდან გადმოდის
ბაღდადეგი ქურდი.
ორკესტრი ასრულებს „ქრისტეს ნამებას“.
დგანან საპატიო ყარაულში
ფრანგი ჰასანა
და ქურთი
კურტი.

ახლა ის დროა,
თრიალეთის ნამონვერილ ქედს
თეთრი ნახშირით დაანერო:
„ევროლტოლვილი“,
ბალახის ფოთლებზე ნამონვე რილკედ
და ქარხნის მილი
გააბოლო ლერმონტოვივით.

ქვე შეცთომილო

საით მიინევ, იქ რა გეგულება?
უცხოა ის მინა, ის წყალი.
სიკვდილი გეგონება შვებულება,
სანამ ამერიკულ
სალამ ალეიქუმს
ისნავლი.

სხვისთვის ნუგეშად, შენთვის ნვალებად
მიცოცავ ტანჯვის ციურ კედელზე
და ნუთისოფელს, ეგ ზომ ცვალებადს,
მნარე ნამლებით იუკეთესებ.

თავშექცევას რომ მორჩები ნოშპით,
შენ დაგიფარავს თილისმასავით
სიკვდილი, როგორც დროგამძლე კოშკი,
აშენებულნი ძილის მასალით.

გაინტერესებს, ბენეფისს
როგორ გავართვით თავი?
ჩავახშეთ ავი ენები,
(ენა და ისიც ავი...)

თავანყვეტილი ლხენისა აღს
ღვინო გვიქცევდა ნაცრად
და გარდა შენი ხელისა
გვაკლდა სუფრაზე არც რა.

დრო გავატარეთ ხმაურში.
ვიყავით ალბათ ოცნი.
აფრები დროით აუშვი,
მალე ჩამოდი. გოცნი.

... და ისევ ქარი

ქარი არყევდა ჩარჩოში მინებს.
შენ შემეგებე, როგორც ფალავანს.
—სულის და ხორცის ნაწყმედა მინებს!—
გამოგიცხადე დაუფარავად.

მას შემდეგ ჩემში იქნებ აშკი
მოკვდა და ჩემს თავს ვიგდებ აბუჩად,
მაგრამ თვალების ღრმა ხსოვნაში კი
დრომ ეს სურათი ვერ გააფუჭა:

ანივლებული ბოძზე მავთული,
კარს მონყვეტილი ქარი ღრიალით
და ერთმანეთზე გადახლართული
გაშიშვლებული მხარ-ილლიანი.

სიყვარული ყინვაში

„იგი ყინვიდან შემოვიდა“
ა. ბლოკი

წარბები შავად გადაკალმული
იმ მკაცრ ყინვაშიც გხატავდა დიდად.
შენს კაემნიან სახეს აღმური
მიმზიდველს ხდიდა.

სიტყვები შენი ჟღერდა უმკაცრეს
ფუგად და სურნელს აფრქვევდა უჩვევს,
როცა აპობდი ჯერ დაუკოცნელს,
გაბუსხულ ტუჩებს.

მხოლოდდამხოლოდ ერთი პირობით
მე დავისახე მიზნად ღუმილი:
მესმინა შენთვის, —ოქროპირობდი
ღვთის ნათლულივით.

მაშინ ჩემ თვალწინ დადგა ხილული
ჯვრის მონასტერი მაღალ ათონში.
მე შენ მიყვარდი მთლად გაყინული
და განათოში.

მე რომ ოდესმე მომენათლე,
უზენაესი დამლახვრავდა.
ისე გიჟურად მომენატრე,
ვუბღვერი შენთა დამნახავთა.
მუნასიბიდან ნოველამდე
შენზე ხოტბაში დამალამდა.
ქვეყნად იმისთვის მოველ ადრე,
ვეძებდე ლამაზ დამმარხავთა.
ვეძებდე ლამაზ დამმარხავთა,
ქვეყნად იმისთვის მოველ ადრე.
შენზე ხოტბაში დამალამდა
მუნასიბიდან ნოველამდე.
ვუბღვერი შენთა დამნახავთა,
ისე გიჟურად მომენატრე.
უზენაესი დამლახვრავდა,
მე რომ ოდესმე მომენათლე.

მე შენ შავქაენი, გამოგიგონა

არავინ იცის, ხარ თუ არა ხარ,
ჩემს მეტმა, რადგანაც ოდესლაც
შევძელი შენი ფიქრის დანახვა
და შენი ძახილი მომესმა.

თმებს ხომ არა აქვთ ჯერ თოვლის ფიფქი,
შორს არის ნოემბრის სიყვითლეც...
შენ დაგმთენია მხოლოდლა ფიქრი.
იფიქრე... ჩემადაც იფიქრე.

იმ ცხოვრებაში მეტიც მომელის,
უშენოდ რომელიც არ მჯერა.
შენა ხარ ჩემი სვეტიცხოველი
და შიშით დავცქერი მარჯვენას.



მარიამ
ჩიკვაძე

სიზმარი აღმოსავლეთზე

მესიზმრა, ჩემს ქოხში მესტუმრა ხელმწიფე.
აუფორიაქდი. ვარდის ფურცელი არ მქონდა
და რა დამეფინა?
ქვის სკამზე დავსვი.
ჩაი მივართვი სურნელოვანი.
ვიცი, ტყუილად რომ არ სტუმრობს
მეფე მდაბიოს.
რა უნდა, ნეტავ?
მომავალს თუ წარსულს წაიღებს?
სიზმარს თუ ცხადს მთხოვს?
ჩემმა პატარა მუხამ მოხიბლა,
მუხამ, რომელსაც არსაიდან
არ ჰქონდა ჩრდილი.
ჰაიკუ ვუთხარ.
ჩემს წინაპრებს უყვარდათ ხოლმე
მეფეებთან ლექსით ბაასი.
ჰაიკუ ხომ პოეზიის ბონსაიაო —
მიპასუხა მან ხელმწიფურად
და კიდევ ერთხელ შეხედა მუხას...
ამ პატარა ხის ტოტებში
არწივი ბუდეს ვერ გაიკეთებს,
ვერც ჭრელი გველი ჩაიბუდებს იმის ფესვებში,
ვერც გრილ ჩეროს შეეფარება
დაღლილი მგზავრი.
მაგრამ ბონსაის იდუმალება
ადამიანებს გაახსენებს,
ღვთის ნებას რომ დათმენა უნდა,

რომ „სიღიადე სიმცირეშია“...
მერე მეფის სკამს სასწაულად მოედო ხავსი
და აკაციად გადაიქცა პატარა მუხა...
შიშისაგან გამომელვიძა...
მთის მწვერვალებზე მოჩანდა თოვლი
ჩემი წინაპრის თვალთ ნანახი.
ბავშვს გადავხედე.
მშვიდად ეძინა თავისსავე ლოყებში ჩაფლულს
და ეტყობოდა, რომ სიზმარში
არ ხედავდა პატარა მეფეს,
რომელსაც მისთვის
სათამაშოს წართმევა სურდა.
დედას რომ შვილის სიზმრების
ნახვა მაინც შეეძლოს...
მაგრამ ანგელოსს უფრო ნახავ,
ვიდრე შენი შვილების სიზმრებს!
სანამ ქუსლით გიჭირავს იგი და ამზეურებ,
არ დაგავინყდეს ქუსლზე ლექსის წასმა დედიკო,
არ დაგავინყდეს, რომ ერთი ჰოკუ მაინც გააწყო
და ბონსაის ბონსაი უთხრა თამაშ-თამაშით:
„მზემ დაიძინა, ჩვენც დავიძინოთ,
ხვალ ისევ ერთად ვითამაშოთ
მინდორში, ჰო, კუ!“
არასოდეს დაგიფასდება ეს შრომა, მაგრამ
ბედნიერი იქნება შვილი —
დედის ხელნაწერს ნახავს იგი ასი წლის მერე
და კიდევ ერთხელ დაეძინება მშვიდად,
რადგანაც პატარა მეფე ველარ წაართმევს
სათამაშოს სიზმარში მოხუცს...
წინაპრები ხომ ახერხებდნენ ამას მშვენივრად
და გმირობას მარტო ომში არ სჩადიოდნენ.
„აი, ია“ — გასაოცარ ჰაიკუს ქმნიდნენ.
ალარაფერი დაწერილა აღმოსავლეთში
ამაზე კარგი.
„მზე ამოდოდა, მთვარე ჩადიოდა“ და
ტიანშანის „მთების შვილი“
ნაცარა ჩიტს ეკითხებოდა — „ვის უგალობო?“
„შენო, პატარავ!“ და ბედნიერად
ცხოვრობდა ხალხი.
ყოველ ცისმარე რწყავდა ბაღს და ელოდებოდა,
„დიდი ხე რომ
პანანინა ყლორტისაგან ამოზრდილიყო“...
უამიც კაცით ბერდება თურმე
და მშვიდობას,
ომის ნანებით შელოცვილს და მოძლიერებულს,
გაუვიდა ყავლი და გაცვდა...
ახალი დრო კი ახალ მთვარეს ჰგავს,
მოიყოლებს ხოლმე ქარაშოტს
და დღეში შვიდგზის გადაგარხევს ლერწამივით
წარსულსა და მომავალს შორის,
აღარ იცი საითაა უმჯობესი ფეხის გადადგმა,
აგერევა ერთმანეთში
აღმოსავლეთი და დასავლეთი, ცა და მიწა
და ერთ ადგილზე დაჭაობდები,
მყვართა ყიყინის ხმად იქცევა

„ლექსებისთვის შექმნილი ენაც“.
 „შვილი გაიზარდა, დედა მოხუცდა
 და თვალბუბო ლიბრი კი არა,
 შვილის ცხოვრება გადაეფარა“ — ამბობს ჰაიკუ.
 ჰოდა, ასეა ჩემი ქვეყანაც,
 ს ა მ შ ო ბ ლ ო რომ ჰქვია სახელად.
 მის თვალბუბო
 ჩვენი ცხოვრების ცოდვა-მადლი გადაჰფარვია.
 რასაც ბრმა თვალი კარგად ხედავს —
 სიზმარია — საუბედუროდ!
 სხვის ქვეყნებს, რომ ასე გამძლე
 სახელები დაარქვა ღმერთმა,
 რაღა ჩემსას ჰქვია ს ა მ შ ო ბ ლ ო?
 რაღა ჩემს მინას ყლაპავს ასე
 გემრიელად ყველა გამვლელი?
 გასაკვირია, სისხლის გემოს რომ ვერ გრძნობენ
 ან ძვლებით რომ არ იხრჩობიან...
 შეიშმუნა ბავშვი... ვაკოცე...
 მაპატიე, ჩემო პატარავ,
 დამავიწყდა, რომ
 ღრმად ჩაძინებულ გონებასაც
 აფხიზლებს ლექსი,
 რაგინდ დუქნად ექცეს მამული...
 „ნანა, ნანა, დაიძინე დედის იმედო,
 ბევრს, ბევრს ვილოცებ,
 რომ ეს სამყარო არასოდეს მოგეჩვენოს
 შენზე პატარა,
 ნანა, ნანა დახუჭე თვალი
 არ წაიღოს შენი სიზმარი ხელმწიფის შვილმა,
 თორემ უსიზმროდ გაზრდილმა კაცმა
 როგორ გაიგნოს გზა სამყაროში,
 როგორ იფრინოს,

როგორ დაეცეს უმტკივნეულოდ,
 იყვიროს უხმოდ,
 გარდაცვლილებს ელაპარაკოს
 და წინასწარ გარდაიცვალოს,
 რომ ყოველი გათენება და მზის ამოსვლა
 დაბადება იყოს მისი, იმედიანი...
 მეც ჩამეძინა...
 დედას ხომ ხშირად ეძინება
 თავის ნამღერ იავნანაზე,
 როგორც პროგრესს
 რევოლუციურ შეძახილებზე.
 განმიახლდა მენამული სიზმრების ხილვა:
 ვიზრდებოდით მეც, ბავშვიც, ჰოკუც...
 თითქოს იგი ბალადად იქცა
 და დაერქვა „ვეფხისა და მოყმის ბალადა“.
 მერე პოემად გადაიქცა
 და დაერქვა უფალივით
 მარადი სიტყვა „ვეფხისტყაოსანი“
 სამყარო კი ილეოდა და ილეოდა...
 შიშმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გამომალვიდა,
 ვეფხის თვალბუბოთ გახედა ღამეს.
 ბავშვს კარგად ჰქონდა დასწავლილი
 „აი ია“ და მშვიდად ეძინა.
 ეძინა მამას,
 რადგან იცოდა ლოცვასავით შეუცდომლად,
 „რომ არ გასცვლიდა სამშობლოს
 სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.
 მხოლოდ მე მეშინოდა,
 რადგან ვგრძნობდი,
 რომ არ ეძინა ხელმწიფეს და ფიქრობდა,
 როგორ გამოეყვანა სამშობლოს ბონსაი...





გერონტი
 ქიქოძე

დიდათ პატივცემულო ძვირფასო
 ქალბატონო ნინო

თქვენს პატივსაცემად გამართულ საღამოზე მე სიტყვა ზეპირად წარმოვთქვი ან მასში იყო დეტალები ან ნიუანსები, რომელთა აღდგენა ამჟამად ჩემ მიერ განვლილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სამწუხაროდ, აღარ შემიძლია, მაგრამ ჩემს ქალაქებში, შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემი სიტყვის კონსპექტი რომელსაც ამასთანვე გაახლებთ: ვშიშობ კი, რომ ის თქვენზე მშრალ შთაბეჭდილებას მოახდენს. ესეცაა, რომ რაც უნდა სთქვას ჩემისთანა ლიტერატორმა თქვენი მასშტაბის ხელოვანსა ან ადამიანზე, ყველაფერი უფერული ან ნაკლულოვანი იქნება.

მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემის ან მადლიერების აღიარება და მიგულეთ მუდამ თქვენ ერთგულ და მოკრძალებულ თაყვანისმცემლად.

გერონტი ქიქოძე
 10.06.1960წ.

თქვენს პატივსაცემად გამართულ საღამოზე მე სიტყვა ზეპირად წარმოვთქვი ან მასში იყო დეტალები ან ნიუანსები, რომელთა აღდგენა ამჟამად ჩემ მიერ განვლილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სამწუხაროდ, აღარ შემიძლია, მაგრამ ჩემს ქალაქებში, შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემი სიტყვის კონსპექტი რომელსაც ამასთანვე გაახლებთ: ვშიშობ კი, რომ ის თქვენზე მშრალ შთაბეჭდილებას მოახდენს. ესეცაა, რომ რაც უნდა სთქვას ჩემისთანა ლიტერატორმა თქვენი მასშტაბის ხელოვანსა ან ადამიანზე, ყველაფერი უფერული ან ნაკლულოვანი იქნება.

მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემის ან მადლიერების აღიარება და მიგულეთ მუდამ თქვენ ერთგულ და მოკრძალებულ თაყვანისმცემლად.

გერონტი ქიქოძე
 10.06.1960

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის დიდი მსახიობის, ნინო (ნუცა) ჩხეიძისადმი გერონტი ქიქოძის მიერ მიწერილი ეს ბარათი მოგვანოდა ცნობილმა თეატრმცოდნემ, ქალბატონმა ნათელა ურუშაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ, (ხელნაწერი ქვეყნდება პირველად).



სტეფან
ჯამბუკი

ოხბუნი სოლი

ავტობუსში ყველა სარკმელი დაგმანული იყო, მაგრამ საიდანლაც მაინც შემოფრინდა ერთი საცოდავი ბუზი; ალმა-დალმა დაფარფატებდა და ამ განწირულ ფრენაში იყო რალაცა უჩვეულო. ჟანიმმა ერთხანს თვალი ველარ მოჭკრა, მერე დაინახა, როგორ დააჯდა ბუზი მისი მეუღლის გაშეშებულ ხელს. ციოდა. ქარის ყოველ შემოტევაზე ავტობუსის ფანჯრებზე ქვიშა ფხაჭუნობდა, ბუზი კი თრთოდა. ზამთრის დილის ბინდბუნდში გაჭირვებით მილაყლაყებდა მანქანა, ლერძები და თუნუქის კედლები უღრჭიალებდა. ჟანიმმა ქმარს შეხედა, აქა-იქ ღერა-ღერა შემორჩენილი, ჭალარაშერეული თმა, ვიწრო შუბლზე რომ ჩამოშლოდა. დიდი ცხვირი და ლაშები მარსელს გაბლენძილი ფავნის იერს აძლევდა. ოღროოოოოო გზის ორმოებში ჩაზანყებისას ქალს ქმარი ზედ აწყდებოდა, მერე კი ისევ მძიმედ სწორდებოდა სკამზე; იჯდა მუხ-

ლებგაჩახული, თვალებგამტვრეული და ქვეყნიერებიდან გამოთიშული, კვლავინდებურად უსიცოცხლო, სადღაც იყურებოდა. მარტო მის მსხვილ, უბალნო ხელებს ემჩნეოდა სიცოცხლე. პერანგის მანუეტებზე ჩამოცურებული, რუხი ფლანელის პიჯაკის სახელოები ხელის მტევნებს უფარავდა და ისედაც მოკლე მკლავებს კიდევ უფრო უმოკლებდა. ამ ხელებს ისე მაგრად ჩაებლუჯა მუხლებს შორის ჩადგმული პატარა ტილოს ჩემოდანი, რომ, ეტყობა, ვერც კი იგრძნეს ბუზის გაუბედავი ჩამოჯდომა.

ქარის ხმა ერთბაშად უფრო ხმამაღლა გაისმა. მტვრის ბული, ავტობუსს რომ ეხვია, უფრო ჩამუქდა, ფანჯრებზე კი სილა ისე ანკარუნდა, თითქოს ვილაცის უხილავმა ხელმა პეშვით შეაყარაო. ბუზმა შემცივებული ფრთები ააცახცახა, პანია ფეხებზე ჩაიკეცა და აფრინდა. ავტობუსმა სვლა შეანელა, თითქოს გაჩერებას აპირებო. თითქოს ქარიც ჩანყნარდა, ბული ოდნავ გადაინმინდა და ავტობუსმაც სვლას უმატა. სინათლის სხივმა მტვრის კორიანტელი გააპო და ფანჯრებს მიღმა ნამიერად პეიზაჟიც გამოკრთა — ორი თუ სამი დაკენკილი, გადათეთრებული პალმა ლითონისაგან გამოჭრილს ჰგავდა.

— „ეს რა ქვეყანაა!“ — თქვა მარსელმა.

ავტობუსი არაბებით იყო სავსე. ბურნუსში გახვეულებს, იმგვარი სახე ჰქონდათ, თითქოს სძინავთო. ზოგიერთები ფეხმოკეცილნი ისხდნენ და მანქანის რწევისას სხვებზე უფრო მეტად ირხეოდნენ, მათი გარინდებული და გულგრილი სახეები ჟანიმს თითქოს ტვირთად აწვა, ეგონა, უკვე მრავალი დღეა, რაც ამ მდუმარეთა ესკორტით ვმოგზაურობო. არადა, მას მერე, რაც ავტობუსი უთენია გამოვიდა რკინიგზის უკანასკნელი სადგურიდან და დილის სუსხში სევდიანად გაუყვა ქვიან ზეგანზე მიმავალ, მონითალო ჰორიზონტამდე სწორ ზოლად გადაჭიმულ შარას, მხოლოდ ორი საათი გავიდა. მერე ქარი ამოვარდა და ეს უზარმაზარი სივრცე ნელ-ნელა ჩაყლაპა. ეს იყო და ეს — მგზავრებს აღარაფერი დაუნახავთ, თანდათანობით ჩაჩუმდნენ, მდუმარედ შეცურდნენ ამ თეთრ ლამისმაგვარ სინათლეში და ავტობუსში შემოჭრილ სილით გამშრალ ტუჩებს, და აცრემლებულ თვალებს თულა ინმენდდნენ ხოლმე.

„ჟანიმ!“ ქალი შეაკრთო ქმრის ხმამ და კიდევ ერთხელ გაიფიქრა, რა სასაცილო სახელია ჩემნაირი სქელი და ზორბა ქალისათვისო. მარსელს მოუნდა გაეგო, სად იდო ქსოვილით სავსე მაფრაშა. ქალმა ფეხით მოსინჯა სკამ-ქვეშ ცარიელი ადგილი, რალაც საგანს მიაგნო და იფიქრა, მაფრაშააო. თვითონ დახრაც აღარ შეეძლო, მაშინვე ქოშინი აუტყდებოდა ხოლმე. მაგრამ აკი კოლეჯში პირველ სპორტსმენად ითვლებოდა, მაგარი გულიცა ჰქონდა. რამდე-

ნი ხანი გავიდა მას შემდეგ? — ოცდახუთი წელი. რა არი ოცდახუთი წელი. გუშინდელ დღესავით ახსოვს, არჩევანში რომ იყო, რა სჯობია, თავისუფლება თუ ცოლ-ქმრული ცხოვრებაო. განა გუშინ არ იყო, სევდით რომ შიშობდა, — ცალად დარჩენილს, მარტოობაში არ მომინოს სიბერესთან შეხვედრაო? არა, ახლა მართო აღარ იყო. ის სამართლისმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, ადრე რომ კუდში დასდევდა, ახლა გვერდით ჰყავდა. გაჰყვა ქალი, თუმცა, არც მისი მორჩილი ტანი ხიბლავდა, არც მოურიდებელი სიცილი და არც შავი, გადმოკარკლული თვალები. სამაგიეროდ, აქაური ფრანგებისათვის დამახასიათებელი მისი მამაკაცური ცხოვრების ჟინი მოსწონდა. მოსწონდა მისი შეფიქრანებული სახე, როცა ვინმე ან რამე იმედს გაუცრუებდა. განსაკუთრებით კი, ქალს ის მოსწონდა, რომ ვიღაცას უყვარდა. კაცმა ქალი თავისი შეუპოვრობით წაღეკა, ისე ჩასჩინებდა, ჩემთვის ყველაფერი ხარო, რომ ქალმა მართლა ირწმუნა. არა, ქალი მართო აღარ იყო.

ავტობუსმა გაბმული საყვირით გაიკვლია გზა მგზავრთათვის უხილავ დაბრკოლებათა შორის. მანქანაში კაციშვილი არ შერხეულა. ერთბაშად ჟანინმა ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. იგი მიბრუნდა, რათა გაეგო, ვინ იყო „ის“. ის ვიღაცა არაბი არ აღმოჩნდა და ქალს გაუკვირდა, აქამდე რატომ ვერ შევამჩნიეო. საფრანგეთის კოლონიური ჯარების საჰარის არმიის ფორმა ეცვა და მოლურჯო ტილოს კეპი ეხურა. მოგრძო, ნაწვეტებული სახე ტურას მიუგავდა. მისი ელვარე თვალები რალაც პირქუშად დაშტერებოდა ქალს. ჟანინს სინითლემ გადაჰკრა და მიეხუტა ქმარს, რომელიც კვლავ ნისლსა და ქარს უცქერდა. ქალმა პალტო შემოიფუთნა, თვალნი კი მაინც ის ფრანგი ჯარისკაცი ედგა — წონოლა და გამხდარი, მჭიდროდ შემოტმასნული ფრენჩით, ისეთი მჭლე, თითქოს რალაც გამოხმარი და მყიფე მასალისაგან, მაგალითად, ერთმანეთში აზელილი სილისა და ძვლებისაგან იყო შექმნილი. სწორედ ამ დროს ქალმა იქვე მსხდომი არაბების ხეშეში ხელები და ავარვარებული სახეები დალანდა და გაიფიქრა, ამ გაფარფარებულ ტანსაცმელში მაინც რა თავისუფლად სხედან სკამებზე, მე და ჩემი ქმარი კი ძლივს ვეტივეითო. ქალმა პალტოს კალთები გაისწორა და, არც ისეთი სქელი ვარო, კვლავ გაიფიქრა. მერე რა, რომ ფაშფაშა, ფერხორციანი და სანდომიანი იყო — ამას კარგად გრძნობდა მამაკაცების გამოხედვაში — ოდნავ ბავშვური სახეც შემორჩენოდა, ნათელი და სუფთა თვალებიც, ისეთი ბავშვური, რომელიც შეიძლება არც კი უხდებოდა მის დიდ სხეულს. ქალმა ეს იცოდა და უფრო და უფრო ეხვეოდა სიტბოსა და სიმშვიდის ბურუსში.

გარშემო კი ყველაფერი სულ სხვაგვარად

ხდებოდა, ვიდრე აქეთ წამოსვლამდე წარმოედგინა. როცა მარსელმა მისი წამოყვანა მოინდომა, ქალმა უარიც კი უთხრა. მაგრამ კაცი ამ მოგზაურობაზე კარგახანია ფიქრობდა, ზუსტად ომის დამთავრების დღიდან, როგორც კი საქმე ძველ კალაპოტში ჩადგა.

მშობლებისაგანომამდემემკვიდრეობით მიღებული ქსოვილების პატარა სავაჭრო უჭირველად ცხოვრების საშუალებას მაშინაც აძლევდამათ, როცა მარსელმა სამართლისმცოდნეობის შესწავლა მიატოვა. ახალგაზრდობაში იქნებ იყო კიდევაც ქალი ბედნიერი, თუმცა მარსელს სეირნობაც კი არ უყვარდა და პლაჟებზე ცოლის ტარებაც საკმაოდ მალე შეწყვიტა, მათი პატარა ავტომანქანა ქალაქარეთ მხოლოდ საკვირაო გასეირნებებისას თულა გავიდოდა, დანარჩენი დრო კი, ქმარს ერჩივნა, თავისი სავაჭროს ნაირფერ ქსოვილებთან გაეტარებინა, ამ ნახევრად ადგილობრივსა და ნახევად ევროპული უბნის თაღების ჩრდილში. ცხოვრობდნენ სავაჭროს თავზე, არაბული შპალერიითა და ბარბესის ავეჯით განწყობილ სამოთახში. შვილები არ ჰყავდათ. ღრიჭოდ დარჩენილი დარაბებიდან შემოპარულ ბინდბუნდში გავიდა წლები. ზაფხული, პლაჟი, სეირნობა, თვით ცაც კი თითქოს ძალზე შორს დარჩა. მარსელს ეტყობოდა, საკუთარი სავაჭრო საქმიების გარდა არაფერი აღელვებდა. ქალი უკვე ხვდებოდა, რომ ქმრის ნამდვილი ვნება მხოლოდ ფული იყო და ეს მაინცდამაინც არ მოსწონდა, მაგრამ რატომ არ მოსწონდა, კარგად არც იცოდა. ბოლოს და ბოლოს, თავადაც ხომ ხარჯავდა ამ ფულს. კაცი ძუნწი არ იყო, პირიქით, ხელგაშლილიც კი ეთქმოდა, განსაკუთრებით ცოლისთვის. იმასაც კი იტყოდა ხოლმე, რამე რომ მომენიოს, ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებო. და მართლაც, ხომ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. მაგრამ სხვა დანარჩენი? გარდა ყველაზე აუცილებლისა? ამაში რალა გაენყო? აი, რა აფიქრებდა ბუნდოვნად დროდადრო. ჯერჯერობით კი მარსელს სავაჭრო დავთრების წარმოებაში ეხმარებოდა და ხანდახან მის ნაცვლად დახლშიც დგებოდა, მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც ზაფხული იყო, როცა სიცხე მოწყენილობის საამო შეგრძნებასაც კი ჰკლავდა.

და უცბად, ზუსტად შუა ზაფხულში, ომი დაიწყო. ამას მოჰყვა მარსელის განწვევა, მერე უვარგისად ცნობა, ქსოვილების ერთბაშად გაქრობა, ერთ წერტილზე გაყინული საქმიები, უდაბური და ცხელი ქუჩები. ღმერთმა ნუ ქნას და, მაშინ რომ რამე მოხდარიყო, ქალი უზრუნველყოფილი მართლა ვერ დარჩებოდა. ამიტომაც იყო, რომ როგორც კი ბაზარზე ქსოვილები გამოჩნდა, მარსელმა ზემო ზეგნის სოფლებისა და სამხრეთის მხარის შემოვლა ამოიჭრა გულში. შუაკაცებისათვის რომ თავი

აერიდებინა და საქონელი პირდაპირ არაბი ვაჭრებისათვის მიეყიდა, ცოლის წაყვანაც მოინდომა. ქალმა იცოდა, მძიმე და ოღროჩოღრო გზები რომ ელოდა. სუნთქვაც ვერ ჰქონდა რიგზე, ქოშინი ანუხებდა და ბარემაც შინ დარჩენა ერჩია, მაგრამ ქმარი ჯიუტი იყო და ქალიც დათანხმდა, რადგან უარის თქმას მეტი ძალა სჭირდებოდა. და აი, ახლა აქ იყო. მართლაც ვერაფერი ნახა აქაურობაში იმგვარი, როგორადაც წარმოედგინა. ქალს უფრო სიცხე, ბუხები, ანისულის სუნით გაჟღენთილი ტურტლიანი სასტუმროები აშინებდა, და არც კი უფიქრია სიცვიზე, ქარზე, ამ ქვითა და ქვიშით მოფენილ „პოლარულ“ ზეგნებზე. ქალი პალმებსა და სილაზე ოცნებობდა, ახლა კი ხედავდა, რომ უდაბნო სხვა არა იყო რა, გარდა ქვებისა: ყველგან ქვები... ზეცაშიც მხოლოდ სიცვი და ქვიშის ღრჭიალა მტვერი მეფობდა, ხოლო დედამინაზე ქვებს შუა საცოდავად ამოზნექილი გამხმარი ბალახი.

ავტობუსი ერთბაშად შეჩერდა. მძღოლმა რალაცა ჩაიბურღელუნა იმ ენაზე, ქალს რომ მთელი თავისი სიცოცხლე ესმოდა და მაინც არაფერი გაეგებოდა. „რა მოხდა?“ — იკითხა მარსელმა. მძღოლმა, ამჯერად ფრანგულად თქვა, ქვიშამ ალბათ კარბურატორი ამოავსოო, და მარსელმა ხელახლა შეაჩვენა აქაურობა. მძღოლი გაიკრიჭა და დაამშვიდა, არაფერია, გავწმენდ და გზასაც გავაგრძელებთო. მძღოლმა კარი გამოაღო და მანქანაში ცივი ქარი შემოვარდა, ათასობით წვრილი, მჩხვლეტავი ქვიშის ნამცეცი მგზავრებს სახეში შემოაყარა. არაბებმა ცხვირი ბურნუსებში ჩარგეს და უფრო მაგრად ჩაიფუთნენ. „დაკეტე კარი!“ — იყვირა მარსელმა. კაბინაში დაბრუნებული მძღოლი იცინოდა, მერე ისევ რალაც ხელსაწყოები ამოიღო და ნისლში გაუჩინარებული სადღაც მიიშალა. კარი მაინც არ დაკეტა. მარსელმა ამოიხრა: „დამერწმუნე, ძრავას პირველად ხედავ“. „მოეშვი, ერთი!“ — უთხრა ჟანიმმა. უცბად ქალი შეკრთა. მინაყრილზე, ზედ ავტობუსთან, წამოსასხამებში გახვეული უძრავი ფიგურები აყუდებულიყვნენ. ბურნუსებიდან და თავზე შემოხვეული ჩალმებიდან მხოლოდ თვალეები მოუჩანდათ. ეშმაკმა უწყის, საიდან გაჩნდნენ, მაგრამ იდგნენ და მდუმარედ ათვალიერებდნენ მგზავრებს. „მწყემსებია“, — თქვა მარსელმა.

ავტობუსში სრული სიჩუმე იდგა. მგზავრები თავჩაქინდრულნი ისხდნენ და ეტყობოდათ, ამ უკიდევანო ზეგანზე თავისუფლად მოთარეშე ქარის ხმას უსმენდნენ. ჟანინი აწრიალდა, ბარგი სადღა არისო. რკინიგზის ბოლო სადგურზე მძღოლმა ავტობუსის სახურავზე შეაგდო მათი სამგზავრო სკივრი, რომელშიც ქსოვილის რამდენიმე თოფი იდო. შიგნით კი, ავტობუსის თაროებზე, შეკრული ჯოხები და

ბრტყელძირა კალათები ეწყო მხოლოდ. ეტყობა ამ სამხრეთელებს ხელცარიელი მოგზაურობა მოსწონთო, — იფიქრა ქალმა.

მძღოლი ისევ მკვირცხლად დაბრუნდა. მასაც რიდე წამოეხურა და მომდმარე თვალეებილა უჩანდა. გამოაცხადა, წავიდეთო, და კარი დაკეტა. ავტობუსში ქარი ჩაჩუმდა და ახლა ფანჯრის მინებზე გაისმა ქვიშის წვიმის მკვეთრი ხმაური. ძრავამ ჩაახველა, მერე ჩაქრა. სტარტერის დაჟინებული ჩიჩინის შემდეგ, როგორც იქნა, გამოცოცხლდა და ათუხტუხდა, დაემორჩილა მძღოლს, რომელიც პედალს მთელი ძალით აწვებოდა. მანქანამ ერთი ღრმად ამოიხვნეშა და დაიძრა. გახვეებული, ჩამოფლეთილი მწყემსების გუნდში ვილაცის მალლა ანეული ხელი გამოკრთა და მაშინვე მწყემსების ზურგსუკან გაუჩინარდა. გზა უფრო ოღროჩოღრო გახდა და მანქანამ ბუქნაობა დაიწყო. არაბები მონოტონურად ირწეოდნენ. ჟანინი გრძნობდა, როგორ ეყვინთებოდა. უცბად მის წინ პალმის წვენით სავსე ყვითელი ქილა გამოჩნდა. ჯარისკაცი — ტურა ულიმოდა. ქალმა ყოყმანით ჩამოართვა და მაღლობა გადაუხადა, მერე ტურამ ქილა ჯიბეში ჩაიღო. თავისი ღიმილიც გადაყლაპა და გზას დაუწყო ყურება. ჟანინი ქმრისაკენ შებრუნდა და მართო მისი მაგარი კეფა დაინახა. მარსელი ფანჯრიდან გადაჰყურებდა სქელ კორიანტელს, ფხვიერი მინაყრილიდან რომ ადიოდა.

კარგა ხანს ასე მიდიოდნენ. დაღლილობისაგან ავტობუსში სიცოცხლე ჩაკვდა. უცბად გარედან ყვირილი მოისმა. ბურნუსებში გახვეული ბავშვები ბზრიალასავით ტრიალებდნენ, ხტოდნენ, ხელეებს ატყაპუნებდნენ და ფხვდაფხვ მოსდევდნენ მანქანას, რომელიც დაბალი სახლების გასწვრივ, გრძელ ქუჩაზე მიდიოდა. ოაზისში შევიდნენ. კვლავინდებურად ქროდა, მაგრამ ქვიშას ქარსაცავები აკავებდა და ოდნავ უფრო ნათელი იდგა. ცა კი კვლავ ძველებურად იყო მოღუშული. ავტობუსი აყაყანებულ ხალხს შორის, თიხით შელესილი, ჭუჭყიანფარდებიანი სასტუმროს წინ, მუხრუჭების მკვეთრი ღრჭიალით შეჩერდა. ჟანინი ავტობუსიდან გადმოვიდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფხექვეშ მინა ერყყოდა. სახლების სახურავებს იქით ყვითელი პალმები დაინახა. ქალს პალმებთან მოუჩნდა მისვლა. შუადღე უკვე წამოსულიყო, მაგრამ სიცვი მაინც ძვალსა და რბილში ატანდა. ჟანინი კანკალებდა. მარსელისაკენ მობრუნდა და მისკენ მომავალი ის ჯარისკაცი დაინახა. ქალი ჯარისკაცის ღიმილს თუ არა, გამომშვიდობებას მაინც ელოდა. მან კი ისე ჩაიარა და გაუჩინარდა, არც კი მოუხედავს. მარსელი ავტობუსის სახურავზე მიმავრებული, ქსოვილებით გატენილი სკივრის ჩამოღებას ელოდა. მძღოლი უკვე ზემოთ ამძვრალიყო და, ავტობუსის სახურავზე გადმომდგარი, ირ-

გვლივ შემოხვეული ბურნუსების ჯგროსთან ლაქლაქებდა. ჩამომხმარი სახეებით გარემომორტყმულმა, ხმაჩახლეჩილი ყვირილით გაბეზრებულმა ჟანიმა ერთბაშად დაღლილობა იგრძნო. „მე ავალ“, უთხრა მარსელს, რომელიც კვლავ მძლოლს ეჩიჩინებოდა.

ქალი სასტუმროში შევიდა. სასტუმროს პატრონი, გამხდარი, წყნარი ფრანგი გამოეგება. ქალი მეორე სართულზე აიყვანა. დერეფანი გაიარეს და შევიდნენ ოთახში, სადაც მხოლოდ ერთი რკინის საწოლი, თეთრად შეღებილი ერთი სკამი და ლერწმის თევჯირს უკან სილით დაფარული პირსაბანი იდგა. პატრონმა კარი გაიხურა. ჟანიმა იგრძნო სიცივე, კირით შეფეთებული შიშველი კედლებიდან რომ მოდიოდა. არ იცოდა, ან ჩანთა სად დაედო, ან თვითონ სად ჩამომჯდარიყო. აქ ან ფეხზე უნდა მდგარიყავი, ან დანოლილიყავი, ორივე შემთხვევაში კანკალი მაინც არ აგცდებოდა. ქალი ზეზეულად დარჩა, ჩანთა ხელიდან არ გაუშვია, იდგა და მიშტერებოდა სათოფურის მსგავს ფანჯარას, რომელიც ჭერთან ისე ახლოს გამოეჭრათ, გეგონებოდათ, ცაზე გადისო. ქალი მხოლოდ მარტობას, ძვალ-რბილში გამჯდარ სიცივეს და რალაც უჩვეულო სიმძიმესაც გრძნობდა. ქალი ოცნებობდა, თითქოს დაყრუებულად, მის სმენას არც ქუჩიდან ამოსული ყაყანი სწვდებოდა და არც მარსელის მჭახე ხმა. სამაგიეროდ, ფხიზლად იჭერდა წყლის ჩხრიალის მსგავს ხმას, სარკმლიდან რომ იჭრებოდა. ეს იყო პალმებში მოთარეშე ქარი, რომელიც ქალისთვის ძალზე ახლობელი გამხდარიყო. მერე ქარი უფრო გაძლიერდა, წყლის ნაზი ჩხრიალი ტალღების ღრიალად გადაიქცა. და ქალმა კედლებს იქით ახლა დარწეული ზღვა წარმოიდგინა, ქარიხალში აქაფებული პალმების ზღვა. არა, რასაც ქალი ელოდა, აქ ისეთი არაფერი იყო, მაგრამ ეს უხილავი ტალღები მის დაქანცულ თვალებს ასვენებდა... ქალი ფეხზე იდგა, გრძელი ხელები ჩამოეშვა, ოდნავ მოღუნულიყო და ვერც კი ამჩნევდა, როგორ ნელ-ნელა ეპარებოდა მძიმე ფეხებზე სიცივე. ქალი ოცნებობდა ტანაშოლტილ, ქარში დარხეულ პალმებზე და იმ პატარა გოგონაზე, ოდესღაც თავად რომ იყო.

ცოტა რომ მოწესრიგდნენ, სასადილოში ჩავიდნენ. შიშველ კედლებზე აქლემები და პალმები მიეთხაპნათ, ფანჯრები სინათლეს ძუნწად უშვებდნენ. მარსელმა სასტუმროს პატრონს საქონლის მაზანდა გამოჰკითხა. მერე სამას-პინძლოდ მოხუცი არაბი ეახლათ, ქურთუკზე სამხედრო ორდენი ეკეთა. მარსელი მოუსვენრად ცმუკავდა და პურს ანამცეცებდა. ცოლს წყლის დაღევა დაუშალა: „ადუღებული არ არის, ღვინო დალიე“. ქალს ღვინო ამძიმებდა და არ უყვარდა. მენიუში ღორის ხორცი იყო: „ყურანი კრძალავს ღორის ხორცს, მაგრამ ყუ-

რანმა არ იცის, რომ რიგიანად მოხარშული ღორის ხორცი ავად არ გაგხდის, ჩვენ სხვანი ვართ, ღორისაგან საჭმელების დამზადება გვეხერხება, რაზე ფიქრობ?“ ჟანიანი არაფერზეც არ ფიქრობდა, ანდა იქნებ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ აჯობეს მზარეულებმა წინსანარმეტყველს. მაგრამ დროის დაკარგვა არ იქნებოდა. ხვალ დილით, უფრო შორს, სამხრეთისაკენ მიემგზავრებოდნენ, სადილის შემდეგ ყველა დიდი ვაჭარი უნდა ენახათ. მარსელმა მოხუც არაბს სთხოვა, ყავა დაგვიჩქარეო. მან ჩუმად, უღიმღამოდ დაუკრა თავი და აუჩქარებლად გავიდა. „მაგრე სიარულით შორს ვერ წახვალ“, — ჩაიცინა მარსელმა. ბოლოს ყავასაც ეღირსნენ, სახელდახელოდ შეხვრიპეს და მტვრიან, ცივ ქუჩაში გავიდნენ. მარსელმა ჭაბუკ არაბს გასძახა, მაფრაშის წაღებაში მომეხმარეო. გასამრჯელოზე შეკამათდნენ. მარსელის აზრი, ერთხელ ჟანიმაც რომ გაანდო, საკმაოდ გაურკვეველ პრინციპს ემყარებოდა: ყველანი ოთხმაგად თხოულობენ, რათა ორმაგი მისცეო. ჟანინი გუწეობაზე არ იყო და კაცებს ჩუმად მიჰყვებოდა. პალტოს ზემოდან შალიც შემოეხვია, თუმცა ძალზე უნდოდა ცოტა თხელი გამოჩენილიყო და ადგილიც ნაკლები დაეჭირა. ღორის ხორცმა, თუმცა კარგად მოხარშულმა, და ღვინომ გუწევა უფრო დაუძმიდა.

პატარა ბაღს ჩაუარეს. ხეებს მტვერი ელო. შემხვედრი არაბები მათ თვალწინ ბურნუსის კალთებს ინევდნენ და გზას ისე უთმობდნენ, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ; ღარიბ-ლატაკითაც კი ისეთი ამაყი იერი ჰქონდათ, რომლის მსგავსიც ქალაქელი არაბებისათვის არასოდეს შეუმჩნევია. ჟანინი მისდევდა მაფრაშას, ხალხში გზას რომ უკვლევდა. აყალო მინაყრილზე გაჭრილი ბილიკით პატარა მოედანზე ამოჰყვეს თავი. მოედნის ირგვლივაც მტვრით დაფარული ხეები იდგა. პატარა ბუდრუგანის წინ შეჩერდნენ. ბუდრუგანა ჭურვს წააგავდა. შიგნით, ერთადერთ ოთახში, რომელშიც შუქი მხოლოდ კარიდან შედიოდა, პრიალა დახლს იქით ქალმა მოხუცი თეთრწვერა არაბი დალანდა. არაბი სამი სხვადასხვა ფერის ფინჯნის თავზე ჩაიდანს დაატარებდა და ჩაის ასხამდა, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯეს, მარსელმა და ჟანიმა უპირველესად პიტნის ჩაის დამათრობელი სურნელება იგრძნეს. მარსელი ძლივს გაძვრა მოკალულ ჩაიდნებს, ფინჯნებსა და სინებს შორის და დახლის წინ აღმოჩნდა. ჟანინი კართან დარჩა. ფარდული რომ არ ჩაებნელებინა, ოდნავ გვერდით მიდგა. ბინდბუნდში, მოხუცი ვაჭრის უკან, კიდევ ორი არაბი შეამჩნია. არაბები მას და მარსელს ღიმილით უყურებდნენ, დუქნის უკანა მხარეს დახვავებულ, გაბერილ ტომრებზე ისხდნენ. კედლებზე წითელი და შავი ნოხები, მოქარგული თავსაფრები ეკიდა, იატაკზე, ტომრები და სურნელოვანი

მარცვლეულით სავსე პატარა ყუთები იყო დახვავებული. დახლზე, სასწორის ირგვლივ, სპილენძის გაკრიალებული სინებისა და ძველი, ტვიფრგადაშლილი არშინის გვერდით, სქელ, ლურჯ ქაღალდში გახვეული შაქრის თავები ეწყო; მატყლისა და სანელებლის სურნელებას ოთახი აევსო და ჩაის სურნელებას სჯაბნიდა კიდევ. მოხუცმა ჩაიდან დახლზე დადგა და გაგიმარჯოთო, თქვა.

მარსელი ჩქარა ლაპარაკობდა, თანაც იმ იდუმალი ხმით, საქმის გარიგებისას რომ სჩვეოდა. მერე მაფრამა გახსნა, ქსოვილებისა და თავსაფრების ამოლაგება დაიწყო. სასწორი და არშინი განზე გასწია, მოხუც ვაჭარს წინ საქონელი გადაუშალა. ნერვიულობდა, ხმას უმაღლებდა, უადგილოდ იცინოდა, იმ ქალსა ჰგავდა, თავი რომ უნდა ვინმეს როგორმე მოაწონოს, მაგრამ გულდაჯერებული ვერ არის, რომ ამას შეძლებს... მისი ფართოდ გაშლილი ხელები ალებ-მიცემობას გამოხატავდა. მოხუცმა თავი გააქნია, სინი, რაზედაც ფინჯნები ეწყო, უკან მჯდარ არაბებს გადაანოდა და რალაცა თქვა, რამაც, როგორც ჩანს, მარსელი დაალონა. მან ქსოვილები წამოკრიფა, მაფრაშაში ჩაყარა, მტვირთავს დაუძახა და გზა განაგრძეს. პირველსავე ფარდულში ცოტა ხელი მოინაცვლეს, თუმცა ვაჭარს თავიდანვე იგივე ოლიმპიელის იერი ედო. „ღმერთმა უწყის, ამათი თავი, რალას არ იგონებენ, — თქვა მარსელმა, — მაგრამ ესენიც ხომ ვაჭრობენ! ცხოვრება ყველას უჭირს“.

ჟანინი უსიტყვოდ მიჰყვებოდა. ქარი თითქმის ჩადგა. ადგილ-ადგილ, ღრუბლის ნაფლეთებში ცაც გამოჩნდა. ცივი, მბრწყინავი სინათლე სქელ ღრუბლებს კვეთდა და ცისფერი ჭებიდან ძირს ეშვებოდა. მოედანი უკან მოიტოვეს. ახლა უკვე ქუჩაბანდებში მიაბიჯებდნენ, ალიზის კედლების გასწვრივ, რომლებზედაც აქა-იქ გადმოკიდებულიყო დეკემბრის ჩაფერული ვარდები და გამხმარი, ჭიანჭამი ბროწეულები. მთელ უბანში კვამლი არეული ყავის, ქვიშის, ცხვრისა და მტვრის სუნი იდგა. დუქნები შორიშორს — პირდაპირ კედლებში იყო ამოჭრილი, ჟანინი გრძნობდა, როგორ უმძიმდებოდა ფეხები, მისი ქმარი კი ნელ-ნელა მშვიდდებოდა. საქონლის გასალევა უკვე დაიწყო და უფრო კეთილი გამხდარიყო. ჟანინს „ჩემი პატარაც“ კი უწოდა. უხაროდა, მგზავრობა მარცხით რომ არ დამთავრდა. „რასაკვირველია, — თქვა ჟანიმმა, — მათთან პირისპირ მოლაპარაკება სჯობდა“.

ცენტრში სულ სხვა ქუჩით დაბრუნდნენ. შუადღე გადასულიყო. ცა თითქმის მოინმინდა. მოედანზე შეჩერდნენ. მარსელმა ხელები სიამოვნებით მოიფშვინტა და მაფრაშას სიყვარულით გადახედა. „შეხედე!“ — უთხრა ჟანიმმა. მოედნის მეორე მხრიდან აწონილი,

მორუხო-მოცისფრობურნუსში გახვეული, მოყვითალოჩქებინი და ხელთათმანინი არაბი მოდიოდა. ბრინჯაოსფერი სახე და არწივისებური ცხვირი ამაყად აენია. საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაციის ოფიცრებისაგან, ჟანინს აგრერიგად რომ მოსწონდა, მხოლოდ ფეხით და მასზე შემოხვეული დოლობანდით განსხვავდებოდა. იგი თანაბარი ნაბიჯით პირდაპირ მათკენ მოდიოდა, თვალთ კი სადღაც, მათ თავს ზემოთ იმზირებოდა და ცალ ხელში ხელთათმანს აწვალებდა. „ამას უყურე, თქვა მარსელმა და მხრები აიჩეჩა, თავი გენერალი არა ჰგონია?“ სიამაყე აქ ყველას ენერა სახეზე, მაგრამ ამ კაცს მართლაც რომ მეტისმეტი მოსდიოდა. პირდაპირმაფრაშისკენ მოაბიჯებდა, მაგრამ ვერც მაფრაშას ხედავდა და ვერც მის პატრონებს. მათ შორის მანძილი სწრაფად შემცირდა და როცა არაბი თითქმის უკვე თავზე წამოადგათ, მარსელმა მაფრაშას ხელი სტაცა და გზიდან მოაშორა. არაბმა ისე ჩაიარა, ეტყობოდა, ვერაფერი შეამჩნია. ჟანიმმა ქმარს შეხედა. მას ესოდენ ნაცნობი, შემკრთალი სახე ჰქონდა. „ამათ ჰგონიათ უკვე ყველაფრის ნება აქვთ“, — თქვა მან. ჟანიმმა არაფერი უპასუხა. ამ არაბის სულელური ამპარტავნობა გულს ურევდა და უცბად თავი უბედურად იგრძნო, აქედან წასვლა მოუნდა. ახლა თავის პატარა სახლზე ფიქრობდა და სასტუმროს გათოშილი ოთახიც აშინებდა. ანაზღად მოაგონდა, სასტუმროს პატრონმა რომ ურჩია, ციხე-სიმაგრის ტერასაზე ადით, იქიდან უდაბნო ჩანსო. ქალმა ქმარს სთხოვა, ტერასაზე ავიდეთ, მაფრაშა კი სასტუმროში დავტოვოთო. კაცი დაღლილი იყო და სადილობამდე წაძინება უნდოდა. „გთხოვ“, — უთხრა ჟანიმმა. მარსელმა შეხედა და უცბად მოლბა: „კარგი, გენაცვალე“.

როცა ისინი ციხე-სიმაგრის კიბეზე გაჭირვებით აღიოდნენ, ხუთი საათი იყო. ქარი ჩადგა. ცა მოინმინდა და მორუხო-ცისფერი დაედო. სიცივე უფრო მშრალი გახდა და ლოყებს წვაავდა. შუა კიბეზე კედელს მიყრდნობილი მოხუცი არაბი დაინახეს. გამყოლი ხომ არ გინდათო, ჰკითხა, მაგრამ ისე, რომ არც კი განძრეულა, თითქოს წინასწარ დარწმუნებული იყო, უარს მეტყვიანო. რამდენიმე მინადატკეპნილი, სულის მოსათქმელი მოედანი კი შეხვდათ, მაგრამ კიბე მაინც გრძელი და დამლელი გამოდგა. რაც უფრო მაღლა აღიოდნენ, მით უფრო ფართო სივრცე ეშლებოდათ თვალწინ, მით უფრო მატულობდა ცივი და მშრალი სინათლე, უფრო მკაფიო და მკვეთრი ხდებოდა ყოველი ჩქამი ოაზისისა. მათ ირგვლივ მზით გაჩახჩახებული ჰაერი თითქოს თრთოდა. თრთოლვა უფრო და უფრო მატულობდა. თითქოს ყოველი მოძრაობა ბროლივით გამჭვირვალე სინათლეზე იდუმალ ხმებს გამოსცემდა და ნელ-ნელა ირგვლივ ტალღებით იფანტებოდა. ტერასას

მიაღწიეს და მათი მზერა პალმების ტყეში ჩაიკარგა. პალმებს იქით კი უზარმაზარი თვალსაწიერი გადაიშალა. ჟანიანს ეგონა, მთელი ზეცა ერთადერთ გამყვიან და მოკლე ბგერას ანკრიალებსო, ექო კი ნელ-ნელა ინასკვებოდა ცაში. მერე უეცარი დუმილი ჩამოვარდა და, ქალი უსაზღვროების პირისპირ აღმოჩნდა.

მისი მზერა ხან აღმოსავლეთს სწვდებოდა, ხან დასავლეთს. გადასწორებული ჰორიზონტის მთელ სიგრძეზე თვალს ერთი ნახნაგაც არ მოხვედრია. ფეხქვეშ კი დუღუნებდა, ფუთფუთებდა არაბული ქალაქის ლურჯი და თეთრი ტერასები. მზეზე გასაშრობად გამოტანილ წინაყებს მრუმე წითელი სისხლის ფერი ედოთ. თითქოს კაცობილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ ეზოებიდან მაინც მადის აღმძვრელ ყავის სურნელთან ერთად ჟრიაბული და რალაც გაუგებარი თქარათქური გამოდიოდა. ცოტა იქით, თიხის კედლებით უსწორმასწორო კვარტლებად დაყოფილი პალმების ტყის კენწეროებს ნიავის მცირე ნამოქროლაც კი აშრიალებდა, მაგრამ ნიავი ტერასამდე ვეღარ აღწევდა. უფრო მოშორებით ქვათა სამეფოს რუხი და აყალოსფერი სივრცე იწყებოდა და ჰორიზონტამდე მიდიოდა. და ამ უზარმაზარ თვალსაწიერში სიცოცხლის ნიშან-წყალიც არსად იგრძნობოდა. მხოლოდ ოახისის შორიხლოს, დასავლეთით, წყაროსთან განოლილ პალმების ხეივანში შეამჩნევდით ფართო შავ კარვებს, რომელთა გარშემოც აქლემების ქარავანი თვლემდა; ისინი აქედან ნამცეცისოდენა მოჩანდნენ, და რუხ მიწაზე უცხო რამ დამწერლობის იეროგლიფებს ხატავდნენ, რომელთა აზრის ამოსაცნობად მკითხაობა იყო საჭირო. უდაბნოს თავზეც იმგვარივე უსაზღვრო მდუმარება გამეფებულიყო, როგორც თვით უდაბნოში.

მდუმარე ჟანიანს თვალი ვერ მოეწყვიტა მის წინ გადაშლილი სივრცისათვის. იქვე კი მარსელი ცმუკავდა, სციოდა და წასვლა უნდოდა. რა იყო აქ სანახავი... მაგრამ ქალს არ შეეძლო სივრცისთვის თვალი მოეწყვიტა, ეგონა, რომ შორს, სამხრეთით, იმ ადგილას, სადაც ცა და დედამიწა ერთმანეთს ნათელ ხაზად ერწყმოდა, რალაცა ელოდა — სწორედ ის, რაც მუდამ აკლდა და რაც დღესაც არ იცოდა, რა იყო. საღამო მოახლოვდა. სინათლე ნელა გაფერმკრთალდა და წყაროსავით კამკამა გახდა. და აი, უცებ ქალმა, რომელიც შემთხვევამ მოიყვანა აქ, იგრძნო, როგორ ნელ-ნელა დაიშალა ყოველდღიურ მონყენილობათა გორგალი, კარგა ხანია გულს რომ უკუმშავდა. მომთაბარეთა ბანაკს გადახედა, მაგრამ ვერავინ შენიშნა კაცთაგანი. შავ კარვებს შორის ფოთოლიც არ იძვროდა. ქალი კი მაინც ფიქრობდა მათზე, რომელთა არსებობაზეც დღემდე არაფერი იცოდა. უსახლკარონი, ქვეყნიერებას მონყვეტილნი, დაეხეტებოდნენ ქალის წინ გადაშლილ ამ უზარ-

მაზარ მიწაზე, რომელიც თავის მხრივ, ერთი სასაცილო ჩამონაჭერი იყო ვეება სივრცისა, თავბრუდამხვევი სისწრაფით რომ იმლებოდა სამხრეთით, ათასობით კილომეტრზე. ბოლოს კი, მაცოცხლებელი მდინარე ელობებოდა და ტყეც იწყებოდა. უხსოვარი დროიდან ამ უსაზღვრო მხარეში, ამ გამომშრალ მიწაზე, ორიოდ გაძვალტყავებული ადამიანი დაეხეტებოდა. არც არავის ემონებოდნენ, იყვნენ გარიყულნი და თავისუფალი მეუფენი ამ უცნაური სამეფოსი. ჟანიანი ვერ მიმხვდარიყო, რატომ ფიქრობდა ამაზე ასე სევდით და იმგვარი სიტკბოთი, რომ თვალებსაც კი ლულავდა. ქალმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს სამეფო ოდიტგანვე მისთვის იყო აღთქმული და მაინც მისი არასოდეს არ იქნებოდა, უკვე აღარ იქნებოდა, გარდა ამ ორიოდ ნამისა, როცა არაბული ქალაქიდან მოვარდნილი ხმაური უცბად მიწყდა, ქალის თვალწინ უმოძრაო ცა გადაიხსნა და სინათლე ჩანქერად გადმოიღვარა. ქალს მოეჩვენა, რომ ერთბაშად დრო შეჩერდა და ამიერიდან ამქვეყნად არც არავინ დაბერდებოდა, არც არავინ მოკვდებოდა. ამ ნამში თითქოს ყველაფერი შეჩერდა და მხოლოდ ქალის ბედმაგი გულიდა ფეთქავდა, სიმწრისა და აღტაცებისაგან ატირებული.

მაგრამ სინათლე დაიძრა, კამკამა ცივი მზე დასავლეთით გადაიხარა. დასავლეთით ცა გავარდისფერდა, აღმოსავლეთით კი ნაცრისფერი ღრუბელი გამოჩნდა, რომელიც მზად იყო ნელ-ნელა ჩაეყლაპა ეს უზარმაზარი სივრცე. რომელიცაღ ძალდი უკვე აყმუვლდა. მერე მისი შორეული ყეფა ჰაერში ავარდა და თითქოს უფრო აცივდა. ჟანიანი მაშინლა გამოერკვა, კბილს კბილზე რომ აციემინებდა. „აქ შეიძლება მოკვდეს კაცი, — თქვა მარსელმა, — სულელი ხარ, ჩავიდეთ“, და ხელი ტლანქად გამოსდო. ქალი მორჩილად მოშორდა მოაჯირს და მიჰყვა. კიბზე მდგარი მოხუცი არცკი შერხეულა, ისე გამოაყოლა თვალი. მთლად მოქანცული, ნელში მოხრილი ქალი ვერავის ამჩნევდა და ძლივს მიათრევდა სქელ ფეხებს, რომელიც ახლა უფრო აუტანლად ეჩვენებოდა. წელანდელმა აღმაფრენამ გაუარა. ახლა მწარედ გრძნობდა, რომ ძალიან დიდი, ძალიან სქელი, ძალიან თეთრი იყო იმ ქვეყნიერებისათვის, სადაც ახლახანს შეიხედა. ამათ რგებიათ წილად ამ მიწის ჩუმად თელვა. თავად კი აქ რა ესაქმება, გარდა იმისა, რომ როგორმე მიაღწიოს სასთუმალს, როგორმე მივიდეს სიკვდილთან.

სასტუმრომდე ძლივს მიაღწია. ქმარი მდუმარებას მარტო იმიტომ არღვევდა, რომ დაეჩვილა, დაღლილი ვარო; ქალი გრძნობდა, ავად ხდებოდა და უღონო წინააღმდეგობასლა ეწეოდა. საწოლამდე გაჭირვებით მივიდა. მარსელი გვერდით მიუწვა და არც კი უკითხავს, ისე გამოართო სინათლე. ოთახი გაყინული იყო. ჟანიანი გრძნობდა, როგორ ეპარებოდა სიცივე და

იმავე დროს სიცხეც უძლიერდებოდა. ძლივს სუნთქავდა. ძარღვებში სისხლი გამალებით უჩქეფდა, მაგრამ ვერ კი ათბობდა, რალაც შიში ეუფლებოდა. გადაბრუნდა. რკინის ძველმა საწოლმა ქალის სიმძიმის ქვეშ დაიკვნესა. არა, ავადმყოფობა არ უნდა. ქმარს უკვე სძინავს და თვითონაც უნდა დაიძინოს. ძილია საჭირო. სარკმლიდან ყრუ ხმაური აღწევდა. მავრიტანული ყავახანებიდან ძველი პატეფონების ხრინჩიანი ჰანგები იფანტებოდა და ჟანგბადი აღწევდა ბრბოს მდორე ხმაურთან ერთად. ძილია საჭირო. ქალი თვალდახუჭული ითვისდა შავ კარვებს. მის წინ უამრავმა აქლემმა ჩაიარა. სულში მარტოობა მეფობდა. რატომ ჩამოვიდა აქ? და ამ კითხვაზე ჩაეძინა კიდევც.

მალე ისევ გამოელვოდა. ირგვლივ სამარისებური დუმილი იდგა. მხოლოდ ძაღლების ხრინჩიანი ყეფა არღვევდა ღამის მყუდროებას. ჟანგბადი გააკანკალა, მერე გვერდზე გადაბრუნდა, მხარზე მარსელის მაგარი მხარი იგრძნო და უცბად, ნახევრად მძინარე, მიეხუტა ქმარს. ქალი თითქმის გამოფხიზლდა, მაგრამ ძილს თავი მაინც ვერ წაართვა. თითქოს ნავსაყუდელი იბოვავო, ქმრის მხარს რალაც ხარბი ინსტინქტით ჩამოეკიდა. თითქოს რალაცას ამბობდა, მაგრამ მის ბაგეს ერთი ბგერაც არ მოსწყვეტია. ლაპარაკობდა, მაგრამ თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდა. მხოლოდ მარსელის სითბოს გრძნობდა. აი, ასე, ოცი წელი, ყოველდღე თბებოდა ამ სითბოთი, მუდამ ერთად იყვნენ, ავადმყოფობის დროსაც, მოგზაურობაშიც, როგორც ახლა... რა უნდა გაეკეთებინა მარტოდმარტოს შინ? შვილები არა ჰყავთ! იქნებ ის რალაც, რაც ქალს აკლია, ესეცაა? ქალმა არაფერი იცოდა. იგი მარსელს მისდევდა ერთგვარი კმაყოფილების გრძნობით, — ვილაცას სჭირდებოდა, მორჩა და გათავდა! ეს იყო ერთადერთი სიხარული, რომელიც კაცმა მიანიჭა — შეგნება საკუთარი თავის აუცილებლობისა.

აშკარაა, კაცს ცოლი არ უყვარდა. სიყვარულს, თვით მჭლე სიყვარულსაც კი, ასეთი უყმური სახე არა აქვს. მაგრამ როგორი სახე აქვს სიყვარულს? ამათ მარტო ღამდამობით უყვარდათ ერთმანეთი. სიბნელეში, როცა ერთმანეთს ვერც კი ხედავდნენ და მხოლოდ ხელებს აცეცებდნენ. არსებობს კი სხვა სიყვარული ამ ღამეული სიყვარულის გარდა? სიყვარული, რომელსაც შეუძლია დღისით-მზისით იყვიროს? ქალმა არ იცოდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ მარსელს იგი სჭირდებოდა და მასაც სჭირდებოდა, ვილაცისთვის საჭირო ყოფილიყო. ჟანგბადი მხოლოდ ამითი ცოცხლობდა დღეცა და ღამეც. განსაკუთრებით ღამე, ყოველღამე, როცა კი მარსელს არ სურდა მარტოობა. ქალს არც სიბერე უნდოდა, არც სიკვდილი. ის შეუპოვრობა, ერთხელ რომ წაიკითხა ქმრის სახეზე, შემდეგში, სხვა მამაკაცებისათვისაც

შეუმჩნევია და ქალი მიხვდა, რომ ყველა მამაკაცი ამითი ჰგავს ერთმანეთს. ასე ნილბავენ თავიანთ სისულელეებს სიჭკვიანის ნილბით, ვიდრე სიგიჟემორეული სასონარკვეთილებით არ მივარდებიან ქალის სხეულს, რათა ჩაიმალონ მასში, დაემალონ მარტოობასა და სიბნელეს, მუდამ რომ შიშის ზარსა სცემთ.

მარსელი ოდნავ შეირხა, თითქოს ქალის მოშორება სურსო. არა, მას არ უყვარდა ცოლი, უბრალოდ უიმისოდ ეშინოდა. კარგა ხანია უნდა გაყრილიყვნენ და სიცოცხლის ბოლომდე მარტოდმარტო დაეძინათ, მაგრამ ვის შეუძლია მარტო ძილი? ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, მათი, რომელთაც ან მოწოდება, ანდა უბედურება აშორებს დანარჩენებს; ანდა იმათი, რომლებიც ყოველ საღამოს სიკვდილთან ერთად წვებიან საწოლში. მარსელი ამას ვერასოდეს შეძლებდა, ის ხომ სუსტი და უმწეო ბავშვივით იყო, რომელსაც მუდამ ეშინოდა რალაცისა. დიახ, სწორედ ამ ქალის ბავშვია, ვისაც ეს ქალი სჭირდებოდა და ვინც ამ წუთში ოდნავ ამოიკვნესა. ქალი უფრო მჭიდროდ მიეხუტა და ხელი მკერდზე გადაუსვა, გულში ის საალერსო სახელი დაუძახა, ოდესღაც რომ შეარქვა და ათასში ერთხელ ეძახდა ხოლმე, უაზროდ, ისე, რომ არც კი ფიქრობდა, რას ეძახდა.

ქალი მთელი არსებით თავისკენ უხმობდა, ბოლოს და ბოლოს ქალსაც ხომ სჭირდებოდა იგი, მისი ძალა, მისი პატარ-პატარა უცნაურობები, მასაც ხომ ეშინოდა სიკვდილისა! "თუ დავძლევ შიშს, ბედნიერი ვიქნები..." და იმნამსვე ენით უთქმელი სასონარკვეთილება მოეძალა. ქალი მარსელს მოშორდა. არა, ბედნიერი არასოდეს არ იქნება, ისე მოკვდება, რომ ამ სატანჯველს ვერსად გაექცევა. ქალს გული სტკიოდა. ახლალა შეამჩნია, რა გამწარებით იბრძოდა უზარმაზარი სიმძიმის ქვეშ. გულს თავისუფლება სურდა. დაე, გინდ მარსელმა და გინდა სხვებმა ვერასოდეს ჰპოვონ თავისუფლება! მას თავისუფლება სურს! საწოლზე წამოინია და ყური მიუგდო ძახილს, თითქოს აქვე, სულ ახლოს რომ ისმოდა. მაგრამ ღამის უსაზღვროებაში ოაზისიდან მხოლოდ მოღლილი და მოუღლები ძაღლების ღავდავი აღწევდა. სუსტმა ქარმა დაჰბერა და პალმები ააშრიალა. ქალს ეგონა, წყლის რაკრაკი მომესმაო. ქარმა სამხრეთიდან წამოუბერა. იქიდან, საიდანაც უდაბნო და ღამე ერთმანეთს შენივთოდა, გაყინულ ცად ქცეულიყო, სადაც ცხოვრება შეჩერებულიყო, სადაც არავინ ბერდებოდა და არავინ კვდებოდა. შემდეგ ქარის მორაკრაკე ხმა მიწყდა და ქალმა ისიც კი აღარ იცოდა, მართლა მოესმა თუ არა რაკრაკი ან რაიმე სხვა ხმა, გარდა იმ იდუმალი ძახილისა, რომელიც სურვილისამებრ თავადვე შეეძლო ჩახეშო, გაეძლიერებინა, მაგრამ რომლის აზრსაც ვეღარასოდეს ჩასწვდებოდა, თუ დაუყოვნებლივ პასუხს არ

გასცემდა. დიახ, ახლავე — იგი ამაში დარწმუნებული იყო!

ქალი ჩუმად ადგა და სანოლთან გაირინდა. ქმრის ფშვინვას დააყურადა. მარსელს ეძინა. როგორც კი თბილი სანოლი მიატოვა, მაშინვე შეაყრყოლა. ფარდებს შორის შემოდნეული ქუჩის ფარნების სუსტ სინათლეზე ხელის ცეცებით მოძებნა ტანსაცმელი. ნელა ჩაიცვა, ფეხსაცმელი ხელში აიღო და კართან მივიდა. ცოტა ხანს კიდევ შეიცავდა და ხელი ფრთხილად მოკიდა სახელურს. სახელურმა დაიჭრია-ლა. ქალი გაშეშდა. გული გამალებით უცემდა. მიაყურადა, სიჩუმემ კვლავ დაამშვიდა და სახელურში გადაატრიალა. ეგონა, კარს ვერასოდეს გამოვადებო. ბოლოს გაალო, კარეთ გაძვრა, კარი ფრთხილად მიხურა და ზედ ლოყით მიეკრა. ერთხანს ეგრევე იდგა და უსმენდა, მერე მარსელის ყრუ ფშვინვა შემოესმა და გაბრუნდა. სახეში მაშინვე ღამის ცივი ჰაერი შეეფეთა. ქალმა დერეფანში გაიარა, სასტუმროს კარი დაკეტილი დახვდა. ვიდრე ურდულს აწვალებდა, კიბის თავზე ღამის დარაჯის ძილისაგან არეული სახეც გამოჩნდა. მან რაღაც უთხრა არაბულად. „ახლავე დავბრუნდები“, — უპასუხა ჟანიმმა და სიბნელეში გაუნინარდა. პალმებისა და სახლების თავზე ვარსკვლავთა გირლიანდები ეკიდა. ქალი უკაცრიელ ქუჩაზე მიბოდა. სიცივეს, რომელსაც მზე ნინააღმდეგობას აღარ უწევდა, მთლიანად შთაენთქა ღამე. გაყინულმა ჰაერმა ფილტვები ჩასწვა. მაინც მიბოდა სიბნელეში, ნახევრად დაბრმავებული. ქუჩის ბოლოში გამოჩნდა სინათლე, რომელიც მისკენ ცახცახით დაეშვა. ქალს ხმაური მოესმა და შეჩერდა; სინათლის იქით, რომელიც უფრო და უფრო კაშკაშა ხდებოდა, დაინახა უზარმაზარი ბურნუსები, რომელთა ქვეშაც ველოსიპედების ბორბლები ბრწყინავდა. ბურნუსებმა ახლოს ჩაუქროლეს. მათ უკან სამმა წითელმა ნაპერწკალმა გაიღვია და მაშინვე გაქრა. ქალმა კვლავ განაგრძო სირბილი. ცივმა ქარმა ისე დასწვა ფილტვები, რომ შუა გზაზე გახვდა, მაგრამ უკანასკნელმა აღტკინებამ ციხე-სიმაგრის ტერასაზე ააგდო, იმ მოაჯირთან, რომელსაც უკვე მუცლით აწვებოდა. ქოშინებდა, თვალწინ ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა. სირბილმა ვერ გაათბო და მთელი სხეულით ცახცახებდა. ცივმა ქარმა, რომელსაც იგი ნთქავდა, მთელ ტანში დაუარა. როცა კანკალი გაუვლიდა, სხეულში თითქოს სითბო იბადებოდა და ქალის თვალებმა ბოლოს და ბოლოს გადახსნეს ღამეული სივრცეები.

არც სუნთქვა ისმოდა, არც ხმაური. ხანდახან ქვები იმსხვრეოდა სიცივისაგან და მათი ყრუ ტკაცატკუცი თუ არღვევდა იმ სიჩუმესა

და სიმარტოვეს, ჟანიმს რომ ერტყმოდა ირგვლივ. უეცრად მოეჩვენა, საიდანღაც მოვარდნილმა ძალამ როგორ შეძრა ცა მის თავზე. მშრალ, ცივ და ბნელ ღამეში ზედიზედ ჩნდებოდნენ ვარსკვლავები, ყინულოვანი ბრწყინვალეობით რომ მიისწრაფვოდნენ ჰორიზონტისაკენ. ჟანიმმა თვალი ვერ მოწყვიტა ამ გზად მიმავალ ცეცხლს. ქალიც თითქოს ვარსკვლავებთან ტრიალებდა და იდუმალი ფერხულით თანდათან ღრმად იჭრებოდა ვარსკვლავთში. მასში ახლა სურვილი ებრძოდა სიცივეს. მის თვალწინ ვარსკვლავები ზედიზედ ცვიოდნენ და ქრებოდნენ ქვიშიან უდაბნოში. ჟანიმი უფრო და უფრო მეტად უღებდა გულს ღამეს. დაავიწყდა სიცივე, მძიმე ცხოვრება, მდორე და ერთ ადგილზე გაყინული ყოფა, უდიდესი სევდა სიცოცხლესა თუ სიკვდილზე. ბოლოს და ბოლოს, შეჩერდა ამდენი წლების გიჟური სრბოლის შემდეგ, შიშისაგან გზაბნეული, უმიზნოდ რომ მიექანებოდა წინ, ეგონა, ხელახლა ვპოვე საკუთარი ფესვებიო, ახალი ძალით ამევესო სხეული, რომელიც სიცივისაგან აღარ მითრთისო. მუცლით მოაჯირს მიწოლილი, მოძრავი ცისკენ ხელგანვდილი ქალი აფორიაქებული გულის დანყნარებასლა უცდიდა, რათა მის არსებაშიც სიჩუმე გამეფებულიყო. სადღაც შორს, უდაბურ ჰორიზონტზე, უკანასკნელმა ვარსკვლავებმაც გადაიარეს, ცეცხლოვანი კუდები დატოვეს და ზეცას მიეყინენ. მაშინ კი წყვიადის წყალმა წელი და აუტანელი სიტკბოებით გააჟონა ჟანიმის სხეულში. დაფარა სიცივე, ნელ-ნელა დაეუფლა მთელ მის სხეულს, ნიაღვარივით ადიდდა, ნაპირებზე გადმოვიდა და ჩაახშო ქალის კვნესა. წამიც და, ქალის თავზე გადაშლილი ცა ცივ დედამინას ზედ დაემხო.

ჟანიმი ფრთხილად დაბრუნდა ოთახში. მარსელს არც გაუღვიძია. როცა ქალი მიუწვა, რაღაც ჩაიბურტყუნა, მერე უცბად სანოლზე წამოჯდა და ლაპარაკი დაიწყო. ჟანიმს არ ესმოდა, რას ეუბნებოდა ქმარი. მარსელი ადგა და სინათლე აანთო. სინათლე ქალს სილასავით მოხვდა სახეში. კაცი ბარბაცით მივიდა პირსაბანთან, მინერალური წყლის ბოთლი იპოვა და დიდხანს სვამდა. ცალი მუხლით სანოლზე დაბჯენილმა, ლოგინში შესაძრომად რომ ემზადებოდა, ცოლს უაზრო თვალეობით შეხედა, რადგან ქალი თავშეუკავებლად ტიროდა და ცრემლების შეჩერებას ვეღარ ახერხებდა. „არაფერია, გენაცვალე, — ლულულულებდა ქალი, — არაფერი“.

ფრანგულიდან თარგმნა
დავით კახაბერიძე



ბოლოს, როგორც იტყვიან, ავეშალენით ერთი-მეორეს. და ეს საღმრთო საქმეც შეწყდა. დამრჩა თარგმნილი პირველი თავი სრულად და მეორე თავის ოცდარვა ლექსი.

ამას წინათ კიდევ ერთხელ გადავხედე თარგმანს, ზოგიერთი რამ ხელმეორედ გავმართე, დავაზუსტე და გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება.

მე ვთხოვ მკითხველს, მიიღოს ეს ფრანგმეტი, როგორც კიდევ ერთი მოკრძალებული ცდა ამ გენიალური, უურთულესი თხზულების ლექსად გადმოქართულებისა.

P.S.

ქართულ თარგმანს საფუძვლად დაედო მისი ღვთაებრივი მოწყალების ა.ჩ. ბჰაკტივედან-ტა სვამი პრაბჰუპადას პნკარედული და პროზაული რუსული თარგმანი, მისივე ვრცელი კომენტარებით. (Москва – Ленинград – Калькута – Бомбей- Нью-Дели, 1990 г.)

მთარგმნელისაგან

პასუხად
- გიქსა

ამ რამდენიმე წლის წინ ერთი პიროვნება მეწვია, თხოვნით: “ბჰაგავად-გიტა” მეთარგმნა ლექსად, ანუ მეტრითა და რითმით. ჯერ ვიუარე, — არსებობს თამაზ ჩხენკელისეული ჩინებული თარგმანი, სხვა რალა საჭიროა, თანაც დრო არ მაქვს, რომანზე ვმუშაობ-მეთქი. — არა, ჩვენ ლექსად გვინდა, ისე, როგორც ორიგინალშია, თქვენ „დაო დე ძინის“, “უპანიშადების” მთარგმნელი ხართ, ამასაც, გვჯერა, თავს გაართმევთო. თხოვნა იმდენად დაჟინებული იყო, მეც გულისხმაში ჩავვარდი (დასამალი რა არი, გარკვეული ფინანსური დაინტერესებაც იყო, რასაკვირველია).

და შევეუდექი ფრიად სამძიმო საქმეს.

მე და დამკვეთი ხშირად ვხვდებოდით, ვდაობდით, ვერ ვთანხმდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში ღრმად გაცნობიერებული იყო, სამწუხაროდ, იმას სხვაგვარად ესმოდა თარგმნის პრინციპები, მე — სხვაგვარად. და

თავი პირველი

ახიხაშახას ბჰმონის ვილხა
ბანყოზილ ნაშახითა დახაქვა

1.
დჰრიტარამტრამ თქვა:
„სანმინდარ ველზე, კურუკმეტრაზე, სად ლაშქრად მდგარი ეტლ-ჯარებია, რა ჰქმნეს, მითხარი, ჩემმა ვაჟებმა და პანდუს ძეთა, ო, სანჯაია?!“
- 2
სანჯაიამ თქვა:
„რაჟამს მეფემან დუროდჰანამ პანდუს ძეთ ლაშქრის გახედა წყობას, ხელნი ალაპყრო, ო ხელმწიფეო, და მიეახლა საყვარელ მოძღვარს:
- 3
„ჰოი, მოძღვარო, ქველო, გახედე პანდუს შვილების უძლევე ლაშქარსა, რა ფრიად მწყობრად აღუკაზმია შენს ერთგულ შეგირდს, დრუპადას ვაჟსა.
- 4
ლაშქრად მრავალი მოისარია, თავად არჯუნას და ბჰიმას დარი: იუდჰანაა, მძლე ვირატაა, დრუპადას მგვანი გმირი და მამრი.

5

დჭრიშტაკეტუა, ჩეკიტანაა,
პურუჯიტია მძლე, ვითა ხარი,
კუნტიბჰოჯაა, კაშირაჯაა,
შაიბიაა, დევეგმირთა გვარის.

6

ეტლზე აღმჯდარნი ლომებრ იბრძვიან,
ო, დრაუჰადას მამაცი ძენი.
მძლე უდჰმანიუს, უტამაუჯას
არ ედრიკებათ ეტლი და ხელი.

7

ახლა კი გამცნობ, დიდო ბრაჰმანო,
რაჟამს დრო დადგა ომის, მძლავრობის,
ბრძოლად აღძრული ჩვენი ჯარების
ვინ არი ღირსი მხედართმთავრობის.

8

ერთი თავად შენ. ბჰიშმაც და კარნაც,
მამაცი კრპაა, ქორებრ მხედველი,
აშვატთჰამაა, ფიცხი ვიკარნა,
სომადატის ძე, მტერთა მლენველი.

9

კიდევ ბევრია გმირი ერთგული,
ჩემთვის სიკვდილი რომ უჩანს არად,
ბრძოლანაცადი და აკაზმული
სახელოვანი რაინდის დარად.

10

დიდია ჩვენი ჯართა ძალები,
რაკილა ბჰიშმა გვინამძღვრობს თავად,
ფრიად მცირეა ძალა პანდავთა,
რასაცა ბჰიმა მოუძღვის ფარად.

11

მოვიდა ჟამი განლაგდეთ მწყობრად,
უფაროთ ფარი ბაბუა ბჰიშმას,
დაძრათ ლაშქარი, არ დაგიმონოთ
დედაკაცურმა ზაფრამ და შიშმა!"

12

მაშინ ჩაჰბერა თავის ნიჰარას
კურუს მთავარმა მამაცმა ბჰიშმამ,
დუროდჰანას გული აღანთო
ლომის ღრიალის მაგვარმა გრგვინვამ.

13

ერთხმად იქუსა რქამ და ნიჰარამ,
ბუკმა, საყვირმა, მცირე ბობლანმა,
ატყდა ხმაური უსასტიკესი,
გადმოიღვარა ღვარძლი და ბოღმა.

14

და ჰა, ველს იქით კრიშნამ, არჯუნამ,
თეთრი რაშებით შებმულ ეტლებში,
დაჰკრეს ნიჰარებს მიღმაქვეყნიურს,
ხმა დააქუხეს ცათა ზესკნელში.

15

პანჩაჯანიას დაჰკრა ნიჰარას
არსთავანმრიგემ, უფალმა კრიშნამ,
დევადატას ჰკრა არჯუნამ ქველმა,
ბჰიმამ-პაუნდრას, საზარს, მტრის რისხვას.

16

კუნტის ძემ, მეფემ იუდჰიშთჰირამ,
ანანტავიჯას დაჰკრა ნიჰარას,
საჰადევამ და ფიცხმა ნაკულამ —
სუგჰოშასა და მანიპუშჰაკას.

17

მძლემან შიქჰანდიმ, კაშის ხელმნიფემ,
დჭრიშლადიუმნამ დიდმოისარმა,
ვირატამ გმირმა, დიდმა დრუჰადამ
და სატიაკიმ მძლეთუძლეველმა,

18

დრაუჰადას ძეთ, მრავალმან სხვამან,
ო ხელმნიფეო, სუბჰადრას ძემაც,
თავის ნიჰარას ჩაჰბერა ყველამ,
პანდავთა ჯარი მოიცვა ლხენამ.

19

შეაზანზარა ცა და ხმელეთი,
ღმრთის ნიჰარების ზარმა და ზათქმა
და დჭრიტარაშტრას ძეთა გულები
შიშის და ზაფრის მორევმა დანთქა.

20

და ჰა, არჯუნამ გამართა მშვილდი,
დროშა შეენოდა ეტლს ჰანუმანის
და დჭრიტარაშტრას ძეთა მხილველმან,
კრძალვით გაუბა ღმერთს საუბარი:

21-22

არჯუნამ თქვა:

„ო, შეუმცდარო, გთხოვ, ეტლი ჩემი
შეაგრილო ორ ლაშქარს შორის,
რათა ვიხილო ბრძოლაუძღებნი,
ვისთან მომიწევს შებმა და ომი.“

23

მინდა ვიხილო, უფალო ჩემო,
ვინ ესწრაფება ომსა და ლალატს,
დჭრიტარაშტრას ძეთ უკეთურ ზრახვებს
ვინ თანაუგრძნობს, ვინ ლესავს დანას!"

24

სანჯაიამ თქვა:
„ბჰარატას დიდო შთამომავლო,
რაჟამს ისმინა არჯუნას სიტყვა,
ორ ლაშქარს შუა შეაგრიალა
მზისდარი ეტლი უფალმა კრიშნამ.

25

ბჰიშმას და დრონას და სხვა მეფეთა
წინარე წარსთქვა უფალმან: „პართჰა,
აჰა, იხილე ბრძოლად აღძრულნი,
ყოველი კურუ აქაა ახლა!“

26

და რა იხილა სახე პაპათა,
არჯუნამ, შორის ორთავ ლაშქართა,
სახე ბიძათა, სახე მოძღვართა,
სახე ძეთა და ძვირფას მამათა,

27

სახე თვისტომთა, კეთილმყოფელთა,
შვილიშვილთა და უახლოესთა,
ღრმა თანაღმობით აღევსო გული
და მწუხარების სიტყვა აღმოხდა:

28

არჯუნამ თქვა:
„მე რაჟამს ვხედავ, დიადო კრიშნა,
ლაშქრობის ვნებით აღმდგარსა ძმებსა,
გულდაზაფრული ველარ ვიმაგრებ
აცახცახებულ ფეხსა და მხრებსა.

29

მუხლებში ძალა მეღვევა, ღმერთო,
ტანსა და კანზეც მეღვრება გზნება,
თმა ყალყზე დგება და ჩემი მშვილდიც —
განდივა, ხელთით მეცლება, ვხედავ.

30

მერღვევა ხორცი, გონიც მემღვრევა,
ო კრიშნა, დემონ კემის დამმხოზო,
მე აღარ ძალმიძს თავისა პყრობა,
ეუჭვრეტ ავბედით დასასრულს მხოლოდ.

31

რას ვაქნევ ლხენას, თუკი მოყვასთა
სისხლით შევღებავ, ღმერთო, მარჯვენას,
რა თავში ვიხლი დიდხელმწიფებას,
ბედნიერებას და გამარჯვებას.

32

სამეფო ვრცელი, ლხენა, გოვინდა,
თავად სიცოცხლეს რად გვინდა ნეტა,
თუკი ისინი, ვისთანაც ერთად
სიამე უნდა გვეგემა ყველა,

33

თავსაც გასწირვენ და ქონებასაც,
კურუკშეტრაზე საომრად მდგარი
ჩემი მოძღვარნი, ძენი, მამები,
ბაბუები თუ სიძენი, ძმანი.

34

შვილთაშვილები, თვისტომი ყველა,
სიმამრები თუ ბიძები დედით,
მე ვერ გავწირავ მათ სასიკვდილოდ,
თუნდაც რომ ჩემზე აღმართონ ხელი.

35

სამივ სამყაროს ფასადაც არ ღირს,
ართუ მინად, ჭემმარიტს გამცნობ,
დჰრიტარაშტრას ძეთ დახოცვა, ღმერთო,
რა ლხენას მომგვრის, რა უნდა მარგოს.

36

ცოდვას მოვისთვლით მათი სიკვდილით,
ბედის ქალღმერთის დიადო ქმარო,
განა ვიქნებით ჩვენ ბედნიერნი,
ჩვენთა მოყვასთა დახოცვის გამო?!

37

და თუ იგინი, სიხარბით ბრმანი,
ველარ არჩევენ ბრალსა და ცოდვას
და უკეთური ხელით მუსრავენ
საკუთარ ჯილაგს, გვარსა თუ მოდგმას,

38

ჩვენ, მეცნაურნი, ო ჯანარდანა,
რალად ჩავცვივდეთ ცოდვასა შინა
და არ დავინდოთ ოჯახი, გვარი,
რომელთა დაცვაც საქმეა წმინდა.

39

საგვარეულოს განადგურებით,
განადგურდება ადათიც, წესიც,
კაცთა გულებში დაისადგურებს
ურწმუნოება, საზარი ზნენი.

40

ურწმუნოების გაბატონებას,
ო კრიშნა, მოსდევს დაცემაც ქალთა,
ქალთა დაცემას, ვრიშნის ნაგრამო,
მანკიერ მოდგმის გაჩენა ახლავს.

41

ჯოჯოხეთური გახდება ყოფა,
ადათს ოჯახურს ვინც სპობს, ვინც სცოდავს,
წინაპრებიც კი დაეცემიან, —
ვინლა შესწირავს ძღვენსა თუ ლოცვანს.

42

ავ საქმეთაგან ირღვევა ძველი
ოჯახურ წესთა კანონი მტკიცე,
ირღვევა ერი, ოჯახი, რწმენა,
შთამომავლობაც ირღვევა მყიფე.

43

არსთა სიცოცხლის საჭეთმპყრობელო,
კრიშნა, ბრძენთაგან დასტურ მსმენია,
რომ დამაქცევლის ოჯახურ წესთა
ბოლო სადგური ჯოჯოხეთია.

44

და ჰა, უფალო, საკვირველია,
რომ ჩვენც ვაპირებთ ჩადენას ცოდვის,
მზად ვართ გავჟღიჯოთ მოყვასი ჩვენი,
რომ ვიხელმწიფოთ ლხენით და მორჩებით.

45

მე მირჩენია დავაგდო მშვილდი,
ველზე გავიდე უიარაღო,
თხემით ტერფამდე შეაბჯრულებმა
დჰრიტარაშტარას ძეთ მომიღონ ბოლო!"

46

სანჯაიამ თქვა:
„თქვა და დაეშვა არჯუნა ეტლში,
გაჰყარა განზე კაპარჭი, მშვილდი,
მიეცა დუმილს, ფიქრმა დაიპყრო,
დარდმა მოიცვა არსება მისი.“

თავი მეორე მოხილვა ბჰაბჰაჯე-ბიხასი

1

სანჯაიამ თქვა:
„და რა იხილა თვალცრემლიანი,
რომ დაეთრგუნა დარდსა და ურვას,
მადჰუსუდანამ, უფალმა კრიშნამ,
გულდამძიმებულ არჯუნას უთხრა:

2

კურთხეულმა თქვა:
„ამ უმძიმეს ჟამს, ძვირფასო ჩემო,
რამ დაგიბინდა გონება ბინდით,
მოისთვლი რითაც არათუ ზესკნელს,
სირცხვილს მოისთვლი, კრთომით და რიდით.

3

ნუ დანებდები, ო პართჰას ძეო,
სულთუძღურებას, მდაბიურ გულთქმას,
შენ ეგ არ გშვენი, აღსდეგ, განმტკიცდი
და აღიძარი დუშმანთა მუსვრად!“

4

არჯუნამ თქვა:
„ბჰიშმას და დრონას, მითხარ, ვით ვკადრო,
მტრისა მმუსრაგო, ისართა ტყორცნა,
ვით შევებრძოლო, მადჰუს მძლეველო,
მოხუცთ, რომელთაც ეგებით ხოტბა.

5

სჯობს ვიყარიბო, ვიდრე ვიცოცხლო,
ამ დიად სულთა დაღუპვის ფასად,
იქნება კიდეც იხვეჭდნენ ოქროს,
მინც თაყვანს ვცემ მოძღვართა მსგავსად
და თუ დავხოცავთ, სისხლი იმათი
ლხენას გადმიქცევს ნალვლად და ნავსად.

6

და მე არ ვუნყი, რა გვიჯობს ახლა —
ვიძლიოთ იგინი თუ ჩვენ ვიძლიოთ.
და თუ დავხოცავთ დჰრიტარაშტრას ძეთ,
უნდა სიცოცხლე ტანჯვად ვიქციოთ.

7

გულდავრდომილმა, აღარც კი ვუნყი,
რა მაძევს ვალად, გონს მიმღვრევს ბინდი,
სულმონდობილი გვედრი, მონაფე,
მამცნე გადაჭრით გზა ჭეშმარიტი.

8

არ შემნევს ძალა დავიცხრო დარდი,
გრძნობებს რომელიც მიჭკნობს და
ფერფლავს,
ვერც მისალბუნებს ამქვეყნიური
ვერც ხელმწიფება, ვერც მალლით ხედვა,
ვერც ხელმწიფება უზენაესი,
ნახევარღმერთთა ცეცხლი თუ ელვა!“

9

სანჯაიამ თქვა:
„ამისა შემდგომ, მტრის შემმუსვრელმა
და უმეცრების მძლევემა არჯუნამ,
გრძნობათამპყრობელ მეუფეს უთხრა:
„არ ვიომებო!“ და მყის დამუნჯდა.

10

მაშინ, მეფეო, გრძნობათმპყრობელმან,
ლაშქართა შუა ღიმილით მდგარმა,
კრიშნამ, ბჰარატას შთამომავალო,
დარდით დავრდომილ არჯუნას ჰკადრა:

11

კურთხეულმა თქვა:
„შენ დარდობ იმას, რაც არ ღირს დარდად,
თუმცა საუბრობ სწავლულთა დარად,
ბრძენი, უწყოდე, არ დარდობს ცოცხლებს,
არცა მკვდრებს დარდობს, ასეა მარად.

12
რადგან არასდროს ყოფილა უამი,
რომ ჩვენ არასდროს ვყოფილიყავით,
მეც, შენც, მეფენიც — ვართ და ვიქნებით,
ისევე, როგორც როსმე ვიყავით.

13
ვითარცა სული სტოვებს ჯერ სიყრმეს,
სიჭაბუკეს და ბოლოს სიბერეს,
სიკვდილის მერეც სხვა სხეულს ერთვის.
ვინცა ეს უწყის, ლხენას იგემებს.

14
ლხენაც და ტანჯვაც, ო კუნტის ძეო,
ჰქრება, ვითარცა ზამთარ-ზაფხული,
შეგრძნებებიდან იბადებიან
და რას იმღვრევი, — თავს ჩაულრმავდი.

15
ვინც არ ირყევა ჭირშიც და ლხინშიც,
ო მჯობთა მჯობო, ვინაც მტკიცეა,
ვინაც არ დრტვინავს, ჩემო არჯუნა,
ის ჭეშმარიტად შვების ღირსია.

16
ვინაც შეიცნო ჭეშმარიტება
და ორმაგობა ბუნების არსის,
ის შთანვდა სულის წარუვალობას
და წარმავლობას მფშვინავი გარსის.

17
დაურღვეველი არი, უწყოდე,
რითაც ყოველი გამსჭვალულია,
უკვდავი სულის განადგურება,
ქვეყნად არავის არ შეუძლია.

18
საუკუნოა სული, უხრნნადი,
კვდება სხეული — მისი ჭურჭელი,
ბჰარატას დიდო შთამომავალო,
აღიძარ ბრძოლად, მოსპე ურჩები.

19
ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ძალუძს მოკვლა,
რომ მას მოჰკლავენ, ისიცა ცდება,
რადგანაც სული — „მე“ ჭეშმარიტი,
არც არავის ჰკლავს, არც თავად კვდება.

20
სულმა არ უწყის არცა სიკვდილი,
არ უწყის სულმა არც დაბადება,
ის ხომ არასდროს არ გაჩენილა,

არცა ჩნდება და არცა გაჩნდება,
ის საუკუნო, მარადმყოფელი,
ოდეს ხორცს ჰკლავენ, სული არ კვდება.

21
ვინც უწყის, სული რომ ურღვევია,
სანიადაგო და არშობილი,
ვერავის მოჰკლავს, ო პართჰას ძეო,
არც მოიკვლება, სულგაბრძნობილი.

22
ვით ძველ სამოსელს გადაჰყრის კაცი
და იმოსება სამოსლით სხვათი,
სულიც მიაგდება დაძენძილ სხეულს
და იმოსება სრულიად ახლით.

23
არა საჭურვლით არ იკვეთება,
არც ცეცხლში ინვის, არც წყლით სველდება,
არ არი ძალა მისი მომრევი,
არც ქარში შრება, არცა ნელდება.

24
არც დაიმსხვრევა, არც გაზავდება,
საუკუნო და ყველგანმყოფელი,
არცა ინვის და არც იშრიტება,
უცვლელია და განუყოფელი.


25
ამბობენ, სული უხილავია,
მიუწვდომელი, ნიადაგ მრთელი,
შენ თუ ეს უწყი, ო პართჰას ძეო,
ხორცს რაღას ნაღვლობ, გულმეუძვრელი?!

26
ხოლო თუ ფიქრობ, რომ ის ნიადაგ
იბადება და კვდება მარადის,
ასეთ დროსაც კი, ო მკლავძლიერო,
იგი გლოვად და დარდად არა ღირს.

27
ვინც იბადება, კვდება უცილოდ,
ხოლო ვინც კვდება, კვლავ ელის შობა,
ო, აღასრულე შენ შენი ვალი,
გარდაუვალის არ გმართებს გმობა.

28
უჩინო არი არსი სანყისში,
საჩინო მხოლოდ შუაუჟამს ხდება,
უჩინარდება დალუპვის მერეც,
ო პართჰას ძეო, რაღაზედ ღელავ.

თარგმნა ლერი ალიმონაკმა



ხაჭოს
 კეთის

ბაყიღანი სანი

ზამთარი...

ფიფქების კარნავალი...

სუსხის ხანა...

დაუმონებელი სიცივე ირგვლივ გამეფებას
 ლამობს...

პატარა სახლს ბურუსი გალავნად არტყია...

საზიზლარი ამინდი დახეთქილ კედლებს არ
 ინდობს, ფიფქებად შესვლას ცდილობს, მაგრამ
 იქვე ქვავდება...

გაცხარებულ გულს კი არაფერი ეკარება...

— აღარ მინდა შენთან ცხოვრება, არ მიყვარხარ...
 არც მიყვარდი, ღარიბი აღარ მჭირდები...
 მივდივარ... შენს შვილსაც გიტოვებ...

— მარი, დაბრუნდი, გთხოვ... ჩვენი თათია ხომ
 თოთოა... ისევ ვიმუშავებ... სულ მწვერვალზე
 ხომ ვერ ვიდგებით, ცხოვრება გამოცდას გვინცობს...

— არ მაინტერესებს, მომბეზრდა ამ ძველ

სახლში ცხოვრება...

კამათი ჩხუბში გადაიზარდა, ჩხუბი კი კარის
 ჭრიალმა დაასრულა...

ერთ დროს არსებული ტკბილი ოჯახიდან
 მხოლოდ ძირს უპატრონოდ დაგდებული
 ცრემლები დარჩა, ისიც სიცივემ შეაშრო და
 ყინულად აქცია...

— მამიკო, მოგივლი, გპირდები, ლამაზ და
 ჭკვიან გოგონად გაგზრდი... არ დავიკარგე-
 ბით...

ეს სიტყვები დევიზად იქცა, დევიზი კი
 საქმედ...

ცხოვრება ლუკასათვის უნაპირო ოკეანე
 აღმოჩნდა, რომელშიც თავის გადარჩენას
 ცდილობდა...

თითქოს წლებმა საუკუნეებად, მოგონებებ-
 მა კი ტანჯვად განვლეს.

ლუკას ახალგაზრდა სახეს ნაოჭი შეჰპარ-
 ვოდა...

მხოლოდ პატარა თათია თუ მოჰგვრიდა
 ღიმილს...

— მამა... მამა...

— თათი, პირველი სიტყვა სთქვი? მიყვარ-
 ხარ... სათუთი ხელები ლუკამ კოცნით აუვსო
 პატარას... ცრემლებს მორცხვად იმშრალებდა
 თათიას რომ არ ენახა.

დღეებმა იმედი შეიკედლა, სიხარული მოი-
 შინაურა პატარა უმწეო ოჯახში...

ზაფხულის მცხუნვარე დღეები ხალისსა
 და მზის სხივებს არ იშურებდა... მარადმწვანე
 ხეები სიცოცხლის სურნელს აფრქვევდა...

ერთი ლამაზი მზიანი დღეც...

— თათი, დღეს შენი დაბადების დღეა, უკვე
 დიდი გოგო ხარ, ოთხი წლის გახდი...

— რა ლამაზი თოჯინაა... ჩემზე დიდი...

ბავშვს მზერა გაეყინა, თვალები მინაბა და
 უგონოდ დაეცა...

— თათი, რა გჭირს?...

ლუკა შიშისაგან ადგილს ვერ პოულობდა,
 დახმარებას ითხოვდა, ირგვლივ კი სიჩუმე
 ბობოქრობდა...

საბოლოოდ სიჩუმე თეთრ ხალათიანმა ადა-
 მიანმა დაარღვია... ლოდინი ტანჯავდა ლუკას.

— თქვენს პატარას გულის მანკი აქვს...
 მკურნალობა სჭირდება და, რაც მთავარია,
 სიმშვიდე... თითქოს ამ სიტყვებმა ცხოვრების
 რიტმი გაყინა... ფიქრებმა ფრთები გაშალა და
 უდაბურ არეს მიეფარა... ცრემლები შემრობას
 ვერ ასწრებდა ლუკას თვალებზე...

— თათი, მამი, რატომ შენ? ნეტავ მე
 მჭირდეს...

ლუკას თითქოს სამყარო თავს დაემხო,
 ცხოვრებამ ომი გამოუცხადა, ისიც არ ნებდე-
 ბოდა, მედგრად იდგა და ფარ-ხმალს არ ყრი-
 და...

თვეები უხმოდ მიიწურა... წლებიც არ ჩერდებოდა...

ლუკა ყველაფერს ღონობდა, რომ თათიას ბაგეს ღიმილი არ მოჰკლებოდა...

შვილის სიყვარულმა სიდუხჭირის მწვერვალზე გადააღახინა და...

ისევ სიხარული...

ისევ ღიმილი...

სახლი მომღიმარ თოჯინებს ვერ იტევდა...

თითქოს ლუკაც 6 წლის გახდა...

ლამაზი დღეები დიდხანს გასტანდნენ, რომ არა...

— მამი, ვიღაც დეიდა გეძახის კარებთან...

თითქოს ღიმილი გაიყინა, ფიქრი აირია...

ისევ სიყვარული თუ უკვე სიძულვილი მეფობდა ლუკას გულში, თავადაც არ იცოდა...

— მარი?... არ მითხრა, რომ ისევ გიყვარვარ და დაბრუნება გინდა...

— არ დამიჯერებ, მაგრამ ასეა... შემომიშვი, გთხოვ, ერთ დროს ხომ გიყვარდი, დავიბრუნოთ ოჯახი...

ლუკას გაელიმა და ირონიულად უპასუხა:

— ერთ დროს ბევრი რამე მოხდა, ახლა კი სხვა დროა... ნადი...

ეს სიტყვები ოდნავაც არ შეხებია ქალს ოთახში უხეშად შეაბიჯა და ბავშვისაკენ გაემართა.

— თათია, ვერ მიცანი? მე დედიკო ვარ, მამიკო არ გეუბნებოდა, როგორ წამართვა შენი თავი?

— გაჩუმდი...

ლუკა საუბრის შეწყვეტას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ... ქალი ჯიუტად განაგრძობდა...

— შენ ჩემთან წამოხვალ...

პატარა გოგონას ვერ გაეგო ვინ იყო ეს ქალი, რატომ ექაჩებოდა თავისკენ... ქუთუთობზე ცრემლები დაუგროვდა, ბოლოს იმდენად დამძიმდა, ვერ გაჩერდა და ღანვებზე ერთ დიდ გუნდად დაიღვენთა...

— თათი, მამი, არ იტირო...

ბავშვს იხუტებდა და დამშვიდებას ცდილობდა...

— ნადი მარი, მთელ ჩემ ქონებას მოგცემ, ბავშვს თავი დაანებე...

ქალი კი ამ დროს დამცინავი მზერით სახლს ათვალიერებდა...

— არა, მე ბავშვსაც ნავიყვან და აღიმენტსაც მივიღებ, შენ კი სულ მარტო დარჩები ამქვეყნად...

ლუკას გულს ეს სიტყვები ლოდოდ ეცემოდა, ვერ წარმოედგინა, რომ ის გულუბრყვილო გოგონა, რომელიც ერთ დროს ძალიან უყვარდა, ურჩხულად გადაიქცეოდა და რის გამო? ფულის? ნუთუ შვილი მისთვის არაფერი იყო?

ბოლოს ძლივს ხმადაბლა წარმოსთქვა:

— ახლა ნადი... მერე ვილაპარაკოთ...

ქალიც არ შეეწინააღმდეგა, სიცილით გაიხურა კარი... ლუკა კი ბავშვით ხელში ათას ფიქრს აწყდებოდა, შიში იპყრობდა...

„თათიას წამართმევს? არ დავუშვებ!“ — ფიქრობდა.

ღამე ისე გაიპარა, ლუკას არც უგრძენია...

მსუბუქმა ნიაგამაც კი ვერ გამოაფხიზლა მისი გონება, დღეები ჯოჯოხეთს დაემსგავსა... მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა.

ის საშინელი დღეც დადგა...

სასამართლო... ნუთუ აქ მოსვლა ლუკას ოდესმე დასჭირდებოდა?

მაგრამ ცხოვრება ამოუცნობია... ყველაფრისთვის უნდა იყო თურმე მზად...

პატარა თათია გაკვირვებული სახით ადევნებდა თვალს მის გარშემო ატეხილ აურზაურს...

ალბათ, ვერ გაეგო რას იყოფდნენ მისთვის საყვარელი მამიკო და უცნობი დედიკო...

ამ დროს სახლში უნდა ყოფილიყვნენ ერთად და ემხიარულათ...

შიში უფრო უმძაფრებდა გულისცემას...

— სასამართლოს გადანყვეტილებით ბავშვზე უფლება დედას ენიჭება...

— არა, სამართალი სად არის? ბავშვი ვერც სცნობს დედას... შვიდი წელი მისი არსებობაც არ აღარდებდა, ახლა კი დედობის უფლება აქვს?

ლუკას საუბარი ტრაგიკულ მონოლოგს ჰგავდა — გულშემატიკვრის გარეშე...

სასამართლო დიდხანს გასტანდა რომ არა...

— თათი, გონს მოდი მამა...

ისევ თეთრი ხალათი... მაგრამ ამჯერად უიმედობა...

— ექიმო, ნუთუ ვერ უშველით...


პატარა თათიამ მამისთვის იმის თქმაც ვერ მოასწრო, თუ რა ძლიერ უყვარდა. მშვიდად გარდაიცვალა. სიცოცხლესთან გამოსალმების წინ დარწმუნდა, მამის სიყვარული რა ძლიერი ყოფილა მისდამი...

ლუკას გაყინული მზერა...

— ღმერთო, რისთვის? მე ხომ არავინ გამაჩნდა თათიას გარდა, ჩემს ცხოვრებას რა აზრი აქვს...

გატანჯული თვალები ვერ ელეოდნენ პატარა ანგელოზს, რომელიც უფალმა მოუვლინა...

ლუკა ყოველდღე აკითხავდა თათიას ოთახს იმ იმედით, რომ პატარა, მხიარული გოგონა შეეგებებოდა და მამიკოს კოცნით აავსებდა... მარი კი ვინ იცის, ამ დროს რას ფიქრობდა... ნუთუ მისი ახირება შვილს სიცოცხლის ფასად უნდა დასჯდომოდა?



რამს
 შენგელის

ხეცხეცა და სივიციზასია

ეს ორი ცნება საუკუნეების განმავლობაში მრავალ კონტექსტსა და მიმართებაშია ნაბრუნები. სხვადასხვა ლექსიკონსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნებათა განსაზღვრის ორ ასეულზე მეტი ცდაა მოცემული და ყველა დამაშვრალ ავტორს საკუთარი ვერსია საუკეთესოდ თუ არა, ყველაზე მისაღებად („ამ ეტაპზე მაინც...“) მიაჩნია. გასაგებია: თემაწარმტაცია, უკიდევანოა, მსჯელობისას უზუსტობის დიდი „ლუფტია“ დასაშვები და სხვა.

ანტიკური სამყარო, რომელზეც ჩვენ მეტნაკლებად გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, გარემომცველ სამყაროს ორ ნაწილად ჰყოფდა: *natura*, რომელიც ბუნებას ნიშნავს და აქ ადამიანის ფაქტორი სასურველად მაქსიმალურად გამოირიცხებოდა და *cultura*, რომელიც ადამიანის აქტიურობის შედეგი იყო. ეს აქტიურობა არ უნდა იქნას გაიგივებული ცხოველმყოფელობასთან, ყოველდღიურობასთან, ფიზიოლოგიურ აუცილებლობასთან,

მაგრამ არც მხოლოდ სინამდვილის ოდენ „თამაშა“ აბსტრაქტირებად უნდა წარმოვიდგინოთ. ადამიანის კულტურული ქმედება აუცილებლობის სულიერების მაფორმირებელი ძალით აღსრულებია.

ნიშანდობლივია, რომ სიტყვა *cultura* კლასიკურ ლათინურში გამოიყენებოდა მინის დამუშავების, სამინათმოქმედო ხელობის, მოსავლის მოყვანის ცოდნის აღსანიშნავად. მარკუს ჰორაციუს კატონმა (III—II სს. ქრ.შ.-მდე) ამ საკითხებისადმი მიძღვნილ თავის ოპუსს „*De agricultura*“ უწოდა. მინის დამუშავება /მოსავლის მოწევის ხელოვნება, გარდა ფიზიკური შრომისა, გულისხმობდა მკაცრად დეტერმინირებულ ცოდნას სად, რა და როდის უნდა მოეყვანათ, როდის დაეხნათ, დაეფარცხათ, დაეთესათ, მოერწყათ, მოეველოთ... როდის ელოცათ, ვისთვის და როგორ ეთხოვათ მოსავალი, რა შეენირათ, ვის შეენირა... როგორი ბომონი აეგოთ...

ურთულესია — მეთქი, წარმართული რელიგია და უპირველესად მის პოლითეიზმს, პოლიმორფიზმს ვგულისხმობ, საოცრად მრავალშრიან, მრავალგანსაზღვრებიან მითოსსაც, რომლის კითხვა და გაგება დაგვაფიქვდა, აღარ ვიცით და ახლა გენეტიკური მახსოვრობით ვცდილობთ აღვიდგინოთ. წარმართული პანთეონი თვალისმოძრელია თავისი მრავალფეროვნებით: აქ ყველა კითხვაა დასმული: კოსმოგონიით დაწყებული, ზნეობით დამთავრებული. პასუხიცაა, ალბათ, გაცემული, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ან ვერ ვხვდებით, ვერ ვხედავთ. ამას მოგვიანებით ქრისტიანობა გააკეთებს საბოლოოდ და უეჭველად. თუმცა, დღესაც „ბრმა ლეკვის სინდრომით“ დაავადებული კაცობრიობა ტუჩების ცმაცუნით დაექებს ცხვირწინ დაკიდებულ რძით გატიკნულ ძუძუს.

მანამდე კი, ადამიანთა მოდგმა განფენილი არცთუ ძალიან დიდ პლანეტაზე, ცხოვრობდა საკმაოდ რთული, საინტერესო ცხოვრებით და ქმნიდა კულტურას, რაც არამარტო მოსავლის მოყვანაში გამოიხატებოდა. თუმცა — კი, ამ საქმეში წარმატებული ერები ითვლებოდნენ სწორედ ყველაზე დანიანურებულად, კულტურულად. ადამიანი მიხვდა, ან ეს ცოდნა მას თანდაჰყვა (საიდან?), რომ ყველაფრის თავი და თავი წესრიგი იყო: სისტემა, თანამიმდევრულობა, აკრძალვა. აკრძალვა ანუ ტაბუ გახლდათ უმთავრესი ჰიპოსტასი სულიერებისა. თვითაკრძალვა. შეგნება იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთო, იყო გასაღები პიროვნული თავისუფლებისა, ზნეობისა და სულიერი პოტენციისა. ეს ადამიანმა იმთავითვე გაიგო, მაგრამ დღემდე ებრძვის მას (სატანა). ამის გამსივრძელებელი ადამიანები ქმნიდნენ კულტურას. ქართულ (მეგრულ) ენაში არის სიტყვა „ვაშინერს“,

რომლის თარგმნა არ შეიძლება*1 და ის გულისხმობს ნებაყოფლობით თვითშეზღუდვას, აკრძალვას, რომელიც სრულიად გამორიცხავს პოლიციურ სიმკაცრეს, დასჯას. ვაშინერს — არ შეიძლება, ეს კულტურაა და უამისოდ ზნეობა წარმოუდგენელია. ზნეობრივი ადამიანები კარნახობენ საზოგადოებრივ მორალს, თუმცა აქ დიდი კოლიზიაა ჩადებული და ამის შესახებ ქვემოთ.

როდესაც ციცირონს (ლ. ქრ.შ.-მდე) სურდა ფილოსოფიის ცნება განესაზღვრა, ასეთი რამ სთქვა: „Cultura animi autem phylosofia est“ — სულის კულტურა ფილოსოფიააო. ციცირონმა მისდა უნებურად ფილოსოფიასთან ერთად კულტურის სიღრმისეული დეფინიციაც მოგვცა, როგორც ორგანიზებული, სისტემური, გამოკრისტალებული გონიერი სუბსტრატისა. აგერ, თითქმის ფრანგულგანმანათლებლობამდე, სიტყვა „კულტურა“ ყოველთვის ამ შინაარსით იხმარებოდა და ისიც მსაზღვრელად სხვა სიტყვებთან და ცნებებთან კავშირში: cultura juris — ქვეყნის ნორმების შემუშავება, cultura scientiae — ცოდნის, გამოცდილების შექმნა, cultura lingue — ენის სრულყოფა, cultura litterarum_damwerlobis სრულყოფა და სხვა.

სრულიად თვალნათლივია „კულტურის“, როგორც ცნების დატვირთვა. საინტერესოა კულტურის, როგორც ეროვნული და რასობრივი ფენომენის დროსა და სივრცეში განფენილობის საკითხი. ჩემს თვალსაწიერში ძირითადად ევრაზიული და ჩრდილო-აფრიკული ერების (რასების) კულტურაა მოქცეული — მათი ურთიერთმიმართების ასპექტები.

მეცნიერთა დავის საგანი იყო და არის რამოდენიმე კარდინალური საკითხი, კერძოდ: ა) რა არის მიზეზი კულტურათა სხვადასხვაობისა? ბ) რა არის მიზეზი კულტურათა პრინციპული ერთიანობისა? გ) რა გზით ხდება კულტურათა ურთიერთკავშირი? დ) რა მიმართებაშია კულტურა ცივილიზაციასთან? და სხვ.

სრულიად გაუგებარია, როდესაც ლაპარაკს იწყებენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებზე, მათ შორის სხვაობასა და ერთიანობაზე. კულტურა მე თავიდან ბოლომდე სულიერ სამყაროდან ნასხლექ ტერმინად მიმაჩნია და მეორე საკითხია, თუ როგორ მჟღავნდება ის კონკრეტულ მატერიალურ საგანში. მაგალითისთვის: შეიძლება თქვენს წინ აღმართული იყოს თვალუნვდენელი ცათამბრჯენი, მაგრამ ის არავითარი კულტურული ღირებულებისა არ იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში, თქვენს ხელისგულზე მოთავსებული ჩუქურთმის ნატეხი უდიდესი კულტურის შესახებ გესაუბრებოდეთ. სულიერი კულტურის მატერი-

ალიზაცია ყოველთვის არ არის ზუსტი, არც აუცილებელია და საჭირო, ხოლო ხშირად — ზედმეტიც. ამ უკანასკნელის მაგალითად ეზოთერულ ფილოსოფიას დავასახელებდი. თუ მაინცდამაინც კულტურის ხელშესახებობაზე, მის ყოველდღიურობაზე, „გადემოკრატიულობაზე“ ლაპარაკი, მაშინ წინა პლანზე გამოდის ყველაზე ფუძემდებელი პარამეტრი კულტურულობისა — ადამიანთაშორისი ურთიერთობები. ეს არის: ა) დამოკიდებულება ორ უცხო ადამიანს შორის; ბ) ურთიერთობები ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან, „თანდაყოლილი“ ვალდებულებები; გ) სტუმართმოყვარეობა; დ) დამოკიდებულება უცხოელთან; ე) ქალის ფენომენი და მისი ადგილი საზოგადოებაში; ვ) მეგობრობის ინსტიტუტი; ზ) დამოკიდებულება ავადმყოფისა და უპოვარისადმი, სტიგმის პრობლემა და სხვ. ეს მრავალნახნაგა არის საფუძველი საზოგადოების სიჯანსაღისა და ყველაფერი ეს გადმოიღვრება ლიტერატურაში, სიმღერასა და მუსიკაში, ცეკვაში. იხატება ერის პროფილი, მისი ჭეშმარიტი სული, კულტურა. ადამიანის გაუცხოებით საზოგადოებისადმი იწყება ერთისა და მეორის კვდომა. ეს კვდომა ხანგრძლივია, მტანჯველი და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, შეუმჩნეველი.

გარეგნულად მონესრიგებული საზოგადოება/სახელმწიფო, გაკრეჭილი გაზონებითა და სანიმუშოდ ანყობილი ჩინოვნიკურ — სამართალდამცველი — საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუტებით ხშირად ადამიანთაშორისი ურთიერთობების კულტურის უმწვავეს დეფიციტს განიცდის. ამ დეფიციტს თითქმის ნულამდე დაჰყავს ერის პოტენცია და სამომავლო საზრისი. თუმცა, ეს უკვე ცივილიზებული საზოგადოების ნიშნებია და ცალკე სასაუბრო.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ კულტურას აქვს თვისება გავრცელდეს დროსა და სივრცეში. ვინაიდან, არ არსებობს კარდახშული კულტურა, ის ცოცხალი, მოძრავი ორგანიზმია, განიცდის განვითარებას, ცვლილებას, აღმასვლას, დაკნინებას... კვდება. ჩემ მიერ არჩეული სივრცის (ევრაზია — ჩრდ. აფრიკა), ერებისა და რასების კულტურები — აცდენილი დროში და გეოგრაფიულად შთამბეჭდავად დაშორებულები, — საოცარ ერთპრინციპულობას ამჟღავნებენ.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ კულტურული პარალელები შეიძლება გამოწვეული იყოს: ა) საერთო წინაპრის არსებობით, ბ) კულტურული დიფუზიით, გ) დამოუკიდებელი განვითარებისას ყველასათვის საერთო გზის გავლით. ამის დასამტკიცებლად შეიქმნა „ელემენტარული იდეების“ (ა. ბასტიანის) თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანებს ძირითადად მსგავსი ფსიქიკა აქვთ, შეპყრობილი არიან ერთიანი ელემენტარული იდეებით და აქედან

*1 ეს სიტყვა, ეტყობა, მაინც „შინუა“ — დან მოდის, რაც „ხსენებას“ ნიშნავს. ვაშინერს, — ის რისი ხსენებაც არ არის საჭირო.

გამომდინარე, მათ მიერ შექმნილ კულტურებსაც საერთო პრინციპები უნდა ჰქონდეთ. ამ პოზიციას ლოგიკურობას ვერ წაართმევ და მას გარკვეული დოზითა და კონკრეტიკის დაცვით ჭეშმარიტების სახით არსებობის უფლებაც აქვს. დავუბრუნდეთ საერთო წინაპრისა და დიფუზიის საკითხებს. როდესაც საერთო წინაპარზე ვლაპარაკობთ, იმნამს მედიტრანული სივრცე წარმომიდგება კავკასიითურთ. ჩემთვის უეჭველია (ღმერთმაც მაპატიოს და თქვენც), რომ ეს სივრცე გარკვეულ ეპოქაში ერთიანი რასით იყო დასახლებული. ვუნდოთ მას იბერიული რასა პირობითად და უნდა ავღნიშნოთ, რომ ის იმდენად მონოლითური იყო კულტუროლოგიური თვალთახედვით, რომ შეიძლება ერთ დიდ ერადაც კი მოვიზნოთ, რომლის გენეტიკურად ყველაზე შეურყვანელ ნამსხვრევებად შეიძლება საქართველო (კავკასია) და ბასკეთი წარმოვიდგინოთ. ის დიდი და საინტერესო, ცოტა უჩვეულო კულტურის მატარებელი იყო. სრულიად გაუგებარია ვინ იყო ამ რასის წინაპარი ამ ასპექტში. იბერებმა მეტად თავისებური როლი შეასრულეს მსოფლიო კულტურის ისტორიაში. შუმერებიდან მოყოლებული კელტიბერებით დამთავრებული, ისინი სხვათა კულტურისა და ცივილიზაციების მესაძირკვლენი შეიქმნენ. ეს აღმოჩნდა მათი მისია: საკუთარი გაქრობის კვალდაკვალ ჰქმნიდნენ სხვათა კულტურას, სახელმწიფოს, ცივილიზაციას.

შუმერებმა სემიტებთან შეჯვარებით ბაბილონურ კულტურას ჩაუყარეს საფუძველი, შემდეგ ასურეთის, მითანის, სუბარების სახელმწიფოებს; ინდოევროპელებთან შეერთებით ხათებმა ხეთურ კულტურას მისცეს დასაბამი; პელასგურმა ტომებმა ასევე ინდოევროპელ ელინებთან ტროას ომის წაგების შემდეგ დიდი ბერძნული ცივილიზაციის ისტორიას დაუდეს სათავე; ეტრუსკები ლათინებს შეერწყნენ; ესპანეთის იბერები ჩრდილოეთიდან მოსულ ტომებს; ბრიტანეთის იბერები კელტებს და ა.შ.

ყველა შემთხვევაში კულტურა დამხვდური-სა იყო, მოსულისა კი — ახალი სისხლი, ამბიციები და სურვილი — მზამზარეულად შეთვისებული კულტურა იარაღად ექციათ სხვა ერების მიმართ. ვინ—ვინ და, მოსულმა და არმცოდნემ ყველაზე კარგად იცოდა იმ ცოდნის ფასი და ძალა, რომელიც დახვდა და მუქთად იგდო ხელთ. ვფიქრობ, აქ შეიძლება დავაფიქსიროთ კულტურის კიდევ ერთი თვისება — კონვერსია, ანუ უნარი, ერთი ერის წიაღში გარკვეული სახით არსებობის შემდგომ გააგრძელოს სახეცვლილი ყოფა სხვა (ახლად შექმნილ) ერში ძირითადი კონცეპტუალური ბაზისის შენარჩუნებით. როგორც წესი, ასეთ დროს მემკვიდრეობითობა საგულდაგულოდ იჩქმალება. წინა პლანზე გამოდის აგრესიული პოლიტიკა და ამ პოლი-

ტიკის შემქმნელი ახალგაზრდა ერები იწყებენ დაპყრობით ომებს, სადაც თვითონ არცთუ დიდი ხნის წინ „მემკვიდრეობით“ მიღებულ კულტურას სხვა ერებს ახვევენ თავს საკუთარი სახელით. ეს, უკვე, ჩვეულებრივ, მშვიდობიან ერთაშორის ურთიერთობასთან ერთად, ზემონახსენები „კულტურული დიფუზიაა“, რომელსაც აღარც საზღვრები აქვს და აღარც დროში იზღუდება. ყველაფერს ერთად „კულტურტრეგერობასაც“ უწოდებენ და ამაყოფენ კიდევ.

ინყება გზა ცივილიზაციისკენ.

„ცივილიზაცია“-ც ლათინური სიტყვაა და მისი სრულყოფილად შეგარძნების მიზნით ფუძისეულ ნაირგვარობას დაუვკვირდეთ: *civitas* — საზოგადოება; *civis* — მოქალაქე; *civilis* — სამოქალაქო. უკვე XVI საუკუნეში ჩნდება „civilise“ — წესიერი, კარგი ტონის მატარებელი, ხოლო XVII საუკუნეში ზმნა „civiliser“, რაც პრიმიტიულობიდან, უბრალო, პასტორალური ყოფიდან გამოსვლას ნიშნავდა. XVIII საუკუნეში ეს ტერმინი ჩნდება ლექსიკონებში; XIX — „ცივილიზაცია“ „კულტურის“ იდენტურ ცნებად ჩანს და ამავე საუკუნის ბოლოს მისი პარტიკულარიზაცია — დანაწევრება სხვადასხვა ეპოქისა და ერების (რასების) ცივილიზაციად, საერთო სურათს არ ცვლის. ის, უმეტესწილად, სწორედ „კულტურის“ ნაცვლად იხმარებოდა (გერმანიის გარდა). ამ ორი ტერმინის აღრევა — გაიგივება მიმდინარეობს დღესაც და უფრო დაურიდებლად, ვიდრე ოდესმე. თუმცა, ყოველთვის მოიძებნებოდნენ მეცნიერები, რომელნიც ცივილიზაციის რაობისა და ნიშან-თვისებების დადგენას ლამობდნენ. მისი ზუსტი განსაზღვრა, ისევე როგორც კულტურისა, არ არსებობს, მაგრამ კარდინალურ მახასიათებლებს ბევრს და ხშირად, — ურთიერთგამომრიცხავს — ასახელებდნენ: ქალაქების დაარსება; დამწერლობის შემოღება; მოდერნიზაცია და ტექნოლოგიური მიღწევები; სახელმწიფო ორგანიზაცია; პრივილეგიებული კლასების არსებობა; საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო საკუთრება. ცენტრალიზებული სიმდიდრე; ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება; პროფესიონალების გაჩენა სოციაუმის სხვადასხვა სფეროში; განვითარებული მეცნიერება და სხვ. როგორც ვხედავთ, აქ მოტანილი ჩამონათვალი ძირითადად სოციალურ და ეკონომიკურ მხარეს ეხება და გვერდს უვლის ამ პრობლემის რთულ, ერთი შეხედვით მიმაღულ და ჩემი აზრით, წარმართველ ფაქტორს. ეს არის სულიერება და ამ სულიერების მატარებელი ადამიანი. ჩემთვის ყოფიერება არ განსაზღვრავს ცნობიერებას, ეს ორი ცნება ურთიერთმსაზღვრელია და მინც ცნობიერი, გონიერი უთავადესია.

პირველად იყო სიტყვა.

ამ სიტყვამ შექმნა გონიერი და ზნეობრი-

ვი, და ეს უკანასკნელი არის ყველაზე დიდი სასწაული. ეს არის, რაც ვარსკვლავებით მოჭედულ ზეცასთან ერთად აოცებდა კენიგსბერგელ მარტოსულს — იმანუელ კანტს და რელიგიაში აბრუნებდა.

სხვადასხვა ერისა (რასის) და ეპოქის გონიერმა და ზნეობრივმა ადამიანებმა შეჰქმნეს სხვადასხვა დროისა და შეფერილობის კულტურა. თითოეული ამ ორგანიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ალბათ, დგებოდა ოქროს ხანა, როცა სახელმწიფოებრივ სიძლიერეს, ეკონომიკურ განვითარებას, მეცნიერებისა და ხელოვნების შესაფერის დონეს ერწყმოდა საზოგადოებრივი მორალის თავისთავადი მდგრადობა. ეს იქნებოდა მეტ-ნაკლებად მყარი ბალანსი, რომელიც კულტურის მრავალნახნაგოვან მატერიალიზაციად უნდა წარმოვიდგინოთ. კულტურაზე ორიენტირებული ავტორები გრძნობდნენ არსებულის სიკეთეს, ყოველი მხრიდან მოძუძგურებულ საშიშროებას და იქმნებოდა დაწერილი თუ დაუნერეული კანონები, საზოგადოების ეთერული სხეულიდან კრისტალდებოდა საიდუმლოება, ტაბუ ედებოდა ყველა შესაძლო საშიშროებას, რათა არ დაძრულიყო მძიმე და ნელი, შემპარავი ზვავი (Slippery slope), ადამიანში მყარად ჯდებოდა ალერსიანი, ღიმილნარევი, კეთილი — „ვაშინერს“.

რასაკვირველია, როგორც ყველაფერი, ეს „სიმყარეც“ ფარდობითი იყო და მას სერიოზული გამოცდა ელოდა. საზოგადოების/სახელმწიფოს ფაზური განვითარების პრინციპი გამონაკლისის გარეშე მოქმედებდა. ჩემ მიერ ზემოთმოყვანილი „პარადიგმა“ ერების/კულტურების წარმოქმნისა მედიტერანულ სამყაროში, რასაკვირველია, უხეში, მაგრამ, ვფიქრობ, რეალური დანახვაა სინუსოიდური განვითარების სხვადასხვა ფაზაში არსებული ერების/კულტურების ურთიერთშეხვედრა — შეჯახებისა. ეს ფაზური კოორდინატები განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ერის/კულტურის გამარჯვებას მეორეზე და საბოლოო ყოფნა-არყოფნასაც. ელინებმა გაიმარჯვეს წინაბერძნულ, იბერიულ/პელასგურ კულტურაზე, მაგრამ დიდი ელინური კულტურის ჩამოყალიბებისთვის მათ არაერთხელ მოუწიათ უკან მოხედვა, გავლილი გზის კიდევ ერთხელ გავლა, გადახედვა (არგონავტიკა) და მომავლისთვისაც იმედად მოტოვება (პრომეთე). კოლხეთი და იბერია მათთვის სამუდამოდ დარჩა შეუცნობელი სიბრძნისა და მისტერიების ქვეყნად.

კულტურები/ერები ცხოვრობდნენ თავიანთი წესით, რიტმით და ალბათ შინაგანად უკვე ემზადებოდნენ განვითარების შემდგომ და არა უმაღლეს ეტაპზე გადასასვლელად. ეს შემდეგი ეტაპი ცივილიზაცია იყო და ამ „გარყენისთვის გამზადებულ“ ხალხს მეგზურობას,

როგორც წესი დამპყრობელი გაუწევდა. ცივილიზაციები იქმნებოდა ძველ შუამდინარეთში, ანატოლიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, კავკასიაში, ევროპაში, ამერიკაში... იქმნებოდა და თვითგანადგურების მუხხით ისპობოდა.

ცივილიზაცია თითქმის ყოველთვის წარმოიშვებოდა კულტურების შეხვედრის ადგილას. ამ კულტურებიდან ერთი ყოველთვის მაღალი სულიერებით, ტრადიციულობით და საზოგადოებრივი მორალით გამოირჩეოდა, მეორე — ორგანიზებულობით, მიზანსწრაფულობით და მოკლე ისტორიით. შედეგი დამოკიდებული იყო ამ თვისებების სიმძაფრეზე. განსაკუთრებით სასურველი იყო, რომ მაღალკულტურული ერთი თავისი განვითარების პოზიტიურ ფაზაში ყოფილიყო — მსუბუქ დეკრეშჩენდოში. ცივილიზაცია ძალიან ჰგავს ჰეტეროზისის მოვლენას ბიოლოგიაში, როცა გენეტიკურად ორი წმინდა ხაზის შეჯვარება თვისობრივ ნახტომს გვაძლევს. ცივილიზაციის საფუძველიც ზემონახსენები კონვერსიული (კონვერტირებული) კულტურაა, რომელიც შინაარსით ძველია და ფორმით, ორგანიზაციით, მისიითა და მიზანდასახულობით — ახალი, შედარებით ახალგაზრდა ერის ხელში მძლავრ იარაღად ქცეული.

საუკუნეთა განმავლობაში გამოწრთობილი ინტელექტუალური პოტენციალი უნაკლო ბაზისად იქცევა მეცნიერების განვითარებისთვის და ამ მეცნიერებასაც თავისი გამოკვეთილი ფუნქცია და მიზანი აქვს. ყველაფერი უმთავრესს მიზანს ემსახურება: ახალი ცივილიზაციის შექმნას. იდეა შეუიარაღებელი თვალთ ლამაზია და გასაგები. შეიარაღებული თვალთ კი, — აზარტული. ის ამ თამაშში ითრევს ყველას: გუშინდელ მასპინძელსა და სტუმარ-მომხდურს, უსამშობლო კონდოტიერსა და ავანტურისტს.

ასე რომ, ცივილიზაცია, — ეს კულტურის მხრებზე ამოზრდილი მუტანტია, რომელიც ცდილობს კულტურას, ამ უნივერსალურს, თავისთავად არსებულს და ბალანსირებულს, დაურღვიოს ჰარმონიულობა, მისცეს მიმართულება/მისია, გახადოს პრაგმატული, რევიზირებადი, მუშტრის თვალთ შეხედოს ფასეულობებს: მათი რეალური ფასი დაადგინოს. ახალი ფორმა წინააღმდეგობაში მოდის ძველ შინაარსთან, თავისუფალი, კრიტიკული დამოკიდებულება დასაბამს უდებს საუკუნეებით ტაბუირებულის ექსპიზიციას, ირღვევა აზროვნების, ცხოვრების ტემპი, ჩნდება ცრუფასეულობები... საზოგადოება მორალის უზენაესობის პრინციპიდან კანონის უზენაესობამდე ეშვება. ასე უფრო უსაფრთხოა, გამჭვირვალეა მეტია, პასუხისმგებლობა — ნაკლები, რეალური შედეგი — მყარი.

იზრდება უფსკრული პიროვნულ ზნეობასა და საზოგადოებრივ მორალს შორის. საერ-

თოდ, ეს შეფარდება საინტერესო მარკერია საზოგადოების კულტურულობისა და ცივილიზებულიობის. ნორმალურად, მათ შორის არასოდეს დაისმის ტოლობის ნიშანი. პიროვნული ზნეობა ყოველთვის მალე უნდა იდგეს საზოგადოებრივ მორალზე. გათანაბრების შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ ან პიროვნების სრულ ნაშლა/გახრწნაზე, ანდა უტოპიურ, ირეალურ საზოგადოებაზე. ყველაზე ხშირად ეს ორი ცნება ერთმანეთს უახლოვდება პირველყოფილ, იდილიურ საზოგადოებაში, ანდა კულტურული ერთობის განვითარების პოზიტიური ფაზის აკმეში: ხანმოკლე „ოქროს პერიოდში“, რომელიც ყველა სახისა და დროის კულტურას ჰქონია, ალბათ.

აქვე: გენიალური ვაჟა ფშაველა. „სტუმარ-მასპინძელი“.

კავკასიის მთიანეთის კულტურულ, პატრიარქალურ საზოგადოებაში სერიოზული, გლობალური ხასიათის კოლიზია ვითარდება. ჯოყოლა და მისი ცოლი (სისავსისათვის, — მამრი და მდედრი) მთის დაუნერელი კანონის, ტრადიციის ანუ კულტურის ქურუმები არიან. სოფლის უხუცესთა გუნდი კი პრაგმატული კანონის — მტერი უნდა მოჰკლა — მიმდევრები. ზნეობა კულტურის თანამდევია, ხშირად დამარცხებული და გარიყული. ქისტების აულში შეპარული ცივილიზაცია იმარჯვებს. თუნდაც იმიტომ, რომ თუ უხუცესნი ასე არ მოიქცევიან, შეიძლება ხვალ დიდი სიმწარე იწვინონ, — დაიმარცხდნენ. ეს კი არ შეიძლება. ჯოყოლა გაიწინა, მაგრამ კულტურა, მისი თავისუფლად არსებული სული გადაარჩა. სულიერება გადაარჩა. ამიტომ არიან ჯოყოლა და მზალო ქურუმები კულტურისა. ამან „შეანუხა“ ჩარგლელი განდევგილი.

ევროპული ცივილიზაციის გარიჟრაჟს ტყუილად არ უკავშირებენ რენესანსს. რომის იმპერიის (ცივილიზაციის) დანგრევიდან მოკლე ხანში მოხერხდა ახალი ცივილიზაციის შექმნა. ამის მიზეზი იყო გოთების, ანგლო-საქსური ტომების და სხვა ნაკლებკულტურული ერების განსაკუთრებული დამოკიდებულება რომის ცივილიზაციისადმი, მათი არათუ ფრთხილი, არამედ თითქმის მონური დამოკიდებულება მედიტერანული კულტურული ფენომენისადმი. ამას არაბების გამოჩენაც დაემატა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ევროპული ცივილიზაციის დროში შეფერხებაში, მაგრამ მძლავრი კულტურული იმპულსი მისცა მის განვითარებას.

ევროპული ცივილიზაცია, ჩემი აზრით, რენესანსით დაიწყო. ეს წერილი არ ისახავს მიზნად ამ მეტად რთული, წინააღმდეგობრივი ფენომენის შესახებ მსჯელობას. უბრალოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველასათვის ცნობილ პოზიტიურ მოვლენებთან (ხელოვნების, ლიტერატურის, არქიტექტურის განვითარება)

ერთად, ხდებოდა სრულიად თვალნათლივი არაერთგვაროვანი პროცესები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა დააპირა დასავლურმა ეკლესიამ, სადაც მან იმდენად სერიოზული მარცხი განიცადა, რომ თვით მის ერთიანობას შეერყა საფუძველი, — წარმოიშვა მრავალი განშტოება დასავლეთევროპული ქრისტიანობისა. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ამის ძირითადი გამომწვევი კათოლიციზმის პირველადი ცდომა იყო მსოფლიო საეკლესიო დადგენილებებისგან. ეს ფაქტია, გზა ცივილიზაციისკენ ამანაც გაკვალა. ან პირიქით შემოპარულმა რევიზიონიზმმა, ობიექტურობისა და სამართლიანობის დროშით ამხედრებულმა დისიდენტებმა ანუ ცივილიზაციის მაცნებებმა — მიიყვანეს ეკლესია განხეთქილებამდე.

ასეა თუ ისე, მოვიდა რენესანსი, რომელმაც: ა) აღადგინა და მოქალაქეობა მისცა ნეოპლატონიზმს — წარმართული კულტურის კონცენტრატს, ბ) შექმნა ჰუმანოცენტრული სისტემა ხელოვნებასა და ფილოსოფიაში (resp. თეოლოგიაში), ნაცვლად თეოცენტრულისა, გ) ჩაუყარა საფუძველი ცდისმიერი, მატერიალისტური მეცნიერების განვითარებას, დ) გადაფასდა მორალური და ზნეობრივი ფასეულობები.

შეიძლებოდა, ამ უკანასკნელით დაგვეწყო, რამეთუ ის პირველი ხარისხის პრობლემად მესახება. რენესანსის ეპოქაში ადამიანმა ზურგი აქცია (დაიწყო ზურგშექცევა) ღმერთს, ეჭვი გაუჩნდა ურყევი რელიგიური დოგმებისადმი და ამით განისაზღვრა კულტურის ამგვარად ცივილიზაციაში კონვერტაცია. სწორედ რელიგია კულტურის ხერხემალი, ვინაიდან ის განსაზღვრავს კულტურული საზოგადოების წევრის — ადამიანის — შეგნებულ, სრულიად გაცნობიერებულ თვითშეზღუდვას: ჭეშმარიტ პიროვნულ თავისუფლებას.

პროცესი გაიწეა დროში და ევროპული ცივილიზაციის დაბადების მანიშნებლად შეიძლება ინგლისური ბურჟუაზიული რევოლუცია და ფრანგი განმანათლებლების გამოჩენა მივიჩნიოთ.

წარმატებამ მეცნიერებაში, ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებამ და ყველაფერმა უკვე ზემოხსენებულმა მატერიალურმა პროგრესმა და კეთილდღეობამ შექმნა ილუზია ადამიანის ყოვლისშემძლეობისა. ეს რწმენა ღვთისადმი რწმენის ხარჯზე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. რასაკვირველია, როდესაც ასეთ დასკვნას ვაკეთებ, მხედველობაში მაქვს არა ასი პროცენტი კონტინენტის ან დედამიწის მოსახლეობისა, არამედ ლაპარაკია ძირითად ტენდენციაზე და ამ მულტიფაქტორული მოვლენის ჯამურ ვექტორზე. ამ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნები არათანაბრად ვითარდებოდნენ და არც ერთი მკვიდრი ცოდვილი პლანეტისა ფიქრობ-

და ერთნაირად.

ნესით და რიგით, კულტურული საზოგადოების ბოლო ბასტიონი არისტოკრატია უნდა ყოფილიყო. ეს სოციალური ფენა ყველაზე (aristos — საუკეთესო) განათლებულ, მაღალზნეობრივ და მეომარ ადამიანებს აერთიანებდა. ყოველ შემთხვევაში ეს იყო მათი თავდაპირველი ფუნქცია/მისია. არისტოკრატის კარგად განწყობილი ინსტიტუტი უზრუნველყოფდა უღირსთა განთესვას ამ ერთობიდან და უაზნოთა დამსახურებულ აღზევებას. ყველაზე სწორი ფორმა ამ ინსტიტუტისა სამხედრო არისტოკრატია გახლდათ და ამის მაგალითი, ჩემთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, საქართველო და პოლონეთი იყო. ძლიერი მეომრული სული, საკმაოდ ხშირი ცვლა იერარქიულ კიბეზე, ახალი არისტოკრატული ოჯახების გამოჩენა და ძველის დამცრობა — იყო მიზეზი ამ ერთობის მაღალი ავტორიტეტისა ხალხში და პოლიტიკური დღეგრძელობის გარანტი. აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული ქართული არისტოკრატული გვარების დიდი უმრავლესობის ასაკი 300 წელიწადს არ აღემატება. დასავლეთ ევროპაში არისტოკრატია ამ ადრე დაიწყო ფუნქციის დაკარგვა, ჩაკეტილ სოციალურ ფენად იქცა და ამით საკუთარ თავსაც გამოუტანა განაჩენი და კულტურულ საზოგადოებასაც გამოეცალა ბუნებრივი საყრდენი. ყველაზე ძლიერმა — ინგლისურმა არისტოკრატია მანაც მოახერხა გარკვეულწილად შეენარჩუნებინა პოზიციები. მათ თავისი ადგილი მოძებნეს ქვეყნის უშიშროების სამსახურში, მაღალ ჩინოვნიკურ და დიპლომატიურ პოსტებზე, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის საქმეში და ა.შ.

მანამდე კი დასავლური საზოგადოების ამ რჩეულმა და წარმატებულმა ნაწილმა იგრძნო რა „ახალი ერის“ დადგომა, ვოლტერის ეპოქის სუნთქვა, ღირსეულად შეაფასა ზევაად მომსკდარი მოაზროვნეების მიერ ნებისმიერი საზღვრებისადმი შეურიგებლობა, თვით ინყეს ამის კეთება და ბუნებრივია, არცთუ წარუმატებლად. ის, ვისაც გონიერი ძალა არ ჰყოფნიდა „ახალი ელოიზა“ ეწერა, სხვანაირად ცდილობდა არ ჩამორჩენოდა დროს და კულტურული საზოგადოების ამ ბოლო დამცველებში გაჩნდა ერთი შეხედვით მემბოხე სული ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრებისა, მაგრამ სინამდვილეში — კი ფუნქციადაკარგული და საკუთარი, ღირსეული ადგილის მაძებარი ადამიანის ტიპი. მას მოგვიანებით ლიბერტენს დაარქმევინ, ხოლო მის მოქმედებას ლიბერტენაჟს. სახელი, ფაქტია, libertedan ანუ თავისუფლებიდან მოდის. ოღონდ, ეს არის საკითხავი, რისგან იყო თავისუფალი ლიბერტენი? შედარებით, „მსუბუქი“ ფორმა ამ ლიბერტენაჟისა იყო მეცენატობა, გადამეტებული სიყვარული ხელოვნებისადმი, მიდრეკილება ბო-

ჰემისადმი და ა.შ. ყველაფერ ამას დიდი ფინანსური მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა. სხვანაირად ყოველივე აზრს ჰკარგავდა. ე.ი. ლიბერტენს ფული სჭირდებოდა. ამიტომ უწოდეს მას „სუვერენული ადამიანი“ (გ. ბლანშო, პ. კლოსოვსკი). არისტოკრატია ბურჟუაზიის წიაღისკენ გაემართა და დაუფარავი ზიზილით ჩაეხუტა, დაუმოყვრდა, დაუნათელმირონდა. ამან კიდევ უფრო გააღრმავა არისტოკრატის კულტურული კრიზისი. და ლიბერტენაჟის სახელქვეშ უკვე აღარავის ეუცხოებოდა გარყვნილება, ინცესტი, სრული, მებრძოლი ათეიზმი, კოსმოპოლიტიზმი... ცოდვის გზაზე დამდგარი საზოგადოება თავს იმართლებდა დემაგოგიით და მით უფრო იძირებოდა ქაობში. დემაგოგია კი რაც უფრო ჭკვიანი და ინფორმირებული კაციდან მოდის, უფრო დამაჯერებელი და სამიშია. განათლებული კაცი დემაგოგიას შეგნებულად არ იკადრებს. განათლება სულში ნათლის არსებობას გულისხმობს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ლიბერტენაჟის, როგორც მრავალპლანიანი, მაგრამ მაინც ეთიკური პრიმატით მიმდინარე პროცესის განვითარებას, ბუნებრივია, მოჰყვა საპირისპირო რეაქცია და ამჯერადაც მოქმედებათა თეატრის ადგილი დიდი ბრიტანეთი იყო. ვიქტორიანულმა ინგლისმა საკუთარი მაგალითის ფასად დააპირა კულტურული ფასეულობების დაცვა: ტრადიციებისადმი ერთგულებით, პურიტანული ყოფით, ეთიკური „გამყინვარებით“ და ადამიანთაშორისი ურთიერთობების მკაცრი რეგლამენტირებით. ეს თავისთავად ძალზე მომხიბლავი იყო და მსოფლიოში მკვეთრად იმატა ანგლოფილების რიცხვმა და ანგლოფილურმა განწყობილებამ, საერთოდ.

თუმცა, არც სარკაზმი (თუ ზიზილი — არა) დაკლებია ნისლიან ალბიონს, რომლის იდუმალება ჩემთვის არასოდეს დასულა წყლის ორთქლით გამოწვეულ ბუნდოვანებამდე.

ვიქტორიანული ინგლისის ცდას — „გადაფარებოდა“ კულტურულ ფასეულობებს, გარდა იმისა, რომ თანამედროვე ინგლისელი ერის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა, სერიოზული გლობალური შედეგი არ მოჰყოლია. ამის მიზეზი გახლდათ ინგლისური პოლიტიკის ზღვარგადასული მოქნილობა: ის რაც ნებადართული იყო ბრიტანელისთვის, არ შეიძლებოდა სხვისთვის — „ბარბაროსისთვის“. ასეთი ორმაგი სტანდარტის ძალზე მძიმე შედეგებს ვიძიებთ დღესაც. ეს მაგნე პოლიტიკური ფანდი მოირგო ყველამ, — ვისაც „უხდებოდა“ და ვისაც — არა. ამ თამამ-თამამმა ძალზე დააზარალა აღმოსავლეთის კულტურული ერები, ინგლისს კი დედოფალ ვიქტორიას მიერ ნამოწყებული კამპანია ხელში შეაცვია.

რასაკვირველია, დიდი ბრიტანეთის ისტორიის ამ მნიშვნელოვან პერიოდს ძნელია მარ-

ტოლოდენ „კამპანია“ უნოდო, მაგრამ ეს შეგნებულ მოსაზრებაა.

XX საუკუნეში ამჯერად უკვე ცივილიზებული საზოგადოებას კვლავ აუმხედრდებიან შვილები, მაგრამ სამწუხაროდ არა კულტურული სანყისებისკენ მოსაბრუნებლად, არამედ დარჩენილის გასანადგურებლად. შეიძლება, ეს უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი ცივილიზაციის დასასრულის დასანყისი და ახალი, კვლავ კულტურული საზოგადოების ჩასახვა იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ასეა თუ ისე, პანკებისა და ჰიპების მოძრაობა მიმართული იყო ცივილიზებული სამყაროს მონსტრული გამოვლინებების წინააღმდეგ. ეს ორი მოძრაობა საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, თუმცა ავსებდნენ — კია ერთმანეთს. პანკი — ცხოვრებაზე აღრენილი, მარტოსული, ძლიერი ადამიანია. ის შეგნებულად განუდგა თანამედროვე საზოგადოებას და მსგავსი ინდივიდებისგან შემდგარი ერთობის შექმნა სურს, თავისი სუბკულტურით, ცოტა კანონებითა და ბევრი თავისუფლებით. ჰიპი უფრო სუსტია, მისი პიროვნული რეალიზაცია ერთად ყოფნაში, ბანაკურ ცხოვრებაში ხდება, ინდიფერენტულია და საერთოდ, არც ერთი კანონი არ უნდა. პაციფისტია.

ყველაფერი ეს და XX საუკუნის ლიტერატურასა და ფილოსოფიაში წარმოშობილი უამრავი მიმდინარეობა ძირითადად ერთი სანუბართი იყო პირობადებული: ადამიანი და საზოგადოება. ადამიანის გაუცხოებამ საზოგადოებისადმი, რის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდი, კატასტროფული ფორმები მიიღო. XX საუკუნის ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია თითქმის მთლიანად ამ პრობლემით იყო დაკავებული. ის იქცა ცივილიზებული საზოგადოების ზუსტ და სპეციფიკურ მარკერად. ადამიანთაშორის ურთიერთობების ზემოხსენებული სახეების დეფიციტმა ან სრულიად გაქრობამ მეტად მტკივნეული და აუტანელი სიცარიელე გააჩინა.

ეს უპირველეს ყოვლისა კულტურული ვაკუუმი იყო და არის.

ამ დაპირისპირებებს, პიროვნული თავისუფლების რეალური აღდგენის ნაცვლად, კაცობრიობამ (უმეტესმა ნაწილმა) საოცრად პარადოქსული ნაბიჯი გადადგა, შეეცადა ადამიანი საერთოდ გაეთავისუფლებინა ზნეობისაგან, შეგნებული თვითშეზღუდვისაგან, სინდისისგან და ამით მიერთმია მისთვის ე.წ. „პიროვნული თავისუფლება“. ამ ტერმინით ხდება მანიპულირება, სპეკულირება, ვუაღირება ყოველივე არაზნეობრივისა და ამორალურის, გამართლება ნებისმიერი ძალადობისა და სისასტიკის. ვითომდა სიმართლის თქმის, ობიექტურობის ნიღბით გამეფდა უსირცხვილობის, ექსპიზიციონიზმის, ბილ-

ნმეტყველების სინდრომი. პორნოგრაფიამ ნალეკა სინამდვილე. აქედან უმნიშვნელოვანესი და თითქმის ყველაფრის განმაპირობებელი უსირცხვილობაა. „სირცხვილი“ — ძირითადი ტაბუა კულტურისა და ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ ის ექცევა ხოლმე.

ნებისმიერი ფორმის ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ახალი „რელიგიების“ გაჩენა. აქაც რწმენის თავისუფლების ცრუ ლოზუნგით ხდება სრულიად გარკვეული პოლიტიკური მიზნების რეალიზება, ხალხის დაქსაქსვა, მათი სრულიად ირეალურ სამყაროში მოსროლა, მოტყუება. ცივილიზაციის სასრულ ეტაპზე: „ადამიანს ყველაფერი შეუძლია“, „ყველაფერი ნებადართულია“, „ღმერთი მკვდარია“, „მე მწამს ის, რაც მე მინდა“ და მთავარი ლოზუნგი: „მე მინდა!“.


მკითხველს გაუჩნდება ეჭვი ამ სტრიქონების ავტორის განვითარების, პროგრესის, წინსვლის მოძულეობისა. ესეც ცრუ წარმოდგენა იქნება. რეალური წინსვლა და პროგრესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ვალიაართ, როცა ადამიანი გახდება უკეთესი, ვიდრე არის. დანარჩენი ყველაფერი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესია, რაოდენობრივ ცვლილებას გულისხმობს მხოლოდ და არავითარი საერთო თვისობრივ გაუმჯობესებასთან არ აქვს.

ისტორია ყველაფერს გაარკვევს!..

კულტურები და ცივილიზაციები ერთმანეთს შეცვლიან ვიდრე განკითხვის დღე არ დადგება. მანამდე კი, მე ასე მგონია, რომ საზოგადოების ღირსეული ყოფისა და განვითარებისთვის საჭიროა დაუზღვრედეთ კულტურულ ფასეულობებს. ეს ორი ცნება არათუ იდენტურია, არამედ დაპირისპირებულიც. ეს ჭეშმარიტი ბანალური ოპოზიციაა (კლოდ ლევი-სტროსი). ცივილიზაცია კულტურის წიაღში გაზრდილი, მისგან ამოსული ფენომენია, რომელიც ამ უკანასკნელის განადგურების მუხტითაა დაძაბული. ესეც ბუნებრივი და დედამიწისეულია, — უარყოფის უარყოფა (ჰეგელი).

თანამედროვე მსოფლიოში გვერდიგვერდ არსებობს მეტ-ნაკლებად ცივილიზებული და კულტურული ერები. ხელშესახები კულტურულობისა და თითქმის ნულოვანი ცივილიზაციის მაგალითია დამოუკიდებლობისათვის ღირსეულად მეტძოლი ტიბეტი. აშშ, რომელიც უაღრესად მრავალფეროვანია ეთნიკური, სოციალური და კულტუროლოგიური ასპექტით, შეიცავს სოციალურად დეტერმინირებულ ჯგუფებს, რომელიც მაქსიმალური ცივილიზაციის ფონზე კულტურულობის ერთ კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებს. ესეც დიამეტრალური უკიდურესობებია, ჩემი აზრით.

კაცთა მოდგმა კი დღესდღეობით ამ ბიპოლარულ სივრცეში გართხმულა, — ეჭვითა და იმედით შეჰყურებს მომავალს.



თემურ ჩხეიძე

მსახურ
კუკუჩხორი

თემაჩ ჩხეიძე - შახიხაბი
პოხხახისათვის
თახახაღი
ფხაბენახის ფონა

დღეს იგი მსოფლიოში აღიარებული ხელოვანია, ხანგრძლივი და საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე უნიჭიერესი პროფესიონალი, მაცტრო. მოღვაწეობს თბილისსა და სანკტ-პეტერბურგში, სპექტაკლებს დგამს იტალიის, ამერიკისა და მსოფლიოს სხვა წამყვან საოპერო თეატრებში, თუმცა საოპერო რეჟისურა თემურ ჩხეიძის შემოქმედების ის სფეროა, რომლითაც იგი ბოლო წლებში დაინტერესდა. რამდენიმე მნიშვნელოვანი სატელევიზიო დადგმის ავტორია. უკანასკნელ წლებში აქტიურად მოღვაწეობს როგორც პედაგოგი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და

კინოს უნივერსიტეტის უმაღლესი სარეჟისორო კურსების ხელმძღვანელი, და, მიუხედავად ამისა, მისი უცვლელი სიყვარული — დრამატული თეატრია, განცდისა და გარდასახვის ფსიქოლოგიური თეატრი, რომლის ყველა კომპონენტი რეჟისორის კონცეფციის შესატყვის სცენურ ფორმას ექვემდებარება, რომლის სათქმელიც თეატრალური ხელოვნების საფუძველთა საფუძვლიდან — ლიტერატურიდან ამოიზრდება. ამ სათქმელის უმთავრესი მატარებელი ძლიერი სამსახიობო ანსამბლია, რომელსაც წარმართავს და ხელმძღვანელობს, ოსტატურად „დირიჟორობს“ რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

...ალბათ არაფერი იყო გასაკვირი იმაში, რომ ცნობილ მსახიობთა — მედეა ჩახავასა და ნოდარ ჩხეიძის შვილმა რეჟისორობა გადაწყვიტა. ამ ურთულესი პროფესიის საიდუმლოებებს იგი არაჩვეულებრივი რეჟისორის, დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. თ. ჩხეიძის, როგორც რეჟისორის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა მე-20-ე საუკუნის ქართული სცენის ბრწყინვალე ოსტატმა მიხეილ თუმანიშვილმა, რომლის უმთავრესი შემოქმედებითი პრინციპი — მოქალაქეობრივად აქტიური ანსამბლური თეატრი — მომავალი რეჟისორის მოღვაწეობის საფუძველად იქცა.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თ.ჩხეიძე, რომელსაც თავისუფლად შეეძლო თბილისში დარჩენა და დედაქალაქის რომელიმე თეატრში მუშაობა, თანატოლ მსახიობთა ჯგუფთან ერთად ზუგდიდში გაემგზავრა და ორი სეზონი დამოუკიდებლად იმუშავა, გარკვეული პროფესიული გამოცდილება მიიღო.

1967 წლიდან რეჟისორი თბილისში გამოდის, რამოდენიმე საინტერესო სპექტაკლს დგამს, 1969 წლიდან კი რუსთაველის თეატრში იწყებს მოღვაწეობას, ამ თეატრის სცენაზე მის მიერ რ.სტურუასთან ერთად განხორციელებული პირველი წარმოდგენა, შეიძლება ითქვას, საეტაპო აღმოჩნდა არა მარტო თ. ჩხეიძის, არამედ რუსთაველის თეატრის ცხოვრებაშიც, ეს იყო დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. პრაქტიკულად, ამ სპექტაკლით ჩაეყარა საფუძველი თ.ჩხეიძის დიდ ინტერესს ქართული პროზის სცენაზე ხორცშესხმის მიმართ. იგი მთლიანად მსჭვალავს რეჟისორის შემოქმედებას.

„სამანიშვილის დედინაცვალის“ აფიშაზე ორი რეჟისორის გვარია აღნიშნული. შეუძლებელია განაცალკევო თითოეული მათგანის ნამუშევარი. სპექტაკლის დიდი წარმატება ორივეს დამსახურებაა. რუსთაველის თეატრში

„სამანიშვილის დედინაცვალის“ ინსცენირება კი არ დაიდგა, არამედ — თავად მოთხრობა, გარკვეული კუპიურებით. პლატონის როლის



შემსრულებელი (გიორგი გეგეჭკორი) ავტორის ტექსტსაც წარმოთქვამს. უჩვეულოა სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (მიხეილ ჭავჭავაძე, აკაკი რამიშვილი) — მოქმედება დ.კლდიაშვილის სახლმუზეუმში ხდება, კედელზე ძველი ფოტოებია, აფიშები, იმერული ყოფის ატრიბუტები, ცენტრში ტაბლა და ჯორკოები. რეჟისორები და მსახიობები ნელ-ნელა ჩართავენ ქმედებაში სახლ-მუზეუმის ექსპონატებს. პლატონის ცნობილი ცხენი ხის რამდენიმე წვრილი ტოტისგან და ცხენის თავის ქალისგანაა შექმნილი. ეს ფიგურა იმერელ „როსინანტად“ მაშინ გადაიქცევა, როდესაც პლატონი მის კისერზე მიბმულ თოკს გამოსწევს და ისეთ მოძრაობას გააკეთებს, თითქოს თვითონ წინ მიდიოდეს და გაძვალტყავებულ პირუტყვს მიათრევდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ შინაური ცხოველის „როლს“ ორი ვენური სკამი შეასრულებს, რომლებსაც პლატონი და კირილე (რამაზ ჩხიკვაძე) „მოახტებიან“. ამ წარმოდგენაში ყველაფერი კლდიაშვილისეულია, მთლიანად შეესატყვისება დიდებული მწერლის ლიტერატურულ ქსოვილს, მისი თხრობის მანერას. განსაკუთრებით — სამსახიობო გამომსახველი საშუალებები, რეჟისორებთან ერთად ფილიგრანულად დამუშავებული, შემდეგ კი ტრაგიკულისა და კომიკურის სახიფათო ზღვარზე ოსტატურად გათამამებული სცენები. ამ საქმეში თ. ჩხეიძეს უპირველესი დამსახურება მიუძღვის. მისი შემდგომი სპექტაკლები ამის ნათელი დასტურია, განსაკუთრებით რუსთაველის თეატრში 1979

წელს დადგმული შ.დადიანის „გუშინდელი“.

სცენის ცენტრში ცარიელი მაგიდა დგას (მხატვარი მ.ჭავჭავაძე). ყველაფერი მის გარშემო ან მის ფონზე ხდება — საპატიო სტუმრის, მაზრის უფროსის, გრენგოლმის (ყანრი ლოლაშვილი) მიღება თუ მისთვის ქრთამის შეთავაზება, მის წინაშე თავის დამცირება თუ გრენგოლმის მიერ ახალგაზრდა ქალზე ძალადობა, მისი შეურაცხყოფა ყველას თვალწინ. ყოველივე ამის უტყვი მონმეა მაგიდა, ქართველთა ცხოვრების განსაკუთრებული ატრიბუტი, ადგილი, რომლის გარშემო ადრე უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა, მან თითქოს ადამიანები უნდა გააერთიანოს, სინამდვილეში კი სხვანაირად ხდება — ყველას თავისი საზრუნავი აქვს, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს. საერთო საქმე, მთლიანად სოფლის სატიკვარი, მით უმეტეს — ერისა და ქვეყნის ბედი არავის აინტერესებს. თავად კონიას (კახი კავსაძე) უნდა მის მიწაში არსებული საბადო კაპიტალად აქციოს, ჯობოს (გიორგი ხარაბაძე), მამასახლისობა სურს, სოფლის მამასახლისს (ჯემალ ლალანიძე) კი ამ თანამდებობის შენარჩუნება. მიზნის მისაღწევად არაფერს თაკილობენ — არც ქრთამს, არც მლიქვნელობას, არც თავის დამცირებას და საკუთარი ღირსების შელახვას. გრენგოლმიც ჩინებულად სარგებლობს ამ მდგომარეობით და, საბოლოოდ, იმ უხამს მოძალადედ გვევლინება, რომელიც უხეშად თელავს ყოველივე წმინდასა და შეურყენელს. სპექტაკლში საოცარი ფსიქოლოგიური სიზუსტითაა ნაჩვენები, ერთი მხრივ, ქართველთა თანდათანობითი ზნეობრივი დაცემა, მათში თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობის განადგურება, მეორე მხრივ კი — გადამთიელი გრენგოლმის მათზე ძალადობისა და სრული გაბატონების პროცესი. სპექტაკლის მიზან-სცენათა რეჟისორულ ნახატში ყოველივე ეს ნათლად იკვეთება. ზოგიერთი სცენა შემზარავია: საშინელებაა, როდესაც მაგიდაზე მჯდომი მაზრის უფროსი მაგიდის ქვეშ



პატარა გოგოს (მარინა ჯანაშია) — ერთადერთ სუფთა არსებას მთელ ამ ბინძურ გარემოში — „გამოიჭერს“, კატა-თაგვობანას ეთამაშება და იქიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევს, შემდეგ, მაგიდის ქვეშ კანფეტს დაანახებს და ამით „გამოიტყუებს“. ჩვენ ეროვნულ სიამაყეს — ქართულ სუფრას „ხაფანგად“ აქცევს. ეს სცენა თითქოს ხუმრობით თამაშდება, ისეთი სიმსუბუქით, რომელიც დამახასიათებელია ცინიკოსი გრენგოლმისათვის. კიდევ უფრო მკვეთრად ვლინდება მისი ეს თვისება მეორე მოქმედებაში, როდესაც შუა ქეიფში იგი სახეში შეასხამს ღვინოს მოთმინებიდან გამოსულ ადიკოს. ყმანვილი მას დოქს მოუქნევს, პატივცემული სტუმარი კი გულგრილად წარმოსთქვამს: „გაუმარჯოს საქართველოს!“ თანასოფლელების ხვეწნა-მუდარა აიძულებს ადიკოს მორჩილად დაუსხას ღვინო. გრენგოლმის უხამსობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება ფაცციასთან (ნანა ფაჩუაშვილი) „არშიყის“ სცენაში, ველური ჟინით შეპყრობილი მამრის უფროსი, ყველას თვალწინ, ფაქტიურად, აუპატიურებს. თანასოფლელები უხმოდ შესცქერნიან ამ შემზარავ სანახაობას, მაგრამ ჩარევას ვერავენ ბედავს, მათი უმწეობა და მონური მორჩილება ზიზღსა და სიბრაულეს იწვევს. ნუთუ ასეთებიც ვართ? ალბათ. საინტერესოა, რომ გრენგოლმის ტექსტი შ.დადიანის პიესის ამ მონაკვეთში საქართველოს ისტორიას და ქართველი ქალის ბედს ეხება. თ.ჩხეიძემ კი ეს სიტყვები ფაციაზე ძალადობის აქტს „დაასვა“. ეს შესანიშნავი სცენა წასაკითხის სახილველად ქცევის, ლიტერატურული ენის თეატრალური ქმედების ენაზე „თარგმნის“ თვალნათელი, არაჩვეულებრივი ნიმუშია, თან თ.ჩხეიძის რეჟისურის ერთი უძლიერესი მხარე. იგი სრული ძალით გამოვლინდა მის სპექტაკლში „ბერნარდა ალბას სახლი“. ფედერიკო გარსია ლორკას ეს პიესა თ. ჩხეიძემ გასული საუკუნის 70-იან წლებში დადგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე.

მოქმედება მოყვითალო ფერის სივრცეში ვითარდება (მხატვარი მიხეილ ჭავჭავაძე). ბერ-



ნარდას სახლის ბინადრებს ტანზე მჭიდროდ შემოტმასნული მუქი ფერის კაბები აცვიათ, თითქოს „ჩაჭედდნენ“ არიან კოსტიუმებში, როგორც მარწუხებში. კონტრასტი დეკორაციის სიმსუბუქესა და სულის შემხუთველ ჩაცმულობას შორის, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს და ხაზს უსვამს რეჟისორის სათქმელს.

...ბერნარდა ალბას სახლში ბედნიერი არავინაა. მრავალი წლის წინ დადგენილი, უაზრო და არასწორი ცხოვრების წესი წინ ელობება ქალიშვილების ბედნიერებას, მათ ნორმალურ, ჯანსაღ არსებობას. მათი ახალგაზრდობა განწირულია, იგი ამ სახლის კედლებში უნდა ჩაკვდეს. ასეთია მათი ხვედრი, მასთან ბრძოლა უაზრო და უშედეგოა. მხოლოდ ადელა ეწინააღმდეგება ბერნარდა ალბას სახლში გაბატონებულ ტირანიას და ილუპება, მაგრამ ილუპება თავისუფალ ადამიანად. დედამისი და მისი დები კიდევ დიდხანს გააგრძელებენ ერთფეროვან ცხოვრებას ამ საშინელ გარემოში. ეს მათი ტრაგედიაა. უბედურია თვით ბერნარდაც. მას არ შეუძლია წინ აღუდგეს დადგენილ წესს, დოგმას. ჰგონია, რომ შვილებს მარწუხებში მათდა საკეთილდღეოდ ამყოფებს. ბერნარდა ალბას სახლის ბინადარნი უბრალოდ „უკაცო ქალები“ კი არ არიან, არამედ უღმობელ ბედს შეგუებული ადამიანები, რომლებსაც თავისუფლებისთვის ბრძოლა არ შეუძლიათ. მოყვითალო ფერის კედლების ფონზე, მუქი ტანსაცმლით შემოსილი ფიგურებით თ.ჩხეიძე ხატოვან, დინამიურ მიზანსცენებს ქმნის. ატმოსფერო მუდმივად დაძაბულია, ფეთქებადსაშიში. რეჟისორი და მსახიობები, საოცარი ოსტატობით, თანდათან მუხტავენ სცენურ სივრცეს ტრაგიზმით, რომელიც ადელას სიკვდილის სცენაში სრული ძალით ამოხეთქავს. შესანიშნავი აქტიორული ანსამბლი, რეჟისორთან ერთად ქმნის იმ მძიმე, დამთრგუნველ ატმოსფეროს, რომელიც ადამიანის თავისუფლებისაკენ სწრაფვის ყოველგვარ, სულ მცირე გამოვლენასაც კი ადგილზევე ახშობს. მსახიობებთან არაჩვეულებრივად საინტერესო მუშაობა, თითოეული გმირის ხასიათის, სცენურ ქმედებათა ჯაჭვის, პერსონაჟთა შორის არსებულ რთულ ურთიერთობათა სკრუპულოზური ფსიქოლოგიური დამუშავება ხომ თ.ჩხეიძის რეჟისურის უძლიერესი მხარეა.

ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა მის მიერ შექსპირის „ოტელოს“ ორიგინალური სცენური ინტერპრეტაცია მარჯანიშვილის თეატრში. ეს სპექტაკლი 1982 წელს დაიდგა. ამ დროს თ.ჩხეიძე ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. მისი „ოტელო“ — სპექტაკლი გახსენებაა. იგი პიესის ბოლო სცენით იწყება.

ოტელომ (ოთარ მეღვინეთუხუცესი) უკვე დაახრჩო დეზდემონა (მარინა ჯანაშია). გაკოჭილ მავრს მათრახის ცემით შემოათრევენ. ტანჯული, გაუბედურებული ოტელო მარტოა. იგი იხსენებს განვლილ ცხოვრებას, ცდილობს გაარკვიოს, გაანალიზოს მომხდარი ამბავი. მსახიობი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მონობის თემას. ვხედავთ, რომ მაჯებზე რაღაც აქვს შემოხვეული და მხოლოდ სპექტაკლის ბოლოს გამოჩნდება, რომ მავრი ნაბორკილარს მაღავს. პირველი სცენის ფინალში, ოტელო სახეზე ხელის ერთი ჩამოსმით შავ საღებავს იცილებს და გადის. შემდეგ, მთელი სპექტაკლის მანძილზე, ოტელო შავი არ არის. რეჟისორი და მსახიობი ნათლად გამოხატავენ თავიანთ სათქმელს — რანამს დეზდემონამ ოტელო შეიყვარა, მას და მის თეთრკანიან მეუღლეს შორის უკვე არავითარი უთანასწორობა აღარ არის. ოტელომ თითქოს საკუთარი სიშავის შეგრძნებაც დაკარგა. სპექტაკლის ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა ე.წ. ეჭვის ჩასახვა. რე-



ჟისორის მიერ ვირტუოზულად დადგმული და მსახიობთა მიერ უმაღლესი ოსტატობით გათამაშებული რთული პროცესი, როდესაც იაგო (ნოდარ მგალობლიშვილი) თითქოს მსუბუქად, რაღაც მინიშნებებით ელაპარაკება, ოტელო კი მის საუბარს თავდაპირველად სერიოზულ მნიშვნელობასაც არ ანიჭებს, იგი საკუთარი ბედნიერებით ტკბება. შემდეგ ჭკვიანი და ვერაგი ასისთავი ნელ-ნელა ახერხებს მავრის გამოყვანას ამ ნეტარი მდგომარეობიდან. იაგოს სიტყვები: „თავის მამა ხომ მოატყუა, როს თქვენ გირთავდათ!“ მას სერიოზულად ჩააფიქრებს. აქ უკვე მისი შინაგანი ჰარმონია დაირღვა, იგი ყველანაირად ებრძვის იმ უსიამოვნო გრძნობას, მისი არსება რომ მოიცვა. თითქოს ამ შინაგანი ორთაბრძოლის შედეგია მისი ფრაზა: „ცოლს რად ვირთავდი“, რატომ დავატებე თავს ეს სატანჯველიო. ამ დროს ვხედავთ, რომ ოტელოს საკუთარი ხელები, თავისდა უნებურად, ბანრით შეუბოჭავს. თემურ ჩხეიძე და ოთარ მეღვინეთუხუცესი

თვალნათლივ გვაჩვენებენ, რომ ოტელოს ქცევას, განსაკუთრებით, ეჭვის ჩასახვის შემდეგ, მნიშვნელოვანწილად სწორედ წარსული მონობის ნიადაგზე აღმოცენებული არასრულყოფილების კომპლექსი წარმართავს. და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ვენეციელი მავრის ქმედებას უდევს საფუძვლად, მისი კანის ფერია. თითქმის მთელი სპექტაკლის მანძილზე ოტელო „თეთრკანიანია“. დეზდემონასადმი სიყვარულმა მეუღლეებს შორის არსებული რასობრივი განსხვავება თითქმის ნაშალა. მაგრამ ცოლის დახრჩობის შემდეგ, ლოდოვიკო და მონტანო ოტელოს სახეს ისევ გაუშავებენ. იგი კვლავ განსხვავდება სხვებისგან კანის ფერით. შურმა, ბოროტებამ და ვერაგობამ სასტიკად დაარღვია „თეთრკანიანად“ გარდაქმნილი მავრის დიდი ხნის ნანატრი შინაგანი წონასწორობა, მისი თანასწორობა გარემომცველ საზოგადოებასთან და მას ისევ პირველყოფილი „სიშავე“ დაუბრუნა. შექსპირის ყველასათვის ცნობილი პიესის ამგვარ, ზოგისთვის საკამათო, ორიგინალურ ინტერპრეტაციას გეთავაზობს თ. ჩხეიძე.

განსაკუთრებულია რეჟისორის ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი — ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ნოდარ დუმბაძე, თამაზ ჭილაძე, ოტია იოსელიანი, განსაკუთრებით კი — მიხეილ ჯავახიშვილი. თ. ჩხეიძის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული „ქალის ტვირთი“, სატელევიზიო სპექტაკლი „თეთრი კურდღელი“ და მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული „ბედი—მდეგარი“ („ლამბალო და ყაშას“ მიხედვით) იმის ნათელი დადასტურებაა, რომ სცენის ხელოვანის დიდი ინტერესი შესანიშნავი მწერლისადმი შემთხვევითი არ არის. ხოლო „ჯაყოს ხიზნები“, განხორციელებული ჯერ ტელევიზიაში (1979 წელი), შემდეგ მოსკოვის სამხატვრო თეატრისა (1982 წ) და მარჯანიშვილის თეატრის სცენებზე (1984 წ) სრულიად უნიკალური შემთხვევაა თეატრის ისტორიაში: გაგვიჭირდება დავასახელოთ ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ერთსა და იმავე რეჟისორს სამჯერ დაედგას სხვადასხვა თეატრში, სამივე სპექტაკლი მაღალი ხარისხის მხატვრულ ქმნილებას წარმოადგენდეს, თან — საკმაოდ განსხვავებოდეს ერთმანეთისაგან.

სატელევიზიო სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები“ რეჟისორის შემოქმედებითი პრინციპების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა. მასში ნათლად გამოიკვეთა თ. ჩხეიძის პოზიცია ცხოვრებასა და ხელოვნებაში. ლიტერატურული პირველწყაროს ერთგული რე-

ჟისორი თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ცდილობს თვალნათლივ დაგვანახოს, თუ როგორ ცდილობდა ნოდარ მაგლობლიშვილის თეიმურაზ ხევისთავი, ზნეობრივად არ დაცემულიყო, როგორ ცდილობდა ნანა ფაჩუაშვილის მარგო, არ დამორჩილებოდა მოძალადე ჯაყოს, მაგრამ ვერ შეძლო. არა მარტო დაემონა მას, არამედ სადღაც კმაყოფილიც კი იყო ჯაყოს ხიზნობით. როგორ იცვლება ავთანდილ მახარაძის ჯაყოს ძალადობის ფორმები — დასაწყისში ამ ველურნადირს მხოლოდ საკუთარი ფიზიკური ძალის იმედი აქვს, მერე თითქოს უფრო „ცივილიზებული“ ხდება, გარეგნულადაც იცვლება — წვერს გაიპარსავს, თმას დაი-



ვარცხნის, კობტად გამოეწყობა, წერა-კითხვის სწავლასაც იწყებს.

არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიზუსტით, დიდი დამაჯერებლობით, სიმართლით დადგმული და გათამაშებული ეს პროცესები განსაკუთრებულ ემოციურ ძალას იძენენ ტელეკამერის წინ, რომელიც სიყალბეს ვერ იტანს. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს სპექტაკლის რამდენიმე ადგილას ჩამონტაჟებული წარსული ეპიზოდების კალეიდოსკოპი, რომელიც გმირთა საეკრანო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს წარმოაჩენს. ყოველივე ეს მირიან შველიძის მშვენიერ მხატვრობასა და დავით ტურიაშვილის მეტყველ მუსიკალურ გაფორმებასთან ერთ მთლიანობაში ნათლად აყალიბებს სპექტაკლის ძირითად სათქმელს — მოძალადეს არ უნდა დაემონო, სულით არ უნდა დაეცე, ყველა ვითარებაში უნდა შეინარჩუნო ზნეობრივი სინამდვილე.

სამხატვრო თეატრისა და მარჯანიშვილელთა დადგმები საერთო სცენოგრაფიული გადაწყვეტით (მხატვარი გიორგი ალექსიმესხიშვილი), მუსიკალური გაფორმებით (კომპოზიტორი გომარ სიხარულიძე), უმთავრესი მიზანსცენებითა და სხვა სარეჟისორო გამომსახველი ხერხებით თითქმის

ერთმანეთის მსგავსია. მაგრამ ქართული წარმოდგენა მოსკოველთა სპექტაკლისგან იმით განსხვავდება, რომ აქ წინა პლანზეა წამოწეული მ.ჯავახიშვილის რომანის მამხილებელი პათოსი. აქ უკვე აღარ ჩანს ხევისთავისადმი არავითარი თანაგრძნობა (როგორც სატელევიზიო და სამხატვრო თეატრების სპექტაკლებში). რეჟისორი და მსახიობი (ნოდარ მაგლობლიშვილი) უმკაცრესად ჰკიცხავენ ნათავადარს, მის პასიურობას ჯაყოსა და ჯაყოს-ნაირების აღზევების საფუძვლად, ზნეობრივ დანაშაულად მიიჩნევენ.

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი სცენის აღწერაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დაინახო, რა მაღალი დონის მხატვრული ქმნილებაა თ.ჩხეიძის „ჯაყოს ხიზნები“. ეს არის ე.წ. ძალადობის სცენა: სათამაშო მოედნის სიღრმეში მოთავსებული ეკლესიის შეთეთრებული კედელი სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ღერძს წარმოადგენს. ამ საყდარში არავინ ლოცულობს. ამ, ოდესღაც უწმინდეს ადგილას ძალადობამ, მრუშობამ და თვალთმაქცობამ დაისადგურა. სცენის მარცხენა წინა კუთხეში ფარდაგია გაშლილი. მასზე სხედან მარგო (ნანი ჩიქვინიძე) და ჯაყო (გივი ჩუგუაშვილი), თითქოს ურმით ნაშინდარისკენ მიეშურებიან. როდესაც გაირკვევა, რომ „ჯაყოს გზა აერი“ და ღამე იქვე უნდა გაათიონ, მარგო ფარდაგზე დანვება, ჯაყო კი სცენის მარჯვენა წინა კუთხეში წამოგორდება. დაღამდა, კნეინა შფოთვამ მოიცვა, ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო. ჯაყოს არსებაში კი ცხოველურმა ჟინმა იმძლავრა. თითქოს ამ შინაგანი მდგომარეობის გამომხატველია ეკლესიის განათებული კარის ჭრილში, ოსური სიმდის მელოდიაზე მოცეკვავე შავჩოხიანი კაცის მეტაფორული ფიგურა, რომელიც წინიდან ნათდება. ვნებამორეულმა ჯაყომ მარგოსკენ გაიწია, ქალის წინააღმდეგობის მიუხედავად, უმწეო ცხვარივით მოიგდო მხრებზე, შემდეგ ისევ ფარდაგზე დაუშვა. მარგო დამორჩილებულია. ავანსცენა ჩაქრა. ეკლესიის კარის ჭრილში კვლავ გამოჩნდა მოცეკვავე კაცის ფიგურა — პირუტყვიანი ჟინის აღზევების, სულიერ სინამდვილეზე უხეში ფიზიკური ძალის გამარჯვების მხატვრული სახე.

... ნაშინდარი. ღონემიხდილი მარგო სკამზე ზის. უცებ მოისმის ოსური სიმდის მელოდია. კნეინა ისეთივე მაცეკვაო მოძრაობას იწყებს, როგორსაც შავჩოხიანი კაცი ეკლესიის კარის ჭრილში. ჯაყო ცეკვა-ცეკვით გამოდის, ქალს ხელში აიტაცებს, საქანელაზე დასვამს, თვითონ კი მის ქვემოთ იატაკზე გაიშლართება. მარგო ერთი-ორჯერ გაქანდება საქანელაზე, შემდეგ იქიდან ჩამოცურდება და უკვე თავისი

სურვილით, სიამოვნებითაც კი ნებდება ჯაყოს. შავჩოხიანის ცეკვამ კი აპოთეოზს მიაღწია.


თ. ჩხეიძეს არასოდეს დაუდგამს ე. წ. პოლიტიკური თეატრის სპექტაკლები. მას აინტერესებს არა იმდენად ამა თუ იმ კონკრეტული ხელისუფლების პრობლემები, არამედ, უფრო მეტად, ზოგად ადამიანური, ზნეობრივი საკითხები, რომლებიც ზოგჯერ ძალაუფლებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ადამიანის სულიერ სამყაროზე ძალადობას, მისი ღირსების შელახვას, უხამსობასთან ბრძოლის აუცილებლობას, ადამიანების ქცევას ექსტრემალურ ვითარებაში, სოციალური კატაკლიზმების პირობებში — ყოველივე ეს რეჟისორ თემურ ჩხეიძის მუდმივი ინტერესის სფეროა. ამ ზნეობრივ პრობლემებზე სცენიდან საუბრისას იგი ძალზე თამამი და პრინციპულია. ამის ნათელი დასტურია გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, უმკაცრესი კომუნისტური ცენზურის პირობებში დადგმული „გუმინდელი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ასის წლის წინათ“, „ჰაკი აძბა“. რამდენი რამ დაინერა მათზე, რამდენი ითქვა, კიდევ რამდენ საფიქრალსა და სატკივარს აღძრავენ ისინი დღესაც. თუმცა ეს და თ. ჩხეიძის ბოლო წლების თეატრალური ქმნილებანი — „მარადი ქმარი“, „მამა“, „ანტიგონე“, „არტ - ხელოვნება“, მისი სპექტაკლები პეტერბურგის გიორგი ტოვსტონოგოვის დიდ დრამატულსა და მარინის საოპერო თეატრებში, მისი აქტიური მოღვაწეობა უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე,

საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების დამკვიდრება უკვე პედაგოგიკის არხით — ვრცელ თეორიულ კვლევას მოითხოვს.

თ. ჩხეიძეს ხელოვნებაში იოლი გზით არასოდეს უვლია. ცხადია, მისი ყველა ნამუშევარი ერთნაირი მხატვრული დონის არ არის. ნარუმატებელი სპექტაკლებიც ჰქონია, საშუალო დონის ნარმოდგენებიც და ბრწყინვალე სცენური ქმნილებებიც. არასოდეს დალატობს ხელოვნებაში ერთხელ არჩეულ გზას — მოქალაქეობრივად აქტიურ ფსიქოლოგიურ თეატრს, რომელიც ამაღელვებელ ზნეობრივ პრობლემებზე ესაუბრება საზოგადოებას სცენიდან. ამ თეატრის უპირველესი საფუძველია ლიტერატურა, რომელიც განსაზღვრავს მის მხატვრულ ფორმას და შეკრული სამსახიობო ანსამბლი. როგორც თავად რეჟისორი ამბობს: „მე საორკესტრო ნანარმოებს ვქმნი და არა სოლო კონცერტს ფორტეპიანოსთვის“.

თ. ჩხეიძის შემოქმედება იმდენად მდიდარია საინტერესო სპექტაკლებით, რომ არა თუ ყოველი მათგანის, საუკეთესოთა შორის საუკეთესოების დაწვრილებითი ანალიზიც კი შეუძლებელია საყურნალო წერილის მოცულობის ფარგლებში. ჩვენც მხოლოდ ცალკეულ, ყველაზე გამორჩეულ სცენებზე ან ამა თუ იმ ნარმოდგენის საერთო სტილისტიკაზე საუბრით შემოვიფარგლეთ. თ. ჩხეიძის შემოქმედება გრძელდება, ვითარდება სხვადასხვა არხითა და მიმართულებით. იმედია, კვლავაც გველის მის ხელოვნებასთან შეხვედრის დიდი სიამოვნება.





თაბთა
შავკულიძე
ოხიოღ სიტყვა
ოსტატზე

(რამდენიმე შტრიხი ედმონდ კალანდაძის პორტრატისათვის)

თანამედროვე ქართული კულტურა სიახლის ძიებისა და ათვისების პროცესს მის სივრცეში ახალი ორიენტირების განლაგებით და შინაგანი პოტენციალის ამ ორიენტირებისკენ მიმართულ ძალისხმევად კი არ მოიაზრებდა, არამედ პროვინციული სიმყუდროვისა და თავდაჭერილობის შესანარჩუნებლად ცდილობდა ამ ინოვაციათა ძველ კონტექსტში „მოშინაურებას“. ეს პროცესი მით უფრო „უმტკივნეულო“ იყო, თუ ეს ინოვაციები „გარედან“ და მეტ-ნაკლებად აგრესიული სხვა კულტურის მიერ იყო „დაგეგმილი“ (არცთუ ისე შორეული წარსულიდან კარგად გვახსოვს „ხალხთა მეგობრობის“ ნიღბით მონოდებული იდეოლოგიური „აბების“ „სიკეთე“). ბუნებრივია ეროვნული კულტურების სიახლის დანერგვისკენ

მიმართული ძიებები, ამგვარი რეჟიმებისას ყოველთვის შეეჯახებოდა ბუნებრივ თუ ხელოვნურ წინააღმდეგობებს, რომელიც ან არარად აქცევდა ამ ძალისხმევას ან წარმოშობდა ისეთ მუტანტს, როგორც „სოციალისტური რეალიზმის“ ხელოვნება იყო.

„ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“ ხელოვნების ნიღბით თავსმოხვეული, -ფორმით „პერედვიჟნიკური“ და შინაარსით რუსულ-იმპერიული ხელოვნება ისეთ ფუნდამენტალისტურ საფუძველზე იყო დამყარებული, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას (რუსეთშიც კი) მინიმალური სიჯანსაღის შესანარჩუნებლად, მისი ბიზანტიურ-იმპერიული იერარქიის გადალახვის სასიცოცხლო აუცილებლობა გამოუმუშავდა. სიტუაცია ქართულ სახვით ხელოვნებაშიც საკმაოდ დაიძაბა და „გორდიასის კვანძის“ გახსნა გასულ საუკუნეში, ხრუშჩოვისეული „ოტტეპელის“ წინა პერიოდში ახალგაზრდა ედმონდ კალანდაძის, ზურაბ ნიჭარაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ჯიბსონ ხუნდაძის და სხვა „მედასავლეთეთა“ ძიებებში დაფიქსირდა.

ამ მხატვართა და უპირველესად კი ჩვენი წერილის ადრესატის ედმონდ კალანდაძის შემოქმედების განმსაზღვრელ მარკერად, სხვა ფაქტორებთან ერთად, ტოტალიტარული რეჟიმის მიერ შექმნილი საკრალიზებული სივრცის დეკონსტრუქცია და რეცეფციული ესთეტიკის (სოცრეალიზმის სამყაროს „ამბავთან“ იდენტიფიცირება) „აპერცეფციულ რეჟიმში“ გადაყვანა შეიძლება ჩავუთვალოთ. ედმონდ კალანდაძის (ისევე, როგორც სხვა ნოვატორთა) დამსახურება მხოლოდ ის კი არ იყო, რომ „ფერს ავტონომიური ღირებულება“ შესძინა, (ამაზე ქვემოთ), არამედ ის, რომ საგნობრივი გახადა დეფიციტი, რომლითაც მისი გარემომცველი რეალობა „რეალურად“ კონსტრუირდებოდა, ე.ი. ღირებული გახდა არა „მიმეზისი“, არამედ მხატვრული სახის ექსისტენსური არსი. ეს ღირებულებები მხატვართან უპირველესად ფერის დრამატურგიაში გამოვლინდა და არა კომპოზიციურ-არქიტექტონიკულ შტუდიებში (რომელთაგან გარკვეული ნაწილი იმპრესიონისტთა ძიებებს უკავშირდება).

საზოგადოებრივ ასპარეზზე (ისევე, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში) ინდივიდის არსებობის ერთ-ერთი დამკვეთა დროსთან ფსიქიკური თავსებადობაა; ისტორიულად კი ისე ჩამოყალიბდა, რომ ქართველთა დროსთან ფსიქიკურ-მენტალური სინქრონიზაცია წარსულში კოდირებულ ღირებულებებთან ხდება, რადგანაც მხოლოდ „იქ ეძებენ ნაცნობ ადგილს განსასვენებლად“. აი, აქ კი პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა, - ედმონდ კალანდაძემ სწორედ ევროპული ხელოვნების იმპრესიო-

ნისტულ „ნარსულში“ იზოვა ქართული ხელოვნების „ხვალინდელი დღის“ გასახსნელი კოდი. რაც თავისთავად კარგი და აუცილებელი იყო, რადგანაც „პარიზელი“ ქართველი მხატვრების (შ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, დ. კაკაბაძე, ქ. მაღალაშვილი) მიერ დაწყებული და მათ შემოქმედებაშივე ტოტალური სახელმწიფოს მიერ შეწყვეტილი, გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი კულტურული ხაზი უნდა აღდგენილიყო.

50-იანი წლებიდან ეს პროცესი დაიწყო და იგი როგორც აღენიშნეთ, სხვებთან ერთად ედმონდ კალანდაძის სახელსაც უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მხატვარს ამ ძიებებმა იმ ეპოქაში გარკვეული წარმატება და დღეს პატრიარქის პატივი არგუნა, მაინც ხელოვნების ისტორიაში უამრავია მაგალითი იმისა, რომ შემოქმედი წინ უსწრებს საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას და შესაბამისად, მისი შემოქმედებაც დროულ კონტექსტში ადეკვატურად არ იკითხება. საბედნიეროდ ედმონდ კალანდაძის შემთხვევაში ასე არ მოხდა, რადგანაც სოციალისტური ხელოვნების კრიზისის პერიოდი დაემთხვა სხვა კულტურულ გარემოსთან საზოგადოების (პიროვნების) იდენტიფიკაციის სურვილს. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს ცვლილებები, სანყის ეტაპზე, უფრო ფორმალური და ფორმისული იყო, ვიდრე სიღრმისეული (ექსისტენსური), მაგრამ სიახლეს და თავისუფლებას დანატრებულ ქართულ საზოგადოებას ისიც აკმაყოფილებდა. მხოლოდ „ოტტეპელის“ შემდგომ პერიოდში, როცა საბჭოთა ტოტალიტარული კულტურის რეფლექსიები შესუსტდა (თუმცა დღემდე არ გამქრალა), ედმონდ კალანდაძის „ფერადოვნად“ აგრესიული დეკონსტრუქცივიზმი (რომელიც თავისი ინტენსიობით საკმაოდ განსხვავდება ზურაბ ნიჟარაძის „რბილი“, „არააგრესიული“ კოლორიტული პარტიტურისგან) თუნდაც იმიტომ გამართლებული, რომ იგი ამგვარი კრიზისული პერიოდისთვის პირდაპირ კავშირშია ძველი ღირებულებების ახლით რადიკალურად ჩანაცვლების პროცესთან.

სწორედ ამიტომ, რომ ედმონდ კალანდაძის ფერწერული ტილოების ფერთა ინტენსიობა მნახველს აიძულებს, არა მხოლოდ აქტიურ დიალოგში შევიდეს მასთან, არამედ მან, მნახველმა, ამ ტილოებით „ამ“ წუთს და „ახლა“ გაბატონებული კულტურული კოდების მეშვეობით ხელახლა გაიაზროს რეალური და ვირტუალური კონტექსტების ურთიერთჩანაცვლების მისტერია, როცა „ნარსულში“ განუხორციელებელი შესაძლებლობები ზოგჯერ „მეორად“ კონტექსტში, „მომავლის“ პოტენციადაა მიჩნეული (ეს უპირველესად ეხება ე. კალანდაძის ფერწერულ ტექსტებში მოფუნქციონირე

რამდენიმე, უკვე მოტივად ჩამოყალიბებულ ფერს. თუნდაც იგივე წითლისა და ყვითლის რამდენიმე ტონალურ გრადაციას). ამგვარ სიტუაციაში კი, როცა ასეთი ფერწერული მუდმივობა ფერწერულ იდეად ყალიბდება, ბუნებრივია, ითრგუნება პერმანენტული განახლების თემა, რაც საბოლოო ჯამში ფერწერულ ტილოზედროის „შეჩერებისა“ და ტოპოსის იგივეობის საფრთხეს ქმნის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საფრთხეები მხატვარმა მეტწილად აიცილა, როცა მან ფერი, მისი თვითკმარობა გამოიყენა არა სოციალურ და ინდივიდუალურ ურთიერთობათა დასაბალანსებლად (ე. კალანდაძის ფერის თითქმის აგრესიამდე მისული ინტენსიობა ამის განცდას ბოლომდე მაინც არ ბადებს), არამედ ადამიანის ექსისტენსური პარამეტრების მოსანიშნად. ე. კალანდაძისეული ფერის ამგვარად „ანტიკრიზისული“ თვისების საილუსტრაციოდ შეიძლება ავიღოთ ყველა არაჭეშმარიტი ფერმწერისათვის მომაკვდინებელი „შავი ფერი“ (ბუნებრივია უპირველესად არ ვგულისხმობთ კაზიმირ მალევიჩსა და ფრანს ჰალსს).

მხატვარი სწორედ შავი ფერის მეშვეობით (რომლის ვიზუალურ ასოციაციასაც მხატვარი რამდენიმე ფერის ტონალური ვარიაციით ინვეეს მნახველში) არეგულირებს და აბალანსებს ფერწერის დრამატურგიას, ანელეს ზოგჯერ ნიუანსობრივი ტონალური გრადაციების ნაკლებობის გამო მეტისმეტად ინტენსიური ფერების აქტიურობას. შავი ფერის, როგორც პირველელემენტის ფერწერულ ტილოზე აქცენტირება (მდრ. „მინა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“. „დაბადება“, 1,2) ფერწერული ტექსტის ელემენტებს შორის ამყარებს ლოგიკურ კავშირებს და სასურათე სიბრტყეს, როგორც დროზე ორიენტირებულ მთლიანობას გამოკვეთავს. ამგვარი ფუნქცია, მხატვრის შემოქმედებაში გამოყენებული შავი ფერის არსებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ. მხატვრის პალიტრაზე ყველა ფერი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ესთეტიკური ინფორმაციის „მომწოდებელი“ და შესაბამისად, მანულირებელი ეფექტის მატარებელი ფენომენი იქნებოდა, რომ არა უკვე კალანდაძისეულად ქცეული შავი ფერი, რომლის კონცენტრირებული ფორმების (ადამიანის ფიგურები, ცხენები, ხის ვარჯის ელემენტები და ა.შ.) საბედისწერო და დრამატული „მეზობლობა“ სხვა ფერებთან ეკლექტური ფერწერის საფრთხეს თუ ბოლომდე არა, მნიშვნელოვნად მაინც ამცირებს. რაც შეეხება ტერმინს „ეკლექტიზმი“, ვფიქრობთ, ედმონდ კალანდაძის ზოგიერთ ფერწერულ ტილოსთან მიმართებაში თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს სიტყვათშეთანხმებით — „პოლიცენტრული

ფერწერა“, ცხადია, აქ საქმე მხოლოდ სიტყვათშეთანხმებაში არ არის, არამედ, ეს პოლიცენტრული ტილოები აფართოებს, იმ „გაუთვალისწინებლობისა და შემთხვევითობების სივრცეს“, რომელიც ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული დღემდე კონვერგენტულ სქემად ფიგურირებს მხატვრის შემოქმედებაში – გამოხატვის ფერწერული პლანი ხშირად ზუსტად არ გამოხატავს თხრობის შინაარსობრივ პლანს, მიუხედავად იმისა, რომ ფერწერული პლანის ინტენსიობა ჯანსაღი პროვინციული ენერგიითაა გაპირობებული (რაც დიდ სამყაროსთან მიმართებაში ქართული აზროვნების ბუნებრივ მდგომარეობად უნდა იქნას განხილული). ამგვარი ენერგიულობა კი ვიზუალურ-ნარატულ ტექსტში „მოძრავი“ მხატვრის ფერწერულ „მოუსვენრობაში“ ტრანსფორმირდება და რომელიც არა მხოლოდ საყრდენს აცლის პლასტიკურ ხატს, არამედ ზემოთ ნახსენები ფერწერული პოლიცენტრულობით განგვაცდევინებს თავად სამყაროს არამდგრადობას, სადაც ჰარმონიის ერთ-ერთ მეტაფორად დაფარული დრო მოიაზრება.

ედმონდ კალანდაძის ტილოებში ასე თვალსაჩინოდ მფეთქავი „ფერწერული მოუსვენრობა“ არ არის ვან გოგისეული მლელვარება, რომელიც ახალი სამყაროს ძიებების, მისი პოვნისა და ფერით რეკონსტრუირების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ქართველი მხატვრის ძიებები უკვე არსებულის დაპყრობითა და ჩვენამდე მოტანის აუცილებლობითაა პირობადებული და შესაბამისად, ამგვარად კონსტრუირებული გარემო, უფრო ზუსტად კი დრო, განაპირობებს სამყაროს აღქმის ოდნავ მითოლოგიზებული პოსტულატების ფორმირებას. ე.კალანდაძის იკონოლოგიურ კონტექსტში საკმაოდ მკაფიოდ იკითხება იმპრესიონიზმისა და პოსტიმპრესიონიზმის მიერ „გათავისუფლებული“ ადამიანის დაკნინების იდეა, რაც უკვე ბუნებრივია XX-XXI საუკუნეების მიჯნის შემოქმედისთვის. 2005 წელს შესრულებული, ქალის ორი შიშველი ფიგურა სწორედ ამის მიმანიშნებელია, როცა ადამიანის სისავსე და შესაბამისად, მისი დასრულებულობა იფარება მისი ექსისტენსური არსის მაინტერპრეტირებელი, გარეგნულად ექსპრესიულობის მიმნიჭებელი შტრიხების „ბადით“, რაც ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები ორი პლანის გათიშვისა და ტილოზე დაფარული მოვლენების მკითხველის (ფერწერული ტექსტის მკითხველის) გარშემო ცირკულირების კონცეპტუალური პოზიციის გამოხატულებაა.


ასეთი გაორმაგებული, ოღონდ უკვე ერთმანეთთან კონტინუალურად დაკავშირებული დრო-სივრცული პლანის შემცველია ფერწერული პეიზაჟების მიკროსერია, სადაც ხის სილუეტები თუ ხის ვარჯებით კონსტრუირებული სამყარო მისტიკური, დაფარული უკანა პლა-

ნისა და არამისტიკური, წინა რეალისტური პლანების ბინარულ სისტემაში ქაოსის (უკანა პლანი) და კოსმოსის (წესრიგი, წინა პლანი) დეტერმინატებით სპეციფიკურ ქრონოტოპს აყალიბებს. ამ ქრონოტოპის განსაკუთრებულობა კი ის არის, რომ სივრცე (ანუ წინა პლანი) ე.წ. „საგნობრივ ველს“ კი არ ქმნის, არამედ თავადაა შექმნილი და შესაბამისად, კონსტრუირებული ამ საგნებისგან; ხოლო მისტიკური უკანა პლანი (ქაოსი) მხოლოდ კონცეპტუალურად უკავშირდება სივრცულ სემიოსისტემას, რითაც მხატვარი დრო-სივრცის ორგანიზებას და ერთიან, უკვე ფიქსირებულ მონოცენტრულ სამყაროს ქმნის. რამდენადაც ამ სურათებში სივრცული კონსტრუქცია (ხეების „სისტემა“ ტაძრის ფონზე ან ხეების სისტემა ქუჩის ფონზე) თავად სივრცის მაკონსტრუირებელ ფაქტორად ჩამოყალიბდა, მხატვრისთვის დროს (სული) და სივრცული (სხეული) კომბინაცია – ადამიანი სივრცეს არა მხოლოდ ანტროფომორფულ „არომატს“ ანიჭებს, არამედ თავად სივრცეს ანტროფომორფული და მითოსემანტიკური სანყისების სინთეზირებით ბინარულ მთელად აკონსტრუირებს.

მხატვარი, ნებისით თუ უნებლიეთ, სასურათო სივრცის ორგანიზებისას, მაკონსტრუირებელ სქემებთან თუ ფერწერულ-ნარატულ ტექსტებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფერის სემანტიკურ ღირებულებას, როგორც მის ერთ პეიზაჟზე ასახული მოქმედებისა და ფორმების (მოძრავი და უძრავის დრო-სივრცული თუ სივრცულ-სივრცული პლასტები) ექსისტენსური თვითკმარობის მხატვრულ-სემანტიკური ფენის კონსტიტუირებას, როცა ფერში განსხეულებული დრო-სივრცული კონტინიუმი (წინა პლანის ენერგიულად დანერილი ხე და მიკროტოპოსი ერთად ხურავენ ლაბილურ დროსთან მისასვლელ გზებს) მითოპოეტური ენერგიებითაა „დანერილი“.

ამ მცირე წერილში შევეცადეთ მხატვრის შემოქმედების მხოლოდ რამდენიმე, პოზიტიური შრე წარმოგვედგინა, რომელიც ედმონდ კალანდაძის ფერწერის საფუძვლების შემადგენელი ნაწილია. ამასთან ერთად კარგად ვიცით, რომ მხატვრის შემოქმედებაში, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეპოქათა ცვალებადობამ, ახალ-ახალი ფერწერული თუ მსოფლმხედველობრივი რეალობების წარმოშობა განაპირობა, რომელთა შუქ-ჩრდილიანი მეტაფორებისთვის, საყურნალო სტატიის სპეციფიკის გამო თვალის გადავინება ბოლომდე ვერ შევძელით. იქნებ საჭირო არც იყო.

რადგანაც ედმონდ-გაბრიელ კალანდაძის შემოქმედება „... არის ფიქრი საღებავებით. ეს არის სურვილი ებრძოლო წარმავლობას, სიკვდილს, გაქრობას.“



ესაქურონე ონიანი

ძველი საბუნიაო ეპოქის სახეობები

დღევანდელ დღეს, როდესაც ხალხში კვლავ გაღვივდა რწმენა, როდესაც ხალხი კვლავ დაუბრუნდა ეკლესიას, უფრო და უფრო ძლიერდება ძველი ქართული საგალობლების აღდგენისა და მათი ეკლესიაში აუღერების აუცილებლობა, რამეთუ „გალობა არს ხმაი ანგელოსთადმი შემსჰგავსებული, რომელნიც წინაშე საყდართა ღვთაებისათა ჰგალობენ: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ“ და ამით ის გალობა, თუ არა საღრმითთა ზედა, სხვებ არა მოიღების“ (იოანე ბატონიშვილი „კალმასობა“, ტ. 1, გვ. 529). საგალობელი, თქმულნი სულიწმინდის მადლით აღვხილი ღირსი მამების მიერ, თვით უფლის ნებითა და შეწევნით, ვრცელდებოდა ქრისტეს ეკლესიაში და საუკუნეებს გადაეცემოდა. საგალობლის ჰანგი, მისი ყოველი მელოდიური ბირთვი, ხმის მიმოხვრა, მსგავსად ღმრთისმსახურების ყოველი ქმედებისა, სიმბოლურად გამომსახველი იყო ღვთის სიტყვისა. საგალობელი, ისევე,

როგორც ხატი, ტაძარი, განსაზღვრული წესებისა და კანონების საფუძველზე იქმნებოდა და ამის გამო შეუძლებელი იყო დამკვიდრებული და დაკანონებული ჰანგის თვითნებური შეცვლა. მართალია, ყოველი სამგალობლო სკოლა საკუთარ ტრადიციებზე დაყრდნობით ითვისებდა ამ საგალობლებს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი კანონიკურ ჰანგს ვერ უგულვებლყოფდა, მის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ვერც ერთი საეკლესიო სკოლის გალობა.

ქართული საეკლესიო გალობაც, ცხადია, სწორედ კანონიკური ჰანგების საფუძველზე აღმოცენდა და მისი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ მგალობლებს, რომელნიც „ნამდვილი კილოს“ (როგორც უწოდებდნენ კანონიკურ ჰანგს) ხელყოფას გალობის დაკარგვის ტოლფასად რაცხავდნენ. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ძველი ტრადიციული საგალობლების აღდგენა-აუღერება, მათი ზოგადი კანონზომიერებების დადგენა, რაც, შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს დღევანდელი გალობის სწორად წარმართვას.


ქართული საგალობლების კვლევის ფონზე განსაკუთრებით მწვავედ დგას X-XI საუკუნეებიდან შემორჩენილი უძველესი სამუსიკო დამწერლობის — ნევმური ნოტაციის ამოხსნის საკითხი — პრობლემა, რომელიც უკანასკნელ ხანებში მკვლევართა შეუწელებელი ინტერესის საგანს წარმოადგენს და, მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, დღემდე ღიად რჩება.

ნევმები — ესაა ძველი სამუსიკო ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც ინერებოდა საგალობლის მელოდია. ნევმა არ გამოხატავდა ცალკეულ მუსიკალურ ბგერას, მას არ გააჩნდა ზუსტი სიმაღლე, არამედ ნიშნების კომბინაციები მთლიანობაში წარმოაჩენდნენ კონკრეტულ მელოდიურ მიმოქცევებს, საეკლესიო საგალობლის დაკანონებულ მელოდიურ ფორმებს, რომელთა ერთობლიობითაც იქმნებოდა საგალობლის მუსიკალური ქსოვილი.


ქართული ნევმური ნოტაცია ერთ-ერთი უძველესი ფენომენია არატრადიციულ სანოტო დამწერლობაში. პირველი ქართული ნევმირებული ძეგლები (ჩვენამდე მოღწეული)¹ თარიღდება არაუგვიანეს X საუკუნისა და პირველივე ნიმუშებში წარმოდგენილია სრულიად ორიგინალური, ყველა თანადროული ნევმური ნოტაციისაგან განსხვავებული სისტემა.

უძველესი ქართული ნევმური ნოტაცია ყურადღებას იპყრობს არა მარტო ნიშნების განსაკუთრებული სემიოგრაფიით, არამედ, მათი პოეტურ ტექსტზე განთავსების თავისებურებითაც. ეს თავისებურებები განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ვინაიდან ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ უფლის მათ. ბიზანტი-

ურ, სლავურ, სომხურ თუ ლათინურ ნევმურ სისტემებში ნიშნების სილაბური განლაგებისაგან განსხვავებით, ქართულ ნევმურ ნოტაციაში ნევმები მოთავსებულია არა ტექსტის ყოველ მარცვალზე, არამედ ინტერვალებით, ამასთანავე, სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ:



საგულისხმოა ისიც, რომ სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნევმები გრაფიკულად ერთმანეთის სარკისებურად შებრუნებულ ვარიანტებს წარმოადგენენ ანუ ყოველ სტრიქონქვედა ნიშანს შეესაბამება სტრიქონზედა სარკისებურად შებრუნებული ნიშანი.



ამრიგად, ქართული ნევმური სისტემის კორდინაცია ხდება ვერტიკალში. ამოსავალი წერტილია ჰიმნის სიტყვიერი ტექსტი, მის ზემოთ და ქვემოთ განლაგებული ნევმები კი, რომლებიც ჰიმნის მუსიკალურ ხორცშესხმას ემსახურება, ერთმანეთს სარკისებურად არეკლავს და ცენტრისკენ — ჰიმნის პოეტური ტექსტისკენაა მიმართული. ფაქტობრივად, ქართული ნევმური სისტემა სამ სფეროშია განფენილი და მოიცავს სიმეტრიულად განლაგებულ ნევმებს ანუ ექვემდებარება სიმეტრიის პრინციპს, რასაც მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა აქვს ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. სიმეტრია ქმნის ჩაკეტილ სტრუქტურას — წრეს, რომელსაც უმაღლესი წონასწორობა გააჩნია — მისი ცენტრიდან გამომავალი ყველა ხაზი თანაბარია. ამასთანავე, მას არ უჩანს დასაწყისი და დასასრული და გაიაზრება, როგორც მარადიულობის სიმბოლო. სიმეტრიულ სტრუქტურაში, როგორც წესი, მთავარი კომპონენტი ცენტრშია მოთავსებული.

1 მიქაელ მოდრეკილის „სანელინდო იადგარი“ (კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S 425); იორდანეს ძლისპირთა კრებული (A 603); უცნობი ავტორის „სადღესასწაულო“ (A 596); იელის იადგარი (მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი). გარდა ამისა, ქართული ნევმიერებული ხელნაწერები მოიპოვება საზღვარგარეთ არსებულ ძველ ქართულ სამონასტრო კერებში: სინას მთის ხელნაწერები (sin.-1; sin- 14); ათონური კოლექციის ხელნაწერი №85.

ქართული ნევმური სისტემის სიმეტრიული აღნაგობა, რომლის ცენტრალურ ადგილს ჰიმნის პოეტური ტექსტი იკავებს, ხაზს უსვამს საგალობელში სიტყვიერი ტექსტის პრიმატს — საგალობელი ხომ, უპირველეს ყოვლისა ლოცვაა ღვთისადმი აღვლენილი, ლოცვაში კი პირველადი და მთავარი სიტყვაა. ამრიგად, ქართული ნევმური სისტემის თავისებურებანი (ნიშნების სტრიქონზედა და სტრიქონქვედა განლაგება, მათი გრაფიკული ერთიანობა) ბუნებრივად თავსდება ეკლესიის საერთო სიმბოლიკაში. პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად მას სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭება. შესაძლოა, ამ მნიშვნელობის გააზრების გზით წარმოებული კვლევა გასაღები აღმოჩნდეს ნევმების ამოხსნისათვის, რამეთუ, მათი სამუშაოებით გამოსახული იყო მელოდია, განკუთვნილი ქრისტიანული სიმბოლოებით აღსავსე ჰიმნისათვის

XI საუკუნის შემდგომ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში (XVIII საუკუნემდე) ქართული წერილობითი ძეგლები ნევმიერების ქართულ ტრადიციას აღარ გვიჩვენებენ, XI-XVIII საუკუნეებს შორის ჯერ-ჯერობით თეთრი ლაქაა. თუმცა კი ეს არამც და არამც არ ნიშნავს საქართველოში ნევმური დამწერლობის მოშლას. შესაძლოა, ჯერ კიდევ არ გამოვლენილა აღნიშნული პერიოდის სათანადო ნივთიერი საბუთები, როგორც ეს მოხდა უკანასკნელ ათწლეულში, როდესაც მ. ანდრიაძის მიერ მოძიებულმა და შესწავლილმა მასალამ (XIX-XX საუკუნეების სამუსიკო ნიშნებით აღბეჭდილი კრებულები: Q-651, Q-830, Q-634, H-657) გააბათილა დამკვიდრებული მოსაზრება, რომ საქართველოში “თუ ამაზე უწინარეს არა, XVIII საუკუნეში მაინც, საგალობო ნიშნების წერაკითხვა დაჰვიწყებიათ და ამის მაგიერ, გაჭირვების გასაადვილებლად სანაცვლო სისტემა² შეუქმნიათ, რომლის დახმარებითაც, გალობის სწავლა მხოლოდ ზეპირადღა შეიძლებოდა”. (ივ. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 1990, გვ. 237). საქართველოში საგალობო ნიშნებით გალობის ტრადიციის უწყვეტობას ამტკიცებს სტატიის ავტორის მიერ შესწავლილი ხელნაწერიც Q-845 — ამბროსი ნეკრესელის მიერ გადაწერილი საგალობელთა კრებული, რომელიც ასევე აღკაზმულია სამუსიკო ნიშნებით და თარიღდება XVIII საუკუნით. მასში დაცული საგალობლები, სავარაუდოდ, ქართული გალობის აღმოსავლურ შტოს მიეკუთვნება. საგულის-

2 სანაცვლო სისტემაში იგულისხმება ჭრელთა სისტემა, რომლის მეშვეობითაც საგალობლის ჰანგი სიტყვიერად განიმარტება. ეს სისტემა აქტიურად გამოიყენებოდა XVIII-XIX საუკუნეებში, თუმცა კი მისი ძირები ჩანს XIII საუკუნეიდან.

ხმოა, რომ მ. ანდრიაძის მიერ გამოკვლეული ხელნაწერები ასახავს გურულ-იმერული, ანუ გალობის დასავლური კერების ტრადიციებს და ამრიგად, აღნიშნული ძეგლების საფუძველზე, სამუსიკო ნიშნებით გალობის ფაქტი დასტურდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო პრაქტიკაში. ნევმური ნოტაცია, როგორც საგალობლის ჰანგის ჩანერისა და მისი შესრულების საშუალება, საკმაოდ ქმედითი იყო თვით XX საუკუნემდეც.

ქართული ნევმური სისტემის განვითარების ახალ (XVIII-XXსს.) ეტაპზე ჩნდება ახალი გრაფემები, ნერტილებისა და ტირეების სხვადასხვა კომბინაციები, ჩართული ფონემები (გალობის გავარჯიშების აღმნიშვნელი), თუმცა გარკვეულწილად შენარჩუნებულია ძველი ნიშნებიც.

გარეგნული განსხვავებისა და მიუხედავად, ძველ და ახალ სისტემებს შორის სიღრმისეული კავშირებია, კერძოდ, XVIII-XX საუკუნეების კრებულებში დაცულია ქართული ნევმური სისტემის ძირითადი პრინციპები: ნიშნების განლაგება ინტერვალებით და სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ. ახალი ნიშნებიც ემორჩილება ნევმების განლაგების ამ კანონზომიერებას. საგულისხმოა ისიც, რომ მართალია, ახალ სისტემაში სტრიქონქვედა ნევმები შედარებით ნაკლებად გვხვდება, მაგრამ ამ მცირერიცხოვნების საფუძველზეც კი ჩანს, რომ XVIII-XIX საუკუნეების ნევმები, ძველი ნიშნების მსგავსად, ექვემდებარებიან გრაფიკული ერთიანობის პრინციპს, ანუ სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნიშნები ერთმანეთის სარკისებურად მებრუნებულ ვარიანტებს წარმოქმნიან.



დღევანდელი გადასახედიდან ქართულ ნევმურ ნოტაციას სხვა ნევმური სისტემებისაგან მისი განსაკუთრებული იდუმალბაც გამოარჩევს. ბიზანტიურ და სლავურ ნევმურ სისტემებში განვითარების ცალკეული ეტაპებია ასახული და შესაძლებელი ხდება სისტემის პერიოდიზაცია ისტორიულ ჭრილში. სტადიალური განვითარების პროცესში მკაფიოდ წარმოჩინდება თითოეული ეტაპის მახასიათებლები და მათი შედარებით შესაბამისი დასკვნების გაკეთება შესაძლებელია.

ქართულ ნევმურ სისტემაში ყველაფერი სხვაგვარადაა. X-XI საუკუნეების ძეგლები გვიჩვენებს არა განვითარების პროცესს, არამედ შედეგს. მათში უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ნევმური სისტემაა წარმოდგენილი, რომლის პრინციპებიც ერთნაირად მოქმედებს სხვადასხვა სკოლის, სხვადასხვა წარმომავლობის ხელნაწერებში. ამ ნიმუშებში დაცულია

ერთი ტიპის ნიშნები, საერთოა ნევმირების მეთოდი, არ გვხვდება სხვადასხვა ვარიანტები და განშტოებები. შეიძლება ითქვას, რომ სისტემა მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებზეა აგებული და მისი ჩამოყალიბების სანყისი ფაზა ამ დროისათვის უკვე განვლილი ეტაპი იყო. თითქოს ჩვენს თვალთაგან დაიფარა განვითარების ხანგრძლივი პროცესი და საამჟამოზე ქართული გალობა სრულყოფილებით წარმოჩნდა.

ბიზანტიურ და სლავურ პრაქტიკაში, XV საუკუნიდან გვხვდება სამუსიკო ნიშნების ერთგვარი "ანბანები", ნევმების თეორიული განმარტებები, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება სისტემის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპებზე გასვლა, მოძრაობა „ნაცნობიდან უცნობისაკენ“, რაც ხშირად ნაყოფიერ შედეგს იძლევა, მაგ, შუაბიზანტიური პერიოდის ნევმები გვიანბიზანტიური თეორიული ტრაქტატების საფუძველზე იხსნება.

ქართულ ნევმური სისტემა ამ მხრივაც განსხვავებულია. არ არის შემორჩენილი მისი თეორიული საფუძვლების განმარტებანი, არც მიქაელ მოდრეკილის და არც იორდანეს — ამ ორ ყველაზე მასშტაბურ ხელნაწერში, იმ სახით, რა სახითაც მათ ჩვენამდე მოაღწიეს, გადამწერი თეორიულ განმარტებებს ნიშანთა სემანტიკასთან დაკავშირებით არ იძლევა. შესაძლოა ნევმების ახსნა დაკარგულ გვერდებზე იყო მოთავსებული. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ნევმების განმარტებისათვის ცალკე სახელმძღვანელოები უნდა ყოფილიყო, „საგალობელთა კრებულები — კი მუსიკაში უკვე კარგად განსწავლული მგალობლებისათვის ყოფილა განკუთვნილი, რომელთაც ამ ნიშნებით საგალობლის ჰანგის გაგება და მღერა შეეძლოთ“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადის საკითხები. თბ., 1990, გვ.228). ჩვენამდე არ მოუღწევია არამცთუ X-XI, არამედ გვიანი პერიოდის თეორიულ განმარტებებსაც, მაშინ, როდესაც უკვე XII საუკუნის დამდეგისთვის, ჯავახიშვილის მითითებით, „ხმის დადება“, ე.ი. ახალი ჰანგის შეთხზვა და მისი ნიშნებით აღბეჭდვა საქართველოში ცალკე დარგს წარმოადგენდა და ხმის დამდებელთა სპეციალური სახელიც — ხელოვანთმოძღვარი არსებობდა. უფრო მეტიც, ორიგინალური ქართული ნევმური სისტემის დამადასტურებელი ძეგლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისთვის. პ. ინგოროყვას ცნობით, ძნელბედობის ჟამს, ძვირფასი ლიტურგიკული კრებულები მესხეთიდან გადმოსულ ლტოლვილებს გადმოუტანიათ ოდიშში. XIX საუკუნეში ეს ხელნაწერები დაცული იყო სამეგრელოს სამთავროს მთავარ ხელნაწერსაცავში.

1885 წელს სამთავროს ძველ-ქართულ ხელ-

ნაწერების მდიდრი კოლექცია გადმოეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელთანაც ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, ამ დროს დაარსდა ძველ-ქართულ ხელნაწერთა სიძველეთ-საცავი. ილია ჭავჭავაძეს თავად ჩამოუტანია ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და მათ შორის, მიქაელ მოდრეკილის ნევემირეული კრებულის თბილისში. სწორედ ამ პერიოდთან დაკავშირებულია „საუნჯე მეთუ საუკუნისა“ ქართულ მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში მოქცევა.

პირველი დაკვირვება ქართულ ნევემურ სისტემაზე მიქაელ მოდრეკილის იადგარის მიხედვით ეკუთვნის ფ. ქორიძეს („ივერია“. 1891წ. 149. „მეთუ საუკუნის საგალობელი ნიშნები“), ვისთვისაც მ. ჯანაშვილს უჩვენებია აღნიშნული კრებული. თავად მ. ჯანაშვილმა იმავე პერიოდში გამოსცა მცირე გამოკვლევა — „საუნჯე მეთუ საუკუნისა“. აღსანიშნავია, რომ ორივე მკვლევარი აფიქსირებს ქართული ნევემების ორიგინალურ განლაგებას — სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ. ასევე ვარაუდია ზოგიერთი ნიშნის შესაძლო მნიშვნელობის შესახებ. მართალია, აღნიშნულ შრომებში ავტორებს არაერთი საყურადღებო აზრი აქვთ გამოთქმული, მაგრამ შესაბამისი დასაბუთების გარეშე. ამასთან, მათი შრომები ზოგადი მიმოხილვითი ხასიათისაა და მეცნიერული გამოკვლევის სახეს არ ატარებს. იგივე შეიძლება ითქვას პ. კარბელაშვილის შრომაზე „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ (1898წ), სადაც იგი, გალობის სხვა საკითხებთან ერთად, ზოგადად ეხება ნევემირეულ კრებულებსაც. თუმცა აქ უკვე სხვა სიახლე ჩნდება. სახელდობრ, ავტორი, საკუთარი სამგალობლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ცდილობს, მის ოჯახში დაცული ე.წ. „კარბელაშვილი კილოს“ საგალობლებისა და ნევემირეული ჰიმნების შედარების საფუძველზე ახსნას ნევემების მნიშვნელობა. მართალია, ამ მცდელობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ დიდ მგალობელს ინტუიციამ სწორი გზა უკარნახა, რამეთუ არამარტო ქართული, არამედ ზოგადად ნევემური სისტემების მკვლევარნი არაერთგზის მიუთითებენ შედარების მეთოდზე, რომელიც, თუ ერთადერთი არაა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ნევემების ამოხსნისათვის.

1886 წელს „ივერიაში“ (237) დაიბეჭდა განცხადება იმის თაობაზე, რომ ქუთაისში მცხოვრებ გალობის მცოდნე მრევლიშვილების ოჯახს „ძველის ქართულის საგალობლის აზრისთვის მიუგნია და მიხვედრილა, როგორ უნდა იგალობოს კაცმა სხვადასხვა საგალობელი“. ცნობა ეხება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში დაცულ ნევემირეულ საგალობლებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული კრებულები. ალბათ, მგალობელ მრევლიშვილების ოჯახს რეალურად

ჰქონდა საფუძველი ასეთი განცხადებისათვის. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მღვდელ იოანე მრევლიშვილის კუთვნილი, სამუსიკო ნიშნების შემცველი საგალობელთა კრებული (-657. XIX ს.). მართალია მასში ნევემირება XIX საუკუნის პრინციპითაა შესრულებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს გვიანდელი სისტემა აბსოლუტურად მონყვეტილი არ იქნებოდა მისი წინამორბედისაგან. თავად ფაქტი ნევემური ნოტაციის ტრადიციის გავრცელებისა მრავლისმეტყველია. შესაძლოა ამ ოჯახს მართლაც აღმოაჩნდა უძველესი ნევემების გასაღები. სამწუხაროდ, შემდგომი გამომხაურება აღნიშნული ცნობის თაობაზე ვერ მოვიძიეთ.

1913 წელს, საეკლესიო მუსიკის ცნობილმა მკვლევარმა ფ. თიბომ ჟურნალ „ქრისტიანული აღმოსავლეთისაგან“ მიიღო წინადადება გამოეკვლია ქართულ ხელნაწერებში დაცული სამუსიკო ნიშნები. 1914 წელს თიბომ წარადგინა თავისი გამოკვლევის შედეგები. მისი დაკვირვებით, დიდი მსგავსებაა ქართულსა და სომხურ სამუსიკო ნიშნებს შორის, მაგრამ თავადვე დასძენს, რომ კირაკოზ განძაველის გადმოცემის თანახმად, სამუსიკო ნიშნები სომხეთში პირველად XII საუკუნეში შემოიღეს და ამდენად, უპირატესობა ენიჭება X-XI საუკუნეების ქართულ ნევემურ სისტემას. თიბო ასევე ავლენს გრაფიკულ მსგავსებას ქართული ძირითადი ნიშნების სემიოგრაფიასა და ლათინურ ნევემებს შორის, მაგრამ აქვე აღნიშნავს ქართული ნევემური სისტემის მთავარ განმასხვავებელ თავისებურებასაც — ნიშნების სტრიქონზედა და სტრიქონქვედა განლაგებას. საგულისხმოა, რომ ეს თავისებურება მანამდეც იყო აღნიშნული ფ. ქორიძის, მ. ჯანაშვილის, პ. კარბელაშვილის მიერ, მაგრამ სხვაობა სხვა ნევემურ სისტემებთან, ანუ ის, რომ სწორედ ასეთი განლაგებით განსხვავდებიან ქართული ნევემები სხვა ნევემური ნოტაციისაგან, პირველად სწორედ თიბომ აღნიშნა. მისი ეს დაკვირვება ერთგვარი ქვაკუთხედი აღმოჩნდა ქართული ნევემური სისტემის შემდგომი კვლევის პროცესში.

ინტერესი ქართული ნევემური ნოტაციის მიმართ გაძლიერდა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან და დღემდე ეს პრობლემა მეცნიერთა შეუწყვეტელი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამ საკითხს შეეხო მრავალი მკვლევარი,³ რომელთა შრომებმაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო და მაინც, ქართული ნევემური სისტემა დღემდე ამოუხსნელია და კვლავ მრავალ საიდუმლოს იმარხავს.

3 ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ო. ჩიჯავაძე, ვ. გვახარია, შ. ასლანიშვილი, ელ. მეტრეველი, გ. კიკნაძე, კ. კეკელიძე, გ. ლორთქიფანიძე, კ. როსებაშვილი, მ.ხ. იაშვილი, ე. ქობონელიძე, მ. ანდრიაძე, ლ. ჩხეიძე, თ. ჩხეიძე, ზ. წერეთელი, ე. ონიანი.



სურათზე ზემოდან მარცხნიდან მარჯვნივ: 1. გ. ცეცხლაძე 2. ე. ქარელიშვილი 3. ბ. ჩხეიძე 4. ბ. ულენტი 5. დ. ბენაშვილი 6. ს. მთვარაძე 7. გ. ბუხნიკაშვილი 8. ლ. მეტრეველი 9. ნ. ლორთქიფანიძე 10. ვ. გაბესკირია 11. კ. კალაძე 12. ა. განერელია 13. პ. კაკაბაძე 14. ა. ქუთათელი 15. გ. ქიქოძე 16. რ. ქორქია 17. ი. ალაძე 18. ა. ბელიაშვილი 19. ვ. გაფრინდაშვილი 20. ს. თავაძე 21. ვ. გორგაძე 22. კ. ბობოხიძე 23. ი. ლისაშვილი 24. ი. გრიშაშვილი 25. ს. კლდიაშვილი 26. მ. მიქელაძე 27. დ. შენგელაია 28. ლ. ქიაჩელი 29. ლ. ასათიანი 30. დ. სულიაშვილი 31. ი. ტატიშვილი 32. პ. ინგოროყვა 33. კ. გამსახურდია 34. ა. ჭუმბაძე 35. ა. ხახუტაშვილი 36. ე. გაბაშვილი 37. მ. გარიყული 38. ს. შანშიაშვილი 39. ს. ეული 40. გ. ლეონიძე 41. ა. გომიაშვილი 42. შ. რადიანი 43. ი. მოსაშვილი 44. ა. მირცხულავა 45. კ. ლორთქიფანიძე 46. ი. აბაშიძე.

1937 წელი, მწერალთა კავშირის ბაღი

სურათი ბატონ კონსტანტინე ლორთქიფანიძის პირადი არქივიდან მოგვანოდა მისმა ვაჟმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა გიორგი ლორთქიფანიძემ რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
8 99 25 60 14
ელ-ფოსტა: vajao@posta.ge





2006-18



ნ 2473 / 2

